



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

## **IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS**

**XLVI**

Dedicated to the 120<sup>th</sup> Birth Anniversary  
of Academician **Arnold Chikobava**

## **Иберийско-кавказское языкознание**

**XLVI**

Посвящается 120-летию со дня рождения  
академика **Арнольда Чикобава**

Tbilisi 2018 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

**XLVI**

ემდგნება აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას**  
დაბადების 120 წლისთავს

თბილისი  
2018

**მთავარი რედაქტორი**

ვაჟა შენგელია

**Editor-in-chief**

Vazha Shengelia

**სარედაქციო კოლეგია**

ავთანდილ არაბული  
მარინე ბერიძე  
გიორგი გოგოლაშვილი  
თამარ ვაშაკიძე  
გუჩა კვარაცხელია  
ნანა მაჭავარიანი  
მურმან სუხიშვილი  
ლია ქაროსანიძე  
მედეა ლლონტი  
მერაბ ჩუხუა

**Editorial Board**

Avtandil Arabuli  
Marine Beridze  
Giorgi Gogolashvili  
Tamar Vashakidze  
Gucha Kvaratskhelia  
Nana Machavariani  
Murman Sukhishvili  
Lia Karosanidze  
Medea Glonti  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISSN

## შინაარსი – Contents

### I

გ. კვარაცხელია, არნოლდ ჩიკობავა – 120.....	9
G. K v a r a t s k h e l i a, Arnold Chikobava – 120.....	13
ნ. არდოტელი, ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნების გენეზისი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში.....	15
N. A r d o t e l i, The Genesis of Locative Case Markers in the Avar-Andi-Dido Languages.....	22
თ. ბურჭულაძე, არნოლდ ჩიკობავა და იმანენტისმიის თეორია.....	23
T. B u r c h u l a d z e, Arnold Chikobava and the Theory of Immanentism.....	30
თ. გუჩუა, რამდენიმე სოვეტიზმის სემანტიკური ისტორიისათვის ქართულში.....	31
T. G u c h u a, On the Semantic History of Sovietisms in the Georgian Language.....	36
თ. ვაშაკიძე, ამირან პაკო სვიმონიშვილი – „სიკვდილი სურვილს ვერ აისრულებს“.....	37
T. V a s h a k i d z e, Amiran Pako Svimonishvili – “Death Cannot Obtain What It Wants”.....	42
დ. კაკაშვილი, წარმომავლობის სახელები წოვათუმურ ენაში.....	43
D. K a k a s h v i l i, Nominals Denoting Origins in the Tsova-Tush Language.....	47
მ. ლაბარტყავა, ენ-ზე ფუძედაბოლოებული რამდენიმე სახელის მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში.....	48
M. L a b a r t k a v a, On the Orthography of Some Nouns that Include Bases Ending with -en.....	52
რ. ლოლა, საერთოლეზგიური ლექსიკა კავკასიის ალბანურში.....	53
R. L o l u a, The Common Lezgian Vocabulary in Caucasian Albanian.....	65

თ. ლომთაძე, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ლატვიაში .....	67
T. L o m t a d z e, The Linguistic Situation in Modern Latvia .....	77
ქ. მარგიანი - სუბარი, ზმნური ინტერფერენციები სვანური ენის კოდორულ მეტყველებაში .....	79
K. M a r g i a n i - S u b a r i, Verb Interferences in Kodorian Speech of the Svan language .....	86
ნ. მაჭავარიანი, აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში .....	87
N. M a c h a v a r i a n i, The Original Meaning of the Abkhazian Suffix -ša and Its Semantic Equivalent in Georgian .....	90
ს. ომიადე, კონცეპტ „ქართული უნივერსიტეტის“ დომინანტური ნიშნები .....	92
S. O m i a d z e, Dominant Signs of the Concept “Georgian University” .....	96
მ. საღლიანი, ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნებისათვის სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში .....	97
M. S a g h l i a n i, On the Declension of Nouns Containing Particles in Svan Dialects .....	111
მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებული რიგი საკითხების შესახებ .....	112
M. S a g h l i a n i, N. S h a v r e s h i a n i, L. G i g l e m i a n i, On the Issues Related to Compiling the Svan Toponymic Dictionary .....	117
ნ. სურმავა, პარალინგვიზმები, ელიფსისი და ტრანსპოზიციის გზით მიღებული ნაწილაკები.....	118
N. S u r m a v a, Paralinguisms, Ellipsis and Particles Formed Through Transposition.....	129
მ. სუხიშვილი, უმლაუტის ერთი შემთხვევა სვანურში .....	131
M. S u k h i s h v i l i, One Case of the Umlaut in Svan.....	139
თ. ტეტელოშვილი, ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ- სინტაქსური ანალიზისთვის „გულის“ შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმების მაგალითზე .....	140
T. T e t e l o s h v i l i, On the Structural-Syntactic Analysis of Phraseological Units Using the Example of Georgian Ones Containing the Word “Heart” .....	146

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ცნობები ჩეჩნეთის შესახებ ნ. ი. დინიკის ნაშრომში „მოგზაურობა ჩეჩნეთსა და დაღესტანში“ (Н. Я. Динник, По Чечне и Дагестану. Тифлис, 1905, 78 стр.).....	148
R. P a r e u l i d z e, Information About Chechnya in N. I. Dinnik's Work "Across Chechnya and Dagestan" (Н. Я. Динник, По Чечне и Дагестану. Тифлис, 1905, 78 стр.).....	154
ბ. ფ ო ნ ი ა ვ ა, ინტერფერენციული მოვლენები კოდორელთა აფხაზი რძლის სვანურ მეტყველებაში.....	155
N. P o n i a v a, Interferential Phenomena in the Svan Speech of the Kodorians' Abkhazian Daughter-in-law .....	163
ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვა კახურში .....	164
K. K a n d a s h v i l i, Expressing the 2 <sup>nd</sup> Person Subject and the 3 <sup>rd</sup> Person Object in Kakhetian .....	167
ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სახელის ოდენპრეფიქსული წარმოების შესახებ მეგრულში .....	168
V. S h e n g e l i a, On the Prefixal Formation of Nominals in Megrelian .....	172
ო. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, სვანეთის მივიწყებული მკვლევარი (ევდოკია კოჟევნიკოვა - გუგუშვილი).....	173
I. C h a n t l a d z e, R. I o s e l i a n i, A Forgotten Researcher of Svaneti (Evdokia Kozhevnikova-Gugushvili) .....	183
ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ქართველოლოგიური ძიებანი იოჰან კრისტოფ ადელუნგის თხზულებაში „მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება...“ (‘Mithridates, oder allgemeine Sprachenkunde...’).....	185
I. C h a c h a n i d z e, Kartvelological Studies in Johann Christopher Adelung's Work "Mithridates, or General Linguistics" ( <i>Mithridates, oder allgemeine Sprachenkunde</i> ).....	191
მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ლექსიკური სინონიმის ახალი წყვილი: მეგობარი და საყვარელი, ბარბარიზმები: ბოიფრენდი და გელფრენდი თანამედროვე ქართულში .....	192
M. C h a c h a n i d z e, A New Pair of the Lexical Synonymy <i>megobari</i> „Friend“ and <i>sagvareli</i> „Lover“, Barbarisms <i>boiprendi</i> „Boyfriend“ and <i>gelprendi</i> „Girlfriend“ in Modern Georgian .....	197
რ. ჭ კ ა დ უ ა, გეობოტანიკურ ტერმინთა შემცველი მიკროტოპონიმების წარმოება სვანურში.....	198
R. C h k a d u a, The Derivation of Micro-toponyms Containing Geobotanical Terms in Svan .....	205

ბ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, <b>სრბა</b> სიტყვის სემანტიკისათვის.....	206
N. K h a k h i a s h v i l i, On the Semantics of the Word <i>srba</i> .....	211
ბ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ფიტონიმთა ერთი წყების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში.....	212
N. K h o c h o l a v a - M a c h a v a r i a n i, On the Structural-Semantic Analysis of a Group of Phytonyms in Svan .....	218
ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა, ნასესხები სიტყვების სემანტიკის ცვლილებათა შესახებ მეგრულში.....	219
T. J a n j g h a v a, On the Changes in the Semantics of Loanwords in Megrelian .....	222
ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებზე თურქული ენის გავლენის ლექსიკურ-გრამატიკული ასპექტები.....	223
N. J o r b e n a d z e, The Lexical-Grammatical Aspects of the Turkish Language Influence on the Georgian Southern-Western Dialects.....	236

## II

თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, აკადემიკოსი მზექალა შანიძე (წაკითხულია საიუბილეო სხდომაზე 2016 წელს).....	238
T. B e r o z a s h v i l i, Academician Mzekala Shanidze (Presented at the Anniversary Session in 2016) .....	238

## III

თედო უთურგაიძე .....	243
<b>Tedo Uturgaidze</b> .....	243



გუჩა კვარაცხელია

**არნოლდ ჩიქობავა – 120**

„ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი! – მძიმე ბიბლიური სიბრძნეა ამ სიტყვებში.

და მაინც: „ადამიანი მიდის, საქმე-ნამოქმედარი რჩება. ტრადიცია შედგომადობის გარეშე არ არსებობს“, – ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს – არნოლდ ჩიქობავას, ვისაც ქართველი ხალხის შესაძლებლობებისა და ქართველი ხალხის მომავლის უმაგალითო რწმენა ჰქონდა, ვინც მაღალი ინტელექტით განათებული ცხოვრების ყოველი წუთით თვითონაც კვებავდა და აბევრებდა ამ რწმენას. ამგვარ კაცთა „ყოველი წუთი“ კი წუთიც არის და მარადისობაც.

შემდგომადობა მეცნიერებაში, კულტურაში ისევე აუცილებელია, როგორც ბუნებაში, აუცილებელია არა მარტო წინსვლისთვის, არამედ ჩამოვლილ სფეროთა თვით არსებობისთვისაც.

„ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები ჩვენი ხვალისდელი დღეა, ჩვენი მომავალია, მათ ეკისრებათ გააგრძელონ და განავითარონ ყველაფერი ფასეული, რაც წინა თაობას შეუქმნია მეცნიერებაში. ცნობილია არა ერთი შემთხვევა, რომ ძლიერი სამეცნიერო კერა ჩაქრა, რაკი სამეცნიერო კვლევა-ძიებას გამგრძელებელი არ აღმოაჩნდა“, – ეს მიმართვა ახალგაზრდობისადმი ახლა ანდერძად აღიქმება, რომელიც ყოველთვის შეგვახსენებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ვალს ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

თავდადებული ზრუნვა იმ მომავლისათვის, სადაც თვითონ უკვე ფიზიკურად აღარ ვიქნებით, აწმყოსაც სხვა შინაარსით ავსებს და მზრუნველსაც სხვა შუქით ასხივოსნებს. არნოლდ ჩიქობავას, როგორც პიროვნებასა და როგორც მეცნიერს, ეს სხივი ადგა ყოველთვის, მისი საქმიანობა მუდამ ამ ნათლით იყო მოსილი. ამიტომ სწვდებოდა იგი მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებითსა და მნიშვნელოვანს, მკვიდრსა და მარადიულს და არა წარმავალსა და დღემოკლეს.

„მართალი საზოგადო მოღვაწეა და არა კონიუნქტურის კაცი!“, – ამბობდა იგი იაკობ გოგებაშვილზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის დარ მოღვაწედ ესახებოდა. ამ მოღვაწეთა ზნეობრივი ცხოვრება ნიმუშად ჰქონდა და კიდევაც ძალედვა, თვალი გაესწორებინა მათთვის. მას შეეძლო ეთქვა: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ემახიან“.

მაღალმა გონებამ, რომელიც ინტენსიურ აზროვნებაში მყლავნდებოდა, და ამ აზროვნების სინდისიერებამ შეუქმნა მსოფლიო სახელი ქართველ მეცნიერს.

„მეცნიერება ჭეშმარიტებას იძიებს, სიმართლეს იცავს და კულტურის პროგრესს, ხალხის კეთილდღეობას ემსახურება.

საპატიო საქმეა მეცნიერებაში მუშაობა, მაგრამ ამ მუშაობას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს. სამეცნიერო მუშაობა ადამიანის მთელ შესაძლებლობას მოითხოვს. სამეცნიერო მუშაობა სასიცოცხლო საქმეს უნდა წარმოადგენდეს, თუ გვინდა მეცნიერებას ვემსახუროთ, და არა „მეცნიერებაში ვიმსახუროთ. ამათ შორის დიდი ზღვარია“. არნოლდ ჩიქობავამ იცოდა და სხვებსაც ასწავლიდა, რომ „ჭეშმარიტებას ვინც ეძებს, ჭეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთავსებელია)“; და ბოლოს: „მეცნიერი შეიძლება შეცდეს. ეს სამწუხარო იქნება, მაგრამ არ შეიძლება, შეუწყნარებელია, მეცნიერი ტყუოდეს. ეს სამარცხვინო იქნებოდა, ამით კავშირი მეცნიერებასთან სამუდამოდ გაწყდებოდა“.

მეცნიერების სწორუპოვარი მსახური არნოლდ ჩიქობავა მრავალ ცოდნას ფლობდა, მაგრამ ეს ცოდნა მისთვის იარაღი იყო და არა მიზანი, რადგან ბრძენკაცი ის კი არაა, ვინც ბევრი იცის, არამედ ის, ვისი ცოდნაც სასარგებლოა. მხოლოდ ამ რწმენის მეცნიერებას შეიძლება ერქვას პროგრესისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ გზისმკვლევით, ხოლო მის ქურუმს – მოქალაქე.

„დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თვითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისა“, – გვასწავლიდა ილია. ისევე, როგორც მოსაქმე ირჩევს საქმეს, საქმეც მოსაქმეს ირჩევდა. ამიტომაც იყო მადლით ცხებული და ბედნიერი მათი შეხვედრა და ათმაგად ბედნიერი, რადგან არნოლდ ჩიქობავა ადვილად ივიწყებდა იმას, რაც უკვე გაეკეთებინა, გამუდმებით კი ფიქრობდა იმაზე, რაც უნდა გაეკეთებინა.

არ უყვარდა, როცა თავის დამსახურებასა და წოდებებს შეახსენებდნენ – „თავს ყოველთვის უმადლესი სასწავლებლის პედაგოგად ვთვლიდი, ესეც საკმარისიაო“, – იტყოდა. დიახ, იგი ქართული უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. ეს იყო მისი დიდება.

არნოლდ ჩიქობავას მრავალი მოწაფე ჰყავდა, რომლებმაც ძალიან ბევრი ისწავლეს მასწავლებლისგან. იგი უშურველად გასცემდა მოწაფეთათვის ყველაფერს – დაწყებული სულის საზრდოთი, დამთავრებული ზოგჯერ „პურით არსობისა“. სტუდენტები მისგან არა მარტო აზროვნების სტილს ითვისებდნენ, არამედ ცხოვრებისა და მოქალაქეობის წესსაც სწავლობდნენ. მრავალი ცნობილი მეცნიერი, არამარტო ჩვენში, აღმზრდელად და მოძღვრად მიიჩნევენ მას. მისგან კი ვერასოდეს გაიგონებდით, ვინმეზე ეთქვას – „ჩემი მოწაფეაო“. თავმდაბლობა და უბრალოება იყო მისი ზნეობრივი სილამაზის მთავარი პირობა.

კეთილშობილური, არაწვრილმანი რიგორიზმი, რაც მას მოწაფეებთან ურთიერთობისას ახასიათებდა, არასოდეს იძლეოდა განვითარების გზაზე შეჩერების უფლებას. ყველაზე შესანიშნავი კი მის მოწაფეებს ისა აქვთ, რომ ისინი განსხვავებულნი არიან. მათ ინდივიდუალობა შეინარჩუნეს.

„მეცნიერება თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია, მაგრამ ის არ უპირისპირდება ნაციონალურს, პირიქით, გულისხმობს მას. ინტერნაციონალურია მეცნიერების შინაარსი, ნაციონალურია ამ შინაარსის გადმოცემის საშუა-

ლება, ენა. ეს ქმნის საფუძველს ვილაპარაკოთ „რუსული მეცნიერების“, „ფრანგული მეცნიერების“..., „ქართული მეცნიერების“ შესახებ“, – წერდა არნოლდ ჩიქობავა, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ქართულად აიდგა ენა ყველა მეცნიერებამ. „ამ მეცნიერებათა მეტი წილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა და სათანადო ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულს, ცხადია, არ ექნებოდა. ამის გამო იყო, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, ვთქვათ, 1916 წელს ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც რომ შეუძლებელი რამ მომხდარიყო და ამის ნება დაერთო მეფის მთავრობას. მაშინ ორად ორ გიმნაზიაშიც კი – თბილისისა და ქუთაისისაში – ქართულად მხოლოდ ქართული გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, ყველა სხვა საგანი – რუსულად. ფიზიკა-ქიმიის, მინერალოგია-ბოტანიკის, ალგებრა-გეომეტრიისა თუ ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობა ქართულ ენაზე არ შეეძლო ახალგაზრდობას, რომელსაც ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობაში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას“.

არნოლდ ჩიქობავას სახელს უკავშირდება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენა. ამგვარი ლექსიკონის შექმნა ყოველი ერის ცხოვრებაში ისტორიულ მოვლენად ითვლება, თვით ენისათვის ხომ ეს ხელთუქმნელი ძეგლის აგება! ენა კი ხალხის მეობის ძირითადი ნიშანია, ამ მეობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

ქართული ენის მოჭირნახულე არნოლდ ჩიქობავა ქართული ლიტერატურის მოჭირნახულეც იყო. მას არაერთხელ აღუნიშნავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის განსაკუთრებული მისია ჩვენს სკოლებში. სკოლის ბურჯს, განათლების საქმის მედროშეს უწოდებდა იგი მასწავლებელს, ახალგაზრდობის აღმზრდელს, რომლის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა ქართული სკოლისა და ქართული კულტურის მომავლისათვის თავდადებული ზრუნვა. იგი წერდა: „ყოველი ახალგაზრდა, ვინც კი სკოლამ ცოდნით აღჭურვა, ძალას მატებს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ასევე ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც ხელთ ატესტატი აქვს, მაგრამ შესაბამისი ცოდნა არ მოეპოვება, ვალად აწვება ჩვენს სკოლას, ჩვენს კულტურას. და რაც უფრო მეტია ასეთი ვალი, მით უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდება ჩვენი სკოლა, ჩვენი ეროვნული განათლება... მასწავლებელი დიდი ძალაა, როდესაც მან თავისი უანგარო მოღვაწეობით, ობიექტურობითა და პიროვნულობით მოსწავლის, – პირველ ყოვლისა, მოსწავლის, – პატივისცემა დაიმსახურა“.

არნოლდ ჩიქობავას საუბარში არ იგრძნობოდა დიდაქტიკოსის ხასიათი, მაგრამ ყოველი მისი საქციელი ეთიკურობის მაგალითს წარმოადგენდა. თითქოს თავისდა უნებურად გაკვეთილს ატარებდა. ეს გაკვეთილები შემდეგ ხშირად გამხდარა სალაპარაკო და ჭკუის სასწავლებელი. სწორედ ასეთ შემთხვევათაგანი იყო საქართველოს მწერალთა კავშირში გამართული ერთი შე-

ხვედრა, რომელსაც მწერლებთან ერთად მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. შეკრების მონაწილენი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საკითხებს განიხილავდნენ და შემთხვევითი არ იყო, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე გამოვლენილ ცოდნის არაადამაკმაყოფილებელ დონეს რომ შეეხნენ. გამომსვლელები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ისეთი გულმოდგინებით დასცინოდნენ ზოგიერთი აბიტურიენტის ნაწერს. დარბაზი ხარხარებდა, მხოლოდ არნ. ჩიქობავა ჩანდა შეწუხებული, იგი აწითლებული იჯდა და თვალყურს ადევნებდა დამსწრე საზოგადოების არაადეკვატურ ქცევას. გამომსვლელების „ოხუნჯობებმა“ კულმინაციას რომ მიაღწია, ბატონი არნოლდი წამოდგა, გულმოსულმა უსაყვედურა იქ მყოფთ ახალგაზრდების უვიცობით აღტაცება, აბიტურიენტების უცოდინარობა საერთო უბედურებად შეაფასა, „სატირალია ეს ყველაფერიო“, – თქვა და აღშფოთებულმა დარბაზი დატოვა.

„მართალი სამართლის“ დამცველი და მიმდევარი იყო. „თქმა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“, – სხვებისთვისაც ხშირად გაუმეორებია. უყვარდა რუსთველის ციტირება. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები ზეპირად იცოდა, მოხდენილად იმოწმებდა მათ როგორც ზეპირი საუბრისას, ისე ნაწერებშიც. არნ. ჩიქობავას ნაუბარსა თუ ნაშრომებში კარგად ჩანს აგრეთვე, როგორ იყო იგი დაუფლებული ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ თუ რუსულ ხატოვან გამოთქმათა და აფორიზმთა საუნჯეს (მისი ენა ამ თვალსაზრისითაც შესასწავლია).

არნ. ჩიქობავაზე, როგორც ძლიერ პიროვნებაზე, მისი ახალგაზრდობიდანვე ლაპარაკობდნენ, თუმცა მის სულში რომ უფაქიზესი ადამიანი სახლობდა, ცოტა ვინმემ თუ იცის. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი გულჩვილიც იყო, ვისაც გულს უჩუყებდა ისეთი გრძნობები, როგორიცაა დედაშვილობა, სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა. იცოდა გლოვაც, ზოგჯერ – ხანგრძლივიც. ასე იგლოვა მან მის ხელში გაზრდილი ლაშა ჯანაშია (აკად. ს. ჯანაშიას ვაჟი), ღირსეულად იგლოვა მეუღლე – ქალბატონი თამარ ყიასაშვილი.

ბატონი არნოლდი ყოველთვის გულისყურით ეკიდებოდა თავის თანამოსაუბრეს, საერთოდ, კარგი მოსმენა იცოდა და კარგი გამგებიც გახლდათ. სიტყვას პატივს სცემდა. უბადლო თანამგრძნობი იყო ჭირში მყოფისა. საოცარი უნარი ჰქონდა დაჩაგრულს, უბედობაში მყოფს მხარში ამოსდგომოდა. ყოველთვის შეეძლო საჭირო სიტყვა ეპოვა. რაგინდ დელიკატური ყოფილიყო სიტუაცია, იუმორით შეეძლო გაენეიტრალეზინა იგი. სიტყვით ადამიანისთვის შვების მინიჭება, საკუთარი თავის რწმენისა და იმედის ჩასახვა არნოლდ ჩიქობავას საუკეთესოდ გამოსდიოდა.

არის თვისებები, მამაკაცებისთვის ნაკლებად ჩვეული რომ ჰგონიათ – ბატონი არნოლდი მორცხვი და მორიდებული ბრძანდებოდა. საოცარი იყო მისი განსაკუთრებული თავმდაბლობა და საგანგებო თავაზიანობა. ასეთი იყო იგი, „მტრის რისხვად“ რომ ამოდ სახავდნენ დაუხვეწავი ბუნების ადამიანები. ასეთი გული ცემდა მასში, დიდი სიყვარულის დამტევი.

არნ. ჩიქობავას პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული თავისი ერის სიყვარულისა და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობა, რასაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც მისი მოწაფეები იგონებენ: „იგი ახალგაზრდა კოლეგებს უნერგავდა აზრს, რომ სხვა ენის მკვლევარ მეცნიერს აუცილებლად მოეთხოვება, ენის ღრმა ცოდნასთან ერთად, პატივს სცემდეს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს, იცოდეს ამ ერის წარსული და აწმყო. ზედმიწევნით ერკვეოდეს ადათ-წესებში, ფოლკლორში, რომ სხვა ერის წარმომადგენელთან ურთიერთობისას სიყვარულიანი და ტაქტიანი მოპყრობა გადამწყვეტი ფაქტორია“. „ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედა-ენა“, – ამ სიტყვებით მიმართა არნ. ჩიქობავამ ახალგაზრდობას 1978 წლის აპრილში, – „ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ; „სხვისი ენა“ აკი ვიღაცისათვის დედა-ენაა. რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა – ინტერნაციონალისტი“.

არნ. ჩიქობავა ერთადერთი იყო კავკასიაში, ვისაც მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ-ის (1946 წ.), დაღესტნის ასსრ-ის (1968 წ.), ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის (1968 წ.), აფხაზეთის ასსრ-ის (1978 წ.) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის (1981 წ.) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მაგრამ ამაზე მეტად ფასობდა ის არნახული და არგაგონილი სიყვარული, რომლითაც იგი სარგებლობდა კავკასიელ მთიელებს შორის.

„არნ. ჩიქობავას მოღვაწეობა ვერ თავსდება ვერც წმინდა ენათმეცნიერულ ჩარჩოში და ვერც გეოგრაფიულ საზღვრებში“. რაც დრო გავა, მეტად გამოჩნდება მისი მეცნიერული შემოქმედებისა და მისი, როგორც პიროვნების, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. არნოლდ ჩიქობავას ღვაწლი ჩვეულებრივი საზომით ვერ იზომება.

GUCHA KVARATSKHELIA

## Arnold Chikobava – 120

### S u m m a r y

120 years have passed since the birth of a great Georgian linguist Arnold Chikobava who is well-known worldwide.

From the publication of the first scientific work to the last day of the life Arnold Chikobava did not miss a single day of his creative work. He penned more than fifteen monographs, about five hundred research papers in Georgian, Russian and other European languages. The majority of these works are included in the golden linguistic fund.

Arnold Chikobava's scientific interest circle was very wide. He studied topical and cardinal problems of contemporary theoretical linguistics, issues of the system and the history of Mountain Ibero-Caucasian languages, issues of the history of the Georgian literary language and the speech culture, the language of "the Knight in the Panther's Skin", etc. There was no single important issue of these fields that was not the subject of his researches and that was not discussed in a new way by him.

With his whole life Arnold Chikobava gave us an example of patriotism, citizenship, morality and humanity. The more time passes, the more a cultural-historical importance of his scholarly works and his personality will be apparent. Arnold Chikobava's activities cannot be placed in the pure linguistic frames or in the geographical boundaries. His and his works' public and cultural significance has long gone far beyond the borders of Georgia. His contributions and credits cannot be measured by ordinary units of measurement.

ნოდარ არდოტელი

**ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნების გენეზისი  
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში<sup>1</sup>**

ლოკალიზაციის კატეგორია, ძირითადი გრამატიკული ბუნების კატეგორიისაგან განსხვავებით, გამოხატავს სუბიექტის (გონიერი სულიერი არსების) დამოკიდებულება-თვალსაზრისს გარესამყაროში ობიექტთა კონკრეტული ადგილმდებარეობის („ზე“, „ქვეშ“, „ში“, „თან“...) ან სივრცეში განსაზღვრული მოძრაობის („ზე(ვით)-კენ“, „ქვე(მო)-დან“, „ში(გნით)-კენ“, „ში(გნი)-დან“...) მიმართ. გარესამყაროში არსებულ საგნებს ახასიათებს სივრცეში განფენილობა. სწორედ ადამიანთა თვალთახედვის არეში მოქცეულ და მათ ცნობიერებაში გააზრებულ საგანთა სივრცობრივი მდებარეობა-მოძრაობა ან მათი მიმართება მეორე საგნისა თუ სუბიექტის მიმართ აისახება თავისებურ ლოკატიურ ბრუნვებში, რომლებიც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მორფოლოგიაში სერიათა მწყობრ სისტემას ქმნიან. ამასთან ერთად, ამჟამად ხელშესახებად თავჩენილ ლოკატიურ ბრუნვათა გრამატიკული ფორმების, მნიშვნელობებისა და ფუნქციების სისტემა თვალსაჩინოდ განსხვავებული უნდა ყოფილიყო ამოსავალი სისტემისაგან. როგორც ჩანს, ლოკატიურ ბრუნვათა სიუხვე სახელებში ერთგვარად ანაზღაურებდა თანდებულთა სიმცირეს, რაც ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო საკვლევ ენათა სინამდვილისათვის.

ლოკატიურ ბრუნვათა სისტემაში, როგორც ცნობილია, ძირითადად ორი ჯგუფი გაირჩევა: ა) **სტატიკური** („სად?“) და ბ) **დინამიკური** („საითკენ?“, „საიდან?“ „რის გავლით?“) ბრუნვები. მდგომარეობის გამომხატველი ერთ ბრუნვას (**Locativus** – სად?) აერთიანებს, ხოლო მოძრაობის გამომხატველი – ორ ან სამ ბრუნვას (**Allativus** – საითკენ? **Elativus** – საიდან? **Translativus** – რის გავლით?)<sup>2</sup>.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ლოკატიურ ბრუნვათა წყების ნიშნების თანხვედნებიც გვაქვს და განსხვავებებიც. კერძოდ, ხუნძურ ენაში დასტურდება I წყების ადგილობითი ბრუნვის ნიშანთა ორი სახეობა: ა) {-და}, ბ) {-ტა...} (შდრ. ჩეჩნ. -და, -ტა // -ტე // -ტი „ზე“, „ზედ“). დიალექტების მიხედ-

<sup>1</sup> წაკითხულ იქნა მოხსენებად სესიაზე „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“ 2018 წლის 1 მაისს. იხ. მასალები, გვ. 14-16.

<sup>2</sup> სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ხუნძურსა და ზოგ ანდიურ ენაში (ანდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ.) გვაკლია გამსჭვალვითი ბრუნვა, თუმცა ამ საკითხზე ყველას ერთიანი აზრი არ მოეპოვება იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 149; გულდავა 1971 : 86; შდრ. მიქაილოვი 1964 : 63-64; ათაევი 1996 : 37...).

ვით, {-და} ნიშანი უცვლელია, ხოლო მეორე (ბ) წყების ნიშნის ფონეტიკური ვარიაციები თვალშისაცემია: {-ტ'ა}, {-ტა}, {-ლ'ა}, {-ლა}, {-ჟა-} (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 153; მიქაილოვი 1964 : 44; მაჰომედბეკოვა 1989 : 203...). ამ ფორმანტა ფუნქციური დისტრიბუციის ველები განსაზღვრულია: {-ტა} გამოხატავს კონკრეტულად ჰორიზონტალურ ზედაპირზე მდებარეობას, ხოლო {-და} გადმოგვცემს ვერტიკალურ სიბრტყეზე მდებარეობასაც (მაჰომედბეკოვა 1956 : 239). დადგენილია, რომ {-ტა} გენეზისურად ტად (< \*ტად „ზედ“) ზმნისართს უკავშირდება: განჭი-ტა (<განჭი-და) ტა[დ]) (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 153-154). მ. ალექსევი, მართალია, იზიარებს ზემომოყვანილ ეტიმოლოგიას, თუმცა აქვე წარმოგვიდგენს {-ტ'ა}-ას პარალელურად {-და} ნიშნის სახით ლიტერატურული ფორმის გავრცელების მისეულ ჰიპოთეზას, რისი გაზიარება ჭირს (ალექსევი 1988 : 26-27). მართალია, {-და} და {-ჟა} ჭარულ დიალექტში დისტრიბუციულად თანაარსებობენ (ჩეერჩიევი 1981 : 91), მაგრამ ეს, როგორც ჩანს, შემდგომი გადააზრიანების შედეგია. ჭარულ კილოში ფ. საიდოვას მიერ წარმოდგენილი {-და} და {-ჟა} ნიშნების დისტრიბუცია ძირითადად სრულყოფილებით ასახავს პროტოხუნძურში არსებულ ვითარებას, როცა {-ტა} გადმოგვცემდა ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მდებარეობას, ხოლო {-და} – ვერტიკალურ ზედაპირზე (საიდოვა 1981 : 97).

ხუნძური ენის ჰიდურ კილოკავში დასტურდება არქეტიპი ტად („ზედ“), რომლის დართვითა და ცვეთით ჩანს მიღებული ლოკატიური ბრუნვა. თავის მხრივ ტად < \*ტადა („ზემოთ“, „ზედ“) (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 358). ამ ზმნისართს კანონზომიერი შესატყვისები მოუპოვება ანდიურ-დიდოურ ენებში, რომელთაგან არქეტიპები დაუცავს ანდიურს, კარატაულსა და ახვახურს: ანდ. ჰი-ტ'ა : ბოთლ. ჰე-ჟა : ლოდ. ჰი-ლა : ჭამ. ჰი-ლაჰ : კარ. -ტ'ა (ლოკ.): ახვ. ტ'ა-დო ~ საკ. დიდ. ტი-რი : ჰინ. ტე-რე : ხვარშ. ტა-ლა (საკ. ხვარშ.), ტი-ლო (ინხ.) : ბეჟ. ტი-დო „ზედ“ > „ზე“.

ზემომოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ კანონზომიერი ფონემათ-შესატყვისობა გვაქვს როგორც ხმოვნებში (\*ა : ხუნძ. ა ~ ანდ. ო : ახვ. ა ~ საკ. დიდ. ო : ჰინ. ე : ხვარშ. ა/ო : ბეჟ. ო/ა), ისე თანხმოვნებში (\*ტ' : ხუნძ. ტ < \*ტ' ~ ანდ., კარ., ახვ. ტ' : ბოთლ. უ : ლოდ., ჭამ. ლ ~ საკ. დიდ., ჰინ., ხვარშ., ბეჟ. ტ). ბოლოკიდურ თანხმოვანთა მონაცვლეობა (\*დ > რ > ლ) ჩვენს ყურადღებას კლას-ნიშნის რეფლექსებისაკენ წარმართავს, ხოლო ფუძედ რეკონსტრუირდება: ხუნძ. {-ტ'ა} ~ ანდ. : ბოთლ. : ბაგვ. {-ჟა} : ლოდ. : ჭამ. : ტინდ. {-ლა} : კარ. : ახვ. {-ტ'ა} ~ საკ. დიდ. : ჰინ. : {-ტო} : ხვარშ. {-ტა} (ინხ.), {-ტო} (საკ. ხვარშ.) : ბეჟ. {-ტა} (საკ. ბეჟ.), {-ტო} (ჰუნშ.). საერთო ამოსავლად აღდგება [\*-ტ'ა] (ცერცვაძე 1965 : 165).

რაც შეეხება მეორე ლოკატიური ბრუნვის {-და} ნიშანს, რომელსაც შ. მიქაილოვი შეცდომით -ტ'ა-სგან წარმოქმნილად მიიჩნევს (მიქაილოვი 1964 : 40-44; შდრ. გუდავა 1962 : 103; მაჰომედბეკოვა 1989 : 201), იგი სრულიად დამოუკიდებელი მარკერია როგორც ფორმობრივად, ისე ფუნქციის თვალსაზრისითაც. ხუნძური ენის დიალექტებში {-და} უცვლელად არის წარმოდგენილი და, {-ტ'ა} ნიშნისაგან განსხვავებით, უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს – იგი გამოხატავს მდებარეობას როგორც ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, ისე ვერტიკა-



ლურ (დახრილ) ზედაპიზეც. როგორც ჩანს, ამ ნიშნისთვის ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მდებარეობის გამოხატვა გვიანდელი რეინტეგრეტაციის შედეგია, ვინაიდან: "Наличие двух особых локативных серий, ориентирующих предмет по горизонтальной и вертикальной (боковой) плоскостям было исторически исходным на общеаварском уровне" (მაჰომედბეკოვა 1989 : 205).

სპეციალურ ლიტერატურაში ხუნძური {-და} დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დიდოურ ენათა მონაცემებთან (საკ. დიდ., ჰინ. {-დე}, ჰუნზ. {-დე-რ}, ბეჟ. {-და}), მეორე მხრივ, ლეზგიურ ენათა მონაცემებთან (პრალეზგ. {\*-თა}: ლეზგ., თაბ., ად., არჩ. {-დი}, რუთ. {-დბ}...), მაგრამ, ფუნქციურ განსხვავებათა გამო, მისი რეკონსტრუქცია ეჭვქვეშ არის დაყენებული (ალექსეევი 1988 : 182).

ჩვენი ვარაუდით, ხუნძ. {-და}, ერთი მხრივ, შეიძლება დაუკავშირდეს ანდიური ენის ქვანხიდათლურ თქმაში დადასტურებულ {-დე} < \*{-დო} („-თან“) ნიშანს, ხოლო, მეორე მხრივ, დიდოურ ენათა შესაბამის მონაცემებს: საკ. დიდ., ჰინ. {-დე}, ბეჟ. {-დომ} (ჰუნზ. {-დარ}).

მართალია, ამ სერიის გამოხატველ ნიშანთა თანხმონიტი ელემენტის მატერიალური სიახლოვე თვალსაჩინოა, თუმცა გარკვეული სემანტიკური გადახრები ხელშესახებია: ხუნძ. {-და} „ზე“ (ვერტიკალურ სიბრტყეზე) ~ ანდ. {-დო} „თან“, „თან ერთად“ (< \*„ზე“) ~ საკ. დიდ. {-დე}<sup>1</sup>, ჰინ. {-დე} „-თან“, „-თან ერთად“ (< \*„ზე“). ანდიურსა და დიდოურ ენებში სემანტიკური ტრანსფორმაცია მიახლოებით ერთნაირად განხორციელებულა, რაც შესაძლებელიც იყო ვერტიკალური სიბრტყეზე მდებარეობის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ ბეჟიტურ ენაში ეს ბრუნვის ფორმა სწორედ თანაობითი ბრუნვის (resp. ადიტივის) ფუნქციით იხმარება. გარდა ამისა, ადიტივის ფუნქციით ამ ბრუნვის მეორეულობას ისიც ცხადყოფს, რომ ანალოგიური მნიშვნელობით სხვა სერიის ნიშნები (ანდ. -ჰუ, საკ. დიდ. -დო, ბეჟ. -დომ...) გამოიყენება.

**სუბესივის სერია**, რომელიც ორიენტირის „ქვეშ“ მყოფობის ლოკალიზაციას გამოხატავს, კანონზომიერ მორფემათფარდობას გვიჩვენებს და საერთოა ამ ენათა ბრუნვაში. სუბესივის ნიშანი კანონზომიერი ფონემათმესატყვისობით არის წარმოდგენილი: ხუნძ. {-ტ} ~ ანდ. : ბოთლ. : ლოდ. : ბაგვ. : კარ. : ახვ. {-ტ-ი} : ჭამ. {-ტ} ~ საკ. დიდ. {-ლ' // -ლ'ო} : ჰინ. : ხვარშ. : ბეჟ. {-ლ'}. როგორც ხშირად ხდება, ხუნძურსა და დიდოურ ენებში სათანადო ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი დაკარგულია, თუმცა დინამიკურ ბრუნვათა ნიშნებში იგი აღდგება (იმნაიშვილი 1963 : 153).

ტ. გუდავა ხუნძურ-ანდიურ ენებში სუბესივის სერიის ნიშანს სათანადო მნიშვნელობის მქონე ადგილის ზმნისართთან აკავშირებს, თუმცა დიდოური ენებიდან მოხმობილია მხოლოდ ჰუნზიბური ენის მონაცემი (გუდავა 1979 : 187). დიდოურ ენებშიც იგივე ნიშანი გენეზისურად დაკავშირებული ჩანს ადგილის ზმნისართთან: საკ. დიდ. ვჰალზორ : ჰინ. გელ' : ბეჟ. ლ'იფო // ლ'ირო „ქვევით“, „ქვევითკენ“.

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ საკუთრივ დიდოურ ენაში -დე თანდებული მარტოდენ ცოცხალ არსებათა გამოხატველ სახელებთან იხმარება, რაც აშკარად ფუნქციის დავიწროებით უნდა აიხსნას (იმნაიშვილი 1963 : 246).

**პოსესივის სერია**, რომელიც ერთგვარ თანაობას („-თან“, „-ზე“, „-კენ“) გადმოგვცემს და არაიშვიათად მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით (განსაკუთრებით კაუზატიურ ზმნებთან ირიბი ობიექტის გამოსახატავად) გამოიყენება, ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთო სუფიქსით გადმოიცემა: ხუნძ. {-ჭ} ~ ანდ. {-ჭ-ო/-ჭ} : ბოთლ. {-ჭ-ი} : ჭამ. {-ჭ} : ახვ. {-ჭა} ~ საკ. დიდ. {-ჭ} (< \*{-ჭო}) : ჰინ. : ხვარშ. {-ჭო} : ბეჟ. {-ჭა}. ამ ნიშანში პოვნიერ ისტორიულ \*ჭ-ს შესატყვისობა ირღვევა დიდოურ ენებში, რომლებშიც კანონზომიერი შესატყვისის ხ-ს ნაცვლად ფონემათიგივეობა (ჭ : ჭ) არის წარმოდგენილი (არდოტელი 2009 : 115).

საანალიზო ლოკალიზაციის სუფიქსში თავჩენილ ამოსავალ \*ჭ-ს კანონზომიერებით დიდოურ ენებში უნდა მოეცა ხ, თუმცა \*ჭ-ს სპირანტიზაცია არ განუცდია. მართალია, ახლომდგომი ლოკალიზაციის გამომხატველი ნიშანი ხ(ო) („-თან“, „ახლოს“) დასტურდება დიდოურ ენებში, მაგრამ {-ჭო} და {-ხო} სხვადასხვა გენეზისის ნიშნები ჩანან (გუდავა 1964 : 140). „ჭ და ხ“ სერიათა ნიშნების აღრევას ადგილი ბოთხილურ ენაშიც აქვს, რაც ტ. გუდავას აფიქრებინებს, რომ „ხ სერია“ „ჭ სერიამ“ შთანთქა ხუნძურში (გუდავა 1962 : 103). ირკვევა, რომ ხუნძურში „ჭ სერიას“ ანდიურ-დიდოურ ენათა „ხა (ანდ.), ხო (დიდ.) სერიის“ ფუნქცია აქვს დაკისრებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ანდიურ და, განსაკუთრებით, დიდოურ ენებში თანაობის სერიის გამოხატვა დიფერენცირებულია: ა) „-თან“, „მახლობლად“ (დისტანციური თანაობა) გადმოიცემა ხ-ს შემცველი ნიშნით; ბ) „-თან“, „-თან ერთად“ (უშუალო თანაობა) გამოიხატება ჭ-ს შემცველი ნიშნით. ირკვევა, რომ **დისტანციური და კონტაქტური თანაობა იმთავითვე ჯეროვნად გამიჯნული უნდა ყოფილიყო** საკვლევ ენებში.

**დისტანციური თანაობის** გამოსახატავად ანდიურ-დიდოური ენები საერთო წარმომავლობის სუფიქსს იყენებენ: ანდ. {-ხ-ა}, ბოთლ. {-ხ-ო}, ლოდ. {-ხ-ა}, ჭამ. {-ხ-ე}, ბაგვ. {-ხ/-ხ-ო}, კარ. {-ხ-ჭ}, ახვ. {-ხ-ა-რი} ~ საკ. დიდ. {-ლო}, ხვარშ. {-ლა-ლ} (საკ. ხვარშ.) {-ლო} (ინხ.), ბეჟ. {-ლა} (საკ. ბეჟ.), {-ლურ} (ჰუნზ.).

როგორც ცნობილია, ამ რიგის შესატყვისობაში საერთო ამოსავლად არაინტენსიური \*ხ მიიჩნევა, რომელიც ხუნძურში, როგორც წესი, ჭ-დ გარდაიქმნება. ეს გარემოება ტ. გუდავას აფიქრებინებს, რომ „ჭ სერიის“ კვალი უნდა ჩანდეს ხუნძურ ჰაბი-ჰან („მეწისქვილე“) რიგის სიტყვებში (გუდავა 1962 : 103).

ამგვარი ლოკალიზაციის (ორიენტირის მახლობლად) გამომხატველ ნიშანთა არქეტიპების რეკონსტრუქციისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდოურ ენათა ჩვენება, რომლის მიხედვით {-ხო} ნიშანს მრავალგვარი ფუნქციის (დისტანციური თანაობა, დროული მიმართება, მიზნის აღნიშვნა, მიზნისა და მიზეზის გარემოების გამოხატვა...) გადმოცემა ეკისრება. არ არის გამორიცხული, რომ იგი გენეზისურად უკავშირდებოდეს ხუნძურ-ანდიურ ენათა ჭ-ს შემცველ ნიშანს: \*ჭ' : ჰ. ხუნძ. {-ხ} ~ ს. ანდ. {-ჭ'} (დაცულია ახვახურში) ~ საკ. დიდ. {-ხ-ო} : ჰინ. {-ჭ-ო} : ხვარშ. {-ჭ-ო} (საკ. ხვარშ.), {-ჭ-ა} (ინხ.) : ბეჟ. {-ლ-ოდ} „-თან“, „მახლობლად“, „ერთად“.

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ არქეტიპად შეიძლება რეკონსტრუირდეს არა \*{-ხ-ა}, არამედ \*{-ჭ'-ა}.

**ინესივის სერიაში** წარმოდგენილია ლოკალიზაცია შინაგან სიცალიერე-ში ან მთლიან მასაში. ამ მხრივ ეს სერიაც დიფერენცირებულია და გამოიხატება სხვადასხვა ნიშნებით.

ა) ლოკალიზაცია შინაგან სისავსეში: ხუნძ. {-ლ'} ~ ანდ. : ღოდ. : კარ. : ახვ. {-ლ'-ი} : ბოთლ. {-ლ'-ი} // {-ლ'-უ} : ბავვ. {-ლ'-ი} ~ ს.-დიდ. {\*-ლ'}<sup>1</sup>.

ორიენტირის შინაგან სისავსეში მყოფობა-არსებობის ნიშნის აღდგენა საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქრონოლოგიურ დონეზე ეჭვს არ იწვევს, რადგანაც წარმოდგენილია კანონზომიერი ბერათმშესატყვისობით: პ.-ხუნძ. {-ლ'} ~ ს.-ანდ. {\*-ლ'} ~ ს.-დიდ. {\*-ლ'}.

ისმის კითხვა: ისტორიულად ინესივის ნიშანი მარცვლოვანი იყო თუ გაუხმოვნებელი?

მ. ალექსეევი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს, თუმცა ანდიურ ენათა ლოკატივში და დიდოურ ენათა დინამიკურ ბრუნვებში დადასტურებული ნიშნები ხმოვნის შემცველია (ალექსეევი 1988 : 143; შდრ. იმნაიშვილი 1963 : 153). როგორც ჩანს, ხუნძურ ენასა და დიდოურ ენათა ადგილობით ბრუნვაში განხორციელებულა ბოლოკიდური ხმოვნის აპოკოპე, რაც უჩვეულო არ არის გრამატიკულ ფორმათა აუსლაუტში. სათანადო ხმოვანთა ნაირგვარობა ერთგვარად ართულებს არქექტიპის აღდგენას, თუმცა, ხმოვანთა შესატყვისობის გათვალისწინებით, უფრო მართებულად გვეჩვენება **o**-ს რეკონსტრუქცია: **\*-ლ'ი**.

ბ) რაც შეეხება შინაგან სიცალიერეში ლოკალიზაციას, ხუნძურში იგი კლასიფიკატორების საშუალებით აღინიშნება, ხოლო ანდიურ-დიდოურ ენებში არაერთგვაროვანი ვითარებაა: ახვახური ენის ჩრდილოურ დიალექტში რელიქტურად შემონახულია „**რ** სერია“. სავარაუდოა, {-**რ**} ნიშანი IV კლას-ნიშანს უკავშირდებოდეს (შდრ. ანდ. -**ლ** : შიმუ-**ლ**-ა „ბოთლში“...). დიდოური ენების ანალოგიურად, ანდიურ ენათა ერთ წყებაში სიცალიერის შიგნით მყოფობა-არსებობას ოდენხმოვნიანი ნიშანი აწარმოებს: ანდ. {-**ა**}, ბოთლ. {-**ე**}, {-**ო**}, {-**უ**}, ღოდ. {-**ო**}, {-**უ**}, ჭამ., კარ. {-**ო**} ~ საკ. დიდ. {-**ა**}, ჰინ., ხვარშ. {-**ა**}, {-**მა**}, ბეჟ. {-**ჟ**/-**ჟო**} (საკ. ბეჟ.), {-**V**} (ჰუნზ.).

მ. ალექსეევის ვარაუდით, დიდოურ ენათა მასალა თანხვედრა ლეზგიურ ენათა სათანადო მონაცემებს. იგი ერთგვარად უგულვებელყოფს ბ. გიგინეიშვილის არსებითად მართებულ დებულებას „შიგმყოფობის სერიაში“ კლას-ნიშანთა ისტორიული პოვნეირების შესახებ (გიგინეიშვილი 1976 : 36; შდრ. ალექსეევი 1988 : 180).

ხუნძურისა და ზოგი ანდიური ენის (ანდ., ახვ.) მონაცემები მიგვანიშნებენ, რომ დანარჩენ ანდიურ-დიდოურ ენებშიც არსებულ ხმოვნებთან სათანა-

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ბეჟეტურში ამ ნიშანს ფუნქცია საგრძნობლად შეცვლილი აქვს და უპირატესად ვერტიკალურ ზედაპირზე მდებარეობას აღნიშნავს (ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 133; არდოტელი 2014 : 127-128). გარდა ამისა, მისი გენეზისური კავშირი აფხაზურ-ადილურ ენათა სათანადო სუფიქსთან სამართლიანად გამოირიცხება (ალექსეევი 1988 : 181; შდრ. ა. აბდოკოვი 1981 : 86).

დო კლასიფიკატორები (**რ > ლ, ბ...**) უნდა გვექონოდა, რომლებიც ფუნქციურ-სემანტიკური გადააზრებებისა და ფონოლოგიური გარემოცვის (აქედან გამომდინარე, ფონეტიკური ტრანსფორმაციის) საფუძველზე თანდათანობით მოიშალნენ. ამ ვარაუდს ერთგვარად მხარს უჭერს ხუნძური ენის დიალექტებისა და თქმების მონაცემები, რომლებშიც გამჭვირვალედ მოჩანს კლას-ნიშანთა თანდათანობითი მოშლის სურათი. კერძოდ, ანდალალურ კილოკავში „...показатели грам. класса и числа (-н, -в, -и, -р) несколько редуцированы...“ (მიქაილოვი 1964 : 51). ამავე ავტორის აღნიშვნით, ჰიდათლში კლას-ნიშნები მთლიანად მოშლილია, მაგ.: ყუტი (< ყუტი-ბ) „ქუჩაში“, რუყი (< რუყი-ბ) „სახლში“ და ა. შ. ანწუხურ დიალექტშიც შენიშნულია კლას-ნიშანთა მოშლის ტენდენცია (ცერცვაძე 1948 : 169-170), მაგ.: ჩუ როხო-**Ø** ბუგუ (შდრ. ხუნძახ. ჩუ როხო-**ბ** ბუგო) „ცხენი ტყეში არის“.

ანალოგიური ვითარება დასტურდება ბათლუხურ კილოკავშიც – ეს სერია კლას-ნიშანთა გარეშეა, მაგ.: როყო „შინ“, ზოდო „ცაში“ და მისთ.

ყოველივე ზემოთქმული განგვიმტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ანდიურ-დიდოურმა ენებმა ამ სერიის ფორმებში კლასის ექსპონენტები დაკარგეს.

სავიქრებელია, რომ ბეჟიტურ ენაში თავჩენილი აბრუპტივი **-ყ** (-ყ/-ყო) ინტერვოკალურ ფონოლოგიურ პოზიციაში (V-V) ხმოვანთგამყარადაც იყოს გაჩენილი და ფონოლოგიზებული. სხვა ახლომონათესავე ენათა სინამდვილეში ამგვარი ნიშანი არსად შეინიშნება. ამდენად, დიდოურ ენათათვის მ. ალექსევის მიერ რეკონსტრუირებული არქექტიპი \***-ყა** (ალექსევი 1988 : 181), არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს.

ყურადღებას იქცევს ანდიურ ენებში **ჟ**-ს შემცველი ნიშანი (ანდ. {-**ჟუ**}, ბაგვ. {-**ჟი**} „ზე“, ლოდ. {-**ჟუ**}...), რომელიც აღნიშნავს „რამეზე უშუალო შეხებით ყოფნა-არსებობას“, მაგ.: ბაგვ. ყეჰენ**ჟ** კუნტ ირა ზედმიწ. „ტომარაზე (ზედ) ლაქა არის“...

კონტაქტივის ზემომოყვანილ ნიშანს მატერიალური შესატყვისი არც ხუნძურში და არც დიდოურ ენებში არ მოეპოვება. ილ. ცერცვაძე ანალოგიურ ოდენობებზე მიიჩნევს {-**ხა**} და {-**ლა**} სუფიქსებს. პირველზე ზემოთ ვიმსჯელებთ, მეორე კი {-**ტა**} ნიშნის რეფლექსი ჩანს.

ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ანწროსუნხადურ კილოკავში ინესივის მნიშვნელობით დასტურდება კლასიფიკატორის მიხედვით ცვალებადი ნიშანი {-**ქო-ბ**}, რომელიც შ. მიქაილოვს არ მიაჩნია ხუნძ. **-ჟ**-ს რეფლექსად (მიქაილოვი 1964 : 47). თუ ეს თვალსაზრისი სინამდვილეს ასახავს, **-ქო**-სეგმენტი ამ ფუნქციით ჩანს დამოუკიდებელი ოდენობა, რომელსაც ანდიურ ენებში ეკვივალენტი არ მოეპოვება. ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას გვაწვდის ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტი, რომელშიც {-**გ/-გო**} ნიშანს, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ინტერესივის გამოხატვის ფუნქციაც ეკისრება.

ამრიგად, ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნებიდან მეტი ნაწილი საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქრონოლოგიურ დონეზე დანამდვილებით რეკონსტრუირდება. ზოგი მათგანი (მაგალითად, ანდ. **-ჟუ** „ზე“, ბეჟ. **-გ/-გო**

„-თან“, „გვერდით“...) შეიძლება მართოდენ საკვლევ ენათა ცალკეულ ქვეჯ-გუფებში იქნეს აღდგენილი.

### ლიტერატურა

- აბდოკოვი 1981** – Абдоков А. И., Введение в сравнительно-историческую морфологию абхазско-адыгских и нахско-дагестанских языков. Нальчик.
- ათაევი 1996** – Атаев Б. М., Морфология аваро-андо-цезских языков. Махачкала.
- ალექსეევი 1988** – Алексеев М. Е., Сравнительно-историческая морфология аваро-андийских языков. Москва.
- არდოტელი 2014** – ნ. არდოტელი, ბეჟიტური ენა. თბილისი.
- არდოტელი 2009** – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.
- გიგინეიშვილი 1976** – Гигинейшвили Б. К., Падежная система общедагестанского языка в свете общей теории эргативности. – ВЯ, №1. Москва.
- გუდავა 1962** – ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა. თბილისი.
- გუდავა 1964** – Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков. Тбилиси.
- გუდავა 1971** – ტ. გუდავა, ბაგვალური ენა. თბილისი.
- გუდავა 1979** – Гудава Т. Е., Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тбилиси.
- იმნაიშვილი 1963** – Имнайшвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.
- ისაკოვი, ხალილოვი 2012** – Исаков И. А., Халилов М. Ш., Гунзибский язык. Махачкала.
- მაჰომედბეკოვა 1989** – Магомедбекова З. М., Локативная серия tʰa / ʧa в аварско-андийско-дидойских языках. – ИКЯ, XXVIII. Тбилиси.
- მაჰომედბეკოვა 1956** – Магомедбекова З. М., Об одной серии местных падежей в аварском языке. – ИКЯ, VIII. Тбилиси.
- მიქაილოვი 1964** – Михайлов Ш. И., Сравнительно-историческая морфология аварских диалектов. Махачкала.
- საიდოვა 1981** – Саидова П. А., Особенности локативов в закатальском диалекте аварского языка. – Падежный состав и система склонения в иберийско-кавказских языках. Махачкала.
- ჩეერჩიევი 1981** – Чеерчиев М. Ч., Грамматические падежи имен существительных в закатальском диалекте аварского языка. – Падежный состав и система склонения в иберийско-кавказских языках. Махачкала.
- ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.
- ცერცვაძე 1965** – ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა. თბილისი.
- ცერცვაძე 1948** – ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი. – იკე, II. თბილისი.

NODAR ARDOTELI

### The Genesis of Locative Case Markers in the Avar-Andi-Dido Languages

#### S u m m a r y

The marker {-**ta**} from the first row of the locative case markers (< \***tʰad**, cf. And. hi-**tʰa** : Botl. he-**'a** : God. hi-**la** : Cham. hi-**lay** : Kar. **tʰa** (loc.): Akhv. **tʰad-o** ~ Com. Did. **tʰir-i** : Hin. **per-c** : Khvarsh. **tal-a** : Bez. **pod-o** “on”) expresses the location on the horizontal surface while {-**da**} (cf.: Andi **-du** <\*-**do**, Hin., Did. **-de**, Bez. **-dā** “at/by”) expresses being on the vertical flat. As it seems, distinguishing the orientation on horizontal and vertical flats was typical to the Avar-Andi-Dido protolanguage.

The situation is similar for the possessive series in which expressing the fact of accompanying is differentiated in Andi and especially in Dido languages: a) “with” or “near” (distant accompanying) is expressed by the markers containing **x**, e.g. And. {-**x-a**}, Botl. {-**x-i**}, God. {-**x-a**}, Cham. {-**x-e**}, Bagv. {-**x-x-i**}, Kar. {-**x-h**}, Akhv. {-**x-a-ri**} ~ Com. Did. {-**yo**}, Khvarsh. {-**ya-l**} (Com. Khvarsh.), {-**yo**}, Bez. {-**ya**} (Com. Bez.), {-**yu-r**} (Khunz.); b) “with” (contactual accompanying) is expressed by the markers containing **q**, e.g. Av. {-**q**} ~ And. {-**q-i/-q**} : Botl. {-**q-i**} : Cham. {-**q**} : Akhv. {-**q**} ~ Com. Did. : Hin. : Khvarsh. {-**q-o**} : Bez. {-**q-a**}.

The localization expressed by the inessive series is also differentiated: a) in a whole mass (Av. {-**l'**} ~ And. {-**l'-i**} : Botl. {-**l'ʷ-u**} : God. {-**l'-i**} : Bagv. {-**l'ʷ-i**} : Akhv. {-**l'-i**} ~ C. D. {-**\*l'**}); or b) in an internal emptiness that is marked by the classifiers in Avar. As for Andi-Dido languages, the situation is nonhomogeneous as in the northern dialect of the Akhvakh language “the series **r**” is kept as a survival while in other languages it is formed with a single vowel marker: And. {-**a**}, Botl. {-**e**}, {-**i**}, {-**u**}, God. {-**o**}, {-**u**}, Cham., Kar. {-**i**} ~ Com. Did. {-**a**}, Hin., Khvarsh. {-**a**}, {-**ma**}, Bez. {-**'/-'o**} (Com. Bez.), {-**ā**}, {-**ǎ**}, {-**ū**} (Khunz.).

თეა ბურჭულაძე

**არნოლდ ჩიქობავა და იმანენტიზმის თეორია**

სინტაქსი მორფოლოგიასთან ერთად გრამატიკის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ის შეისწავლის ენის აგებულებას გარკვეული თვალსაზრისით – ფართო გაგებით სინტაქსის სფერო სიტყვათა შეკავშირება და წინადადებაა. ცნობილია, რომ ამ დარგის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მამამთავრად ითვლება ბერძენი გრამატიკოსი აპოლონიოს დისკოლო (II საუკუნე). მისთვის სინტაქსის არსი სიტყვათა შეკავშირება-შეხამებაა. მიუხედავად კვლევის ხანგრძლივობისა, სპეციალისტთა შორის კვლავაც დავის საგანია მისი ძირითადი ცნებები, სფერო. ანალიზის საფუძველზე სინტაქსის არსის გაგებაში გამოიკვეთა ოთხი მიმართულება: 1. სინტაქსი შეისწავლის ნებისმიერ შესიტყვებათა სისტემას (ამ შემთხვევაში წინადადება არის შესიტყვების ერთ-ერთი სახე); 2. სინტაქსი შეისწავლის წინადადებებს და წინადადებათა შიგნით სიტყვათა შეერთებებს; შესიტყვება გაიგება როგორც წინადადების ნაწილი; 3. სინტაქსში ცალ-ცალკე შეისწავლება შესიტყვება და წინადადება. ამათგან პირველი წარმოადგენს არაკომუნიკაციური დონის ერთეულს, ხოლო წინადადება კომუნიკაციურ დონეს განეკუთვნება. 4. შესიტყვების აგებულება სინტაქსის ობიექტადაა მიჩნეული, ხოლო შესიტყვების მნიშვნელობა სტილის საგნადაა მიჩნეული (ენუქიძე 1987 : 3).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინტაქსის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ანალიზისას გარდამტეხი მნიშვნელობის კვლევა ეკუთვნის არნ. ჩიქობავას. ძნელია სათანადოდ შეაფასო დიდი მეცნიერის „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თეორია და მისი დამკვიდრება. „ბატონი არნოლდის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მშრალი ნუსხაც რომ წარმოვადგინოთ, იქ თითქმის ყველგან გამოჩნდება სიტყვა **პირველი**“ (ბურჭულაძე 2005 : 46). თამამად შეიძლება ითქვას, რომ არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომით „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ **პირველად** დამკვიდრდა მეთოდოლოგიური იმანენტიზმი, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ჰომოგენურობის პრინციპი. გადავხედოთ ისტორიას... მანამდე წინადადებისა და მისი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრისას სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში) გამოიყოფოდა სამი ძირითადი მიმართულება: 1. ლოგიცისტური; 2. ფილოსოფიური; 3. ფორმალური (ენობრივ-გრამატიკული). ამისდა მიხედვით, ზოგ შემთხვევა-

ში წინ წამოიწეოდა წინადადების ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურება, რაც შემთხვევაში კი მხოლოდ მის ფუნქციას გაესმის ხაზი.

არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „**ლოგიკისტურია** ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებაში ლოგიკის მსჯელობის გამოხატულებას ხედავს, ხოლო ქვემდებარე-შემასმენელს ისევე განსაზღვრავს, როგორც ტრადიციული ლოგიკა სუბიექტსა და პრედიკატს. მსჯელობის მაგივრობა შეიძლება დაეკისროს **აზრსაც**, – ამ სიტყვის ყოველდღიური გაგებით. **ფსიქოლოგისტურია** ყოველი კლასიფიკაცია, რომელიც წინადადებას განსაზღვრავს ცნობიერების იმ პროცესების მიხედვით, რომლებიც წინადადებას თან ახლავს; ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებასაც ამ ნიადაგზე იძლევა. **ენობრივ-გრამატიკულია** ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისას მხოლოდ ენობრივ ნიშნებს მოიხმარს“ (ჩიქობავა 1968 : 3).

ამ მიმართულებებით (ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწეოდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას, რომ **ფუნქციის** ერთგვარობა **სტრუქტურის** ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს.

ენის აღწერისას არნ. ჩიქობავასათვის სახელმძღვანელო პრინციპი მართებულად გახლდათ ჰომოგენურობის პრინციპი, რადგან ის არის საფუძველი მეთოდოლოგიური იმანენტისისა. ეს გულისხმობს იმას, რომ ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, ე. ი. **შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელი**. ნაშრომში გვხვდება საყურადღებო შენიშვნა ავტორისეული დამოკიდებულებისა ფუნქციისა და სტრუქტურის მიმართ. კერძოდ, ფუნქცია ესაა მიმართება აღსანიშნთან, ხოლო სტრუქტურა გამოხატავს მიმართებას მიმართებათა შორის (ჩიქობავა 1968 : 010). იგი პრინციპულად განასხვავებს ფუნქციასა და სტრუქტურას, თუმცა არ უპირისპირებს მათ ერთმანეთს, რადგან ორივე მიმართებებს გადმოგვცემს. ზოგადად, „არნოლდ ჩიქობავას თეორიაში ენათმეცნიერება განხილულია როგორც ინტეგრალური ჰუმანიტარული მეცნიერება, რომელმაც ენა უნდა შეისწავლოს როგორც აღწერითი, ისე ისტორიული თვალსაზრისით, გამოიკვლიოს ენობრივ ერთეულთა როგორც სტრუქტურა, ისე – ფუნქცია, ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით. ეს არის არნ. ჩიქობავას თეორიული მემკვიდრეობის, ორი ზემოგანხილული მიმართულების გამაერთიანებელი ხაზი. ამ ხაზმა უზრუნველყო ფაქტობრივად პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრების შინაგანი მთლიანობა და თავისთავადობა, თეორიულ შეხედულებათა არაცალმხრივი და არაწინააღმდეგობრივი სისტემის შექმნა“ (კვარაცხელია 2014 : 483). მართლაც, არნ. ჩიქობავას შეხედულების მიხედვით, ენათმეცნიერების პირველი და მთავარი ამოცანა არის ის, რომ ენობრივ მოვლენას მოუძებნოს **შინაგანი**, მისთვის **იმანენტური საზომი** (ჩიქობავა 1968 : 107).

მკვლევართა უმეტესობა წინადადებას მიაკუთვნებდა სინტაქსს, მაგრამ სიტყვათა კლასებისა და ფორმების ანალიზისას აზრთა სხვადასხვაობა იყო სინტაქსის არსის განსაზღვრისას. სათანადოდ არ იყო განხილული **შესიტყვება**, რომელიც ქმნის დამოკიდებულებას სიტყვათა შორის. საქმე ისაა, რომ



სხვადასხვა ენაში შესიტყვება გამოიხატება ან სიტყვათა ადგილმდებარეობით, ან სიტყვათა ფორმითა თუ სიტყვათა ინტონაციით. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ზემოთქმულის მიხედვით, თუ ერთ ენაში სინტაქსური ცნებები აგებული იქნება ფორმათა დამოკიდებულების საფუძველზე, მეორეში დასაყრდენი იქნება სიტყვათა ადგილმდებარეობა, სხვაგან კი – ინტონაცია. თუმცა აქ ყველგან ხაზგასმულია ერთი მნიშვნელოვანი საერთო პრინციპი – **სიტყვათა ურთიერთობის ბუნება და ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებული საშუალება** (ჩიქობავა 1968 : 114). ცხადია, სიტყვათა ადგილი და ინტონაცია მხოლოდ იმდენად ჩათვლება სინტაქსურ საშუალებად, რამდენადაც ისინი ასრულებენ **ფორმის ფუნქციას**.

სწორედ იმანენტის თეორიის მიხედვით სინტაქსის მიზანია გარკვევით 1. რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ (რა სახის შესიტყვებანი მოეპოვება ენას) და 2. როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი. პირველის მიზანი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის შემამზადებელი საფეხურია მეორე მომენტისათვის. რაც შეეხება შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის გამორკვევას, სწორედ ისაა სინტაქსის ძიების მთავარი მიზანი. ამრიგად, **სინტაქსის საგანი თუ შესიტყვებაა, სინტაქსის მიზანი შესიტყვების მექანიზმის შესწავლაა** (ჩიქობავა 1968 : 114-115).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არნ. ჩიქობავამ ქართული ენის შესიტყვების ანალიზისას გამოყო ორი ძირითადი სახე – **შეთანხმება** და **მართვა**. ამათგან, მისი განმარტებით, შეთანხმებაა სიტყვათა ისეთი დამოკიდებულება, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელშიც ის თვითონ არის და რომლის მიხედვითაც ცვალების უნარი აქვს. ხოლო მართვაა დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას თვითონ არ აქვს ამ მომენტში, ან არც შეიძლება ჰქონდეს საერთოდ (ჩიქობავა 1968 : 115-119). შეთანხმებისა და მართვის გამოყოფილ ცალკეულ შემთხვევებზე ახლა არ შევჩერდებით. მასში მთავარია, რომ **ესაა სწორედ ქართული ენის სინტაქსის სპეციფიკა, რაც მკაფიოდ აისახა კოორდინაციის თეორიაში**: ქართული ზმნა – კოორდინაციის ცენტრი – დიდად განსხვავებულია ინდოევროპული ენების ზმნისაგან, იგი მრავალპირიანია, რის საფუძველზედაც ქვემდებარესთან ერთად წინადადების მთავარი წევრებია დამატებებიც (ბურჭულაძე 2005 : 48).

არნ. ჩიქობავას არც გარემოების ფაქტორი დაუტოვებია იმანენტის თვალსაზრისით ყურადღების მიღმა. მან ცალკე გამოყო სიტყვათა ურთიერთობის ახალი სახე – **მართვა**, როგორც ურთიერთობის ნოლი ფორმა (თუმცა ის არაა სიტყვათა პოზიტიური ურთიერთობა): „მართვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან, მართვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების მიხედვით მივდივართ მართვისაკენ“ (ჩიქობავა 1968 : 120).

იმანენტის თეორიის მიხედვით, მკვლევრისთვის წინადადება ერთ-ერთი სახის შესიტყვებაა, მაგრამ არა ისეთი წინადადებები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ უფორმო სიტყვებსა და ნაწილაკებს (კი! არა! გუშინ! ვაიმე!...), ან

ისეთი ფორმაცვალეზადი სიტყვებიც, როგორებიცაა ამომახილი, პასუხად თქმული, ცალკეული სიტყვები (ბილეთები! გაზეთი! ხანძარი!...). მართალია, ეს უკანასკნელნი მეტია, ვიდრე ცალკე სიტყვა (უტოლდება ფრაზას), მაგრამ მეტია არა სინტაქსური თუ მორფოლოგიური თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელობის თვალსაზრისით, განსხვავებულია **ფუნქციონალურად** და არა **სტრუქტურულად** (ჩიქობავა 1968 :122).

ფუნდამენტურია მსჯელობა ცალკე აღებული ზმნის შესახებ, როგორც შესიტყვებისა მინიატურაში. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ზმნა გათანაბრებულიყო შესიტყვებასთან (ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით აქვს ქართულ ზმნას მისი მრავალპირიანობის გამო), მაგრამ მეთოდოლოგიური იმანენტისაზრისათვის მეცნიერმა ის მიიჩნია წინადადების ეკვივალენტად იმდენად, რამდენადაც ზმნა, ცალკე სიტყვა, მთელი შესიტყვების სქემას წარმოადგენს. ის აუცელებელია შესიტყვებისათვის, რათა უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ. ამის მიხედვით შემუშავდა დასკვნა, რომ ე. წ. ატრიბუტული წინადადება ვერ ჩაითვლება წინადადებად (ჩიქობავა 1968 : 123).

ერთი სიტყვით, არნ. ჩიქობავამ წინადადება და მისი წევრები განსაზღვრა იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც მყარდება ზმნასა და სახელს შორის ზმნური შესიტყვების ფორმალური სტრუქტურის საფუძველზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი, რომ იმანენტის თეორიის მიხედვით მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ტრადიციულად სინტაქსის სფეროს წარმოადგენდა (მათ შორის რთული წინადადების პრობლემა), სინტაქსის გარეთ გადის. „საფიქრებელია, რომ სწორედ ამიტომ სასკოლო (სასწავლო) გრამატიკებში არ დამკვიდრდა არნ. ჩიქობავას აზრი და სინტაქსმა ტრადიციულად მოიცვა როგორც მარტივი, ისე რთული წინადადება, მისი როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ანალიზი“ (ენუქიძე 1995 : 6).

შევეცდებით იმანენტის თეორიიდან ამოსვლით განვიხილოთ რთული წინადადება. ცხადია, რთული წინადადების ანალიზისას გასათვალისწინებელია მისი ფორმალური და შინაარსობრივი მხარე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩიქობავასეული იმანენტის სრულიადაც არ გამოიცხავს რთულ წინადადებას და ის ისევე ვლინდება რთულ წინადადებაში (პარატაქსშიცა და ჰიპოტაქსშიც), როგორც მარტივ წინადადებაში. რთულ წინადადებაშიც ხომ სინტაქსური, შინაგანი საზომით უნდა ვიხელმძღვანელოთ. თავად მეცნიერი აღნიშნავს, რომ იმანენტის მიხედვით რთული წინადადება ასე წარმოიდგინება: „მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს; როგორც მასალა, ისე სტრუქტურა ორივეს ერთნაირია: ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა ისეთივე აუცილებელია და ამავე დროს საკმარისი პირობაა დამოკიდებული წინადადებისათვის, როგორც მთავარისათვის; ხოლო მართვა და შეთანხმება (თუ მირთვა) ის საფუძველია, რომელზედაც აგებულია როგორც ერთი, ისე მეორე. ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს წინადადება და წინადადების ეკვივალენტი... ყველა ამ შემთხვევაში დამოკიდებული და მთავარი ნაწილი კავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით“ (ჩიქობავა 1968 :125).

განვიხილოთ შესიტყვების საკითხი მეთოდოლოგიური იმანენტეზმის თეორიის მიხედვით რთულ წინადადებაში. როგორც ცნობილია, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია (კვაჭაძე 2010 : 9). ამოსავლად კვლავ იმანენტეზმს ვიშველიებთ. ცხადია, მაგალითად, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სხვა კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი შესაძლებელი სიტყვათშეკავშირება ვერ გამოდგება. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარებაა, დაქვემდებარება კი სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება – აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი **შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი**. ჩვენ შევნიშნავდით, რომ მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების **სტრუქტურულ ნაწილს** წარმოადგენს. რა გვამღევეს იმის მყარ საფუძველს, რომ წევრ-კავშირი მივიჩნიოთ სინტაგმის ერთ-ერთ წევრად? **პირველი ფაქტორი** არის ის, რომ ასეთი სიტყვა წინადადების კავშირიცაა და ამავდროულად **წევრიც**. ის ასრულებს გარკვეული წევრის ფუნქციას ჰიპოტაქსურ წინადადებაში – ზოგჯერ ქვემდებარეა, ზოგჯერ – დამატება ან განსაზღვრება და ა.შ. მაგალითად, „ცოდვას ის კაცი, **ვინც** ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ.) – აქ წევრ-კავშირი **ვინც** ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს; „**რაც** შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“ – წევრ-კავშირი **რაც** პირდაპირი დამატების ფუნქციისაა; „ახლა ზაზა სწორედ იმისათვის იყო დაღუპული, **ვისთვისაც** სწადადა თავისი სიცოცხლე“ (გოთ.) – აქ **ვისთვისაც** უბრალო დამატებაა; „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, **რომელსაც** ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ.)– **რომელსაც** განსაზღვრებაა; „მერე იქ მივიდა, **სადაც** ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ.) – **სადაც** ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებს; „ეს გულები მყისვე უკან ისე იხევდნენ, **როგორც** ეს დღევანდელიობას შეეხებოდა“ (რობ.) – **როგორც** აქ ვითარების გარემოებაა და ა.შ. (მასალა მოგვყავს ჩვენი ადრინდელი სტატიიდან – თ. ბ.) როგორც დაკვირვებამ აჩვენა, წევრ-კავშირი სინტაქსურ კავშირს ამყარებს მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან: ვინც წავა, რაც არ გინდა, რომელსაც დარჩენოდა, სადაც ელაგა, როგორც შეეხებოდა... წინადადების სხვა წევრთან ის სინტაქსურ კავშირში არ გვხვდება.

**მეორე ფაქტორია** მისი შესაბამის წყვილში მყოფი ზმნა-შემასმენლისგან ბრუნვის ფორმით მართვა და რიცხვში შეწყობა: **ვინც** წავა – შდრ. **ვისაც** ეს არ მოუსმენია, **ვისთვისაც** ეს მიუღებელი იყო, **ვისკენაც** გაიქცა; **რომელიც** მოვიდა – შდრ. **რომელსაც** ელაგა, **რომლისკენაც** წავიდა, **რომლისთვისაც** საჭირო გახდა... რიცხვში შეწყობის მაგალითები: რომელსაც – რომელთაც, როგორიც – როგორებიც...

რა სინტაქსური ურთიერთობა იქნება წევრ-კავშირის შემცველ სინტაქსურ წყვილთა შორის? ვფიქრობთ, აქ შეკავშირების ორი სახე – მართვა და მი-

რთვა გვაქვს. ისეთ სინტაგმებში, სადაც წევრ-კავშირი გამოხატავს წინადადების მთავარ წევრს (ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებას) ან უბრალო დამატებას, მაშინ ის მართვას. ასეთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირს შესაბამის ბრუნვაში. აქ საურთიერთო მართვა არ გვექნება, მხოლოდ ცალმხრივ მართვაა, ანუ სუბორდინაციული მიმართება: ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან – **ვინც წავა** – ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირს სახელობით ბრუნვაში (ვინც – კაცი წავა); ვისაც ეს არ უნდა, ნუ მოვა – აქაც მართვაა, ზმნა-შემასმენელი მიცემით ბრუნვაში მართავს წევრ-კავშირს (ვისაც არ უნდა – კაცს არ უნდა), რომლისთვისაც საჭიროა – ნათესაობით ბრუნვაში მართავს (რომლისთვისაც საჭიროა – კაცისთვის საჭიროა). თუ წევრ-კავშირი, რომელიც მიმართებითი ზმნიზედითაა გადმოცემული, რომელიმე სახის გარემოებას გამოხატავს, აქ, ცხადია, **მართვა** გვექნება – სადაც მივიდა, როგორც უნდოდა, რისთვისაც დასჭირდა... აქ ვითარება ისეთივე იქნება, როგორც ნებისმიერი სახის გარემოების გადმოცემისას გვხვდება – **ყველა გარემოება მიერთვის ზმნა-შემასმენელს** (ბურჭულაძე 2015 : 54-58). თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულთანდებულისანი თუ ცალკე მდგომი თანდებულის) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები განხილულია როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა – ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ მაინც მართვა (წარვედ წყლისა პირს, შევიდა სახლში, ლამაზად თოვს...), ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გარემოება მართული იქნება (გუშინ ჩამოვიდა, შევიდა იქ...) (ვაშაკიძე 2012 : 70).

ჩვენთვის ერთი და იგივე სინტაქსური მიმართებაა სინტაგმებში: **აქ მოვიდა და სადაც მოვიდა; გუშინ გავიგე და როდესაც გავიგე; უცხად გამოჩნდა და როგორც გამოჩნდა; იმიტომ მერჩივნა და რადგანაც მერჩივნა; ამისთვის დამჭირდა და რისთვისაც დამჭირდა.**

მაშასადამე, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არამხოლოდ ცალკე აღებული მთავარ ან დამოკიდებულ წინადადებაში ვლინდება სინტაქსური კავშირი, არამედ მათ შორისაც, წევრ-კავშირის შემთხვევაშიც **ფუნქციურად და სტრუქტურულადაც** (სწორედაც რომ იმანენტიზმის (შინაგანი ბუნების) მიხედვით) შესიტყვებაა. მართალია, რთული წინადადების ნაწილებისთვის საერთო და აუცილებელი პირობა არის ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა, ხოლო დამოკიდებული და მთავარი ნაწილი ერთმანეთს უკავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით, მაგრამ მათ შორის სინტაქსური, შინაგანი კავშირია. აქ ხომ ფუნქციის ერთგვარობა არ ნიშნავს სტრუქტურის ერთგვარობას. სწორედაც, რთულ წინადადებაში, როგორც იმანენტიზმისთვისაა დამახასიათებელი, **სტრუქტურული სხვაობა** გვაქვს.

რაც შეეხება შერწყმულ წინადადებას, რაკი მასში რამდენიმე ერთგვარი წევრი გვხვდება, ამიტომ ყოველი ერთგვარი წევრი ცალ-ცალკე კი არა, არამედ ერთად იანგარიშება სინტაგმაში. მაგალითად, ერთგვარი ქვემდებარეები ერთად დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელს, ერთგვარი განსაზღვრებები – მსაზღვ-

რელს ერთ სინტაგმად და ა.შ. რთული წინადადების შესახებ სინტაგმათა გამოყოფის შესახებ მსჯელობისას შენიშნულია, რომ პარატაქსული წინადადების სინტაგმათა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება (კვაჭაძე 2010 : 16). **ყველა სახის რთულ წინადადებაში წევრებს შორის მარტივ წინადადებაზე დამყარებული სინტაქსური კავშირი იქმნება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს რთული წინადადების განსხვავებულ სტრუქტურას, თავისებურებასა და მის შინაგან ბუნებას.**

ვფიქრობთ, არნ. ჩიქობავას მოსაზრების მიხედვით, ზემოთ დასახელებულ ყველა შემთხვევაშიც გამიჯნულია მორფოლოგიური სისტემა და სინტაქსური მექანიზმი. აქაც ეს ასახულია კოორდინაცია-სუბორდინაციის წესებში. „არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ის ნაშრომია, რომელსაც დროის არ ეშინია. იგი არ არის მხოლოდ ქართული ენის სინტაქსის თეორია – მისი უზოგადესი დებულებები ნებისმიერი ენის სინტაქსური ანალიზისათვის გამოდგება“ (ბურჭულაძე 2005 : 49). მისეული მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თეორია კი კვლავ რჩება სინტაქსური საკვანძო საკითხების (და არა მხოლოდ მარტივი წინადადების!) უმთავრეს გზამკვლევ საშუალებად, თუმცა ზოგი მათგანის რეალიზაციის ავტორისეული ინტერპრეტაცია დღეს შეიძლება სხვაგვარადაც შეფასდეს.

### ლიტერატურა

**ბურჭულაძე 2015** – თ. ბურჭულაძე, სინტაგმის გამოყოფისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII, თბილისი.

**ბურჭულაძე 2005** – გ. ბურჭულაძე, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბილისი.

**ენუქიძე 1995** – ლ. ენუქიძე, ფორმალიზმის ისტორიისათვის სინტაქსში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIII, თბილისი.

**ენუქიძე 1987** – ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბილისი.

**ვაშაკიძე 2012** – თ. ვაშაკიძე, მართვა-მირთვის ზოგი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XL, თბილისი.

**კვარაცხელია 2014** – გ. კვარაცხელია, ტომის რედაქტორისაგან (პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრება), არნოლდ ჩიქობავა, შრომები, VIII, თბილისი.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**ჩიქობავა 1968** – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

**Arnold Chikobava and the Theory of Immanentism**

## S u m m a r y

In Georgian linguistic literature the most significant research on syntax as a linguistic field belongs to Arnold Chikobava. It is difficult to properly assess the scholar's "The Problem of a Simple Sentence in Georgian", the theory of methodological immanentism and its establishment. When describing the language the guiding principle for Arnold Chikobava was the principle of homogeneousness. This was right since it is the basis for methodological immanentism. This means that the notion should contain the signs that are immanent for the object that needs to be described.

According to the theory of immanentism, syntax aims to find out 1. what forms can be matched in a language (or what kind of syntagms can be found in a language) and 2. what is the structure-mechanism of its syntagms. The first is important as it is a preparing step for the second. As for finding out the structure-mechanism of a syntagm, it is the main goal of the syntactic research. Thus, if a syntagm is the subject of syntax, the goal of syntax is to study the mechanism of a syntagm. This is the specifics of Georgian syntax that is clearly reflected in the theory of coordination: the Georgian verb – the coordination centre – is very different from the verb of the Indo-European languages as it is multi-personal on the basis of which objects are main members of a sentence along with a subject.

In a complex sentence the syntactic relation is apparent not only in separate main or subordinate clauses but even between them. Even if a member-connector is used we still deal with a syntagm functionally and structurally (based on immanentism). It is true that for the parts of a complex sentence a common and necessary condition is a conjugative and declensional word and main and subordinate clauses are connected by a (auxiliary) word but there is a syntactic internal relation between them. In this case the similarity in functions does not mean the similarity in structures. In a complex sentence, as it is typical to immanentism, we have a structural difference. In all the types of a complex sentence there is a syntactic relation between members that is based on a simple sentence but it certainly does not exclude the different structure, peculiarities and inner nature of a complex sentence.

Arnold Chikobava's theory of methodological immanentism is still the main guide for analyzing key syntactic issues (not only a simple sentence) but nowadays his interpretation of realizing some of them can be assessed differently.

თამარ გუჩუა

**რამდენიმე სოვეტიზმის სემანტიკური  
ისტორიისათვის ქართულში**

ტერმინი „სოვეტიზმი“ ენათმეცნიერებაში მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩნდება, თუმცა ე.წ. „საბჭოთა ენის“ ლექსიკო-სემანტიკური თავისებურებების კვლევა პრაქტიკულად 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ერთ-ერთი პიონერი ამ საკითხში გახლდათ ფრანგი ფილოლოგი ანდრე მაზონი, რომელმაც 1920 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში „ომისა და რევოლუციის ლექსიკა რუსეთში (1914-1918)“ (Andre Mazon, *Lexique de la guerre et de la revolution en Russie (1914-1918)*) პოლიტიკურ ნიადაგზე ლექსიკური ფონდის შევსების ისეთ სამ საშუალებაზე ისაუბრა, როგორებიცაა: აბრევიაცია, სესხება და საკუთარ სახელთა განზოგადება. ენის ლექსიკის გამდიდრების ამ ხერხებს მოგვიანებით ჩამოთვლის სერგეი კარცევსკიც 1923 წელს ბერლინში გამოცემულ წიგნში „ენა, ომი და რევოლუცია“, სადაც შენიშნავს: „ბოლო წლების მოვლენები შეუძლებელია არ ასახულიყო ენაში, ადამიანთა შორის ურთიერთობისა და თვითგამოხატვის ამ მთავარ იარაღში. სხვადასხვა კომისრისა თუ ბოლშევიკური მოღვაწის სახელებმა შექმნეს ნიადაგი ენაში სხვადასხვა კალამბურისა თუ იუმორისტული გამონათქვამისათვის. პოლიტიკურ პარტიებს შორის გაუთავებელმა ბრძოლებმა, სამოქალაქო ომმა და მუდმივი სიძულვილის ატმოსფერომ მოგვცა სიტყვებისა და ფრაზების უზარმაზარი რეპერტუარი“ (კარცევსკი 1923: 35-37). ამავე წელს სოვეტიზმების შესახებ საუბრობს და მათ „რევოლუციურ ფრაზეოლოგიზმებად“ მოიხსენიებს რუსი ენათმეცნიერი, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მოსკოვის ლინგვისტური წრის ერთ-ერთი დამაარსებელი, გ. ვინოკურიც (ვინოკური 1923).

ევროპელ ენათმეცნიერებს შორის სოვეტიზმების ლექსიკოგრაფიული აღწერის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ეკუთვნის ბრიტანელ მეცნიერს, ჰარი ჰოდკინსონს, რომელმაც 1955 წელს გამოცემულ წიგნში „კომუნიზმის ენა“ (Harry Hodgkinson, *Doubletalk: The Language of Communism*) საბჭოთა ლექსიკას და ფრაზეოლოგიას ერთად აღებულს „ორაზროვანი ლაპარაკი“ უწოდა. ოდნავ მოგვიანებით კი, 1957 წელს, კერი ჰანტმა მსგავსი გამონათქვამები „კომუნისტურ ჟარგონებად“ მოიხსენია (R. N. Carew Hunt, *A Guide to Communist Jargon*). ნებისმიერ შემთხვევაში, მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ სოვეტიზმებს (საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულ სიტყვებსა თუ ფრაზებს) ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ეროვნული სპეციფიკურობა, რის გამოც ხშირად არ აქვთ ანალოგები უცხო ენებში.

სოვეტიზმები, როგორც საბჭოთა კულტურის ლინგვისტური ფაქტი, უხვად დასტურდება ქართულშიც. ისტორიულად ცნობილია, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას რუსეთის მეზობელ ქვეყნებშიც ჰქონდა გავლენა და მათ შორის საქართველოშიც. 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კომუნისტები რესპუბლიკის დამხობას და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეეცადნენ, რაც 1921 წელს, სამწუხაროდ, „წითელი არმიის“ შემოსვლით დაასრულეს კიდეც. მთელი ამ ათეული წლების მანძილზე დაგროვილი სოვეტიზმების ფუნქციონირების შესწავლა თანამედროვე ქართულში მოგვეცემს შესაძლებლობას დავინახოთ, თუ რომელი საბჭოთა შტამპები (სამეტყველო თუ იდეოლოგიური) ჯერ კიდევ არსებობს ენაში და ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, როგორია დღეს მათი გამოყენება და რამდენად სწრაფად მიდის დესოვეტიზაციის პროცესი.

როგორ ხდებოდა სოვეტიზმების, ამ ე.წ. რევოლუციური ფრაზეოლოგიზმებისა თუ კომუნისტური ჟარგონების ფორმირება? სინამდვილეში ფრაზეოლოგიის ეს ელემენტები ახალი არ ყოფილა და მანამდეც მეტნაკლებად ცნობილი იყო ყველასთვის. იგულისხმება არა მხოლოდ სპეციფიკური პოლიტიკური ან ეკონომიკური ტერმინები, რომლებიც კავშირშია უშუალოდ მარქსისტულ ან „ნაროდნიკულ“ იდეოლოგიასთან, არამედ ის ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც ენაში მანამდეც არსებობდა, რევოლუციის შემდეგ კი ახალ ძალებს იკრებენ და სულ სხვა კუთხით წარმოგვიდგებიან. მაგალითისთვის, ასეთ ერთეულად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვა „გაუმარჯოს“, რომელიც 1917 წელს გაზეთში „Рабочий и Солдат“ („მუშა და ჯარისკაცი“) ლენინის მიერ გამოქვეყნებული მიმართვის შემდეგ ახალ, ლოზუნგურ შინაარსს იძენს და ენაში ამკვიდრებს ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა: „გაუმარჯოს რევოლუციას“, „გაუმარჯოს მშვიდობას“, „გაუმარჯოს ბანკების ნაციონალიზაციას“ და ა.შ. რუსულში ანალოგიური გამონათქვამისთვის (да здравствует) ამოსავალი ფორმაა здравствовать, რაც ჯანმრთელად ყოფნას და კეთილდღეობას ნიშნავს (ოჟეგოვი, შვედოვა 2006; ეფრემოვა 2000), ხოლო ზმნის ბრძანებითი ფორმის წარმოების დროს გამოყენებული და ნაწილაკის ქართული ანალოგია „დაე“. ქართულში „გაუმარჯოს“ გვხვდება ორი მნიშვნელობით: 1. გამარჯვების, წარმატების სურვილის გამოხატვა ვინმეს (რაიმეს) მიმართ და 2. იგივეა, რაც გამარჯობა, გამარჯვება (ქეგლი 2010: 1252).

თანამედროვე ქართულში ამგვარი ფრაზები („გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას“, „გაუმარჯოს მუშათა კლასს“ და ა.შ.) დაცლილია ყოველგვარი შინაარსისგან და არ მოითხოვს მასზე ვერბალურ რეაგირებას. ფრაზეოლოგიის მსგავსი ელემენტების შესახებ საუბრობს გ. ვინოკური: „ერთი შეხედვით ამ არაფრის მთქმელი ფრაზების უკან უზარმაზარი სოციალური საფრთხე და ლექსიკური გადატაკება იმალება. რამდენადაც ჩვენს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოვიყენებთ ამ შინაარსს მოკლებულ ლოზუნგებსა და გამოთქმებს, იმდენად უშინაარსო ხდება ჩვენი აზროვნებაც. აზროვნება შესაძლებელია ტერმინებით, წარმოდგენებით, მაგრამ არა სიტყვიერი შტამპებით“ (ვი-



ნოკური 1923: 113). მსგავს შემთხვევებს ენათმეცნიერი „ლინგვისტური ვალუტის დევალვაციას“ უწოდებს.

მე-20 საუკუნის ათი-ოციანი წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ლენინის სტატიებიდან არაერთი მსგავსი ციტატა იქცა საბჭოთა ლოზუნგად. მათ შორისაა ისეთი უწყინარი გამონათქვამიც, როგორცაა „სწავლა, სწავლა და სწავლა“. ფრაზა პოპულარული ხდება 1920 წელს კომკავშირის მესამე ყრილობაზე ლენინის გამოსვლის შემდეგ, სადაც მან კომუნისტების სწავლაზე ისაუბრა და გამეორების ასეთ ხერხს მიმართა. როგორც ცნობილია, მერვე ყრილობაზე ეს ფრაზა სტალინმაც გამოიყენა თავის მიმართვაში და საერთოდ, გაცილებით ადრე, საუკუნეების წინ, თითქმის ყველა სწავლული თუ ფილოსოფოსი ამას ქადაგებდა, მაგრამ დღეს მას მაინც ლენინის ავტორობით იცნობენ.

საინტერესოა, რომ სოვეტიზმების უმრავლესობა 1917 წლის რევოლუციამდე გაცილებით ადრე არსებული პოპულარული ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერპრეტირების შედეგია. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

„ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ (homo homini lupus est) – ფრაზა პირველად დასტურდება რომელიმე კომედიანტის, პლავტუსის კომედიაში „ვირები“. 1951 წელს ამავე ფრაზას იმეორებს თავის ნაშრომში ტომას ჰობსიცი. ამ ლათინური ანდაზის კომუნისტური შესატყვისი, რომელიც პირველად 1961 წელს მე-12 ყრილობაზე გაჟღერდა, ასეთია: „ადამიანი ადამიანისთვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა“ (მოკიენკო, ნიკიტინა 1998: 658);

ლუი მეთოთხმეტის ცნობილი დევიზის „სახელმწიფო – ეს მე ვარ“ ლენინისეული პერიფრაზი, რომელიც მან 1922 წელს პარტიის ყრილობაზე თავის მიმართვაში გამოიყენა, ასეთია: „სახელმწიფო – ეს ჩვენ ვართ“;

ადრეული შუასაუკუნეების ანდაზა „ყველა გზა რომში მიდის“ 1985 წელს სტუდენტების მიტინგზე კომუნისტებმა ასე გააჟღერეს: „ყველა გზა კომუნისტებისკენ მიდის“ (მოკიენკო, ნიკიტინა 1998: 178).

საინტერესოა, რომ რუსულისგან, საბჭოთა ფრაზეოლოგიზმების პირველწყარო ენისგან განსხვავებით, სოვეტიზმების უმრავლესობა თანამედროვე ქართულში ირონიულ კონტექსტში გამოიყენება. მაგალითად, ცნობილი რუსული საბჭოთა ფრაზის „ამობენ მოსკოვში და უსმენენ მთელ ქვეყანაში“ (говорят в Москве, а слушают по всей стране) ქართულ შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ გამონათქვამი „მოსკოვს შევეკითხები“, რომელიც ქართულ ენაში რამდენიმე სახით დასტურდება: „მე შენ გეტყვი, მოსკოვს შევეკითხები“, „არა, ბიჭო, მოსკოვს შევეკითხები“ და ა.შ. ყველა შემთხვევაში, ფრაზის კონოტაცია დამცინავია და გულისხმობს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.

ირონიზებულია ასევე საბჭოთა ლოზუნგი „იფრინეთ აეროფლოტის თვითმფრინავებით“ (летайте самолетами аэрофлота). ფრაზა სამოციან წლებში არაერთ სარეკლამო პლაკატზე გამოჩნდა. ამ პერიოდისათვის კი „აეროფლოტს“, როგორც ერთადერთ ავიაკომპანიას, კონკურენტიც არ ჰყავდა და შესაბამისად, ენაში ეს გამონათქვამი დაცინვით მიუთითებს ისეთ უკონკურენტო გარემოში ყოფნას, სადაც არჩევანის შესაძლებლობა არ არსებობს;

„სმოლნი გაქვს“ (მაგ., „სმოლნი გაქვს ჩართული? რას რეკავ ამდენს“) – ირონიულად იტყვიან მეტისმეტად გადატვირთულ სატელეფონო ხაზებზე. დაკავშირებულია სანკტ-პეტერბურგში კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის სახელთან, სადაც 1917 წელს პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი შეკრებები იმართებოდა. შენობის სახელი, როგორც რევოლუციის სიმბოლო, განსაკუთრებით რუსულში, ერთ-ერთი აქტიური სოვეტიზმია;

„კანტორა“ (მაგ., „სუსი კანტორაა თუ პივნოი?“) – იტყვიან დაწესებულებაზე, რომელიც ნდობით არ სარგებლობს. საკუთრივ აღნიშნული ლექსემა (გერმ. kontor) ქართულში განიმარტება, როგორც „ადმინისტრაციულ-კანცელარიული განყოფილება საწარმოსი, დაწესებულებისა და მისთ.“ (ქეგლი 1955: 1055, 1319), თუმცა ფრაზეოლოგიაში გვხვდება, როგორც ჟარგონი და ირონიულად გულისხმობს პოლიციას ან სახელმწიფო უშიშროების სამსახურს (მოკიენკო, ნიკიტინა 1998: 278-279).

ირონიზებულია ანთროპონიმების შემცველი სოვეტიზმებიც. ქართულში არაერთი საბჭოთა მოხელის გვარი იქცა მოტივატორად მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვის:

„დენიკინისდროინდელი“ (მაგ., „როგორი დენიკინისდროინდელი აპარატურა აქვს მაუწყებელს“) – იტყვიან ძალიან ძველ, დრომოჭმულ რამეზე. დაკავშირებულია კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ანტონ დენიკინის გვართან (ქსე 1978: 470). ანალოგიური შინაარსისაა „კოლჩაკისდროინდელი“ და „კერენსკისდროინდელი“ – რუსი სამხედრო პირების, სამოქალაქო ომის დროს ანტისაბჭოური და ანტიბოლშევიკური მოძრაობების ლიდერების, ალექსანდრე კოლჩაკისა და ალექსანდრე კერენსკის გვარების მიხედვით. ქართულისგან განსხვავებით, რუსულში დასტურდება მხოლოდ „დენიკინელი“ და დადებითი კონოტაცია აქვს, რევოლუციური იდეებით შთაგონებულ ადამიანებზე იტყვიან ასე (მოკიენკო, ნიკიტინა 1998: 154, 283);

„ბუდიონის ულვაში“ (მაგ., „ისეთი ულვაშები აქვს, ბუდიონი უნდა იყოს“) – უკავშირდება საბჭოთა მარშალს, სიმონ ბუდიონს (ქსე 1977: 552), რომლისთვისაც ულვაში იმიჯის იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ, რომ, როგორც ცნობილია, მან საკუთარ ძმას მიპარვით მოაჭრა ულვაშის ბოლოები, მხოლოდ თვითონ რომ ყოფილიყო ამ გარეგნული ნიშნით გამორჩეული;

„ვოროშილოვის ცხენი“ (მაგ., „ზის გაჭიმული ვოროშილოვის ცხენივით“) – დაკავშირებულია რუსი რევოლუციონერისა და სამოქალაქო ომის მონაწილე კლიმენტ ვოროშილოვთან (ქსე 1979: 458). ვოროშილოვის ცხენებით გატაცებაზე მიუთითებს ტროცკისტების ცნობილი რუსული ხუმრობაც, რომლის შინაარსის მიხედვითაც კრემლის კარიბჭიდან გამოსვლისას თუ ყველა ტროცკის უყურებდა, ვოროშილოვის შემთხვევაში ხალხის ყურადღება მთლიანად მის ცხენზე იყო გადატანილი;

„სტახანოველი“ (მაგ., „შენ, რა, სტახანოველი ხომ არ ხარ?!“) – იტყვიან სამუშაოს რომ გადაჭარბებით ასრულებს, მუშაობით რომ თავს იკლავს, ისეთ ადამიანზე. ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ერთ-ერთი მუშის, ვინმე ალექსეი სტახანოვის სახელთან, რომელმაც 1935 წელს თავის ცვლაში შვიდი ტონა ქვა-

ნახშირის ნაცვლად, ას ორი ტონა მოანგრია, რაც იმდროისთვის რეკორდული მაჩვენებელი იყო (ქსე 1985: 558). ასე განზოგადდა მუშის გვარიც და არაერთი საზოგადოებრივი მოძრაობისა თუ ორგანიზაციის სახელად იქცა. თბილისში 1937-1941 წლებში გაზეთიც გამოდიოდა სახელწოდებით „სტახანოველი“;

„როგორც ლენინი ბურჟუაზიას“ (მაგ., „სკამზე კარგად მორგებული ისე უყურებს მთავრობას, როგორც უწინ ლენინი ბურჟუაზიას“) – იტყვიან არამეგობრულ, არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე. ფრაზა მომდინარეობს ლენინის ურთიერთობიდან ბურჟუაზიისადმი. როგორც ცნობილია, მარქსიზმის თეორეტიკოსი თავის თხზულებებში საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს საზოგადოების ამ ფენის წარმომადგენლებს და მათ სამშობლოს გამყიდველებს უწოდებს;

„ავრორას გასროლა“ (მაგ., „შენთვის უსროლია ავრორას“) – იტყვიან უცაბედ, მოულოდნელ წარმატებაზე. ფრაზის სემანტიკური ისტორია დაკავშირებულია კრეისერ „ავრორას“ სახელთან. 1917 წლის ოქტომბერში სწორედ კრეისერის გასროლამ მისცა ნიშანი რევოლუციონერებს, დაეწყოთ იერიში ზამთრის სასახლეზე. საბჭოთა და სოციალისტურ ქვეყნებში ამ გასროლას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის სიმბოლოდაც იქცა.

საბჭოთა პერიოდში ჩნდება არაერთი სოვეტიზმი ანტიამერიკული ქვეტექსტებით. მათ შორისაა ცნობილი საბჭოთა ფრაზა „დღეს ჯაზს უკრავს, ხვალ – სამშობლოს გაყიდის“ („Сегодня он играет джаз, а завтра родину продаст“ (მოკიენკო, ნიკიტინა 1998:163), რომელიც 40-იანი წლების ბოლოს არაერთ პოლიტიკურ პლაკატზე გამოჩნდა, ხოლო გაზეთ „პრავდას“ 1956 წლის 22 აპრილის ნომრის პირველივე გვერდზე საგაზეთო მიმართვის სათაურად დაიბეჭდა, სადაც რედაქცია სრული სერიოზულობით წერს საბჭოთა კულტურაზე დასავლური კულტურის მავნე გავლენებზე და მკითხველს ამ საფრთხის დამლევისკენ მოუწოდებს. რუსულ სოვეტიზმებში უარყოფითი კონოტაციისა საკუთრივ სიტყვა „ამერიკელიც“. მაგალითად, „წყნარი ამერიკელი“ – განმარტებულია, როგორც ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სამსახურის აგენტი, რომელიც საიდუმლო სამსახურს ეწევა სხვა ქვეყნებში“ (მოკიენკო, ნიკიტინა 1998: 34). საინტერესოა, რომ ქართულში აღნიშნული სიტყვაფორმა გვხვდება „ოქტომბრელის“ ოპოზიციაში მაშინ, როცა ეს უკანასკნელი რუსულში ცალსახად დადებითი კონოტაციის მატარებელია: „*მესამე კლასში ვიყავი. ამერიკიდან ჩამოტანილი გულსაბნევით მოჯადოებულმა, ოქტომბრელის ნიშანი მოვიხსენი და სკოლაში ალტერნატიული გადაწყვეტილებით მივედი. პირველივე გაკვეთილის ბოლოს დამრიგებელმა მკლავში ხელი მომიკიდა, თვალებში სასტიკად ჩამხედა და მკითხა: შენ ოქტომბრელი ხარ თუ ამერიკელიო?*“ (ქართული ენის ეროვნული კორპუსი).

სოვეტიზმების შესწავლა ენობრივი პოლიტიკისთვისაც საინტერესო საკითხია. უფრო მეტიც, ისტორიის განვლილი, კონკრეტული ეტაპის რიგი საკითხების ილუსტრირება ენაში დღეს სწორედ ამგვარი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ერთეულებითაა შესაძლებელი. თუკი ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ საზოგადოება ზემოქმედებს ენაზე და ენა არ არის სოციუმისგან გან-

ყენებული მოვლენა, მაშინ ადვილია დავასკვნათ, რომ ნებისმიერი რევოლუცია საზოგადოებაში თავის მხრივ გულისხმობს რევოლუციას ენაშიც. ენაზე სოციალური ზემოქმედების მოხდენა კი ყველაზე მოსახერხებელი სწორედ რომ ლექსიკის დონეზეა, სიტყვების ჩანაცვლებითა თუ აქამდე კარგად ნაცნობი ფრაზებისთვის ახალი აზრისა და შინაარსის, ახალი სიცოცხლის მიცემით.

### ლიტერატურა

**ენციკლოპედიური ლექსიკონი 2003** – Энциклопедический словарь крылатых слов и выражений, Автор-составитель Вадим Серов, М.

**ფერემოვა 2000** – Ефремова, Т.Ф., Новый словарь русского языка. Толково-словообразовательный, в 2 томах, М.

**ვინოკური 1923** – Винокур Г.О., О революционной фразеологии (Один из вопросов языковой политики), ЛЕФ, № 2, с.104-118.

**კარცევსკი 1923** – Карцевский, С.И., Язык, война и революция, Берлин,.

**მოკიენკო, ნიკიტინა 1998** – Мокиенко В.М., Никитина Т.Г. Толковый словарь языка Совдепии, М.

**ოჟეგოვი, შვედოვა 2006** – С. И. Ожегов, Н. Ю. Шведова, Толковый словарь русского языка, М.

**ქეგლი 2010** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ქეგლი 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი.

**ქსე 1977** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი II, თბილისი.

**ქსე 1978** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი III, თბილისი.

**ქსე 1979** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი IV, თბილისი.

**ქსე 1985** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი IX, თბილისი.

<http://gnc.gov.ge> – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

TAMAR GUCHUA

### On the Semantic History of Sovietisms in the Georgian Language

#### S u m m a r y

The history of Sovietisms – words and phraseological units associated to the Soviet Union – begins with the October Revolution of 1917, which had a great influence on Russia's neighboring countries including Georgia. The paper deals with the semantic history of several sovietisms, which are still used in the Georgian language.

თამარ ვაშაკიძე

**ამირან პაკო სვიმონიშვილი – „სიკვდილი სურვილს  
ვერ აისრულებს“**

ამირან პაკო სვიმონიშვილის შემოქმედება პოეტურ სახეთა უკიდევანო სივრცეა, სადაც მკითხველის თვალწინ კინოკადრებივით გადაირბენს პოეტის კალმით ჩამონაკვეთული სურათები არაორდინარული ფერებითა და მუსიკით, შტრიხებითა და ტონალობებით, რომლებიც გაჟღენთილია სითბოთი – საოცარი აღქმით სამშობლოსი და დიდი სიყვარულით მეგობრებისა, მოყვასისა, მკვდრისა და ცოცხლისა – ყველასი და ყველაფრისა... ეს დიდი ნიჭია უფლისგან ბოძებული, ერთეულებს რომ ეძლევათ მხოლოდ.

პაკო უღალატო ქრისტიანია და ეს მახასიათებელი მის პოეზიას აბსოლუტურად განსხვავებულ ჭრილში წარმოაჩენს, რაც შეიგრძნობა პოეტის თითქმის ყველა ლექსში, პწკარსა თუ სიტყვაში.

თვალშისაცემია ამავდროულად ავტორის დიდი ინტელექტი და გამორჩეულად ფაქიზი წვდომა ლექსად აღსაბეჭდი სათქმელისა თუ შთაბეჭდილების:

„ზამთრის მზის სხივის მკრთალი ნაკვეთი  
ჩვილი მაცხოვრის გასდევს ყვრიმალეებს  
და კოლტს ღორისას მღვრიე მუცელში  
შავი მორევი აყირამალეებს.  
ისევ დავკარგე თვალმარგალიტი,  
მზემ მომახვედრა თვალში რქა ძოწის,  
მაშინ გიპოვი, თუ შემასწარი  
სულის და სისხლის უეცარ ქორწილს“.

ცალკე იკვეთება იოანე ნათლისმცემლის თემაც:

„და აზრამის ვრცელ ტაბლასთან ბინდში გაყურსულ  
ცოდვილთა დასებს ლაჟვარდიდან შემოტყორცნილი  
შუქით მოუხმობს იოანე ნათლისმცემელი,  
ის, ვინც მზის სულთან შეარიგა წყალთა უკუნნი...“

როცა ფიქრი „აალებულ ძაფს“ ემსგავსება, „ცივი გვამი“ კი ნისლებსდა რჩება, როცა „კანკელი უხეთოდ ქრება“ და „ვნებულს ბაგეზე შეაშრება უკანას-

კნელი სიტყვა“, ხოლო „ამბად ნათქვამი“ ჩვენი ცხოვრება მიჰყვება „აისრულ ხმებს ჩიტებისას“, პაკოს სჯერა, რომ

„სიცოცხლის იქით იცდის ცამყარი,

შვიდი ცის იქით – სატრფოს ცრემლები...“ ამიტომაც წერს დარწმუნებით: „სიკვდილი სურვილს ვერ აისრულებს...“ აღსანიშნავია, რომ ეს განწყობა სხვა ლექსებშიც აშკარად შეიგრძნობა საიმქვეყნო გზის იმედიანად (პაკოსეულად) წარმოსაჩენად, „გარდასავალი სიმშვიდის“ მოსაპოვებლად – სიმშვიდისა, რომელიც ძალიან ჰგავს შემოდგომას:

„გარდავალ მშვიდი, ვით შემოდგომა,

მზეო, სიკვდილს ნუ შეუშინდები,

ლომისკარელზე მსურს შემოდგომა

მთვარის შუქით და თეთრი შინდებით...“ სათქმელს აგვირგვინებს „შეუშინდები“ ზმნისა და მსაზღვრელ-საზღვრულის („თეთრი შინდებით“) საოცარი პოეტური შემსგავსება „შ“ ბგერის ალიტერაციითურთ.

და მაინც – „მპარავ წლებს“ უხმოდ მიაქვთ ადამიანთა გაზაფხულები და „ცივ ბილიკზე“ ერთ მშვენიერ დღეს „დაქანცული ზამთარი“ გადაიწურება, რაც დასასრულია უკვე – ეპილოგი ამქვეყნიური ყოფისა, სააქოსი, რომელიც, პოეტის თქმით, „ზღვიდან ამომსხლტარ ვეშაპს“ ჰგავს ძლიერ, შურითა და ანგარებით მოცულს – განსაკუთრებით „ნიშნისანი კვიცების“ მიმართ:

„და მკლავგაშლილი დამიხვდები, წმინდა წყვდიადი

შემოვა ცეცხლში მშვენებათა ღია კარებით,

შენს კვიცს ნიშნისანს განუმზადე გზა მირიადი,

თორემ სოფელი შესჭამს შურით და ანგარებით“, – რასაც მოსდევს კრებულის სახელწოდებად წარმოდგენილი ფრაზა – „დღეს ბედისწერაც სიმღერაა...“ ასეა მართლაც, რაკი განგება-ხვედრი, მუსიკად ხორცშესხმული (როგორც უნდა იყოს ის – მაჟორულ თუ მინორულ ტონალობებში ასახული), სიმღერაა მაინც, პაკოს ნოტებით დაწერილი.

ლექსში „სამკვიდრო“ მკითხველი ფაქტობრივად პოეტთან ერთად ფიზიკურად შეიგრძნობს ოდაში შენახულ „ახლადდადებული კვერცხის სითბოსა“ თუ კვამლისა და „გამშრალი სიმინდის სუნს“ – ამგვარი ასოციაციური განცდა მუდამ თან სდევს ამირან სვიმონიშვილის პოეზიის ლირიკულ გმირს.

ძალიან საინტერესოდ დაჩნდება პოეტის ფურცლებზე ის ტკივილი, რომელიც ეუფლება მას ადამიანების წასვლისას: „ჩატეხილი რითმაში ქარი – განწყობა ჩემი“, – წერს პაკო, რასაც მოჰყვება საოცარი პოეტური შეფასება სხვაგანზომილებიანი სამყაროსი, რომელიც სიზმრებს იქით სუფევს ამოუცნობი იდუმალებით:

„ვიღაც წავიდა,

სიზმრის იქით ღამე იხილა...“ ამ სიზმრისიქითა ღამის ხილვის შემსუბუქებას ეჭიდება არაერთგზის პოეტი, თუმცა ეს ღამე გაცილებით იოლი ჩანს იმ მდგომარეობასთან შედარებით, აქ ყოფნის ტკივილი რომ ჰქვია სახელად – იქ მყოფთა არყოფნით გამოწვეული.

შეუდარებელი პოეტურობით ხიზლავს მკითხველს „კაი ყმათა“ წასვლით აღძრული გლოვა. ლექსში „მინდიას დედის ტირილი“ სარითმო ერთეულები ისეა გაწყობილი პჭკარის დასაწყისი და ბოლოკიდური სიტყვების მიხედვით, რომ იქარგება აბსოლუტურად განსხვავებული ჩარჩო სალექსო ეპიზოდისა, საიდანაც მდინარესავით მოედინება დედის გლოვა:

„დარო ამინდო ჩემ თვალთა,  
მზეო, სადით სად მიიწურები,  
მინდო, ხმა აჰგლეჯს სიმუქეს მინდორს,  
ტყემლების სუნთქვა, თეთრი ცურები,  
ქორის კრიალა ფრთებმა მიინდო  
ელვის შემდგარი საფეხურები“.

მიმართვის ფორმებით წარმოდგენილი „ამინდო“ და „მინდო“, მიცემითბრუნვინი „მინდორს“ და ზმნა „მიინდო“ წყვეტილის ნაკვეთით არის ის პოეტურ-რიტმული ხერხემალი, რომელსაც სამოსად აცვია დედის ტირილი, ხოლო ლექსში „მიხა ხელაშვილს“ მკითხველს თავზე წამოადგება „ყორნის ფრთებით“ „დახეული ღამე“ და ჩაესმის „ლეწვის ხმა“ „მუხის ტოტებისა“, ამავდროულად ხედავს „წაგვირღო მზეს“ „კაი ყმისას“, იზიარებს „მუხის ანგელოზის დარდს“; უმზერს, თუ როგორ იკვეცს „სატრფო ნაწნავს თმისას“, ხოლო მამა „დარდს გულში ვერ გაიცრისა“, დედა კი ტირის „მოკლულ მიხას“:

„დახევს ღამეს ყორნის ფრთები,  
ფარავს მთვარე სახე – მისანს,  
შავი შაშვი შეხვეული  
სულს ვერ ჰგუობს ბედშავისას.  
სულს იტვირთებს შავი ცხენი,  
ვარსკვლავს ცრემლად მოსძოვს მიწა,  
ზურგი უკუდმ დაკაზმული,  
ზედ სოფელი გადაიქცა.  
მუხას ტოტი დაუღეწეს,  
მზე წაგვარეს კაი ყმისა...“

„რა ხელი ჰქონდა ჩვენთან სიკვდილს?“ – დასვამს კითხვას ამირან სვიმონიშვილი ლექსში „მწყემსის სიმღერა“ და (რაც ყველაზე მთავრია) – ხედავს მზეს „მარადი დაბრუნებისა“:

„და გზა, გაბმული ურვის სიმი,  
გაჰყვება თვალშეუვალ ზეგანს,  
შენს სიახლოვეს სინანული,

მარადი დაბრუნების მზე დგას“, თუმცა „შავი შაშვი ისევ ჩივის ყოფნის სამსალას“ – ეს წუთისოფლის სამდურავია, მუდმივი სევდა კაცობრიობისა... „ამ მკაცრ თამაშში ველარავინ შემემველება“, – აცხადებს პაკო და...

„უნდო ნაპირი აგორებულ ტალღას აქეზებს,  
ერთია სიტყვა, მონატრება, ხელის შევლება

და დანარცხება საკუთარი სულის სარკეზე“ – ყველაზე ტკივილიანი დანარცხება სხვა დანარცხებათა შორის...

სიკვდილ-სიცოცხლის პოეტურ დიალოგს ჰგავს ამირან სვიმონიშვილის შემოქმედება – ძალიან ლამაზ სამუსიკო დიალოგს, ფაქტობრივად – დუეტს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთ უსაზღვრებო მეტაფორად გაისმის ჩამოღრუბლულ ატმოსფეროში:

„ცა დაიფერფლა მოლხენილი  
ღრუბლის აუზთან  
და შემოდგომას ნეკერჩხალზე

ფეხი დაუცდა...“ და მკითხველიც მონუსხულია ნეკერჩხალზე ფეხდაცდენილი შემოდგომის ხილვით, რაც ფაქტობრივად ადამიანთა შემოდგომაა – გვიანი შემოდგომა... ზამთრისპირული... პაკო კი აგრძელებს სიტყვების ჯადოსნურად ქარგვას ცაზე „საფირონებით“, მზეზე – „ღვთიური ცრემლებით“, წყალში – „მკვრივი ნეფრიტებით“, თვალზე – „წყვდიადის ზეთისხილებით“, უპეებზე – „ლურჯი მინანქრებით“, ცრემლებზე – „აქვამარიინით“, მარმარილოზე – „მზის ნატერფალებით“, გალავანში – „მთვარის ბილიკებით“, სერზე – „ელამი ღრუბლებით“, „ისპაჰანში“ – „მარჯნის ნაპირებით“, აფრიკაში – „დედამიწის გახნილი მენჯით“... და თან გვიამბობს, თუ როგორ გაშალა „მზემ ლურჯი სუფრა“ ზღვაზე გამოდარებისას, როგორ აექცა მხარი „წეროების სამკუთხედს“, როგორ „ჰპოვებს“ „ღამე თვალეში ტყუპისცალს“, როგორ „მიჰყვება მზერა ფეხადგმულ მითებს“, როგორ „დასუნთქავს მთვარე“ „სიბნელეში თოვლიან მიწას“, როგორ „შეიხდენს“ „ველზე ცხელი ზეცის კრიალს სოსანი“ და როგორ „მოსძოვს მიწა“ „ვარსკვლავებს ცრემლად“...

განუსაზღვრელად მრავალმხრივი და ულევია პაკო ამირან სვიმონიშვილის წარმოსახვითი შესაძლებლობანი, რასაც თან დაჰყვება ლექსობრივ ჩარჩოთა ნაირსახოვნებაც... მის პოეზიაში ერთმანეთს ენაცვლება განსხვავებული რითმულ-რიტმული სტრუქტურები ამოუწურავი ნიუანსებით – მუსიკალური ტაქტების სიუხვითა და დამატკბობელი ჟღერადობით.

ლექსში „სამი მაჯამა“ ვკითხულობთ:

„ჩემი ობობა მახეს სად აგებს,  
ფორმას ფორმას რომ მიუსადაგებს,  
რბილი ხუნდებით კრავს ფრთებს, სადაგებს,  
ჭრელი პეპელა თავს აქ სად აგებს,  
ჯვრიანი ცოდვას ხომ ასად აგებს...“

გამორჩეული ხიბლი ახლავს დაქტილური რითმით გაწყობილ ლექსს – „მონადირე და თხა ნიალა“:

„ნანგა ნიალა, ნინგა ნიალა –  
მზის სამყოფელში განგან იარა,  
მეც მზედ ვიქეცი, გახსნილ იარად  
შემომიბრუნდა ნანგანიალა,  
დააპირქვავა მთვარის ფიალა,  
დიდი თვალეხი დააბრიალა...“



მაღალი პოეტური ოსტატობით არის გამართული აგრეთვე ორ- და სამ-მარცვლიან ზგერათმემსგავსებათა მონაცვლეობაზე აგებული რითმული კომბინაციები, რასაც ერთ ლექსში ზედ ერთვის „ადამის ვაშლის“ „მზედ მოსხმის“ განუმეორებელი მეტაფორული ეფექტიც:

„დარდს გაციებულ კერასთან აშლი,  
გატარებს ქარი ზედის მოსისხარს,  
შენა ხარ დილა, ადამის ვაშლი,  
ჯვარცმული ხელი მზედ რომ მოისხამს“.

საგანგებოდ აღსანიშნავია სალექსო სტრიქონის დამამთავრებელი და მომდევნო პწკარის დასაწყისი სიტყვების შიდარიტმულ ვარიაციებზე აგებული პოეტური ეპიზოდები (გარდა იმ ძირითადი რითმულ-რიტმული სტრუქტურისა, რომლითაც გამართულია ესა თუ ის ლექსი):

„მოდინარ, ლომის რბილი ნაბიჯი  
ბოლონარინჯით მოჰყვება ქედებს,  
ჩაიკრეფს ნათელს ტბა სილოამის,  
ქარი ბუდეში ეხლება ქედნებს“.

ან კიდევ:

„სამყაროს ასცდა დროის მისხალი,  
გადაიტანა ზედის ნიშნული,  
ნამდაუძვრელი იდგა სისხამი,  
ცის ხამი, სირმით დაზარნიშული“.

თვალშისაცემია აგრეთვე პოეტის მიერ არაერთგზის მოხმობილი მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებელი – ანჟამბემანი, როცა დასრულებული აზრი გადანაწილებულია ორ ან მეტ სტრიქონზე რითმულ-რიტმული ფარგლების დაურღვევლად:

„შენს სულს აღმასის ათრობს სიმკვრივე,  
სხეულს – მწვერვალი ზეცის მხილებით  
მოსული ღამე და გააკვირვე  
თვალი წყვიდიადის ზეთისხილებით“.

ანალოგიური ვითარება გვაქვს შემდეგ მონაკვეთშიც:

„ჩამოათავებს გზას შუადღე,  
დადლილ საკრავებს  
ოქროს ფულეზად გადაუყრის  
გაცრილ ვარსკვლავებს“.

ყურადღებას იქცევს ასევე ერთი პატარა ლექსი სათაურით – „სადამის CV“, რომელიც გამორჩეულია სათქმელის საანკეტო ფორმატით წარმოდგენის თვალსაზრისით:

„მისამართი – ქალაქი ური,  
 პროფესია – დიქტატორი,  
 ენები და უნარჩვევები – მშობლიურია.  
 მემკვიდრეობა – ბაღდადის კარი,  
 ჰობი – მზის ჩასვლა.  
 დანარჩენი – პირადულია“.

თუ პაკოსეულ სივის ჩარჩოს შევინარჩუნებთ, ჩემს შთაბეჭდილებასაც შეიძლება ასე ეწოდოს – „ამირან სვიმონიშვილის CV“:

მშობლიური ქალაქი – თბილისი,  
 თავად – თხემით ტერფამდე ქრისტიანი,  
 პაკო – ზედმეტი სახელი,  
 „სიკვდილი სურვილს ვერ აისრულებს“ –  
 მთავარი სათქმელი,  
 შემოქმედება – სიკვდილ-სიცოცხლის სონეტია,  
 პროფესია – ძალიან დიდი პოეტია!

### ლიტერატურა

პაკო ამირან სვიმონიშვილი, „დღეს ბედისწერაც სიმღერაა...“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2017.

TAMAR VASHAKIDZE

### **Amiran Pako Svimonishvili – “Death Cannot Obtain What It Wants”**

#### S u m m a r y

Amiran Pako Svimonishvili's works are perpetual and extensive. The reader will be able to perceive the ideas of the author like pictures painted with extraordinary colors and shades filled with wonderful music and warmth – love to the homeland, friends, ones who are dead and alive or love to everything and everyone... This is a great gift from God given only to chosen ones.

The main thing the author wants to say is that “death cannot obtain what it wants” and he represents it differently using the original rhythmic structure.

დიანა კაკაშვილი

### წარმომავლობის სახელები წოვათუშურ ენაში

წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები:

ქონების,  
უქონლობის,  
აბსტრაქტული,  
წინა ვითარების,  
მსგავსებისა და

მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები (მ. მიქელაძე 2011: 228).

ვფიქრობთ, მათ გვერდით უნდა გამოიყოს წარმომავლობის, სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებიც.

ჩვენი კვლევის მიზანია გამოვავლინოთ, მოცემულ ეტაპზე რა მორფოლოგიურ საშუალებებს იყენებს წოვათუშური ენა ადამიანისა თუ ნივთის წარმომავლობის აღსანიშნავად და სატომო სახელებად.

საანალიზოდ გამოყენებულია გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან, ტექსტებიდან, ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან და კითხვარებიდან გამოკრებილი შესაბამისი მასალა. ვიმუშავეთ 15 რესპოდენტთან, რომელთაგან ყველაზე ახალგაზრდა იყო 56 წლის, ყველაზე ხნოერი კი – 86 წლის. მათი ენობრივი კომპეტენციის დონე, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მაღალია.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის მიხედვით წარმოქმნილი სახელები წოვათუშურ ენაში მხოლოდ ერთ სახეს-სუფიქსურს გვიჩვენებენ. გამონაკლისს არც მოცემული შემთხვევა წარმოადგენს. სადაურობის აღსანიშნავად რამდენიმე სუფიქსი გვაქვს: **-ოვ**, **-რე<sup>5</sup>**, აგრეთვე გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის **-ა<sup>5</sup>/ი<sup>5</sup>/ე<sup>5</sup>** ნიშნები. ისინი დაერთვიან ადგილის აღმნიშვნელ სახელებს და უჩვენებენ კონკრეტული ადგილის მკვიდრს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სუფიქსები განაწილებულია იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ კლასს განეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა. **-ოვ** სუფიქსი მხოლოდ მამაკაცის კლასის სახელთა სადაურობის აღსანიშნავად გვხვდება, სადაც კლასზე მხოლოდ -ვ მიუთითებს. მაგ.,

ჩინლ-ოვ „ჩინელი“ (შდრ. ჩინეთ „ჩინეთი“);  
ქიზყ-ოვ „ქიზიყელი“ (შდრ. ქიზიყ „ქიზიყი“);  
ქალქ-ოვ „ქალაქელი“ (შდრ. ქალიქა, ქალაქა „ქალაქელი“);  
ფჰეხ-ოვ „სოფელი“ (შდრ. ფჰე „სოფელი“);

სომეხ-ოვ „სომეხი“ (შდრ. სომხითნ“სომხეთი“) და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საქმე ეხება ქალისა და ბავშვის წარმომავლობის აღნიშვნას, კლასის ნიშანი კი არ იცვლება და შესაბამისად არ დაერთვის-დ და -დ მარკერები, არამედ მათი წარმომავლობა გამოიხატება უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც კუთვნილების გამომხატველია ანდა -რე<sup>ნ</sup> სუფიქსით. მაგ.,

ქისტა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „ქისტი ქალი“;  
 სიღნაღრე<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „სიღნაღელი ქალი“;  
 მოსკოვრე<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „მოსკოველი ქალი“;  
 იმერლობა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> - „იმერელი ქალი“;  
 რუსა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „რუსი ქალი“;  
 სპარსა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „სპარსი ქალი“;  
 სომხოვა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „სომეხი ქალი“;  
 სონა<sup>ნ</sup> ფსტუნ<sup>ნ</sup> „სვანი ქალი“ და სხვ.

ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება წარმომავლობის/ეთნიკურობის აღმნიშვნელ სახელებთან არც ქართული ენისათვისაა უცხო. მაგ., ლეკის ქალი, რუსის ქალი, თათრის ქალი, სომხის ქალი, ჩერქეზის ქალი, ჩეჩნის ქალი და სხვ. როგორც ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემები გვეუბნება, ეს ფორმა აქაც უმთავრესად მხოლოდ ქალთა და ბავშვთა წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება, ძალიან იშვიათად კაცის. მაგ., რუსის ქალი გამოყენებულია 36 შემთხვევაში, რუსის კაცი -3; სომხის ქალი 12 შემთხვევაში, კაცი - 0; ჩერქეზის ქალი - 8, კაცი - 0; ოსის ქალი - 3, კაცი - 1; თათრის ქალი - 4, კაცი - 1.

რა ჯგუფის სახელების წარმომავლობა, ქალთა და ბავშვთა მსგავსად აღინიშნება ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის -ა<sup>ნ</sup> სუფიქსით, მაგ.,

თურქა<sup>ნ</sup> მოჯ „თურქული სიმღერა“;  
 სპარსა<sup>ნ</sup> ჩაკუ „სპარული სკამი“;  
 ლეკა<sup>ნ</sup> ჩხინდურ „ლეკური წინდა“;  
 სვანა<sup>ნ</sup> თუჯ „სვანური მარილი“ და სხვ.

მოცემულ ფორმებს თავისუფლად ენაცვლება ქართული -ურ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები. მაგ.,

სვანურ თუჯ „სვანური მარილი“;  
 შობურ ნაჩხ „ფშაური ყველი“;  
 სპარსულ ჩაკუ „სპარსული სკამი“;  
 მოხეურ ნაჩხ „მოხეური ყველი“;  
 ლეკურ ჩხინტურ „ლეკური წინდა“  
 კობურ მოჯ „ქართული (კახური) სიმღერა და სხვ.

ამავე სემანტიკური ჯგუფის მეორე მაწარმოებლად გვხვდება -რე<sup>ნ</sup> სუფიქსი, რომელიც ძირითადად რა ჯგუფის სახელთა წარმომავლობას აღნიშნავს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კლასის ნიშანი განზოგადებულია და იგი იხმარება ყველა კლასის მარკერად. მაგ., ფჰერენ მეჯ „სოფლური/სოფლის ტახტი“, მაგრამ ფჰე-რე<sup>ნ</sup> სტაკ/ფსტუნ<sup>ნ</sup> „სოფლელი ქალი/კაცი“; ქალქი-რე<sup>ნ</sup> „ქალა-

ქელი/ქალაქური”; ლომ-რე<sup>5</sup> „მთიელი/მთისა” და სხვ. ამგვარად, სახეზეა გრამატიკულ კლასთა უნიფიცირების ტენდენცია. ჩანს, რომ ნათესაობითი ბრუნვა თანდათან იფართოებს ფუნქციონირების არეალს, ყველაზე ხშირად სწორედ ამ ბრუნვის ნიშანი გვხვდება სხვადასხვა კლასის სახელთა წარმომავლობის საწარმოებლად. იშვიათად შეიძლება -რე<sup>5</sup> სუფიქსმა შეითავსოს მამაკაცის კლასის სახელთა აღნიშვნა, მაგრამ -ოვ უფრო ნაკლებად გამოიყენება სხვა ჯგუფის სახელთან, მაგ., ჩაჩნოვ ფსტუმნ<sup>6</sup> „ჩეჩენი ქალი”, სომფხოვ ფსტუმნ<sup>6</sup> „სომეხი ქალი” მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაში დასტურდება.

წოვათუშური ენის კლას-კატეგორიების ნიველირებისაკენ მიდრეკილებას აღნიშნავდა ნიკო ქადაგიძე ჯერ კიდევ 1953 წელს თავის საკანდიდატო დისერტაციაში „გრამატიკული კლასები წოვათუშურ (ბაცბურ) ზმნაში (ზმნის სხვადასხვა კატეგორიასთან და შესაბამის კონსტრუქციასთან დაკავშირებით)“. იგი წერს: – „ახლა წოვებისათვის უცხოა საგანთა დაყოფის უწინდელი პრინციპები, რამაც კლას-კატეგორიის სისტემა შეარყია. სუფიქსი -ვ მხოლოდ მამრობითი სქესის ადამიანს აღნიშნავდა. ბაცავ წინათ ნიშნავდა მხოლოდ მამაკაც წოვას, ახლა კი ქალსაც ასე აღნიშნავენ“ (ქადაგიძე 1953 :XXII). მისი აზრით, ეს პროცესი გრამატიკულ კლასთა აბსოლუტური გაქრობით დასრულდება – „ნაცვლად დღევანდელი კნათ წეგვალი<sup>5</sup>, მოჰა წეგვალი<sup>5</sup>, ბადრე წეგვალი<sup>5</sup>, ბებერ წეგვალი<sup>5</sup>, ოდესმე ალბათ გვექნება, კნათ, მოჰა, ბადრე, ბებერ წეგვალი<sup>5</sup> – ბიჭი, ქალი, ბავშვი, ბებერი გაწითლდა. ე.ი. ზმნაში დაგვრჩება მხოლოდ დ – უფუნქციოდ, რადგანაც კლასები აღარ იქნება“ (ქადაგიძე 1953: XXXII).

წოვათუშურ ენაში გრამატიკული კლასის მარკერები უგამონაკლისოდ მხოლოდ პრეფიქსებად გვხვდება. სუფიქსური კლასიფიკატორი მხოლოდ მოცემულ შემთხვევაშია წარმოდგენილი გაქვევებული ფორმით. შესაძლოა ექვექვემ დადგეს მოცემული -ვ-ს გრამატიკულ კლასნიშანთან კავშირი, თუმცა ეს არ ცვლის მოცემულობას, გრამატიკული კლასის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის რყევას.

სადაურობის აღსანიშნავად გრამატიკული კლასის ნიშნების გამოყენება არც სხვა ჩრდილოკავკასიური ენებისთვისაა უცხო. შდრ. ჩეჩნური: ბალჯარ-ჟო „ბალყარელი“, ნოხჩ-ჟო „ჩეჩენი“, სადაც -ჟო მომდინარეობს -აჟ- ისაგან. იგულისხმება, რომ -ჟო <- ჟა <- აჟ (// ა- ჟ), თუმცა წოვათუშურის ახლომონათესავე ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებში თანამედროვე ეტაპზე მოცემული სახელები არ არის დიფერენცირებული კლას-კატეგორიის მიხედვით. ნოხჩ-ჟო არის როგორც ჩეჩენი ქალი, ასევე ჩეჩენი კაცი, ლოამარო (ინგ.) „მთიელი“, გურჟდე „ქართველი“. საზოგადოდ, ჩერჩნურსა და ინგუშურში ზედსართავ სახელთა მხოლოდ 10 პროცენტი ითანხმებს სახელს გრამატიკული კლასის მიხედვით (ნიკოლსი 2011: 223), ისიც პირველად, ძირეულ ზედსართავ სახელებში, წარმომავლობის სახელები კი ნაწარმოებ ზედსართავ სახელებს წარმოადგენენ.

**-რე<sup>6</sup>** სუფიქსი უკავშირდება თანდებულს. იგი რ. გაგუას განხილული აქვს როგორც ქართული –დან, –თან თანდებულების შესატყვისი. თუმცა ეს არ გახლავთ **-რე<sup>6</sup>** სუფიქსის ერთადერთი ფუნქცია. იგი ასევე აწარმოებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ სახელებს., მაგ., ბაყორე<sup>6</sup> – „კვიციანი“, ბჰნარე<sup>6</sup> „წვერიანი“, გაჭგარე<sup>6</sup> – „მუხლიანი, მუხლმაგარი, მარდი“.

სადაურობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ შეიძლება ნაწარმოები იყოს არა მხოლოდ ეთნიკური სახელისაგან, არამედ ადგილის სახელისგანაც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სათანადო ტოპონიმი, მაგ.,

ახმიტ - რე<sup>6</sup> ფსტუმან – „ახმატელი ქალი“;

ახმეტლ - ოვ სტაკ – „ახმეტელი კაცი“;

თელვო - რე<sup>6</sup> - ფსტუმან – „თელაველი ქალი“;

თელვ-ოვ სტაკ – „თელაველი კაცი“ და სხვ.

ზემოთ მოყვანილი სუფიქსებით ნაწარმოები ეთნონიმების გარდა გვაქვს ქართულიდან ნასესხები ისეთი წარმოების სახელებიც, რომლებიც არ არის გაფორმებული არანაირი დერივატიით. მაგ., რუს „რუსი“; ლევ „ლევი“; ქისტ „ქისტი“ დასხვ.

## ლიტერატურა

**მიქელაძე 2011** – მ. მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, თბილისი.

**მიქელაძე 2011** – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი, წოვათუშური ტექსტები, თბილისი.

**ქადაგიძე 2009** – ე. ქადაგიძე, წოვა-თუშური ტექსტები, თბილისი.

**ქადაგიძე 1953** – ნ. ქადაგიძე, გრამატიკული კლასები წოვათუშურ (ბაც-ბურ) ზმნაში (ზმნის სხვადასხვა კატეგორიასთან და შესაბამის კონსტრუქციასთან დაკავშირებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი;

**ქადაგიძეები 1984** – დ. ქადაგიძე, ნ.ქადაგიძე- წოვა-თუშურ- ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭრელაშვილი 2002** – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.

Nichols J 2011 – Ingush Grammar, California.

DIANA KAKASHVILI

**Nominals Denoting Origins in the Tsova-Tush Language**

## S u m m a r y

In the word formation system of the Tsova-Tush language, nominals denoting origins should be separately distinguished next to the other semantic groups. Just like other cases, a single suffix participates in the formation – the markers **-ov**, **-re<sup>n</sup>** as well as the suffix of the genitive case **-a<sup>n</sup>/i<sup>n</sup>/e<sup>n</sup>**. They attach to the place names and denote a resident of a particular place, e.g. činl-ov “Chinese” (cf. činct “China”); kizq-ov “Kizik” (cf. kiziq “Kiziki”); kalk-ov “city-bred” (cf. kalika, kalayka, “city-bred”); ph<sub>ə</sub>cx-ov “countryman” (cf. ph<sub>ə</sub>c “countryman”), etc. ph<sub>ə</sub>c-re<sup>n</sup> “countryman”; kalki-re<sup>n</sup> “city-bred”; lom-re<sup>n</sup> “mountain person”, etc. In some cases the suffix **-re<sup>n</sup>** forms the words denoting the origin of the things that do not belong to the class of humans, e.g. kalkirc<sup>n</sup> also means urban/citish.

Apart from the ethnonyms formed with the said suffixes, we have nominals having no affixes that have been borrowed from Georgian, e.g. rus “Russian”; ləḵ “Dagestanian”; kiṣṭ “Kist”, etc.

მაკა ლაბარტყავა

**ენ-ზე ფუძედაბოლოებული რამდენიმე სახელის  
მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში**

„ენობრივი სისტემა უცვლელი როდია: დროთა ვითარებაში ამ სისტემის ყოველი რგოლი მეტ-ნაკლებად იცვლება. იცვლება არა მხოლოდ სიტყვათა მარაგი და მნიშვნელობა, არამედ მორფოლოგიაც, სინტაქსიც, ფონეტიკური წესები, თვით ბგერითი შედგენილობაც კი...“ – აღნიშნავს არნ. ჩიქობავა. ჩვენი მიზანია, სწორედ იმ ფონეტიკური ცვლილებების ჩვენება და გათვალისწინება (ორთოგრაფიულ ლექსიკონში), რაც თანამედროვე ქართული ენის ვითარებამ ცხადყო.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხმოვნის დასუსტება და მისი უმარცვლოდ ქცევა ან მისი სრული ამოღება განსაზღვრულ პირობებში ხდება, სახელდობრ, მხოლოდ მაშინ, როცა ფუძეს სუფიქსად დაერთვის ისეთი მაწარმოებელი ელემენტი, რომელიც ხმოვნით იწყება. ფუძე შეიძლება შეეკუმშოს სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა დაბოლოების მქონე სახელებს, მაგრამ უმთავრესად ისეთებს, რომელთაც ფუძე უბოლოვდებათ შემდეგ მარცვლებზე: **ალ** (წყალი – წყლისა, ხანჯალი – ხანჯლისა...), **ელ** (მღვდელი – მღვდლისა, ფურცელი – ფურცლისა...), **ან** (დერეფანი – დერეფნისა, მტევანი – მტევნისა...), **ენ** (ყურძენი – ყურძნისა, შევარდენი – შევარდნისა...), **არ** (ზღვარი – ზღვრისა, ჯვარი – ჯვრისა...), **ერ** (მტერი – მტრისა, ოხერი – ოხრისა...), **ამ** (ლაგამი – ლაგმისა, კალამი – კალმისა...), **ემ** (ირემი – ირმისა, ურემი – ურმისა...), **ოლ** (გოდოლი – გოდლისა, ფოთოლი – ფოთლისა...), **ორ** (გოდორი – გოდრისა, კოკორი – კოკრისა...)...

„თუ ფუძე რომელიმე დასახელებულ მარცვალზე ბოლოვდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უთუოდ შეიკუმშება. არა, ერთსა და იმავე მარცვალზე დაბოლოებულ ფუძეთაგან შეიძლება ერთი კუმშვადი იყოს, მეორე – უკუმშველი“ (მაგ.: **ბრძენი**, რომელიც უკუმშველადაა წარმოდგენილი ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში: **ბრძენი (ბრძენისა)**, რასაც ვერ ვიტყვით **ენ-ზე** ფუძედაბოლოებულ სხვა ლექსიკურ ერთეულებზე: **წვენი (წვნისა)**, **ძღვენი (ძღვნისა)**).

ასევე საინტერესო ჩანს უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც უკუმშველები არიან თანამედროვე ქართულ ენაში. მაგ.: **ფენი – ფენისა** [და არა: **ფნისა**], **ჯენტლმენი – ჯენტლმენისა** [და არა: **ჯენტლმნისა**], **ბიზნესმენი – ბიზნესმენისა** [და არა: **ბიზნესმნისა**], **ბიულეტენი – ბიულეტენისა** [და არა: **ბი-**



**ულეტნისა], სპორტსმენი – სპორტსმენისა [და არა: სპორტსმნისა], გობელენი – გობელენისა [ და არა: გობელნისა], პელმენი – პელმენისა [და არა: პელმნისა] და ა. შ.**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და ქართული ენის ორ-თოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ზოგი **ენ-ზე** ფუძედებოლოგებული სა-ხელი კუმშვად ფორმად არის მიჩნეული, თუმცა თანამედროვე ქართული ენის ვითარება ცხადყოფს, რომ რამდენიმე სიტყვა უკუმშველობისკენ იხრე-ბა... ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ლექსიკური ერთეულები – **ძღვენი** და **წვენი**.

ჩვენთვის ერთგვარ საყრდენს წარმოადგენს ზემოაღნიშნულ სიტყვათა სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის საძიებო სისტემის შესაბამისად და, რაც მთავარია – თანამედროვე მწერალთა ენაში.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში სიტყვა **წვენი** იკუმშება მხოლოებით რიცხვში, ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმა უკუმშველადაა წარმოდგენილი: **წვენი (წვნისა) მრ. წვენები**.

მაგალითები: „ღვინის დამზადება ყურძნის **წვნის** ან დურდოს ალკოჰო-ლური დუდილის მეშვეობითაა შესაძლებელი“, „მცირეალკოჰოლიან ხილკენ-კროვან ღვინოს იღებენ ვაშლის **წვნის** დადულებით“, „კრახუნა, ქართული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია, რომლის **წვნის** შაქრიანობა 21-24%“, „ვაშლის ღვინო, რომელსაც იღებენ ვაშლის **წვნის** დადულებით – არსებობს როგორც უალკოჰოლო, ასევე ალკოჰოლიანი“, „ღვინით მკურნალობა უკუნაჩ-ვენებია მისთვის, ვისაც აწუხებს ღვიძლი, თორმეტგოჯა ნაწლავი, კუჭის **წვნის** მაღალი მჟავიანობა“, „მცენარეთა დაავადების მიზეზია მცენარის **წვნის** გაფუჭება“...

საინტერესოა, რომ **წვენი** ყოველთვის იკუმშება სიტყვაწარმოებისას – თუ **წვენს** დავურთავთ **-იან** სუფიქსს, ლექსიკური ერთეული შეკუმშული ფორმით წარმოგვიდგება – **წვნიანი**. მაგ., „დღეს მენიუში გვექნება კრევეტის **წვნიანი** და ქათმის მაფინები“, „თვალი გაუნათდება და საუცხოო არომატებით გაჯერებული **წვნიანი** წარმოუდგება თვალწინ“, „მოიტანეს მისი აღმატებულე-ბა ხინკალი – პრიალა ცომით და **წვნიანი** გულით“, „გთავაზობთ მსოფლიოში პოპულარული ჩინური **წვნიანის** „სუან ლა თანგის“ რეცეპტსა და მომზადების წესს“, „ძალიან მიყვარს ეს **წვნიანი**, გამაგრილებელი, სასარგებლო, გემრიელი – ნამდვილად უხდება ზაფხულის ცხელ დღეებს“, „ჯადოსნური **წვნიანი**, რო-მელიც წვავს ცხიმს მისწრებაა მათთვის, ვისაც წონაში დაკლება სურს“...

**წვენი** არ იკუმშება მრავლობით რიცხვში, არც ქართული ენის განმარტე-ბითი ლექსიკონის და არც ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მი-ხედვით. მამასადამე, გვაქვს **წვენები** კი არა **წვენები**.

მაგალითები: „ნედლი ბოსტნეულისა და ხილის **წვენები** დიდი რაოდე-ნობით ვიტამინებსა და ფერმენტებს შეიცავს“, „ქართული ნატურალური **წვე-ნების** მწარმოებელმა კომპანიამ „ლივო“ ამერიკაში პროდუქციის საცდელი პარტია გააგზავნა“, „სითხის მიღებაში, სათვალავში უნდა შევიყვანოთ ნების-

მიერი სითხე, ჩაის, ყავის, **წვენების...** ჩათვლით“, „კომპანია TESSA ამზადებს მინი ქარხნებს ნატურალური **წვენების**, ნექტარის და გამაგრებელი სასმელების წარმოებისთვის“, „ხილისა და ბოსტნეულის **წვენების** მიღება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია“, „გთავაზობთ რამდენიმე სახეობის ხილისა და ბოსტნეულის **წვენების** შეთავსება-შეხამებას“, „ნაბელლავის“ მწარმოებელი კომპანია „წყალი მარგებელი“ ავსტრიული ბრენდის „რაუხის“ **წვენების** წარმოებას იწყებს“...

გასათვალისწინებელია სტატისტიკაც. ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემებით სიტყვა **წვენი** უკუმშველი ფორმით (**წვენის**) დასტურდება 250-ჯერ, ხოლო **წვენი** შეკუმშული ფორმით (**წვნის**) გვხვდება 3-ჯერ. გუგლის მონაცემებით სიტყვა „**წვენის**“ დასტურდება 975000-ჯერ, ხოლო ლექსიკური ერთეული „**წვნის**“ 2950-ჯერ. როგორც ქეკის, ისე გუგლის მონაცემები ცხადყოფენ, ლექსიკური ერთეული „**წვენი**“ უკუმშველი ფორმით გაცილებით უფრო მეტია კუმშვად ფორმასთან შედარებით.

მაშასადამე, თანამედროვე ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით, **წვენი** არ იკუმშება მხოლოდით რიცხვში.

მაგალითები: „ყურძნის **წვენის** ბადაგისაგან ამზადებენ ტრადიციულ ტკბილეულს“, „მსგავსი **წვენის** გაკეთება შეიძლება ასევე ჟოლოსგან“, „უტკბილესი **წვენის** ხშირი მირთმევა წონის სიჭარბეს გამოიწვევს“, „**წვენის** ორგანულ არაშაქრებში ითვლება ცელულოზა, ინვერტული შაქარი, პექტინური ნივთიერებები, ცხიმები...“, „საწარმო ყურძნის **წვენის** გარდა სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის **წვენებსაც** აწარმოებს“, „ალუბლის **წვენის** კონცენტრატი ჰიპერტენზიას შველის“...

რაც შეეხება სიტყვას **ძღვენი**, ქველში ის შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **ძღვენი (ძღვნისა)** „საჩუქრად მირთმეული რამ, – მოსაკითხი“. ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც: **ძღვენი** (ძღვნისა), **ძღვნად**.

მაშასადამე, **ძღვენი** (ისევე როგორც **წვენი**), ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც კუმშვადი სახელია.

მაგალითები: „ცოდნის შესამენად აუცილებელია ღვთის **ძღვნის**, მისი სიტყვის გულმოდგინედ შესწავლა“; „იმას **ძღვნის** დარდი არა აქვს, აივანზე დგას მდუმარე, – და ისევ ჩიბუხსა ჰსუტავს, სახით ქუში და მჭმუნვარე“; „ქართველები ზავზე დათანხმდნენ და თავრიზელებმა აღუთქვეს მორჩილება და ძვირფასი **ძღვნის** მირთმევა, „ახლა უნდა მოხდეს **ძღვნის** გადატანა სამკვეთლოდან ტრაპეზზე აღსავლის კარების გავლით“, „სიტყვის გატეხვა მირთმეული **ძღვნის** მოპარვა“.

აგრეთვე **ძღვენი** კუმშვადია მხოლოდითი რიცხვის ვითარებით ბრუნვაში – **ძღვნად** – „მოციქულების დროს სასწაულებრივი განკურნება წმინდა სულის ერთ-ერთ **ძღვნად** ითვლებოდა“; „ჯვარი – უდიდესი დაცვაა, გლახაკთათვის **ძღვნად** მოცემული და უძლურთათვის უშრომელად ბოძებული!“; „მე

შემომდგენეს რამაზისგან **ძღვნად** საჭურჭლე საშინელი“, „საქართველოს „სამეფო ოჯახმა“ დედოფალ ელისაბედ II-ს **ძღვნად** სამეფო ორდენი გადასცა“...

ლექსიკური ერთეული **ძღვენი** ყოველთვის იკუმშება ნასახელარ ზმნებში: **უძღვნის, მიუძღვნა**: „ხინკალი მთის ხალხს ეკუთვნის და მას რომელი კუთხის ხალხი რა ლექსს **მიუძღვნის** მნიშვნელობა არა აქვს“, „ნორმანდია მთელ ზაფხულს შუა საუკუნეების ტურიზმს **მიუძღვნის**“, „სავარაუდოა იტალიელმა ნახევარმცველმა მთელი კარიერა ფრანგულ გუნდს **მიუძღვნას**“, „პოპულარული ტელეკომპანია ევრონიუსი ბათუმს ვრცელ რეპორტაჟს **უძღვნის**“, „კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ ოქროს გამარჯვებას სამშობლოს **უძღვნის**“... ძღვენი ასევე იკუმშება მიმღებებში – **მისაძღვნელი, მიძღვნილი**: „მან კარნეგი ნიუ-ჯერსიში ჩაიყვანა, სადაც სასწავლო დაწესებულებისთვის **მისაძღვნელი** საჩუქრის თაობაზე უნდა ემსჯელათ“, „ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი **მისაძღვნელი** ალღუმის ჩაშლა არის დანაშაული!!!“, „ქალთა საერთაშორისო დღისადმი **მიძღვნილი** კონცერტი თავდაცვის სამინისტროში გაიმართა“, „კულტურის სახლში გენდერული თანასწორობის დღისადმი **მიძღვნილი** ტრენინგი გაიმართა“, „ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი **მიძღვნილი** სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა“...

საყურადღებოა ერთი საინტერესო გარემოება, ვითარებით ბრუნვაში სიტყვა „**ძღვენი**“, როგორც წესი, შეკუმშულია – **ძღვენი – ძღვნად**, ხოლო მოქმედებით ბრუნვაში – უკუმშველი – **ძღვნით** კი არა – **ძღვენით**. მაგ.: **ძღვენით** მივიდა, მაგრამ **ძღვნად** მიართვა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მონაცემებით სიტყვა „**ძღვენის**“ 71 შემთხვევა დასტურდება, ხოლო ლექსიკური ერთეული „**ძღვნის**“ – 15-ჯერ გვხვდება. გუგლის მონაცემებით სიტყვა „**ძღვენის**“ 13900 შემთხვევა გვაქვს, ხოლო ლექსიკური ერთეული „**ძღვნის**“ 5920 -ჯერ გვხვდება.

მაშასადამე, თანამედროვე ქართული ენის ვითარება ცხადყოფს, რომ ლექსიკური ერთეული **ძღვენი** უკუმშველობისაკენ იხრება. მაგალითები: „**ძღვენის** მიღება-გაცემა საკარო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო“, „ამ **ძღვენის** მირთმევა არ იყო იოლი“; „მას მუდმივად სჭირდება ქალღმერთივით **ძღვენის** მირთმევა“ და მრავალი სხვა...

იგივე ითქმის მოქმედებითბრუნვიან **ძღვნით//ძღვენით** ფორმის შესახებაც. როგორც გუგლის, ისე ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით ლექსიკური ერთეული **ძღვენი** უკუმშველი ფორმით (**ძღვენით**) გაცილებით მეტია კუმშვად ფორმაზე (**ძღვნით**).

მაგალითები: „**ძღვენით** მიადგა მეგობარს“, შდრ.: „ჰაბიბ იბნ მასლამას სტეფანოზ ერისმთავარმა საზღვართან შეაგება ელჩი **ძღვნით** და მორჩილება აღუთქვა; „ისევ **ძღვენით** მისვლა გადავწყვიტე“, შდრ.: „და მოგეგებათ პატივი შენცა და შენს შვილებსაც ოქრო-ვერცხლითა და ურიცხვი **ძღვნით**“; „მთავრობის სხვა წარმომადგენლები მრევლს საშობაო **ძღვენით** შეხვდნენ“, შდრ.: „იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემით და **ძღვნით** დაუხვდა დიდებულ სტუმარს“; „დიაოხის მეფე ასია **ძღვენით** ეახლა მისი ქვეყნის საზღვრებთან

გამოჩენილ ასურეთის მეფე სალმანასარ III-ს და მორჩილება გამოუცხადა“, შდრ.: „რა ძღვენიც მიიღეთ თითოეულმა, იმ **ძღვენი**თ ემსახურეთ ერთმანეთს“...

ბუნებრივია, დაისმის კითხვა – რა სახით შევთავაზოთ დაინტერესებულ პირს **წვენი** და **ძღვენი** ლექსიკური ერთეულები თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში? **წვენი – წვენის**, თუ **წვენის, ძღვენი – ძღვენის**, თუ **ძღვენის**?

რა თქმა უნდა, ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენისას უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში,

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად,

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით [ჩიქობავა 2011: 235].

ვფიქრობთ, სავსებით გამართლებულია **წვენი** და **ძღვენი** სიტყვების უკუმშველი ფორმით წარმოდგენა თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში [**წვენი (წვენის)**, **ძღვენი (ძღვენის)**] რის საფუძველსაც უდავოდ იძლევა თანამედროვე ქართული ენის ვითარება.

### ლიტერატურა

**კვაჭაძე 2001**– ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**ფოჩხუა 1996** – ბ. ფოჩხუა, ინვერსიული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეიკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჩიქობავა 2011**– არნ. ჩიქობავა, შრომები, V, თბილისი.

MAKA LABARTKAVA

### On the Orthography of Some Nouns that Include Bases Ending with *-en*

#### S u m m a r y

The paper analyzes the problem of syncopation of several nouns (**წვენი** “juice” – **წვენის** or **წვნის**; **ჟვენი** “offering” – **ჟვენის** or **ჟვნის**) the bases of which end with *-en* using the statistical data of the modern Georgian language. It gives nonsyncopal variants (not **წვნის** but **წვენის**; not **ჟვნის** but **ჟვენი** – **ჟვენის**) of these forms that need to be taken into consideration.

რომან ლოლუა

**საერთოლენოვანი ლექსიკა კავკასიის  
ალბანურში<sup>1</sup>**

კავკასიის ალბანური ენის ლექსიკა კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს ავლენს სხვა ლენოვანი, დალესტურ და იბერიულ-კავკასიური ოჯახის სხვა ჯგუფების ენებთან. კავკასიის ალბანურში საერთოლენოვანი ლექსიკას განეკუთვნება ადამიანის სხეულის ნაწილების, ნათესაობის, ადამიანის საქმიანობისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი და ადამიანთან დაკავშირებული სხვა სახელები, ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სახელები, ნაგებობების, სურსათის, დროის ერთეულების, არაცოცხალი ბუნებისა და მის მოვლენათა აღმნიშვნელი სახელები, ნაცვალსახელები (პირის, ჩვენებითი, უკუქცევითი, კითხვითი), რიცხვითი სახელები (ერთიდან ცხრამდე, ათი, ოცი, ასი), ძირითადი ზედსართავი სახელები, ზმნისართები, ზმნები, ნაზმნარი სახელები...

ბგერათშესატყვისობათა ფორმულებში კავკასიის ალბანური და უდიური, იშვიათი გამონაკლისების გარდა, წარმოდგენილია ერთნაირი რეფლექსებით. ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა კავკასიის ალბანურისა და უდიურის ფონოლოგიური სისტემები, იდენტურად წარმართა. აფრიკატებში უნდა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ფონეტიკური ცვლილებები: დაიკარგა სუსტი (როგორც გლოტალური, ისე არაგლოტალური) აფრიკატები ანლაუტსა და ინლაუტში. უდიურში ეს პროცესი დასრულდა, ხოლო კავკასიის ალბანურში დასრულების სტადიაში იყო. აუსლაუტში მოხდა სუსტი არაგლოტალური აფრიკატების სპირანტიზაცია, ხოლო სუსტი აბრუპტიული აფრიკატები უცვლელადაა შემორჩენილი. რაც შეეხება ინტენსიურ აფრიკატებს, ისინი შემონახულია ორივე ენაში, იმის გათვალისწინებით, რომ ინტენსივობის მიხედვით კორელაცია მოიშალა. ამას გარდა, ორივე ენაში მოხდა მჟღერი აფრიკატების სპირანტიზაცია. ლატერალური აფრიკატები გადავიდნენ შესაბამის უფულარულ აფრიკატებში (\*ლ-ს გარდა, რომელმაც სპირანტიზაცია განიცადა).

ხშულ-მსკდომები ძირითადად უცვლელადაა დაცული, თუ არ ჩავთვლით \*გ ბგერას, რომელიც კავკასიის ალბანურსა და უდიურში, როგორც წესი, გვამლევს კ-ს.

<sup>1</sup>კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №YS-2016-45 „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“).

სპირანტებში ორი ძირითადი ცვლილება განხორციელდა. მოიშალა ინტენსივობის მიხედვით კორელაცია და ლატერალური სპირანტები გადავიდნენ ყრუ უვულარულ სპირანტში (ხ).

სონორები ძირითადად უცვლელადაა დაცული.

**შესატყვისობათა ფორმულების სინოპტიკური ტაბულა**

ს.-ლეზბ.	ლეზბ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	უდ.	კავგ. -აღბ.
*ა	ა ა ე ა	ა უ ა/ა ა/ე	ა აუ ა/ა ე	ა უ ა ე/ა	ა ა/ო ა ა	ა/ა ა/უ ა/ა/ე/ი ა	ა უ ე ა	ა/ა უ (ა/ე) ა ა	ა ა (ო) ა ა	ა უ (ი) ა/ო ე	ა ? ა ა
*ე	ე ე	ე უ/უ	ე უ/უ/ი	ე/ი უ/ე/ა	ე/ი ე	ე ა	ე ა	ე უ	ა ე/ი	ე უ	ე უ
*ი	ი	ი	ი	ე/ი	ე/ი	ი	ი	ი	ი	ი/ე	ი
*უ	უ უ	უ უ/უ	უ უ/უ	უ/ე უ/ი	უ/ე ი/ე/ო	უ/ე უ/ი	უ უ/ი	უ/ე/ი/ა/ა ი	უ/ო ი/უ/ო/ა	უ/ო უ/ი	უ უ
*ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ/ბ	ბ	ბ	ბ
*ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
*ღ	ღ/თ/ ტ/თ/ ც/წ/ც	ღ	ღ	ღ/თ	ღ/(ნ)	ღ	ღ	ღ/(ნ)/თ ჩ/ა	ღ/(ნ)/თ	ღ/(ნ)/ა	ღ/ (წ)
*თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ
*ტ	ტ/წ	ტ/წ/ჭ	ტ/თ/წ	ტ/დ	ტ/ა	ტ	ტ	ტ/ს	ტ	თ/ა	ტ
*გ	გ/ქ	გ	გ	გ/ქ	გ	გ	გ	გ/ქ/კ	გ/ქ/ქ	გ/ქ	გ/კ
*ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
*კ	კ/ქ	კ	კ	კ/ქ	კ	კ	კ	კ/ა	კ	ქ	კ
*ძ	ძ/ზ/ ც	ძ/ზ	ძ/ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ძ/ც/წ	ც/ც	ზ/ც	ზ
*ც	ც/ს	ც/ს	ც/ს	ც/ს	ც/ს	ს	ც/ს	ც/ს/შ	ს	ც/ს/შ	ც/ს
*ც	ზ/ყ/გ	ჩ	ც/ჩ	შ	ც/ჩ	შ	შ	ც	ს/შ	ჩ	ჩ
*წ	წ/ც	წ	წ	წ/ს	წ/ს	წ	წ/ჭ	წ/ჭ	წ	ც/ა	წ/ა
*წ	თ/ტ/ წ	ც/ჩ <sup>ა</sup>	თ/ტ/თ	თ/თ/ ღ	თ/თ/ღ	თ	თ	წ	წ	ც/ჩ <sup>ა</sup>	წ
*ჯ	ჯ/ჩ/ჭ	ჯ/ჩ/ ჩ <sup>ა</sup>	ჯ/ჩ	ჯ/ჩ/ჭ/ ა	ჯ/ჭ	ჯ/ჩ <sup>ა</sup>	ჯ/ჩ/ ჭ	ჯ/ჩ/ჭ	ჩ/ჭ/ა	ჯ/ჩ/ჩ <sup>ა</sup>	ჩ/ჩ/შ <sup>ა</sup>
*ჩ	ჩ/შ	ჩ	ჩ/შ	ჩ/შ/ყ	ჩ/შ	ჩ/ყ	ჩ	ჩ/ყ	შ	შ	ყ(←)შ
*ჩ <sup>ა</sup>	ჩ	ჩ	ჩ	შ	ჩ/შ	?	ჩ	ჩ <sup>ა</sup>	შ	ჩ	ჩ/შ <sup>ა</sup>
*ჭ	ჭ	ჭ/ჩ <sup>ა</sup>	ჭ	ჭ	ჭ	ჭ/წ/კ	ჭ	ჭ/ა/კ	ჭ	ჩ/ა	ა/ჭ?
*ჭ <sup>ა</sup>	ჭ	ჩ <sup>ა</sup>	ჭ	ჭ/ჩ	ჭ	ჭ/ჩ	ჭ	ჭ	ჭ/ჭ	ჩ <sup>ა</sup>	?
*ღ <sup>ა</sup>	ღ/ქ	ღ    გ	ბ/ღ	ბ/ღ/ა	ღ/ღ	ღ/ჯ	ღ/ჯ	კ	ღ	ღ/ღ	ღ/?
*ღ <sup>ა</sup>	ღ    გ	ბ	ბ	ბ    ჰ	ბ	ბ	ბ	ქ	ღ/ღ	კ	კ
*ღ <sup>ა</sup>	ქ/კ	ქ	ქ	გ/ქ	ქ	ქ	ქ	ქ/ქ	ღ/ღ	ქ	ყ
*ქ <sup>ა</sup>	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ჭ←ხ	ა/?	?	შ←ხ	ხ/ა	*ხ
*ქ <sup>ა</sup>	ღ	კ	კ	ხ	კ	ღ/ხ	ხ	ქ	ხ	კ	?
*კ <sup>ა</sup>	ყ	კ	კ	ყ	კ	ყ	ყ	კ	კ	კ/ა	*ყ/ა
*კ <sup>ა</sup>	?	?	?	ქ	ქ	?	?	?	გ (ღ <sup>ა</sup> ?)	ქ	?
*ღ	ღ/ჯ	ღ/ჯ	ღ/შ/ჯ/ ყ	ღ/ჯ	ღ/ჯ	ღ/ჯ	ღ/ჯ	ღ/ჯ/ყ	ჯ/ჩ <sup>ა</sup>	ღ/ხ	ღ
*წ	ხ/წ	ხ/წ	ხ/წ	ხ/წ	ხ/წ	ხ/წ	ხ/წ	წ	ხ	ა	ა
*წ <sup>ა</sup>	წ/ღ	წ	წ	ხ/წ	წ	ხ/ღ	წ	ქ	ხ	კ	ხ

*ყ	ყ	ყ	ყ/მ	ყ	ყ/კ	ყ	ყ	ყ/კ/ლ	ყ	ყ/ლ/ფ	ყ/ლ
*ყ	ყ/კ	ყ/ვ	ყ/ვ	ყ/ვ/ფ	ყ/ყ	ყ/ხ	ყ/ხ	კ	ყ/ფ	ყ/ვ/ყ/ფ	ყ
*ს	ს/ზ/ყ	ს/ს/ზ	ს/ს	ს	ს/ს	ს	ს/ზ	ს	ს/ს	ს/მ/ც	ს/ზ
*შ	შ	შ/ყ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ/ზ	შ/ზ
*ლ	ლ/გ	ბ	ბ	ბ/ვ	ბ	ბ	ბ	ბ	ლ	ბ	ბ
*ლ	ლ/ლ	ბ	ბ	ბ/ვ	ბ	ბ	ბ	ბ	ლ	ბ	ბ
*ხ	ლ	ხ/ვ	ხ/ვ	ხ	ხ/ვ	ხ	ხ	ხ/ვ	ხ/ვ/ვ	ხ	ხ
*მ	მ	მ	მ	მ	მ/ნ	მ	მ	მ	მ	მ/ნ	მ
*ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ/ფ	ნ
*ლ	ლ/ჟ/ბ/რ/ფ	ლ	ლ	ლ	ლ/ჟ	ლ	ლ	ლ/რ/ფ	ლ/ნ/ფ/თ/თ?	ლ	ლ
*რ	რ	რ	რ	რ	რ/ფ	რ	რ	რ/ლ	რ/დ	რ/ფ	რ

უდიურსა და კავკასიის ალბანურს შორის ამ ეტაპზე ვლინდება 233 საერთო ძირი. აღსანიშნავია რომ პალიმფსესტებში დადასტურებული კავკასიის ალბანური ენის საკუთარი ლექსიკური ფონდი შეზღუდულია და სულ რაღაც 570 ერთეულს მოიცავს. ამდენად, 233 საერთო ძირი ამ ფონდის 40.9 % შეადგენს. საკუთარი ლექსიკური ფონდის გარკვეული ნაწილი ჰპოვებს პარალელს სხვა ლენგიურ და დაღესტურ ენებში, ხოლო დაახლ. მესამედის ეტიმოლოგია დღეს ნათელი არ არის (გიპერტი და სხვ. 2009: II-74).

საყურადღებოა გლოტოქრონოლოგიის შედეგები: კავკასიის ალბანურში დასტურდება მ. სვოდემის 100 სიტყვიანი სიის 74 შესატყვისი. ამ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირების შედეგად მონათესავე ლენგიურ ენების, ხუნძურისა და ლაკურის ანალოგიურ ლექსიკურ ერთეულებთან მივიღეთ შემდეგი ლინგვისტატისტიკური მონაცემები:

უდ.	ლენგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არგ.	ხუნძ.	ლაკ.
55	36	34	36	32	30	33	30	22	29	26	25
(74.3%)	(48.6%)	(45.9%)	(48.6%)	(43.2%)	(40.5%)	(44.6%)	(40.5%)	(29.7%)	(39.1%)	(35.1%)	(33.8%)

გლოტოქრონოლოგიურ მონაცემთა მიხედვით კავკასიის ალბანურისა და უდიურის დაშლა დაახლ. 1800-1900 წლის წინ უნდა მომხდარიყო, რაც დიდად არ აღემატება იმ შუალედს, რომელიც უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის არსებობს.

წარმოგიდგინთ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს ავლენს სხვა ლენგიურ ენებთან:

**ადამიანის სხეულის ნაწილები**

**ბულ:** უდ. **ბულ** „თავი“ ~ ლენგ. **ცილ:** თაბ. **კულ:** აღ. **კილ:** რუთ. **ჰუყულ** (< \***ჰუყ-ულ**): წახ. **ჰუკულ:** კრიწ. **ყგლ, ყალი:** ბუდ. **ყგლ;** სხვ. დაღ.: ხუნძ. **ბეტერ:** ლაკ. **ბაკ...** იხ. აგრეთვე: (თალიზოვი 1980: 268, 284; ლექსიკა 1971: 107 [არგ.-ით: **ქარტი**]; გიგინეიშვილი 1977: 69; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1041 [ს.-ლენგ. \***ჰოლულ**]);

- ჩ'ა:** უდ. ჩ'ო „სახე“ ~ ლეზგ. ჩინ, ხლუტ. მიჩინ: კრიწ. იჯინ: ბუდ. იჯინ ~ ლაკ. ლაჟინ: ახვ. რიჟი „სახე“... იხ. აგრეთვე: (თალიზოვი 1960: 296; ლექსიკა 1971: 116; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 678 [ს.-ლეზგ. \*მიჩინ]);
- ფულ:** უდ. ფულ „თვალი“ ~ ლეზგ. ჭილ, ხლუტ. ულ: თაბ. ულ: ად. ულ, ბურშ. ილ: რუთ. ულ: წახ. ულ: არჩ. ლ-ურ (Pl. Tantum): კრიწ. შულ: ბუდ. შულ ~ დარგ. ჰული: ხუნდ. ბერ... იხ. აგრეთვე: (დიუმეზილი 1933: 53; ლექსიკა 1971: 106; გიგინეიშვილი 1977: 69; თალიზოვი 1980: 268; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 250 [ს.-ლეზგ. \*ც'ილ]);
- ი' „ყური“:** ი' მუხ „ყურები“: უდ. ი-მ-უხ „ყური“ ~ ლეზგ. მახ, მაფუ: თაბ. იხ, დიუბ. იუ: ად. მახურ, ფიტ. იხურ, ბურშ. იუურ, ბურკ. იუურ: რუთ. უბურ: არჩ. ია: კრიწ. იბრ: ბუდ. იბირ (ზოგიერთ ენაში Pl. Tantum) ~ ხუნდ. შინ „ყური“... იხ. აგრეთვე: (ლექსიკა 1971: 126; გიგინეიშვილი 1977: 116; თალიზოვი 1980: 274; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 240 [ს.-ლეზგ. \*ც'ამ]);
- მუხ:** უდ. მუხ „ენა“ ~ ლეზგ. მეხ, მეცაი: თაბ. მელმ, დიუბ. მილმი: ად. მეხ: რუთ. მიხ: წახ. მიხ: არჩ. მაც: კრიწ. მეხ, მიხ: ბუდ. მეხ ~ ხუნდ. მაწ... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 85; ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 127; გიგინეიშვილი 1977: 70, 84; თალიზოვი 1980: 293; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 802 [ს.-ლეზგ. \*მელცა]);
- ჰუ'კ:** უდ. უქა//უქა „გული“ ~ ლეზგ. რიკ: თაბ. იუკუტ, კუა: ად. ირკუტ, ბურკ. ირკუტ, ბურშ., ფიტ. იირკუტ: რუთ. იიკ: წახ. იიკ: არჩ. იკუტ: კრიწ. იიკ: ბუდ. იგუ ~ ხუნდ. რაკ: დარგ. ურკი... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 86; დიუმეზილი 1933: 16; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 82; თალიზოვი 1980: 289; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 678 [ს.-ლეზგ. \*იირკუ]);
- ქულ:** უდ. ქულ „ხელი“ ~ ლეზგ. ქულ „მაჯა“, „მტევანი“: თაბ. ქულ-ერ „ვაზი“: ბურკ. ქულ „ტოტი“: რუთ. ქულ-აგ „იდაყვი“: არჩ. ქულ, ქურა ~ ხუნდ. ქურ... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 69, 80; თალიზოვი 1980: 288; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 707 [ს.-ლეზგ. \*ქ'ილ]);
- თურ:** უდ. თურ „ფეხი“ ~ ლეზგ. იუთურ, ხლუტ. მათურ: თაბ. მათურ: კრიწ. მეთურ: ბუდ. მითურ: შდრ. დარგ. ურდურ „ბარკალი“ და სხვ. იხ.: (საადიევი 1969: 118; ხაიდაყოვი 1973: 29; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 674 [ს.-ლეზგ. \*მათურ])...

#### ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები

- დე** „მამა“ ~ თაბ. ადაშ: ად. დად: რუთ. დიდ: წახ. დაქ': ბუდ. ადგ: არჩ. დიმა ~ დარგ. ადა ~ ჩეჩნ. და: ინგ. და: შდრ. აგრეთვე: უდ. სემა-დე „მამამთილი“;
- ვიჩი:** უდ. ვიჩი „ძმა“ ~ თაბ. ჩ'ი, -ჩ'ი: ად. ჩუ, -ჩუ, ბურშ. ჩ'უი, ფიტ. ქუმი: წახ. ჩოყ/ჩოჯ; იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 128; გიგინეიშვილი 1977: 95; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 669 [ს.-ლეზგ. \*ჩ'ემ (< \*\*ტნ-ჩემ)])
- იშეხ** „ძმა“ ~ რუთ. შუ: კრიწ. შიდ: ბუდ. შიდ//შია: არჩ. უშ-დუ ~ ხუნდ. ვ-აც: დარგ. უზი...



- მა** „და“ ~ ლეზგ. **რუმ**: თაბ. **რიშ**: აღ. **რუმ**: რუთ. **რემ**: წახ. **იშ**: კრიწ. **რიშ**: ბუდ. **რიყ**: ხინ. **რიში** ~ ხუნდ. **ი-აც**: დარგ. **რუზი**: **რურსი**: ლაკ. **დუმ**... იხ.: (ბოკარევი 1961: 70; ლექსიკა 1971: 133; გიგინეიშვილი 1977: 95; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 669 [ს.-ლეზგ. \***ჩემ**//\***რე-ჩემ**]);
- იშუ**: უდ. ვართ.-ზინ. **იშუ** „კაცი“, „ქმარი“ ~ ლეზგ. -**უტი**, ნუტ. -**გუ**: თაბ. **ქი**: აღ. **შუი**, **შუტა**, ბურკ. **შუი**, ბურშ. **შუი**, ფიტ. **ხუი**: კრიწ. **ჭირი**: ბუდ. **ჭური** ~ ხუნდ. **ჩი**: ლაკ. **ჩუტ**... იხ.: (ხაიდაყოვი 1973: 99; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 336 [ს.-ლეზგ. \***შუი**]);
- ხიშუ**: უდ. **ხუნი** „ქალი“, „დედალი“ ~ აღ. **ხიდიულ-ჭი**: რუთ. **ხგდელ-დგ**: წახ. **ხუნაშე**: არჩ. **ლონ-ნოლ**, **ლანნა**: კრიწ. **ხიდილ**: ბუდ. **ხგდლი** ~ დარგ. **ხუნულ**... იხ.: (ლექსიკა 1971: 130; გიგინეიშვილი 1977: 73, 128; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 762 [ს.-ლეზგ. \***ლენ(ოლ)**]);
- ჩიზუხ** „ქალი“, „ცოლი“: უდ. **ჩუზუხ** (ვართ.-ზინ.), **ჩუვუხ** (ნიჯ.) ~ თაბ. **შიტ** ~ ხუნდ. **ჭუყუ**: ლაკ. **შარშა** ~ ჩეჩნ. **ზუდა** და სხვ.

#### ადამიანის მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები

- ნეპ**: უდ. **ნეფა** „სიზმარი“ ~ თაბ. **ნიტუ**: აღ. **ემკ**, ბურშ. **ნიკ**: რუთ. **ნაყ**: წახ. **ნაკ**, **ნიკენ**: არჩ. **ნაბკ**, **ნიბკი**: კრიწ. **ნეყირ**: ბუდ. **ნეყირ** ~ ხუნდ. **მაღუ**... იხ.: (ლექსიკა 1971: 148; გიგინეიშვილი 1977: 135; თალიბოვი 1980: 272; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 620 [ს.-ლეზგ. \***ნაჭლ**]);
- ყუ(ე)**: უდ. **ჭაი** (ვ.)//**ჭავ** (ნ.) „შიში“ ~ არჩ. **ილ** (**ილ** < \***ლი**) ~ ხუნდ. **ღერ-იზე** „შიშინება“...
- ხუს** „შიშშილი“: უდ. **ხუსა** „მშიერი“ ~ წახ. **მესგ-ნ**: ბუდ. **მეზ** ~ ჩეჩნ. **მაცა-ლლა** „შიშშილი“, **მაც-დალა** „მოშიება“...იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 837 [ს.-ლეზგ. \***მოსგ-** (? \***ტონსგ-**)]);
- ხელ** „მიდგომილი“: უდ. **ჯელ//ხელ** „ტვირტი“, „ბარგი“ ~ რუთ. **ხალ**: წახ. **ხეტ**: არჩ. **ხალ**: კრიწ. **ხელ**, **ხილ**: ბუდ. **ხელ** ~ დარგ. **ხალა** და სხვ. იხ.: (ლექსიკა 1971: 170; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1069 [ს.-ლეზგ. \***ხალ**])...

#### სურსათი

- \***ელ** (< **ელენ-ხიამესუნ** „დამარილება“, „შემარილება“): უდ. **ელ** „მარილი“ ~ ლეზგ. **ყელ**: თაბ. **ყილ**: აღ. **ყალ**, თფიდ. **ყალ**, ბურშ., ბურკ. **ყელ**: რუთ. **ყალ**, **ყილი**//**ყილირ**: წახ. **ყეტ**: კრიწ. **ყელ**, **ყილ**: ბუდ. **ყელ** ~ ბეჟ. **ნ-იყ-არო** „მწარე“...იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 103; თალიბოვი 1980: 267, 307; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 912 [ს.-ლეზგ. \***ყალ** „მარილი“]);
- შუმი**: უდ. **შუმი** „პური“ ~ ხლუტ. **სამ**: დიუბ. **შუმი**: ფიტ., ბურკ. **სუმ**, ბურშ. **სუმ**: რუთ. **სუმ**: მიშლ. **სომ**: არჩ. **სუმ**: კრიწ. **სუმ**: ბუდ. **სუმ** ~ ხუნდ. **სუმ**: წუდახ. **სუმა** „ნამჯა“...იხ.: (დიუმეზილი 1933: 50; ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 176; გიგინეიშვილი 1977: 71; თალიბოვი 1980: 271; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 764 [ს.-ლეზგ. \***სემ** „ნამჯა“]);
- მი**: უდ. **მი** „ქერი“ ~ ლეზგ. **ნეხუ** (ერთგვარი მარცვლეული, ლათ. *Triticum spelta*): ?არჩ. **ბუყ** ~ ანდ. **ნიხა**: ახვ. **ნიკა**: **მუყა**: ხვარშ. **ნიხა**: დარგ. **ნიკა**:

ლავ. ნეკა და სხვ. იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 92; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1058 [ს.-ლევზ. \*მუყ])...

### დროის ერთეულები

**უსენ:** უდ. უსენ „წელიწადი“ ~ რუთ. სწნ/სწდი-: წახ. სენ, გილმ. სენ: არჩ. საან: კრიწ. სწნ: ბუდ. საან, სუნუჯ- ~ ხუნძ. სონ: ლავ. შინ... იხ.: ტრუბეცკოი 1930: 83; ლექსიკა 1971: 182; გიგინეიშვილი 1977: 135; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 976 [ს.-ლევზ. \*სწნ]);

**დი:** უდ. დი „დღე“ ~ ლევზ. იჟდ, იჯა: თაბ. მიდ, დიუბ. იჯა: ად. მაღ, ფიტ., ბურკ. მაღ, ბურშ. იაჰ: რუთ. მიდ: წახ. იგდ: არჩ. იჯ: კრიწ. იიდ: ბუდ. მიდ ~ ხუნძ. ყო... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 183; გიგინეიშვილი 1977: 85; თალიბოვი 1980: 303; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 622 [ს.-ლევზ. \*იჯა]);

**შუ:** უდ. შუშე/შუშ, ვართ.-ზინ. შუ//იშო „ღამე“ ~ ლევზ. მიჰ, ხლუტ. მიჰ, ნუტ. იჟუჟუ: თაბ. იში, დიუბ. იჟი, ულძ. იში: ად. შუშ, ბურშ. იში, ფიტ. შუჰ, ბურკ. შუშ: რუთ. შუშ, იხრ. იჟუ, ხნოვ. იჟუ: არჩ. იში: კრიწ. მიჰ: ბუდ. იჟუჟუ „ღამით“ ~ ჰუნძ. ნიშე „ღამე“...იხ.: (დიუმეხილი 1933: 50; ლექსიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 94; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 524 [ს.-ლევზ. \*ციში]);

**ქაენ:** უდ. ქაი „განთიადი“ ~ ლევზ. ეჟუ: თაბ. აჟუ: ად. შაჟუ, ფიტ. ეჟუ, ბურშ., ბურკ., თგილ. ეჟუ: რუთ. აჟუ: არჩ. აჟონ ~ ახვ. ქუან „სინათლე“: ხუნძ. ქან- „ნათელი“ და სხვ. იხ.: (ბოკარევი 1961: 63; ლექსიკა 1971: 199; გიგინეიშვილი 1977: 80; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 703 [ს.-ლევზ. \*ცაჟა „სინათლე“])...

### ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სახელები

**ხოდ:** უდ. ხოდ „ხე“ ~ დიუბ. დურდ-ინ ჰარ: რუთ. ხედ: შდრ.: დარგ. ხურ, წუ-დახ. ხურ „ცაცხვი“... იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1079 [ს.-ლევზ. \*ხორთ „ცაცხვი“]);

**დურუდ** „ხე (მელი)“, „ჯვარი“: უდ. დურუთა „ხის მასალა“ ~ ლევზ. თარ: ად. დარ: კრიწ. დარ: ბუდ. დგრ „ხე“, „ტყე“;

**ო(ჰ)ე:** უდ. ო//ოი „ბალახი“ ~ ლევზ. უეყ, ხლუტ. უწყ: თაბ. უკ, დიუბ. უკუ: ად. უკ/უკ, ბურშ. იკუ: რუთ. უყ: წახ. ოკ, გილმ. ოყ: არჩ. იკოი „ზაფხულის სამოვარი“: ალიკ. ჰყყ „მდელო“: ბუდ. უყყ „სათიბი“ ~ ლავ. ჰუკ-„აფსინთი“...იხ.: (ბოკარევი 1961: 73, 74; ლექსიკა 1971: 168; გიგინეიშვილი 1977: 104; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 230 [ს.-ლევზ. \*ც“ელ“]);

**ულ:** უდ. ულ „მგელი“ ~ რუთ. უბულ: წახ. უმულ: არჩ. იამ: კრიწ. ებ: ბუდ. ებ: იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 239 [ს.-ლევზ. \*ც“ამ]);

**ლუჰ** „მტრედი“ ~ ლევზ. ლიჰ: ად. ლუჰ: რუთ. ლირხუამ: კრიწ. ლეჰ და სხვ.

### არაცოცხალი ბუნების საგანთა ან მოვლენათა აღმნიშვნელი სახელები:

**ბუ, მრ. \*ბუ-რუხ:** უდ. ბუ-რუხ (< \*უბ-რუხ (Pl. Tantum) < \*სუბ-) „მთა“ ~ ლევზ. სუჟ: თაბ. სიჟ, დიუბ. სიჟ: ად. სუ, ბურშ. სუ: რუთ. სგუ „უღელტეხილი“: წახ. სგუა/სუჟა/სუა: არჩ. სობ „ზამთრის სამოვარი მთაში“ ~

- ახვ. **ბეჩა**: კარ. **ბესა**... იხ.: (ლექსიკა 1971: 183; გიგინეიშვილი 1977: 133; თალიბოვი 1980: 314; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1053 [ს.-ლენგ. \*სეჭა]);
- ბეღ**: უდ. **ბეღ** „მზე“ ~ ლენგ. **რად**, **რაცინი**: თაბ. **რიდ**: აღ. **რად**: რუთ. **ტირიდ**: წახ. **ტირედ**//**ტირედ**: არჩ. **ბარჯ**, **ბერჯე**: კრიწ. **ტირად** ~ ხუნდ. **ბაყა**... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 82; დიუმეზილი 1933: 20; ლექსიკა 1971: 184; გიგინეიშვილი 1977: 75; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1051 [ს.-ლენგ. \*ტირაც]);
- ბუხე** „მთვარე“, „თვე“ ~ ლენგ. **ტარზ**: თაბ. **ტაზ**: აღ. **ტაზ**: რუთ. **ტაზ**: წახ. **ტაზ**: კრიწ. **ვაზ**: ბუდ. **ვეზ**: არჩ. **ბავ**: ხინ. **ვავ**;
- ხალ** - **უმ** „ვარსკვლავი“ ~ ლენგ. **ლედ**: თაბ. **ხად**: აღ. **ხარ**: რუთ. **ხაყად-იმ**: წახ. **ხანე**: კრიწ. **ხაჯ**: ბუდ. **ხაჯ**: ხინ. **ფხუნწ**;
- მუმ** „ქარი“, „ჰაერი“: უდ. **მუმ** „ქარი“ ~ დიუმ. **მიჩ** „იმედი“: ბურშ. **მუმ** „იმედი“: წახ. კილ. **მეც** „ქარი“ ~ ლაკ. **მარჩ** „ქარი“...იხ.: (ლექსიკა 1971: 180; გიგინეიშვილი 1977: 92; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 826 [ს.-ლენგ. \*მუჩ]);
- ხე**: უდ. **ხე** „წყალი“ ~ ლენგ. **მად**, **ცაი**, ხლუტ. **მად**, **მიცაი**: თაბ. **შიდ**, **შითაუ**, დიუმ. **შამ**, **შითაი**: აღ. **ხედ**, **ხითაი**, ფიტ. **ხიდ**, **ხითაი**-, ბურშ. **შერ**, **შირი**:- რუთ. **ხად**, **ხაიმი**:- წახ. **ხან**, **ხინენ**: არჩ. **ლან**, **ლენენე**: კრიწ. **ხად**, **ხიჯ**: ბუდ. **ხედ**, **ხაიმი** ~ ლაკ. **შინ**: ხუნდ. **ლიმი**... იხ.: (ტრუბეცკოი 1922: 122; ლექსიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 128; თალიბოვი 1980: 278-279; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1061 [ს.-ლენგ. \*ლანა]);
- წე**: უდ. **ა-რუხ** „ცეცხლი“ (< \*წა-რუხ – Pl. Tantum) ~ ლენგ. **წამ**, **წუ**, ხლუტ. **მეწე**: თაბ. **წა**, **წი**: აღ. **წა**, **წი**, ბურშ., ბურკ. **წა**, ფიტ. **წამ**: რუთ. **წამ**, **წე**, იხრ. **წა**, ხნოვ. **წა**: წახ. **წა**: არჩ. **ოწ**: კრიწ. **წა**, **წერ**: ბუდ. **წე** ~ ხუნდ. **წა**: ლაკ. **წუ** და სხვ. იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 83; ლექსიკა 1971: 193; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 354 [ს.-ლენგ. \*წამ])...

### ზედსართავი სახელები, ზმნისართები

- მუწაურ** „სუფთა“, „წმინდა“: უდ. **აცარ** (< \*მაწარ), **მაცაი** „თეთრი“ ~ ყანდ. **მარცაი**, დიუმ. **მარძი**: აღ. **მართი-ჭე**: ხნუხ. **მეთ-დგ** „გამჭირვალე“ (წყალზე ითქმის): ?წახ. **მწთე-ნ**: არჩ. **მარწ** ~ ხუნდ. **ბა-წა-ად**... იხ.: (ბოკარევი 1961: 71; ლექსიკა 1971: 227; გიგინეიშვილი 1977: 107 [ს.-დად. \*ბა-წა-ად]; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 552 [ს.-ლენგ. \*მარწე- „სუფთა“]);
- იშა**: უდ. ნიჯ. **იშა**//**გშა** „ახლოს“, „ახლოს მყოფი“, „ახლობელი“ ~ თაბ. **იშ** „ადგილი“, დიუმ., ულმ. **იშ**: ბურშ. **ისუ** „ადგილი“, ფიტ. **უს**; იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 119; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 683 [ს.-ლენგ. \*იშ „ადგილი“]);
- ენა** (< \*წენა): უდ. **ინი** „ახალი“ ~ ლენგ. **წიმი**: თაბ. **წიმი**: აღ. **წამე-ჭე**: რუთ. **წინ-დგ**: წახ. კილ. **წე-დ-გნ**: არჩ. **მაწა**: კრიწ. **წიმა** ~ ხუნდ. **წი-მაბ**: კარ. **წინო-ბ**... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 82; ბოკარევი 1961: 70; გიგინეიშვილი

- 1977: 100; თალიზოვი 1980: 296; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 357 [ს.-ლეზგ. \*წენაჲ-//წენაჲ];
- ჰალა:** უდ. ლახო „მალა“ ~ ლეზგ. მარდი: თაბ. მარხი: აღ. მარხ'ე-ც: რუთ. ხულაჲ-დი: წახ. ხელი-ნ: არჩ. ლახა: ბუდ. ლახა „მალა“ ~ დარგ. ხალა-ლ „დიდი“: ლაკ. ჰალხა- „მალალი“, „გაზრდილი“: ხუნძ. ხალა-თ-აბ „გრძელი“...იხ.: (ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 127; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 551 [ს.-ლეზგ. \*ჰალხან „გრძელი“]);
- ა'ხი:** უდ. ახ'ილ „შორეული“ ~ ლეზგ. მარდალ: თაბ. მარხლა: აღ. უარხა „შორს“: რუთ. ხერგ-დგ „id“: არჩ. ახ ~ ლაკ. არხ-სა „შორეული“...იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 269 [ს.-ლეზგ. \*უარხ(აღ)]);
- მიი** „ცივი“, „გრილი“: უდ. მი „სიცივე“ ~ ლეზგ. მეყ „ცივი“: თაბ. მიც: აღ. მეკ „ქარი“, ბურშ. მიკლე-რ: რუთ. მეყ-დგ: წახ. მეკან „სიცივე“ ~ ხუნძ. მარტ < \*მარლ „თრთილი“...იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 809 [ს.-ლეზგ. \*მელჲ „ცივი“]);
- დე:** უდ. დე „დღეს“ ~ ლეზგ. ჯე: თაბ. დი, დიუბ. ჯი: რუთ. დი-და: წახ. დი-ნ'ა, წახ. კილ. ჯე-ნა: არჩ. ჯი „დღისით“: კრიწ. ჯე: ბუდ. ჯე: იხ.: (ხაიდაყოვი 1973: 97; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 622 [ს.-ლეზგ. \*მიჯ „დღე“]);
- პიოშა** „ყრუ“ ~ ლეზგ. ბიში, ფში: თაბ. ბიში: აღ. ბუშე-ჭ: რუთ. ბიშ-: წახ. ბოშუ-: კრიწ. ბეში: ხინ. ბში;
- აყაჭი:** უდ. აყაჭი „შიშველი“ (შიფნერი 1863: 74) ~ ლეზგ. ყეწილ: თაბ. ყაწლი: აღ. ყაწულ-ჭ: რუთ. ჰაწულ: წახ. წელერ: კრიწ. ყაწუ-ნ: ბუდ. ყაწუ-ნ და სხვ.

### ნაცვალსახელები

- ზუ,** მიც. ზა-, ნათ. ბეზი: უდ. ზუ, ზა-, ბეზი „მე“ ~ ლეზგ. ზუნ, ზა, ზი(ნ): თაბ. უზუ, ნათ. მიზ, ბურშ. ზუნ, ზა-, მაზ: რუთ. ზგ, ზა, იზ-დგ: წახ. ზგ, ზა-, მიზ-გნ: არჩ. ზონ, ზა-, ნათ. -ისა, უ-ისა, დ-ისა, ბ-ისა (კლ. მიხედვით), მიც. -ეზ, უ-ეზ, დ-ეზ, ბ-ეზ (კლ. მიხედვით): კრიწ. ზგნ, მიც. ზა-: ბუდ. ზგნ, მიც. ზგ: ხინ. ზა ~ ხუნძ. დუ-ნ... იხ.: (ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1084 [ს.-ლეზგ. \*ზო-ნ, \*ზა-, ნათ. \*-იზ]);
- ვუნ,** მიც. ვა-, ნათ. ვემ: ვართ.-ზინ. უნ, ვა-, ვი „შენ“ ~ ლეზგ. უუნ, ირ. ფუძე უა-, ნათ. უი(ნ): თაბ. უუუ, ნათ. მაუ, ბურშ. უუნ, ირ. ფუძე უა-, ნათ. მაუ: რუთ. უგ, ირ. ფუძე უა: წახ. უუ, ირ. ფუძე უა-: არჩ. უნ, ირ. ფუძე უა-: კრიწ. უგნ, ირ. ფუძე უა-: ბუდ. უგნ, ირ. ფუძე უგ ~ ხუნძ. მუ-ნ < \*უუ-ნ: ლაკ. უი-ლ (ნათ.)...იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 72; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1014 [ს.-ლეზგ. \*უო-ნ, \*უა, ნათ. \*-იუ]);
- ჟან** „ჩვენ“, მიც. ჟა-, ნათ. ბეში, უდ. ბეში „ჩვენი“ (ნათ.) ~ ლეზგ. ჩუნ, ირ. ფუძე ჩა, ნათ. ჩი(ნ): თაბ. უჩუ, ნათ. იჩ: აღ. ჩინ, ნათ. იჩ: შინ. ჟი, ნათ. იშ-დგ: წახ. ში, ნათ. მიშ-: კრიწ. ჟინ, ირ. ფუძე ჟა-: ბუდ. ჟინ „ჩვენ“ (ექსკლ.) ~ ხუნძ. ნიე: ლაკ. ჟუ... იხ.: (ტრუბეცკო 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1089 [ს.-ლეზგ. \*ჯი-ნ, \*ჯა, ნათ. \*იჯ]);

- ვაწ**, მიც. \*ვაწ-, ნათ. **ბეჭი**: უდ. ვაწ, ნათ. ეჭი „თქვენ“ ~ ლეზგ. ქუწ, ირ. ფუძე ქუწე: თაბ. ურწ, ნათ. ირწ: რუთ. (III) ტეწ, ნათ. უშ-დგ: წახ. შუ, ნათ. ტუშ: არჩ. ქენ, ნათ. ტიშ: კრიწ. ტინ, ირ. ფუძე ტე: ბუდ. ტინ ~ ხუნძ. ნუყ: ლაკ. ზუ... იხ.: (ტრუბეცკო 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; თალიბოვი 1960: 301; გიგინეიშვილი 1977: 114; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1087 [ს.-ლეზგ. \*ჯეწ-ნ, \*ჯაწ, ნათ. \*-ოჯ]);
- იხ**: უდ. იხ „თვითონ“ ~ ლეზგ. ყუტ: თაბ. ქუტ: რუთ. ტუჯ I, რიჯ II, მიც. ჯუ-ს I, ჯი-ს II: წახ. ტუჯ I, მიჯ II, ნათ. ჯუ-ნა I, ჯე-ნა II: არჩ. ინყ: კრიწ. იჯ ~ ანდ. ყი-... იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 114; თალიბოვი 1980: 299; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 347 [ს.-ლეზგ. \*ციყ (უ-იყ I, რ-იყ II), ირ. ფუძე \*ქი- I, \*ქე- II, \*ციხ: (\*ტ-იხ, \*ა-იხ), ირ. ფუძე \*ჩი- „თვითონ“ (III-IV);
- ჰანამ** „რომელი“ ~ ლეზგ. ჰინ: ად. ნემე: წახ. ნე-ნ: კრიწ. ჰან: არჩ. ჰანწუ ~ დიდ. ნრ: ბეჟ. ნინ-მო და სხვ.

### რიცხვითი სახელები

- სა**: უდ. სა „ერთი“ ~ ლეზგ. სა: თაბ. სა-ბ, დიუბ. სა-ტ: ად. სა-დ, ბურშ. სა-რ, ფიტ. სა: წახ. სა: არჩ. ოს, სემ-ტუ: კრიწ. სწ-დ: ბუდ. სა-დ ~ ხუნძ. ცო... იხ.: (ბოკარევი 1961: 69; გიგინეიშვილი 1977: 89; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 323 [ს.-ლეზგ. \*სა]);
- პა**: უდ. ფა (< \*ყტა) „ორი“ ~ ლეზგ. ჯატე-დ: თაბ. ყუ-ბ, დიუბ. ყუ-ტ: ად. ყუ-დ: ბურშ. ყუ-რ, ბურკ. ცად, თფიდ. ცუ-დ: რუთ. ჯატა-დ: გილმ. ყო-ლლან: არჩ. ჯატე: კრიწ. ჯატა-დ: ბუდ. ყა-ბ ~ ხუნძ. კი-გო... იხ.: (თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 924 [ს.-ლეზგ. \*ჯაწ]);
- ხიბ**: უდ. ხიბ „სამი“ ~ ლეზგ. ფუ-დ: თაბ. შუბუ-ბ, დიუბ. შიბუ-ბ: ად. ხიბუ-დ, ბურშ. შიბუ-რ: რუთ. ხიბ-დ: გილმ. ხებ-ლლან: არჩ. ლებ: კრიწ. ში-ბი-დ: ბუდ. შუბუ-დ ~ ხუნძ. ლაბ-გო... იხ.: (ტრუბეცკო 1922: 191; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 76; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 768 [ს.-ლეზგ. \*ლეფა]);
- ხიპ**: უდ. ბიფ (< \*ბიყუ) „ოთხი“ ~ ლეზგ. ყუ-დ: თაბ. იუყუ-ბ: ად. იაყუ-დ: რუთ. იუყუ-დ: გილმ. იოყუ-ლლან: არჩ. ებყ: კრიწ. იუყუ-დ: ბუდ. იუყუ-ბ ~ ლაკ. მუყ... იხ.: (ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 489 [ს.-ლეზგ. \*იეყუ]);
- კო**: უდ. კო „ხუთი“ ~ ლეზგ. ტა-დ: თაბ. ხუ-ბ, დიუბ. ხუ-ტ: ად. მა-ტე-დ: რუთ. ხუ-დ: წახ. ხო-ლლან: არჩ. ლო, ლტე-ტუ: კრიწ. ტე-დ: ბუდ. ტე-დ ~ დიდ. ლე-ნო... იხ.: (ტრუბეცკო 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 426 [ს.-ლეზგ. \*ლეწ]);
- უწ**: უდ. უწ „ექვსი“ ~ ლეზგ. რუგუ-დ, ნუტ. რუფუ-დ: თაბ. იირწუ-ბ: ად. იერწი-დ, ბურშ. იერ-ში-რ: რუთ. რიბ-დ: წახ. იბწ-გ-ლლან: არჩ. დილ, დილიტუ: კრიწ. რგწ-დ: ბუდ. რგწ-დ ~ ლაკ. რახ-ბ: ხუნძ. ანლწ... იხ.: (ტრუბეცკო 1922: 192-193; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 219 [ს.-ლეზგ. \*რილწ]);

- ვუ**: უდ. ვუდ<sup>1</sup> „შვიდი“ ~ ლეზგ. ირი-დ: ყანდ. ურდუ-ბ, დიუბ. ურგუ-ტ: ად. მერი-დ, ბურშ. მერი-რ: რუთ. მიტუ-დ: გილმ. მიდგ-ლლ: არჩ. ტი: კრიწ. მდგ-დ: ბუდ. მიმი-დ ~ ხუნდ. ანლ: ლაკ. არულ-... იხ.: (ტრუბეცკოი 1922: 197; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 247 [ს.-ლეზგ. \*ტირლგ]);
- მუ**: უდ. მუდ „რვა“ ~ ლეზგ. მუჟუ-დ: თაბ. მირჟი-ბ, დიუბ. მიჟუ-ტ: ად. მუ-მა-დ, ბურშ. მუმა-რ, ფიტ. მუმი-დ: რუთ. მემე-დ: წახ. მოლი-ლლ: არჩ. მე:ე: კრიწ. მიდი-დ: ბუდ. მემე-დ ~ ხუნდ. მილ-გო... იხ.: (ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 315 [ს.-ლეზგ. \*მენლწ]);
- ვუი**: უდ. ვუი „ცხრა“ ~ ლეზგ. კუ-დ, ყურად. კუ-დ: თაბ. ურტუ-ბ, დიუბ. ჰურტუ-ტ: ად. მარტუ-დ, ბურშ. მერტუ-რ, ფიტ. მერკუ-დ, ბურკ. მერ-კუ-დ: რუთ. ჰუტუ-დ: წახ. მიტუ-ლლ: არჩ. უტ: კრიწ. მიტი-დ: ბუდ. ტიტი-ბ ~ ხუნდ. იტ: ლაკ. ურტ-... იხ.: (დიუმეზილი 1933: 51; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 208 [ს.-ლეზგ. \*ტილტგ]);
- ვიწ**: უდ. ვიცი „ათი“ ~ ლეზგ. წუ-დ: თაბ. მიწუ-ბ: ად. იწუ-დ, ბურშ. მიწუ-რ, ფიტ. მიწუ-დ: რუთ. მიწ-დ: გილმ. მიწე-ლლ: არჩ. ტიწ: კრიწ. მიწ-დ: ბუდ. მიწ-დ ~ დარგ. ტიწ-ალ: ხუნდ. ანწ-... იხ.: (ბოკარევი 1961: 70; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 245 [ს.-ლეზგ. \*ტიწგ]);
- ყო**: უდ. ჯა „ოცი“ ~ ლეზგ. ჯა-დ: თაბ. ჯა-ბ: ად. ჯა-დ: რუთ. ჯა-დ: გილმ. ჯა-ლლ: არჩ. ყა: კრიწ. ჯა-დ: ბუდ. ჯა-დ (ჯა-დ?) ~ ხუნდ. ყო-... იხ.: (ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 238; გიგინეიშვილი 1977: 108; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 456 [ს.-ლეზგ. \*ყა]);
- ბაკ**: უდ. ბაკ<sup>1</sup> „ასი“ ~ ლეზგ. ტიმი: თაბ. ტარჟ, დიუბ. ტარჟა: ად. ბარშ, ბურშ. ტარშ: რუთ. ტარშ: გილმ. ტარშ: არჩ. ბარშა- ~ ლაკ. თა-ურშ: ახვ. ბეშანო... იხ.: (დიუმეზილი 1933: 51; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 588 [ს.-ლეზგ. \*ტარშ]);

### ზმნები

- ბუ**: უდ. ბუ „ყოფნა“ (მეშვ. ზმნა) ~ ლეზგ. მა: თაბ. ტუ, დიუბ. ტუცუ: ად. ე, ბურშ. ტუ: რუთ. მ-იცი: წახ. ტო- (კლასის ნიშნით: ტო-რ, ტო-ბ, ტო-დ): არჩ. ი: კრიწ. -ი: ბუდ. ტი ~ კარ. ი-და... იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 252 [ს.-ლეზგ. \*ტე]);
- (უ)ფესუნ**: უდ. ფესუნ „თქმა“ ~ ლეზგ. ლუჰუზ, ლაჰანა: თაბ. ფუზ: ად. ფას: წახ. ეჰეს „ლაპარაკი“: არჩ. ბოს, ტარ: კრიწ. ლეფეჟ, ლური: ბუდ. მუცუ, მფეჟი ~ ხუნდ. ა-ბ-იზე „ლაპარაკი“... იხ.: (ტრუბეცკოი 1930: 88; გიგინეიშვილი 1977: 138; თალიბოვი 1980: 277; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 625 [ს.-ლეზგ. \*ცოც]);
- უკა**- „თქმა (აწმყოს ფუძე)“: უდ. უკა- „თქმა“ (მყოფ. ფუძე), უკალ „მთქმელი“, „მთხრობელი“ ~ ლეზგ. ლუკუნის „თქმა“, „ლაპარაკი“: თაბ. ბ-იკუზ: ბურშ. ლი-კანას: წახ. ოკანას, ო-ბ-კენ ~ დარგ. ლუკეს „წერა“... იხ.: (ლექსიკა 1971: 261; ხაიდაყოვი 1973: 134; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 634 [ს.-ლეზგ. \*ცილკან „წერა“ (< „მოყოლა“?)]);

- ბოკოკესუნ:** უდ. **ბოქა-სუნ** „წვა“, „ხრუკვა“ ~ ლეზგ. **ქუზ, ქუნა:** თაბ. **უ-რ-გუზ:** აღ. **უგტას,** ბურშ. **იგის:** არჩ. **ბ-ოქას/ბ-უქას, ბ-ორქურ:** კრიწ. **უგაჯ:** ბუდ. **სუგორ, სუგოჯი** ~ დარგ. **იგეს...** იხ.: (თალიზოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 860 [ს.-ლეზგ. \***სოქა**]);
- აკესუნ:** უდ. **აკა-სუნ** „ნახვა“ ~ ლეზგ. **აკაშაზ, აკაუნა:** თაბ. **ა-შ-გუზ** „ძებნა“: აღ. **აგტას,** ბურშ. **აგტას//უგას** „ძებნა“: რუთ. **ა-ტ-გტას:** წახ. **ჰ-გტას, ჰა-ტ-გუ** „ჩვენება“: არჩ. **ბ-აკუს, ბ-არქურ** ~ ლაკ. **ქაშაქაშა-ნ** „ნახვა“... იხ.: (ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 255 [ს.-ლეზგ. \***ცაქა**]);
- ბიყესუნ, ბაყესუნ, ჰეყესუნ:** უდ. **აკა-სუნ** „აღება“, „ჭერა“ ~ ლეზგ. **ყაზ, ყუნა:** თაბ. **დადა-შ-ღუზ,** დიუბ. \***-ტ-ჯუს** „გამოღება“: ბურშ. **აკას:** რუთ. **ჰა-ტ-ჯას:** წახ. **ა-ტ-ჯას, ა-ტ-ჯე:** არჩ. **ბ-აყას** „დატოვება“: კრიწ. **მიწრიჯ:** ბუდ. **სურჯუ, სუ-კურჯი** ~ დიდ. **-იჭირა** „დაჭერა“... იხ.: (ხაიდაყოვი 1973: 124; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 254 [ს.-ლეზგ. \***ყაყარ**]);
- ჰედესუნ** „მოსვლა“: უდ. **ელალო** „მოსული“, ვართ.-ზინ. **ე-სუნ,** ნიჯ. **ემ-სუნ** „მოსვლა“ ~ ლეზგ. **კტებ:** თაბ. **ღუზ, ღაზ,** ყანდ. **ღუზ, აღუზ,** დიუბ. **ჯუს, აჯუს:** აღ. **ბას,** თფილ. **ტჰს:** ?წახ. **ჰოდა:** რუთ. **ჯუღუს** „წასვლა“: არჩ. **ჯეს:** ბუდ. **ჩადარ** ~ ხუნძ. **ყოყინე** „გზის დაწყება“... იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 572 [ს.-ლეზგ. \***ციჯა** „წაღება“]);
- ბიხესუნ:** უდ. **ბიხსუნ** „შობა“, „გაჩენა“ (მდრ. უდ. **ხოა** „შთამომავლობა“) ~ ლეზგ. **ხაზ, ხანა:** თაბ. **ხუზ:** აღ. **უხას,** ბურშ. **რუხას:** რუთ. **ჰუ-ხტას:** წახ. **უხას:** კრიწ. **ხუმიჯ, რუხრი:** ბუდ. **ხოსუ;** იხ.: (გიგინეიშვილი 1977: 127; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 576 [ს.-ლეზგ. \***ცინა**]);
- \*ჰერესუნ** (< **ჰერალ** სრ. სახის მიმდ.): უდ. **ერ-სუნ** „მოტანა“, „მოყვანა“ ~ ლეზგ. **ჯარუზ, ჯარუნა:** წახ. **სა-ბა-ჩეს** „მიღება“, „წაღება“ ~ დარგ. **-ურ-ეს** „კრეფა“: ხუნძ. **-არ-იზე** „წაღება“... იხ.: (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 254 [ს.-ლეზგ. \***ცარა** „აღება“]);
- ბიძესუნ:** უდ. **ბესუნ** „კეთება“ ~ ლეზგ. **იიიზ, ატუნა:** თაბ. **აპუზ:** რუთ. **ტ-აყას:** წახ. **ჰ-ს/ჰაყას:** არჩ. **ას:** კრიწ. **მერიჯ/მაცაჯ:** ბუდ. **სიცი, სუ-კურჯი** ~ ლაკ. **ან** „კეთება“, „შობა“... იხ.: (ხაიდაყოვი 1973: 124; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 257 [ს.-ლეზგ. \***მაცა**]);
- ყარი-ბიძესუნ** „გახმობა“: უდ. **ჯარი** „მშრალი“ ~ ლეზგ. **ყურაზ, ყურანა:** თაბ. **უ-რ-კუზ** „გახმობა“ (პურისა): აღ. **რუჯტას,** ბურშ. **ურჯტას:** არჩ. **ყურას:** კტას „შემრობა“, „აორთქლება“ ~ ხუნძ. **-აყა-ზე** „ხმობა“... იხ.: (ბოკარევი 1961: 64; გიგინეიშვილი 1977: 108; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 632 [ს.-ლეზგ. \***ციყარ** „ხმობა“]);
- ბუყესუნ:** უდ. ვართ.-ზინ. **ბუჯ-სუნ** „ნდომა“, „ყვარება“ ~ ლეზგ. **კან ხუნ:** თაბ. **ქუნ ხუზ,** დიუბ. **გციჯუს:** აღ. **ქან ხას:** რუთ. **ტ-გგას:** წახ. კილ. **გქანას:** არჩ. **ლან:** კრიწ. **იქაჯ:** ბუდ. ტერმ. **მიქეჯი** ~ ხუნძ. **-ოლც-იზე...** იხ.: (ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 645 [ს.-ლეზგ. \***ციღან**]);

**და-ღ'-ეს** „მიცემა“, „მოცემა“ ~ ლეზგ. **ღ'-უნ** (< \***უ'ღ'-უნ**): თაბ. **ღ'-უზ**: ად. **ღ-ეს**: რუთ. **ჭგ-ტ-უნ** ~ წახ. **ჭი-ღ-ეს** ~ ხუნძ. **ღ'ეზე**: დიდ. **ნე-ღ-ა**: დარგ. **ღ'-იზ** || **გ-ეზ**: ლაკ. **უ'ღ-უნ**...

**ძეხესუნ**: უდ. **ღახსუნ** „დადება“, „ჩამოდება“ ~ ლეზგ. **ავან'იზ** „ჩაგორება“, „ჩამოსვლა“, **აკან'იზ** „ჩამოყრა“: თაბ. **ა-ფ-ხ'უზ**: ად. **ღარხ'ას**: რუთ. **ხ'ად**, **ლი-ხ'-ინ**: წახ. **ყაყა-ტ-ხ'ას**: ბუდ. **არახ'არ**: არჩ. **ელ'ას**: ხინ. **ჩე-შ-ირი** (< \***ჩე-ხ'-ირი**) „დადება“, „ჩამოდება“ ~ ხუნძ. **ღ'-ეზე**: დარგ. **ქა-ზი-ხ'-ეს** და სხვ.

### ლიტერატურა

**ბოკარევი 1961** – Бокарев Е. А. Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Махачкала.

**გიგინეიშვილი 1977** – Гигинейшвили Б. К. Сравнительная фонетика дагестанских языков. Тбилиси.

**გიპერტი და სხვ. 2009** – Gippert J., Schulze W., Aleksidze Z., Mahé J.-P. The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, 2vols., Brepols.

**დიუმეზილი 1933** – Dumézil G. Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord. Paris.

**თალიბოვი 1960** – Талибов Б. Б. Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы. – Учен. зап. ИИЯЛ, т. VII.

**თალიბოვი 1980** – Талибов Б. Б. Сравнительная фонетика лезгинских языков. Москва.

**ლექსიკა 1971** – Сравнительно-историческая лексика дагестанских языков. Москва.

**ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994** – Nikolayev S. L., Starostin S. A. A North Caucasian etymological dictionary. Moscow.

**საადიევი 1969** – Саадиев Ш. М. Звукосоответствия в крызском и лезгинском языках. – Материалы I научной сессии по сравнительно-историческому изучению языков Северного Кавказа. Махачкала.

**ტრუბეცკოი 1922** – Trubetzkoy N. S. Les consonnes laterales des langues Caucasiennes-Septentrionales. – Bulletin de la Societe de Linguistique, T. 23 (№72). Paris.

**ტრუბეცკოი 1930** – Trubetzkoy N. S. Nordkaukasische Wortgleichungen. – Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, Bd. XXXVII, Heft 2. Wien.

**შიფნერი 1863** – Schiefner A. Versuch über die Sprache der Uden. St. Petersburg.

**ხაიდაკოვი 1973** – Хайдаков С. М. Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. Москва.



## ROMAN LOLUA

**The Common Lezgian Vocabulary in Caucasian Albanian**

## S u m m a r y

The common Lezgian vocabulary in Caucasian Albanian include the words denoting parts of a human's body, relatives, activities, status and other words relating to human being as well as the words denoting flora, fauna, buildings, food, units of time, inanimate creations, natural phenomena, pronouns (personal, demonstrative, reflexive, interrogative), numerals (from one to nine, ten, twenty, hundred), adjectives, adverbs, verbs, deverbative nominals...

In the sound-correspondences Caucasian Albanian and Udi, with few exceptions, are represented with similar reflexes. Basic phonematic processes as a result of which the phonological systems of Caucasian Albanian and Udi, took place identically. In affricates the following phonetic changes should be underlined: weak (glottal as well as non-glottal) affricates were lost in anlaut and inlaut. In Udi this process was completed, but in Caucasian Albanian it was on the stage of completion. In auslaut the spirantization of weak non-glottal affricates took place, as regards the weak glottocclusive affricates, they didn't undergo changes. With respect to the intensive affricates, they are preserved in both languages due to the fact that correlation has been demolished according to intensity. Additionally, the spirantization of voiced affricates took place in both languages. Lateral affricates were transformed into corresponding uvular affricates (except \*ʃ which underwent spirantization).

Stop-plosives are basically preserved unchangeably, except the sound \*g which as a rule occurs in Caucasian Albanian and Udi as Ʒ.

As for the spirants, two basic changes took place. Correlation according to intensity has been demolished and lateral spirants have been changed into unvoiced uvular spirants (x). Sonors have basically been preserved unchangeably.

**Sound-correspondences:**

C. Lezg.	Lezgi	Tab.	Aghul	Rutul	Tsakhur	Kryts	Budukh	Khin.	Archi	Udi	C. Alb.
*a	a a e a	a u a/ä i/e	a u/a a/ä e	a u a e/a	a a/o a a	a/ä ə/u a/ä/e/i a	a u e/i a	a/ä u (a/ə) o -	a a (o) a a	a u (i) a/o e	a ? a e
*e	e e	i u/ü	e u/ü/i	e/i u/ə/ä	e/i o	e a	e a	i u	a e/i	e u	e u
*i	i	i	i	e/i	e/i	i	i	i	i	i/e	i

*u	u ū	u ū/u	u u/ū	u/ə ū/i	u/ə i/ə/o	u/ə u/i	u u/i	u/ə/i/a/ä i	u/o i/u/o/a	u/o u/i	<b>u</b> <b>u</b>
*b	b/w	b/w	b/w	b/w	b/w	b/w	b/w	b/w	b	b	<b>b</b>
*p	p	p	p	p	p	p	p	p	p/b	p	<b>p</b>
*d	d/t/ʈ/tə c/ç/cʰ	d	d	d/t	d/(n)	d	d	d/(n)/t čə/θ	d/(n)/tə	d/(n)/θ	<b>d/</b> <b>(lʼ)</b>
*t	t	t	t	t	t	t	t	t	t	t	<b>t</b>
*ʈ	ʈ/ç	ʈ/ç/ç	ʈ/tə/ç	ʈ/d	ʈ/θ	ʈ	ʈ	ʈ/s	ʈ	tʰ/θ	<b>ʈ</b>
*g	g/kₐ	g	g	g/kₐ	g	g	g	g/kₐ/k	g/k/kₐ	g/kʰ	<b>g/k</b>
*k	k	k	k	k	k	k	k	k	k	k	<b>k</b>
*k̄	k̄/k	k̄	k̄	k̄/	k̄	k̄	k̄	k̄/θ	k̄	kʰ	<b>k̄</b>
*z	z/z/cʰ	z/z	z/z	z	z	z	z	z/cʰ/ç	c/cʰ	z/c	<b>z</b>
*c	c/s	c/s	c/s	c/s	c/s	s	c/s	c/s/š	s	c/s/š	<b>c/s</b>
*cʰ	z/ž/g	č	c/č	š	c/č	š	š	cʰ	s/š	č	<b>č</b>
*ç	ç/c	ç	ç	ç/s	ç/s	ç	ç/ç	ç/ç	ç	cʰ/θ	<b>ç/θ</b>
*çə	t/ʈ/ç	cʰ/čəʰ	tə/ʈt	t/tə/d	t/tə/d	t	t	ç	çə	cʰ/čə	<b>ç</b>
*ž	ž/čə/ç	ž/č/čəʰ	ž/č	ž/č/č/	ž/č	ž/čə	ž/č/ç	ž/č/ç	č/č/θ	ž/č/čə	<b>ž/č/š</b> <b>ə</b>
*č	č/š	č	č/š	č/š/ž	č/š	č/ž	č	č/ž	š	š	<b>ž(&lt;)š</b>
*čə	č	č	č	š	č/š	?	č	čə	š	č	<b>č/šʰ</b>
*č̄	č̄	č̄/čəʰ	č̄	č̄	č̄	č̄/ç/k̄	č̄	č̄/z/k̄	č̄	čʰ/θ	<b>θ/č̄?</b>
*čəʰ	č̄	čə	č̄	č̄/č̄	č̄	č̄/č̄	č̄	č̄	č̄/čəʰ	čə	<b>?</b>
*dʰ	ɣ/kₐ	ɣ    g	xʰ/j	xʰ/j/w	ɣ/l	ɣʰ/qə	j/qə	k̄	l̄ə	ɣ/l	<b>ɣʰ?</b>
*l̄ə	ɣ    g	xʰ	xʰ	xʰ    hʰ	xʰ	xʰ	xʰ	k	l̄/l̄ə	q	<b>q</b>
*l̄ə	k/k̄	kₐ	kₐ	g/k	g/kₐ/k	k	k	k̄/kₐ	l̄ə/l̄	qʰ	<b>q</b>
*k²	xʰ	xʰ	xʰ	xʰ	xʰ	f<*xʰ	θ/?	?	š<*xʰ	x/θ	<b>*x</b>
*kₐ	ɣ	q	q	x	q	ɣ/x	x	kₐ	x	q	<b>?</b>
*k²	q	k̄	k̄	q	k̄	q	q	k̄	k̄	qʰ/θ	<b>*q/θ</b>
*kₐ	?	?	?	?	k	?	?	?	g (l̄əʰ?)	kʰ	<b>?</b>
*ɣʰ	ɣ/qə	ɣ/qə	ɣ/ω/ qə/q	ɣ/qə	ɣ/qə	ɣ/qə	ɣ/qə	ɣ/k/q	q/xə	ɣ/x	<b>ɣ</b>
*q	x/q	x/q	x/q	x/q	x/q	x/q	x/q	q	x	θ	<b>θ</b>
*qə	q/ɣ	q	q	x/q	q	x/ɣ	q	k	x	q	<b>x</b>
*q	q	q	q/ω	q	q/k̄	q	q	q/k̄/ɣ	q	qʰ/ɣ/θ	<b>q/ɣ</b>
*qə	q/q	q/q	q/q	q/q/θ	q/qə	q/x	q/x	k̄	q/θ	qʰ/q/kʰ	<b>q</b>
*s	s/z/ž	s/sₐ/z š/žə	s/sₐ	s	s/sₐ	s	s/z	s	sₐ/s	s/š/c	<b>s/š</b>
*š	š	š/ž	š	š	š	š	š	š	š	š/č	<b>š/č</b>
*l̄	ɣ/g	xʰ	xʰ	xʰ/hʰ	xʰ	xʰ	xʰ	xʰ	l̄	x	<b>x</b>
*l̄ə	j<*ɣʰ	xʰ	xʰ	xʰ/hʰ	xʰ	xʰ	xʰ	xʰ	l̄ə	x	<b>x</b>
*x	ɣ	x/q	x/hʰ	x	x/hʰ	x	x	x/q	x/hʰ/q	x	<b>x</b>
*m	m	m	m	m	m/n	m	m	m	m	m/n	<b>m</b>
*n	n	n	n	n	n	n	n	n	n	n/θ	<b>n</b>
*l	l/f/xʰ/w θ	l	l	l	l/w	l	l	l/r/θ	l/n/θ t/təʰ?	l	<b>l</b>
*r	r	r	r	r	r/j/θ	r	r	r/l	r/d	r/j/θ	<b>r</b>

თამარ ლომთაძე

### ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ლატვიაში

ბალტიურ ენათა ჯგუფიდან დღეისათვის ორი ცოცხალი ენა გვაქვს: ლიტვური და ლატვიური. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ლატვიურად 1, 5 მილიონიდან 2 მილიონამდე ადამიანი ლაპარაკობს. ლატვიის ენობრივ სიტუაციაში იერარქიის მწვერვალზე ლატვიური ენა დგას. ლატვიელები ლატვიის ავტოქტონი ერია. ისინი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლებით არიან განაწილებული (მაგ., თუ კულდიგასა და ტალსიში ლატვიელთა რიცხვი დაახლოებით 92 პროცენტამდეა, დაუგავპილსში მათი რაოდენობა მხოლოდ 15 პროცენტია). ლატვიელთა 97 პროცენტი მშობლიურ ენად ლატვიურს მიიჩნევს.

ლატვიის კონსტიტუციის პრეამბულაში ლატვიური ენა სამჯერ არის ნახსენები: 1) ლატვიურის არსებობა და განვითარება საუკუნეების მანძილზე განსაზღვრულია როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანი; 2) ლატვიური ენა მიჩნეულია ლატვიელთა იდენტობის ერთ-ერთ შემადგენელ ფაქტორად ევროპულ კულტურულ სივრცეში და 3) ლატვიური ენა, როგორც ერთადერთი ოფიციალური ენა, არის საზოგადოების მთლიანობის საფუძველი (ლევიტსი, 2013: 8-15).

ლატვიურმა გაიარა გრძელი და რთული გზა შევიწროებული სახალხო ენიდან ევროკავშირის ოფიციალურ ენამდე. მის განვითარებაზე გავლენას ახდენდნენ სხვადასხვა დამპყრობლები და უცხოელი მმართველები. დაპყრობილი ქვეყანა თავისთავად განიცდიდა სხვადასხვა დომინანტი ენის გავლენას. მიუხედავად ამისა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ლატვიური ენა ყოველთვის მიიჩნეოდა ლატვიელთა ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოდ, რამაც საშუალება მისცა ლატვიელ ერს შეენარჩუნებინა თავისი კულტურა და უნიკალურობა. მე-19 საუკუნეში ახლადწარმოშობილმა ერმა ლატვიურის კულტივაცია საკუთარ ხელში აიღო, მოახდინა ძველი წერილობითი ლატვიურის, რომელიც შექმნეს გერმანელმა პასტორებმა, შერწყმა სალაპარაკო სახალხო ენასთან. თუმცა ეს არ იყო საკმარისი, საჭირო იყო ენობრივი პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც უნდა უზრუნველყო სახელმწიფო ენის დომინანტური პოზიცია, როგორც ლატვიაში მცხოვრები ხალხის გამაერთიანებელი საშუალებისა, რადგან მე-19 საუკუნის ლატვია საკმაოდ ტოლერანტული იყო გერმანული და რუსული ენების მიმართ. ამ ამოცანის გადაჭრა ნაწილობრივ მოხერხდა კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე (ბლინკელუ 2008: 7-12 ), თუმცა საბჭოთა ოკუპაციამ ლატვიურის სახელმწი-

ფოებრივი სტატუსის დასუსტება და მისი ფუნქციების შეზღუდვა მალევე შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის საბჭოთა კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ლატვიური ([www.barikadopedija.lv/raksti/237204](http://www.barikadopedija.lv/raksti/237204)), როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ფუნქციურად სახელმწიფო ენის სტატუსით რუსული სარგებლობდა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მეორე მსოფლიო ომამდე ლატვიელები ლატვიის მოსახლეობის 77 პროცენტს შეადგენდნენ. 1959 წელს მათი მაჩვენებელი 62 პროცენტამდე, 1979 წელს 54 პროცენტამდე, ხოლო 1989 წლისათვის მათი პროცენტული მაჩვენებელი 52-მდე შემცირდა. მაშინ როცა რუსებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ასევე რუსულად მეტყველებდნენ, იზრდებოდა. თუ 1935 წელს ლატვიაში რუსების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 8,8 პროცენტს შეადგენდა, 1959 წლისათვის მათი რიცხვი 26, 6 პროცენტამდე, ხოლო 1989 წელს უკვე 34 პროცენტამდე გაიზარდა.

ასევე იზრდებოდა 1935 წლიდან რუსულად მოლაპარაკე ბელორუსებისა და უკრაინელების რიცხვი. ბელორუსები, 1935 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მთლიანი მოსახლეობის 1,4 პროცენტი იყო. 1989 წლისათვის მათი რიცხვი 4, 5 პროცენტამდე გაიზარდა. უკრაინელები, რომლებიც 1935 წელს მოსახლეობის 0, 01 პროცენტს შეადგენდნენ, 1989 წლისათვის 3, 4 პროცენტი გახდა.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იყო ურბანულ დასახლებებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას რუსულენოვანი ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ. თუ 1935 წელს რიგის მოსახლეობის 63 პროცენტი ლატვიელი გახლდათ, 1989 წლისათვის მათი რაოდენობა 36,5 პროცენტამდე შემცირდა. რუსების რაოდენობა რიგაში კი პირიქით, 1935 წლის 7, 4 პროცენტთან მაჩვენებლიდან, 1989 წლისათვის 47, 3 პროცენტამდე გაიზარდა. ამათგან 96 პროცენტი რუსებისა, ხოლო 85 პროცენტი სხვა ეთნიკური ჯგუფებისა 1989 წლისათვის, ძირითადად, მონოლინგვები (მხოლოდ რუსული) იყვნენ.

ამავე, საბჭოთა პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ლატვიელების 95 პროცენტი მშობლიურ ენად ლატვიურს მიიჩნევდა, ხოლო 5 პროცენტი – რუსულს. 45 პროცენტი ლატვიელებისა მაღალ დონეზე ფლობდა რუსულს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგ., 1970 წელს 47 პროცენტი ლატვიელებისა გამართულად მეტყველებდა რუსულად, 1979 წლისათვის უკვე 61 პროცენტი, მაშინ როცა 1970 წელს ლატვიაში მცხოვრები რუსი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი, ხოლო 1989 წელს 21 პროცენტი ფლობდა ლატვიურს (იომა და მეხსი, 2008:125-151).

ამრიგად, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ლატვიაში და ათასობით რუსულენოვანმა მოლაპარაკემ, გაავრცელეს და ხელი შეუწვეს რუსულის დომინანტობას. ლატვიელებს არ ჰქონდათ გამოცდილება დაეცვათ და შეენარჩუნებინათ ლატვიურის სახელმწიფო ფუნქცია. პირიქით, ვინც ლატვიურის პატრიოტულ ინტერესს გამოიჩინდა, მიუღებელი ხდებოდა „პატივსაცემი

ინსტიტუციებისათვის“. ადგილობრივი ადმინისტრაციაც კი უპირატესობას რუსულს ანიჭებდბდა. ვინც რუსული იცოდა, აღწევდა მაღალ თანამდებობას, გარანტირებული ჰქონდა კარიერული წინსვლა, ხოლო ლატვიურის ცოდნა, ამ მხრივ, არაფერს ნიშნავდა. ამ პერიოდში ბევრი ლატვიელი გახდა ბილინგვი, ხოლო რუსებმა შეინარჩუნეს მონოლინგვურობა (იომა და მეხსი 2008:125-151). რადგან რუსული გამოიყენებოდა ყველა დონეზე, ლატვიურის შესწავლის საჭიროება, ამ მხრივ, არ იდგა დღის წესრიგში.

1988 წელს ლატვიის ხელოვანთა კავშირის მიერ ჩატარებულ სესიაზე პირველად დაისვა საკითხი ლატვიური ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენის შესახებ. ამავე წელს ლატვიის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია ლატვიური ენის სტატუსის შესახებ და 1989 წლის მაისში მიიღეს კანონი ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში და ასევე ენის კანონში დამატებების შეტანის შესახებ. 73-ე მუხლის მიხედვით, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ლატვიური ენა. ხოლო სხვა ენების გამოყენება განისაზღვრა ენის კანონის მიხედვით ([www.barikadopedija.lv/raksti/237204](http://www.barikadopedija.lv/raksti/237204)).

1990-იან წლებში, როცა ლატვიელებმა უპირატესობა მიანიჭეს ლატვიურს, რუსები გაოცებულნი და შეურაცხოვილნი დარჩნენ. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლატვიური დომინანტობდა მხოლოდ სოფლებში.

1991 წლის 21 აგვისტოს ლატვიამ მოიპოვა დე ფაქტო დამოუკიდებლობა. 1992 წლის 31 მარტს მიიღეს ენის კანონის შესწორებები და დამატებები, რაც ასახავდა ცვლილებებს ლატვიური ენის სახელმწიფოებრივ სტატუსსა და ენების ლეგალურ იერარქიაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლატვიის მოსახლეობის რიცხვი კლებისაკენ წავიდა, რაც რთული დემოგრაფიული პრობლემებითა და მიგრაციებით აიხსნება. 2004 წლიდან ლატვიის მაცხოვრებელთა რაოდენობა 2 319 000 დან 2 248 000 მდე შემცირდა. აქედან, რუსები 1, 2 პროცენტით შემცირდნენ, ბელორუსები 0, 3-ით, უკრაინელები 0, 1-ით, თუმცა ლატვიელთა რაოდენობა ამ პერიოდში 1 პროცენტით გაიზარდა. 2011 წლიდან ლატვიის მაცხოვრებელთა რაოდენობა კვლავ მცირდება. თუ 2010 წელს ლატვიაში 2 120 504 მოსახლე იყო, 2015 წლისათვის ლატვიის მოსახლეობის რიცხვი 1 986 096-მდე შემცირდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ლატვიის მოსახლეობა 6,3 პროცენტითაა შემცირებული. აქედან ლატვიელთა რიცხვი 2011 – 2015 წლებში კვლავ 1, 1 პროცენტით გაიზარდა. რუსების რაოდენობა 26, 8 პროცენტიდან 25, 8 პროცენტამდე შემცირდა, ბელორუსები 0, 2 პროცენტით, უკრაინელები 2,4 დან 2, 2 მდე, პოლონელები 2,3 დან 2, 1 მდე, ლიტველები 1, 3 დან 1, 2 მდე. ებრაელთა (0, 3), რუმინელთა (0, 3), გერმანელთა (0, 2) და ესტონელთა (0, 1) რაოდენობა თითქმის იგივე დარჩა.

რაც შეეხება რესპუბლიკის დედაქალაქ რიგას, ლატვიელთა რაოდენობა 2015 წლისათვის 45, 9, ხოლო რუსები 38 პროცენტს შეადგენდნენ. მაშინ როცა 1989 წელს რუსების რაოდენობა აქ 47, 3 პროცენტი იყო (კიბერმანი და კლავა 2017:35-47).

თანამედროვე ლატვიის ენობრივ სიტუაციას განსაზღვრავს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. როგორც სოციოლინგვისტურ კვლევებშია მითითებული, ენობრივ სიტუაციაზე ასევე გავლენას ახდენს ეთნიკური კომპოზიცია, ისტორიული პირობები, კულტურული განვითარება, ნაციონალური ეკონომიკის განვითარების რეგიონური სპეციფიკა და მიგრაციის პროცესები.

ლატვიის ნაციონალური და ენობრივი პოლიტიკა გართულებულია ზოგადი პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური, ეთნო-დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური ფაქტორებით, რაც ენობრივ იერარქიულ ურთიერთობას კიდევ უფრო პრობლემატურს ქმნის. ბალტიის ქვეყნების და კერძოდ, ლატვიის ენობრივი სიტუაციის პროგრესული განვითარება არაერთხელ გამხდარა სოციოლინგვისტთა მსჯელობის საგანი (იხ. დრუვიეტე, ვაისბერგსი 2017).

ენობრივი პოლიტიკის დისკურსში ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: პირველი განიხილავს ენას როგორც უბრალო კომუნიკაციის ინსტრუმენტს და ზოგჯერ უარყოფს ენის იდეოლოგიურ ასპექტებს და ექვემდებარება ერის /სახელმწიფოს კონცეპტს, რომლის გამაერთიანებელ ფაქტორად გვევლინება ოფიციალური ენა. მეორე მიდგომა ენას განიხილავს, როგორც ეთნიკური იდენტობის სიმბოლოს. დისკუსიები ამ თემაზე არ წყდება იმიტომ, რომ მათ საფუძვლად უდევს ისეთი მარადიული კითხვები როგორიცაა იდენტობის არსი და მისი შემადგენელი ელემენტები; ობიექტური რეალობის ნაწილია იდენტობა თუ სუბიექტური გრძნობა; არის თუ არა იდენტობა ან მისი ელემენტები გაცნობიერებულად დასაცავი ფასეულობა; ერთმანეთთან მოქიშპე ენების სიტუაციაში, აქვს თუ არა იდენტობის საკითხს პირდაპირი კავშირი ენობრივ იერარქიასთან ან ლეგალურ სტატუსთან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ენა როგორც იდენტობა ძნელად განსასაზღვრი მოცემულობაა, რომელსაც ფესვები აქვს გადგმული სოციალურ ცნობიერებაში. ეს იდეალი ესადაგება ლატვიის არსებულ რეალურ სიტუაციას და ის შეიმჩნევა როგორც ენისადმი დამოკიდებულებაში, ასევე ლინგვისტურ ქცევაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენის სფეროში მიმდინარეობს მითითური სტერეოტიპიზაცია. სტერეოტიპები კი, ჩვეულებრივ, წარმოიშობა არსაკმარისი ინფორმაციისა და გაუგებრობისაგან (დრუვიეტე, ვაისბერგსი 2017:222-257).

ავსტრალიური პოლიტოლოგი უ. ოზოლინსი ამბობს, „ცოტაა ისეთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ენობრივი პოლიტიკა უფრო ცენტრალურია ეროვნული ცხოვრებისა და პოლიტიკის საკითხებისათვის, ვიდრე ბალტიური სახელმწიფოები“ (ოზოლინსი 1999:6). მართლაც, ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ამ ქვეყნებში განსხვავებული ენობრივი სიტუაციებია, შეიძლება ვუწოდოთ ენაზე ორიენტირებული ქვეყნები და საზოგადოებები. ისევე როგორც სხვა ბალტიურ ქვეყნებში, ლატვიაში ხორცმესხმულია მიდგომა „ენა – ბირთვი და გული“ როგორც ოფიციალურ ენობრივ პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ აზრში. როგორც ი. დრუვიეტე მიუთითებს, ამას გააჩნია თავისი ისტორიული, გეოპოლიტიკური და ფსიქოლოგიური მიზეზები და ამ მიდგომების თვითნებურად შეცვლა მოკლე დროში შეუძლებელია.

ლია. თუნდაც პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა და არასამთავრობოებმა მონდომოს ამის გაკეთება. ისტორიული გაგება თანამედროვე ენობრივი პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია, სავალდებულოც კი, თუ გვინდა სამართლიანად შევაფასოთ ენობრივი სიტუაცია იმ ქვეყნებში, რომლებმაც განიცადეს ფასეულობათა ფუნდამენტური ცვლილებები და დაუბრუნდნენ იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს რომლებიც მანამდე უარყოფილი იყო (დრუვიეტე, ვაისბერგსი 2017: 222-257).

ცარისტული თუ საბჭოთა რუსეთის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა, ლატვიელთა გასახლება თუ არალატვიელთა შემოდინება, რამაც დემოგრაფიული სიტუაცია გაართულა, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა დამოუკიდებელი ლატვიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიდი საკანონმდებლო და სოციოლინგვისტური სამუშაოები ჩატარდა ამ სახიფათო ტენდენციების შესაცვლელად, სასურველი ენობრივი სიტუაციის მიღება მაინც არ მოხერხდა. ლატვიური ყოველთვის ღია იყო გარე გავლენებისათვის, შთანთქავდა რა უზარმაზარ ლექსიკურ ფენებს გერმანულიდან, რუსულიდან და დღეს – ინგლისურიდან. ამავდროულად, მან შეინარჩუნა ძველი ენის ბირთვი, რომლის ყველაზე ნათელი დასტური უამრავი ხალხური სიმღერაა. მსჯელობს რა თანამედროვე ენობრივ პრობლემატიკაზე, ი. დრუვიეტე და ვაისბერგსი აღნიშნავენ, რომ ენის მომავალს განსაზღვრავს მისი ადაპტირება ენის მომხმარებელთა საჭიროებებთან, ენობრივი პოლიტიკის ეფექტურობა, ლატვიელთა ნება და სხვა მრავალი ფაქტორი. სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუციების მიერ სწორ და თანმიმდევრულ ენობრივ პოლიტიკას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს შეზღუდული გავრცელების ენისათვის უფრო დიდ და ეკონომიკურად ძლიერ ენებთან კონკურენციის პირობებში. ამ ნაკლოვანების დასაბანასებლად აუცილებელია გარკვეული ინვერსტიციები ენის კვლევაში, ენობრივ ტექნოლოგიებში და ა. შ. ასევე მნიშვნელოვანია ენის სწავლება არალატვიელებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები დიასპორებისათვის. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენით განსაზღვრული იდენტობა მომავალშიც გაგრძელდება, პოვებს რა თავის გამოხატულებას ენობრივი კულტურის ტრადიციულ ფორმებში: ესენია თეატრი, ლიტერატურა და სიმღერა(დრუვიეტე, ვაისბერგსი 2017: 222-257).

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ და არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, 1999 წელს ლატვიაში კვლავ მიიღეს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, შეიქმნა სახელმწიფო ენის ცენტრი და სახელმწიფო ენის ატესტაციის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა სახელმწიფო ენის ატესტაციის პროცესი ლატვიაში.

აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტებმა საშუალება მისცა ლატვიურს გამხდარიყო როგორც ოფიციალურად, ასევე ფუნქციურად ქვეყნის სახელმწიფო ენა. დღეს იგი სრულფასოვნად ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო ენა ქვეყნის ცენტრალურ თუ ადგილობრივ ადმინისტრაციებში, განათლებასა თუ მედიაში.

საილუსტრაციოდ საკმარისია სტატისტიკური მონაცემების დასახელება. ლატვიურ სკოლებში მოსწავლეთა 71, 6 პროცენტი სწავლობს, რუსულ ბილინგვურში კი - 27, 3 პროცენტი. მართალია, უკვე 1989 წლიდან ლატვიურის სწავლება შემოიღეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ ძირითადი გარდატეხა 1995-1998 წლებში მოხდა. უმცირესობათა სკოლებში დაინერგა ცვლილებები, რომლის შედეგად დაწყებით ჯგუფებში 2 საგანი დაემატათ ლატვიურად, ხოლო საჯარო სკოლებში – 3 საგანი.

1992 წლიდან ლატვიაში ფუნქციონირებს 200-მდე რუსული, 6 პოლონური, 2 ებრაული, ერთი ლიტვური, ერთი ბელორუსული, ერთი ესტონური და ერთი უკრაინული სკოლა, თუმცა ამ სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა (რუსული სკოლების გარდა) საერთო რაოდენობის 1, 1 პროცენტს შეადგენს.

1999 წლიდან უმცირესობათა ბილინგვურ სკოლებში დაინერგა სხვადასხვა მოდელი, სხვადასხვა ენობრივი პროპორციებით. 2004 წლიდან კი ამგვარ სკოლებში მოქმედებს ენობრივი პროპორცია 60:40. 2008 წლიდან ყველა ტიპის სკოლის დამამთავრებელი მოსწავლეები აბარებენ ერთიან გამოცდას ლატვიურში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ძალიან გავრცელებული ენაა დღესაც ლატვიაში, ლატვიურ სკოლებში იგი აღარაა სავალდებულო საგანი, განსხვავებით ინგლისურისაგან.

2012 წელს ლატვიაში ჩატარდა რეფერენდუმი რუსულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შესახებ, თუმცა ამ ინიციატივამ გამარჯვება ვერ მოიპოვა (<http://web.cvk.lv/pub/public/30287.html>).

დღეს ლატვიაში ფუნქციონირებს 4-5 ლატვიური ტელეარხი, რამდენიმე რეგიონალური არხი. 5 საჯარო და რამდენიმე კერძო რადიო. თუ 1985 წელს ლატვიურად ითარგმნა 350-მდე წიგნი, დღეს მათი რიცხვი 1300-მდეა გაზრდილი (კიბერმანი და კლავა 2017:35-47).

ლატვიური უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს ისეთ სფეროებშიც, რომლებშიც მანამდე რუსული ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას: საგარეო ურთიერთობები, საზღვაო თუ სახმელეთო თავდაცვა, ჯარი და სხვა.

სახელმწიფო ენის შემდეგ რუსულ ენას უჭირავს მეორე პოზიცია ენათა იერარქიაში. რუსები – ლატვიელების ისტორიული მეზობლები – ქმნიან ყველაზე დიდ უმცირესობის ჯგუფს. მე-17 საუკუნემდე აქ ერთეული რუსი ცხოვრობდა, მაგრამ 300 წლის წინ ცარისტული რუსეთისაგან შევიწროებული რუსები – ტვერიდან, ნოვგოროდიდან, სმოლენსკიდან და ფსკოვიდან – კომპაქტურად დასახლდნენ ლატვიაში. ამას მოჰყვა საბჭოთა პერიოდში მასობრივი ჩასახლება რუსებისა. დღეისათვის რუსული ყველაზე ფართოდ გავრცელებული უმცირესობის და, ამასთანავე, უცხო ენაა. ლატვიაში დაახლოებით 200 რუსული სკოლაა, სადაც მოსწავლეების 28 პროცენტი სწავლობს.

ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, 1992 წელს ყველაზე ბევრმა არალატვიელმა დატოვა ლატვია, ძირითადად, რუსულენოვანი საბჭოთა ჯარის წარმომადგენლებმა (დაახლოებით 60 000). დღემდე, საერთო



რაოდენობა მიგრაციისა დაახლოებით 233 000-მდე დაფიქსირდა (კიბერმანი და კლავა, 2017:35-47).

ლატვიაში დაახლოებით 50 გაზეთი გამოდის რუსულად, რაც წლიურად 70 მილიონი ეგზემპლარია. ყოველწლიურად რუსულად იბეჭდება დაახლოებით 200 წიგნი., რაც სავარაუდოდ 300 000 ეგზემპლარია. რუსულად მაუწყებლობს რამდენიმე ტელეარხი და რადიო. ჯერჯერობით რუსულის ასიმილირება ლატვიურთან არ დაწყებულა, რადგან ყველა, ძველი თაობაცა და ახალიც, გამართულად ლაპარაკობს, წერს და კითხულობს თავის მშობლიურ ენაზე (იომა და მეხსი 2008: 125-151). გამონაკლისია შერეული ოჯახები ისეთ რეგიონებში, სადავ ლატვიელები უმრავლესობას ქმნიან.

რუსული კვლავ ფართოდ გამოიყენება სოციალურ ცხოვრებაში: განაკუთრებით ქალაქებსა და ლატგეილის რეგიონში. რუსული ჯერ კიდევ არსებობს განათლების ყველა დონეზე – სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში. რიგაში არის რუსული დრამატული თეატრი და ასევე ეროვნულ ოპერაში ხშირად იმართება რუსული წარმოდგენები.

ლატვიაში მცხოვრები ბელორუსების უმეტესობას მშობლიური ენა დაკარგული აქვთ და რუსულენოვნები არიან. მათმა უმეტესობამ არ იცის ლატვიური. ისინი თავიდანვე უფრო ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დასახლდნენ. საბჭოთა პერიოდში ბელორუსების რიცხვი გაიზარდა და 1989 წლისათვის 120 000 მიაღწია. ახლა მათი რიცხვი 80-90 ათასამდეა. მათ უმეტესად რუსებთან აქვთ შერეული ოჯახები და ცხოვრობენ რიგაში, დაუგავპილსში, იელგავასა და კრიასლავაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად რუსებთან არიან ასიმილირებული და რუსულია მათი მშობლიური ენა, მათ აქვთ ბელორუსული კულტურის საზოგადოება. 1988 წლიდან, ეს საზოგადოება ეხმარება ბელორუსებს შეისწავლონ თავიანთი ისტორია, კულტურა და ენა. 1990 წლიდან დაარსეს ბელორუსთა საზოგადოება, რომელიც ბელორუსულ ფოლკლორს სწავლობს. 1994 წლიდან გამოდის ყოველთვიური გაზეთი. 1994 წლიდან ფუნქციონირებს ბელორუსული დაწყებითი სკოლა. აღსანიშნავია, რომ ბელორუსების ლატვიური ენის კომპეტენცია იზრდება. თუ 1989 წელს მხოლოდ 18 პროცენტმა იცოდა ლატვიური, დღეს მათი რიცხვი 40 პროცენტამდე გაიზარდა (იომა და მეხსი 2008: 125-151).

უკრაინელები ტრადიციულ უმცირესობას არ მიეკუთვნებიან. ისინი ლატვიაში პირველად გამოჩნდნენ 1897 წელს. ეს იყო დაახლოებით 1000 უკრაინელი, რომლებიც რუსული არმიის ჯარისკაცები იყვნენ. 500-მდე უკრაინელი ჩადიოდა ლატვიაში სეზონური სასოფლო სამუშაოებისათვის. მეორე მსოფლიო ომამდე მხოლოდ 1000-2000 უკრაინელი ცხოვრობდა ლატვიაში. საბჭოთა პერიოდში აქ უკრაინელების რაოდენობამ 86 000 მიაღწია. დაახლოებით, 25000 უკრაინელმა იცის უკრაინული. რიგაში არსებობს უკრაინული სკოლა, რომელსაც დაახლოებით 300 მოსწავლე ჰყავს. დამთავრებისას მათ მაღალ დონეზე იციან უკრაინულიც, ლატვიურიცა და რუსულიც. 48 პროცენტი უკრაინელებისა ცხოვრობს რიგაში. უკრაინელთა 90 პროცენტმა იცის რუსული, 49 პროცენტი აცხადებს, რომ იცის უკრაინულიც. მხოლოდ 9 პროცენტმა

იცის ლატვიური. უკრაინელების ნახევარი მაინც, არიან ასიმილირებული და არიან მონოლინგვი რუსულად მოლაპარაკეები. 1991 წლიდან რიგაში არსებობს უკრაინული კულტურისა და ეკონომიკის ცენტრი. ფუნქციონირებს უკრაინული არხი და რადიო პროგრამები, გამოდის უკრაინული გაზეთიც (იომა და მეხსი 2008: 125-151).

პოლონელები ლატვიის ტრადიციულ უმცირესობას მიეკუთვნებიან. ისინი მე-16 საუკუნის ბოლოდან გამოჩნდბენ ლატვიაში. როდესაც ლატვიის მიწები პოლონეთის სამეფოს კონტროლის ქვეშ მოექცა. ლატვეილის პოლონელები, ძირითადად, გაპოლონელებული ადგილობრივი ლატვიელები და ბელორუსები არიან. 1930 წელს დაახლოებით 20 000 პოლონელი მუშა ჩავიდა ლატვიაში, რომელთა უმეტესობა დარჩა ზემგეილში, კურზემსა და ვიდზემში. მეოცე საუკუნეში 60 000 პოლონელი დასახლდა ლატვიაში და მათმა რიცხვმა მთელი მოსახლეობის 2-3 პროცენტი შეადგინა. ამჟამად ყველაზე მეტი პოლონელი ცხოვრობს დაუგავპილსსა (17000) და რიგაში (16 000). პოლონური ენა საკმაოდ გავრცელებული იყო ლატვიის აღმოსავლეთ ნაწილში, თუმცა დღეისათვის მისი როლი შემცირებულია. ლატვიაში მცხოვრები პოლონელების მხოლოდ ერთმა მეხუთედმა იცის მშობლიური ენა, ისიც უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. ლატვიის ხუთ ქალაქში არის ორი დაწყებითი და ექვსი საშუალო სკოლა, რომლებშიც პოლონური ისწავლება. მათი საერთო კონტიგენტი დაახლოებით ათასამდეა. ზოგიერთ კათოლიკურ ეკლესიებში დღესაც ისმის პოლონური. 1990-იანი წლებიდან პოლონელებმა დაძლიეს რუსიფიკაცია და პოლონურად მოლაპარაკეთა რაოდენობა გაიზარდა. მათ ასევე შეისწავლეს ლატვიური. დღეს ლატვიის 13 ქალაქში არსებობს პოლონურ-ლატვიური კავშირის წარმომადგენლობები, რადიო-მაუწყებლობა და გაზეთი პოლონურ ენაზე. ფუნქციონირებს პოლონური საბავშვო ბაღიც (იომა და მეხსი 2008: 125-151).

ლიტველები ლატვიის უმცირესობაა, რომელთა ენა, როგორც ლატვიური, მიეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ბალტიურ ენათა ჯგუფს. ლიტველების მიგრაცია მეზობელ ლატვიაში მე-19-20 საუკუნეებში მოხდა. მათი რიცხვი დაახლოებით 30 000-40 000-მდეა. ნახევარი მათგანი ლატვიურს მიიჩნევს მშობლიურ ენად. ისინი ძალიან კარგად არიან ინტეგრირებული ლატვიის საზოგადოებასთან. 10 000 ლიტველი მშობლიურ ენად მიიჩნევს ლიტვურს (31 პროცენტი). 1997-98 წლის მონაცემებით ლიტველთა 40 პროცენტი სწავლობდა რუსულ სკოლებში. 1995 წლიდან არსებობს ლიტვიური დაწყებითი სკოლა, გამოდის გაზეთი (იომა და მეხსი 2008: 125-151).

ებრაელები ლატვიაში გამოჩნდნენ მე-16 საუკუნიდან, ძირითადად, მოვაჭრეები, რომლებიც ჩავიდნენ უკრაინიდან და ბელორუსიდან. მე-18 საუკუნეში კურზემსა და ვიდზემში გერმანიიდან მივიდა ებრაელთა ერთი ნაწილი. მე-19 საუკუნეში რუსეთიდან გადავიდა დიდი ტალღა ებრაელებისა და მათმა რიცხვმა 142000 შეადგინა. ანუ, ლატვიის მოსახლეობის 7 პროცენტი. როდესაც გერმანელები მოადგნენ ლატვიას, 15000-მა ებრაელმა შეძლო გაქცევა ლატვიიდან. ომის შემდეგ 14000 ებრაელი დაბრუნდა ლატვიაში. საბჭოთა პე-

რიოდში უკრაინიდან, ბელორუსიდან და რუსეთიდან კვლავ მივიდნენ ებრაელები ლატვიაში. მათმა რიცხვმა 1970 წელს მიაღწია 37000. 1980-იანი წლები-სათვის მათი ნახევარი ისრაელში გადასახლდა. ისრაელში მიგრაციები გაგრძელდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც. დღეისათვის 9000 მდე ებრაელი ცხოვრობს ლატვიაში, უმეტესად რიგაში და მათ აქვთ სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციები. ისინი ძირითადად რუსულად მოლაპარაკებები არიან. ახალგაზრდებმა არც იდიში იციან და არც ებრაული. მიუთითებენ, რომ 1930 წლისათვის ლატვიაში მცხოვრებმა ებრაელთა 80 პროცენტმა იცოდა ლატვიური. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მათ ლატვიურის შესწავლა კვლავ დაიწყეს, მაგრამ თავს რუსულად მოლაპარაკე უმცირესობად მიიჩნევენ. ლატგეილში მცხოვრები ებრაელები საუბრობდნენ იდიშზეც, ხოლო კურზემის მაცხოვრებლები – გერმანულად. ამჟამად იდიშზე მოსაუბრეთა რიცხვი არის დაახლოებით 1000 (ძირითადად პენსიონერები). ოჯახებში, უმეტესად, დღესაც რუსულად საუბრობენ. რიგაში არის ორი ებრაული სკოლა, ერთი სახელმწიფო, მეორე კერძო. ლატვიელ ებრაელთა უმეტესობა უმაღლესი განათლებითაა და ბევრი მათგანი ლატვიელ მილიონერთა სიაშია (იომა და მეხსი 2008: 125-151).

ბოშები ლატვიაში 500 წლის წინ გამოჩნდნენ გერმანიიდან და პოლონეთიდან და დღემდე აქვთ შემონახული თავისი ტრადიციები, ცხოვრების სტილი. მათი რიცხვი 4000-ია და საუბრობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე. გერმანული ოკუპაციისას მათ სდევნიდნენ კრიმინალური საქმიანობის საბაბით. საბჭოთა პერიოდში მათი რიცხვი გაიზარდა, თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არის ცნობილი, რადგან ახალგაზრდები მალავენ თავიანთ წარმოშობას. ზოგი მათგანი ლატვიის კურზემულ დიალექტსაც ფლობს, ზოგი ლატვიურად და რუსულად მეტყველებს, თუმცა წერა-კითხვა არ იციან. განათლებულთა რიცხვი მცირეა, თუმცა ლინგვისტურად და პოლკტიკურად კარგად არიან ინტეგრირებულები. მათ აქვთ ერთი სკოლა და კულტურის ცენტრი (იომა და მეხსი 2008: 125-151).

ესტონელები, უძველესი მეზობლები ლატვიელებისა, ცხოვრობენ საზღვართან მიმდებარე ტერიტორიაზე. მათი რიცხვი არის დაახლოებით 2536. მათგან 80 პროცენტმა იცის მშობლიური ენა, თუმცა ზოგმა მათგანმა მოახდინა ასიმილირება ლატვიელებთან ან რუსებთან. რიგაში არის ესტონური სკოლაც. 1992 წლიდან ესტონური გაზეთი და რადიოგადაცემებიც გაჩნდა.

გერმანელები ლატვიაში მე-12 საუკუნიდან სახლდებიან ბრემენიდან და ლიუბეკიდან. მე-13 საუკუნიდან ისინი სტაბილურ უმცირესობად ყალიბდებიან ლატვიაში, ხდებიან მესაკუთრეები და აქვთ სპეციალური სტატუსი სხვა ეთნოსებს შორის. გერმანელები მართავდნენ ლატვიასა და იყვნენ მესაკუთრეები უამრავი ქონებისა, ამიტომ ძალაუფლება მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მათ ხელში იყო. ამ პერიოდისათვის ისინი მოსახლეობის 5-7 პროცენტს შეადგენდნენ. მე-19 საუკუნემდე გერმანული იყო დომინანტი ენა, სანამ ის რუსულმა არ ჩაანაცვლა. მეორე მსოფლიო ომამდე გერმანელთა რაოდენობა ლატვიაში იყო 70 000. ინდუსტრიასა და განათლებაში მათი როლი იყო ძალი-

ან მნიშვნელოვანი. 1939-40 წლებში 51000 გერმანელმა დატოვა ლატვია. 10 000 გერმანელმა საბჭოთა რეჟიმთან თანაცხოვრებისას, ომის დროს, კვლავ დატოვა ლატვია. დარჩა მხოლოდ რამდენიმე ასეული, ისიც შერეული ოჯახებიდან. დღეისათვის 3700 გერმანელი ცხოვრობს ლატვიაში. მათგან 15 პროცენტმა იცის გერმანული, დანარჩენმა – ლატვიური (იომა და მეხსი 2008: 125-151).

ლივონელები ლატვიის ავტოქტონი უმცირესობაა, რომელთა ფინო-უნგრული წინაპარი ტომები ახლანდელი ლატვიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ბალტების გამოჩენამდე, ძველი წ. აღ 3-4 მილენიუმის მიჯნაზე დასახლდნენ. მე-10-13 საუკუნე ითვლება ლივონური კულტურის აყვავების ეპოქად. მათ ტრადიციულ სამოსს დიდი საერთო აქვს შვედურ ტანსაცმელთან. სამწუხაროდ, ომების გამო ლივონური მოსახლეობის რაოდენობა დრამატულად შემცირდა. მეორე მსოფლიო ომამდე მათი რაოდენობა იყო ათასი. ისინი ძირითადად 12 სოფელში ცხოვრობდნენ და მეთევზეობას მოსდევდნენ. დღეისათვის დაახლოებით 170 ადამიანმა მიიჩნია თავი ლივონელად, თუმცა ენა მათგან ბევრმა არ იცის. 80 წლის ხალხს შეუძლია ამ ენაზე ლაპარაკი და, აგრეთვე, რამდენიმე ენთუზიასტს და მკვლევარს ესტონეთიდან, ფინეთიდან თუ სხვა ქვეყნიდან. ეს ენა ძალიან განსხვავებულია ლატვიურისა და საერთოდ, ინდოევროპული ენებისაგან. ლატვიის მოვალეობაა მოუაროს და დაიცვას ეს ენა. ასევე დაიცვას და შეისწავლოს ლივონური კულტურა. ეს დაცვა კანონითაც არის ლატვიაში გარანტირებული 1991 წლის სპეციალური მუხლით. ასევე, ბალტიის ასამბლეამ სპეციალური ყურადღება გაამახვილა ნაციონალური იდენტობის საკითხზე და 1995 წელს მიიღო რეზოლუცია ბალტიის უძველესი ეთნიკური იდენტობის დაცვისა და შესწავლისათვის.

1991 წლიდან ჩატარდა რამდენიმე კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ლივონურ ენასა და კულტურას და გამოიცა გაზეთი. არსებობს ლივონელ ბავშვთა საზაფხულო სკოლა (ერნსტრეიტსი 1997: 196)

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლატვიური ენა არის იმ გლობალური ლინგვისტური მრავალფეროვნების ნაწილი, რომლის წინაშეც დგას გლობალიზაციის პროცესის ყველა გამოწვევა. გატარებული ენობრივი პოლიტიკის შედეგად ლატვიური ენობრივი იერარქიის მწვერვალზე მოექცა. დღეს ლატვიური ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. იგი ასევე გახლავთ ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამ ენის საზოგადოებრივი ღირებულება. ლატვიური სახელმწიფო ენის კანონი არეგულირებს როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას, ასევე, სხვა ენათა გამოყენების საკითხსაც. ლატვიური დღესაც განიცდის ცვლილებებსა და განვითარებას როგორც შეეფერება სრულყოფილ, კულტურულ ოფიციალურ ენას.

### ლიტერატურა

**ბლინკენუ 2008** – Blinkenu, A. The Latvian State an the Latvian language, Break-out of Latvian, A sociolinguistic study, Zinatne publishers, 7-12.

**ერნსტეიტსი 2017** – Ernstreits, V. The development of the Livonian Language, Language Situation in Latvia 2010-2015, Latvian Language Agency, 196-200.

**იომა, მეზსი 2008** – Joma, D. Mezs, I. Ethno-demographic characteristics of the population of Latvia, Break-out of Latvian, A sociolinguistic study, Zinatne publishers, 125-151.

**დრუვიეტე, ვეისბერგსი 2017** – Druviete, I., Veisbergs, A., The Latvian Language In The 21<sup>st</sup> Century, Latvia and Latvians, Riga: Academy of Sciences, 222-256.

**კიბერმანი, კლავა 2017** – Kibbermann, K. Klava, G. The Language situation of Latvia from an ethno demographic perspective, , Language Situation in Latvia 2010-2015, Latvian Language Agency, 35-47.

**ლევიტსი 2013** – Levits, E. Izverstas Satversmes preambulas iespejama teksta piedavajums un komentars. Iurista Vards, 24.09.2013, Nr.39 (790), 8-19.

**ოზოლინსი 1999** – Ozolins, U. Between Russian and European hegemony: Current language policy in the Baltic States. Current Issues Language and Society, Vol.6 (1), p. 6 (6-47).

### ინტერნეტრესურსები

[www.barikadopedija.lv/raksti/237204](http://www.barikadopedija.lv/raksti/237204)

<http://web.cvk.lv/pub/public/30287.html>

TAMAR LOMTADZE

### The Linguistic Situation in Modern Latvia

#### S u m m a r y

The Latvian language has passed a long and hard path from the suppressed language of the Latvian people to the official language of EU. The Latvian language has always been regarded as one of the key symbols of the Latvian ethnic identity.

Nowadays the linguistic situation in Latvia is determined by geographical, demographic, economic and political factors. As indicated in sociolinguistic studies, the linguistic situation is also affected by ethnic configurations, historical conditions,

cultural development, peculiarities of regional economic development and migration waves.

Despite the fact that, according to the Constitution of the Soviet Latvia, the Latvian language was granted the status of a state language, it failed to function as a state language in practice. The dominant language was Russian. The restoration of the independence of Latvia in 1991 led to the implementation of an effective language policy elevating the status of Latvian to that of a state language and securing its leading role in the legal hierarchy of languages. Today the Latvian language occupies its rightful place at the top of the hierarchy. In the preamble of the Latvian Constitution the Latvian language is mentioned three times as a direct expression of the protection and concern from the side of the state.

ქეთევან მარგიანი-სუბარი

**ზმნური ინტერფერენციები სვანური ენის  
კოდორულ მეტყველებაში<sup>1</sup>**

კოდორის (resp. დალის) ხეობა ის ისტორიული ტერიტორიაა, რომლისკენაც მეცნიერთა თვალი ყოველთვის ინტერესით იყო მიჰყრობილი და რომელსაც „როგორც ანტიკურ, ისე საშუალო საუკუნეთა ეპოქაში მივსიანეთი (Mivssiano) ეწოდებოდა“ (ქალდანი 1970: 83). დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს ეს ნაწილიც ოკუპირებულია და ქართველი (სვანი) მოსახლეობისგან დაცლილი.

კოდორის (resp. დალის) ხეობაში საუკუნე-ნახევრის წინ ზემო სვანეთიდან საცხოვრებლად გადასული ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოს წარმომადგენლები, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ოკუპაციამდე, სოფლების მიხედვით უმთავრესად ერთმანეთში იყვნენ შერეული, რამაც გამოიწვია მათ მეტყველებაში ერთი დიალექტის მიმსგავსება მეორის მიერ; ინტერფერენციამ ადსტრატის სახე მიიღო, რომელიც „წარმოიქმნება ორი ენისა ან დიალექტის თანაბარი სისრულით ფლობის პირობებში მათი თავისუფალი ურთიერთმეღწევადობის დროს; იგი ენათა (დიალექტთა) ინტერფერენციის ცოცხალი პროცესია, ინტერფერენცია კი ყოველთვის იჩენს თავს ენათა (დიალექტთა) უშუალო კონტაქტების შემთხვევაში“ (ჯორბენაძე 1995:68). ეს მოვლენა კოდორის (resp. დალის) ზემოსვანი მოსახლეობის მეტყველებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში შეამჩნია მ. ქალდანი: „კოდორის ხეობაში მცხოვრები დღევანდელი სვანები იგივე ზემოსვანებია; მათი მეტყველება სვანური ენის ერთ-ერთ ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბების პროცესშია“ – აღნიშნავდა მ. ქალდანი და ენაში მიმდინარე „თავისებური, სწრაფად განვითარებადი“ პროცესის საფუძვლად მიიჩნევდა სვანური ენის ორი დიალექტის – ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის – ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენათა აღრევას ამ ხეობის სვანთა მეტყველებაში.

მიუხედავად საკითხის დასმისა, მისი შესწავლა ქართველოლოგთა მიერ გასულ საუკუნეში თითქმის აღარ გაგრძელებულა. მხოლოდ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე განახლდა იგი, როცა 2002 წელს იზა ჩანტლაძემ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო 61-ე სესიაზე წაი-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია №217848 საგრანტო პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“ ფარგლებში.

კითხა მოხსენება თემაზე: „დეფექტურ ზმნათა თავისებურებანი კოდორის ხეობის სვანურში“ (ჩანტლაძე 2002:18-21); შემდგომ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში კოდორის ხეობის მოსახლეობის სვანური მეტყველების საგანგებო შესწავლა გაგრძელდა მისივე ხელმძღვანელობით. მუშაობა მნიშვნელოვნად გაართულა ცნობილი საომარი მოქმედებების შედეგებმა: გარკვეულ პერიოდში კოდორის ხეობაში ჩასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, თუმცა საკითხით დაინტერესებული მეცნიერთა ჯგუფი ამას გარკვეულწილად მაინც ახერხებდა; შედეგად შეგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა და გამოიცა 836-გვერდიანი პუბლიკაცია „კოდორული ქრონიკები გამოკვლევებითურთ“, სადაც კოდორული მეტყველების სპეციფიკა და თავისებურებები განხილული. ლოგიკურად დაისვა საკითხი: დიალექტია თუ არა კოდორული მეტყველება? პრობლემის გადასაწყვეტად კვლევის გაგრძელება იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია უკვე არათუ მიუდგომელი გახდა ქართველ მეცნიერთათვის, არამედ საერთოდ დაიცალა ქართველებისაგან, იქაური მოსახლეობა კი დევნილის სტატუსით მიმოიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში... კვლევა კიდევ უფრო საშური გახდა, ვინაიდან საანალიზო მეტყველების მატარებელი მოსახლეობის არაკომპაქტური ცხოვრება ახალ ცვლილებებს უქადდა მათ სამეტყველო კოდს. 2016 წელს რუსთაველის ფონდმა დააფინანსა ფუნდამენტური კვლევის პროექტი „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“ (ხელმძღვანელი ი. ჩანტლაძე), რამაც გზა გაგვიხსნა ლამის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომოვანებული კოდორელების მეტყველებაზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და ახალი შედეგების წარმოჩენისათვის. მართალია, პროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ წინასწარი დაკვირვებებით მეტად საინტერესო სურათი იხატება, რომელიც მოიცავს როგორც ფონეტიკას, ასევე გრამატიკას და ლექსიკას. ვინაიდან საანალიზო თემატიკა ძალზე ვრცელია, ნაშრომში განვიხილავთ მხოლოდ ზმნასთან დაკავშირებულ რამდენიმე ინტერფერენციულ მოვლენას.

#### ა) ინტერფერენცია მწკრივთა წარმოებაში

ქართულსა და მეგრულ-ჭანურ ენებში წარმოდგენილი შედარებით ერთფეროვანი და მარტივი ვითარების საპირისპიროდ ზმნათა უწყვეტლის (ნამყოფსრულის) წარმოების მხრივ სვანური გამოირჩევა ფორმანტა დიდი მრავალფეროვნებით. უწყვეტლის, ისევე, როგორც ზოგი სხვა მწკრივის, ნიშნებს თანამედროვე სვანურში სხვადასხვა სახე აქვს ორ შემთხვევაში:

- 1) მხოლოდითი რიცხვის I და II პირის ფორმებში (“ორთა ფორმა”);
- 2) მხოლოდითი რიცხვის III პირისა და მრავლობითი რიცხვის ოთხსავე ფორმაში – ინკლუზივში, ექსკლუზივში, II და III პირში (“ხუთთა ფორმა”; შანიძე 1981:355).

სვანურში (ისევე როგორც ქართულში) უწყვეტელი აწმყოსაგან იწარმოება.

ბალსქვემოურ დიალექტში -ე'სუფიქსიანი ზმნები უწყვეტლის ორთა



ფორმაში მხოლოდ ფუძით არიან წარმოდგენილი (**აბანდ-ე** “კერავს”: **ხუბანდ** “კვერავდი”, **ხაბანდ** “კერავდი”), ხუთთა ფორმაში კი **-ა** სუფიქსი აქვთ (**აბანდ-ა** “კერავდა”, **ხუბანდ-ა-დ** “კვერავდით ჩვენ = მე და ის” Se, **ლაბანდ-ა-დ** “კვერავდით ჩვენ = მე და შენ” Si, **აბანდ-ა-ხ** “კერავდნენ”). აწმყოფ ფუძეში **-ე**-ს მიერ რედუცირებული ან გაუმარცვლოებული ხმოვანი ორთა ფორმაში აღდგება, ხუთთა ფორმაში – არა (**აკრ-ე** “აღებს”: **ხუაკარ** “ვალეზი”, **ხაკარ** “აღებსი”, **აკრ-ა** “აღებდა”, **ხუაკრ-ა-დ** “ვალეზდით” ჩვენ = მე და ის” Se, **ლაკრ-ა-დ** “ვალეზდით ჩვენ = მე და შენ” Si, **აკრ-ა-ხ** “აღებდნენ”).

აწმყოფში **-ი**-სუფიქსიანი ზმნები უწყვეტლის ორთა ფორმაში **-ი**-ს იკვეცენ (**აჩრანტი-ი** “აჩერებს”: **ხუაჩრანტი** “ვაჩერებსი”, **ხაჩრანტი** “აჩერებსი”), ხუთთა ფორმაში კი **-ი**-საც ინახავენ და თან **-ტი**-ს დაირთავენ (**აჩრანტი-ი-ტი** “აჩერებდა”, **ხუაჩრანტი-ი-ტი-დ** “ვაჩერებდით ჩვენ = მე და ის” Se, **ლაჩრანტი-ი-ტი-დ** “ვაჩერებდით ჩვენ = მე და შენ” Si, **აჩრანტი-ი-ტი-ხ** “აჩერებდნენ”). თუ ფუძე ერთმარცვლიანია, მაშინ **-ი**-ს დაკარგვით ნარედუქციალი ხმოვანი ორთა ფორმაში აღდგება, ოღონდ უშუალოდ (**აბრი-ი** “ბარავს”: **ხუაბარ** “ვბარავდი”, **ხაბარ** “ბარავდი”).

აწმყოფში ნულსუფიქსიანი ზმნათა უმეტესობა უწყვეტლის ფორმას აწმყოფსაგან ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით განასხვავებს (**იბრალ** “ბანაობს”: **ხუიბრალ** “ვბანაობდი”, **ხიბრალ** “ბანაობდი”, **იბრალ** “ბანაობდა”..., **ხაბემ** “აბამს”: **ხუაბამ** “ვაბამდი”, **ხაბამ** “აბამდი”, **ხაბამ** “აბამდა”...).

უწყვეტელი განსხვავებულად იწარმოება ბალსქვემოური დიალექტის ბეჩოურ კილოკავში; აქ ხუთთა ფორმა ბალსზემოურს ემთხვევა: **-ე**-სუფიქსიანებში უწყვეტლის ნიშანი ხუთთა ფორმაში არის **-ა**, ყველა დანარჩენ ზმნაში **-და** (**ჰემ-ე** “თიბავს”: **ჰემ-ა** “თიბავდა”, **ხუჰემ-ა-დ** “ვთიბავდით ჩვენ = მე და ის” Se, **ლჰემ-ა-დ** “ვთიბავდით ჩვენ = მე და შენ” Si, **ჰემ-ა-ხ** “თიბავდნენ”; **ჰემ-ი** “წვავს”: **ჰემ-ი-და** “წვავდა”, **ხუჰემ-ი-და-დ** “ვწვავდით ჩვენ = მე და ის” Se, **ლჰემ-ი-და-დ** “ვწვავდით ჩვენ = მე და შენ” Si, **ჰემ-ი-და-ხ** “წვავდნენ”...). ორთა ფორმაში თავს იჩენს **-სგუ** (**-ე** სუფიქსიანებში), **-დასგუ** (ყველა დანარჩენ ზმნაში) მორფემები (**ჰემ-ე** “თიბავს”: **ხუჰემ-სგუ** | **ხუჰემ-ასგუ** “ვთიბავდი”, **ხჰემ-სგუ** | **ხჰემ-ასგუ** “თიბავდი”);

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს სვანურში, აქ ზმნათა ერთ ნაწილში უწყვეტლის ნიშანი ყველა ფორმაში არის **-გდ** სუფიქსი (**ხაბ** “აბია”: **ხუაბ-გდ** “ვები”, **ხაბ-გდ** “ები”, **ხაბ-გდ** “ება”..., მეორე ნაწილში კი ორთა ფორმაში **-დ**, ხუთთა ფორმაში **-გდ** (**სიბ** “ბრუნავს”: **ხუტიბ-გდ** “ვბრუნავდი”, **სიბ-გდ** “ბრუნავდი”; **სიბ-გდ** “ბრუნავდა”, **ხუტიბ-გდ-დ** “ვბრუნავდით ჩვენ = მე და ის” Se, **ლესბ-გდ-დ** “ვბრუნავდით ჩვენ = მე და შენ” Si, **სიბ-გდ-ხ** “ბრუნავდნენ”). ზოგ გარდაუვალ ზმნაში უწყვეტლის ფორმა აწმყოფსაგან განსხვავდება **-გნ** (**-ან**, **-ონ**) ელემენტით, აგრეთვე ფუძისეული ხმოვნის რედუცირებულობით (**ხალატ** “უყვარს”: **ხუალატ-გნ** “უყვარდი”, **ხალატ-გნ** “უყვარდი”, **ხალატ-გნ** “უყვარდა”...; როგორია უწყვეტლის წარმოების სურათი კოდორულ სვანთა მეტყველებაში?

უწყვეტლის მაწარმოებლად ბალსქვემოური წარმოშობის კოდორელთა მეტყველებაში გამოვლინდა ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა აფიქსი,

მათ შორის ბალსქვემოური კილოსთვის დამახასიათებელი ყველა მაწარმოებელი უწყვეტლისა, მაგრამ ერთგვარად შესამჩნევია განსხვავება მათს განაწილებაში. კერძოდ, ის ფორმები, რომლებიც ბალსქვემოურის უწყვეტელში ან უნიშნოა, ან **-ჟ** სუფიქსით იწარმოება, კოდორულში (ბალსქვემოელ მემკვიდრეთა მეტყველებაში) **-დჰს, -და** სუფიქსს იყენებენ, **-ჟ** სუფიქსი იშვიათად დასტურდება. შეიმჩნევა ორივე აფიქსის პარალელური გამოყენებაც; მაგალითად, არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე მთქმელი ერთ წინადადებაში ორჯერ ამბობს ერთსა და იმავე ზმნას სხვადასხვა ფორმით:

**მიზგუადი მიმარჯუიდა, მასწრდ მიმარჯუიჟ;**

“დედაჩემი მეხმარებოდა, ძალიან მეხმარებოდა” (კოდ. ქრ. 2010:362).

მსგავსი ვითარება მთქმელების ცნობიერებაში ფორმათა არასიმყარეზე და ინტერფერენციის კვალზე მიუთითებს.

კოდორელთა მეტყველებაში **-დჰს, -და** სუფიქსი დაერთვის:

ა) დიდ ნაწილს იმ ზმნებისას, რომლებიც ბალსქვემოურ დიალექტში, გარდა გარდამავალი კილოკავებისა, უწყვეტელს ოდენ ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით ან აბლაუტთან ერთად **-ჟ**-თი აწარმოებენ (იკედ “იღებს: **იკად-და** “იღებდა”, შდრ. ბქ. **იკად / იკადჟ**);

ბ) დეფექტურ ზმნებს (**მაკუ/მაკუზ** “მინდა”: **მეკუჟდ-და** “მინდოდა”, შდრ. ბქ. **მეკუჟად/მეკუჟდ**).

გ) **-ენ** სუფიქსიან ზმნებს (**ხუალჟტ** “ვუყვარვარ”: **ხუალტ-ენ-დჰს** “ვუყვარდი” (შდრ. ბქ. **ხუალტ-ენ**).

უწყვეტლის ფორმათა უნიფიკაციის ტენდენცია ბალსქვემოურის გაბატონების გზით, ალბათ, ინტერფერენციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომელიც, როგორც არაერთ შემთხვევაში განპირობებულია ორი დიალექტის წარმომადგენელთა თანაცხოვრებით ერთსა და იმავე სოფლებში.

ბალსქვემოელ სვანთა შთამომავალ კოდორელთა მეტყველებაში უხვადაა უწყვეტლის ორმაგი წარმოების მაგალითები (რაც ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა ბეჩოური კილოკავისთვის და, შესაძლოა, ცხუმარულისთვისაც, რომელიც მიმდებარეა): **იღრალ-და-ხ** – “მღეროდნენ”, **ნად-და** – “გვქონდა”, **ნეყა-და-და** – “გვყავდა”, **ხოთრონ-დჰს** – “მიცნობდა, გიცნობდა” და სხვა, სადაც ბალსქვემოური დიალექტისთვის დამახასიათებელი უწყვეტლის ფორმები (ფუძეში **აბლაუტიანი** თუ **-ნ, -ენ, -ონ** სუფიქსიანები) **-დჰს, -და** სუფიქსითაც არის გაფორმებული, რასაც ენათმეცნიერთა უმრავლესობა მეორეულ მოვლენად მიიჩნევს.

ვარლამ თოფურიას დაფიქსირებული აქვს **ზი** – “მევეს” ზმნის ნამყოფსრულის შემდეგი ფორმები: **ზეს-დჰნ-და** – “იდვა”, **ზჰნ-დჰნ** – “ედვა, ეცვა”, **მას-დჰნ** – “მედვა, მეცვა”, **ჯას-დჰნ** – “გედვა, გეცვა”; ყველა ეს ფორმა ხალხური პოეზიიდანაა, ამიტომაც სავარაუდოა, არქაული იყოს. მართალია, **“არდან”, ზეს-დჰნ-და** ლექსებში ზემო სვანეთში ცოცხალ მეტყველებაშიც (ძირითადად, ბეჩოში) ფიქსირდება, მაგრამ ძალზე იშვიათად; კოდორელთა მეტყვე-

<sup>1</sup> საილუსტრაციოდ, ძირითადად, გამოყენებულია ის მასალა, რომელიც „კოდორულ ქრონიკებში“ ვერ შევიდა, ასევე დევნილ კოდორელთაგან ბოლო პერიოდში ჩაწერილი ტექსტები.

ლებაში კი მსგავსი ფორმები საკმაოდაა და არა მხოლოდ ერთ დეფექტურ ზმნასთან:

**ხად-და-ნ** “ჰქონდა”: **მაშენე სჰხმჰხ ხადდან ეჯის** „ყველაზე მეტს ის ალიაქოთობდა“ (“ყველაზე მეტი ალიაქოთი, აურზაურიჰქონდა იმას”).

**ხორ-და-ნ** “ჰყავდა”: **ეჯის სემი ლეთეჷ ზეფჷ ხორდან** „იმას სამი თვის ბავშვი ჰყავდა“.

**ხულტა-ნ-და-ნ** “ჰქონდა”: **კომბინატს ხულტანდან საერთო საცხოვრებელი** „კომბინატს ჰქონდა საერთო საცხოვრებელი“...

ვფიქრობთ, საქმე გვაქვს **ხოგანდა, ხალტგნდა, ხოთრონდა...** (“ედგა”, “უყვარდა”, “იცნობდა”,...) ტიპის წარმოების ინვერსიულ, ანუ **-ნ /-გნ/ -ონ + -და-ს** საპირისპიროდ **-და + -ნ** ვარიანტთან; თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და აღნიშნულ **-ნ-ს** უწყვეტლის ფორმანტად ჩავთვლით, მაშინ ზოგიერთ ზმნაში მწკრივის სამმაგ წარმოებასთან გვექნება საქმე: **მეყა-დ-და-ნ** „მყავდა“, **ხულტა-ნ-და-ნ** „ჰქონდა“, **ზეს-და-ნ-და** „იდო“, **ხ-ო-წუ-ა-ნ-და-ნ** „უჩანდა“..., რის საფუძველიც წინა მორფემათა ფუნქციის დაჩრდილვა უნდა იყოს.

უწყვეტლის **-დჰს, -და** სუფიქსიანი ფორმები რომ ბატონდება ბალსქვემოელ კოდორელთა მეტყველებაში, თვალნათლივ ჩანს, მაგრამ გვხვდება პირუკუ პროცესიც: **ესღგრ-და-ს** ნაცვლად **ესხრ-ი-ჷ** (**ჩილეთ ისგლეთჷჷ ესხრიჷ მიშგუ ჰჷშ ლასენჯაჷწლითე** „ყოველდამ შუალამისას მიდიოდა ჩემი ქმარი დასათვალერებლად, „სა-სინჯ-ავ-ად“), ხოლო **ანღგრ-და-ს** ნაცვლად **ანღრ-ი-ჷ** (**გრუზაჷტიკჷ გუემი ანღრიტჷ** „სატვირთო მანქანით სავსე მოდიოდნენ“). ეს პროცესი ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში შეუმჩნეველია მაქსიმე ქალდანს კოდორელთა მეტყველებაში: „**-ი-ჷ** მაწარმოებელი აწმყოსეულ **-ე** სუფიქსიანებთან (**გ-თრ-ი-ჷ** „სვამდა“, **ყგლ-ი-ჷ** „ამბობდა“, **ხ-ა-მნ-ი-ჷ** „აჭმევდა“) სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება. იგი საკუთრივ კოდორი სხეობის სვანურის შენაძენია ორი დიალექტის – ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის შერევის პროცესში” (ქალდანი 1970:88).

**ამრიგად**, კოდორის (resp. დალის) ხეობაში გადასახლებულ ბალსქვემოელთა შთამომავლების მეტყველებაში უწყვეტლის მწკრივის ფორმათა წარმოებისას ყურადსაღებია:

1. ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელ კოდორელ სვანთა მეტყველებაში ნაწილობრივ დაცულია ხაიმ-ეცერის ტერიტორიაზე დღეს გაბატონებულ უწყვეტლის წარმოებათა ტიპები, თუმცა შეინიშნება, რომ უფროსი თაობა – პარალელურად, ახალგაზრდობა კი ძირითადად მიმართავს ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ **-დჰს, -და** მორფემიან წარმოებას (**ი-ღრ-ალ-და**, ძვ. ქ. „[ი]-მღერ-და“, **ი-ზელ-ალ-და** „დადიოდა“, **ა-ცხრ-ი-და** „იგებდა“) და თანდათან აბატონებს მას, რაც ინტერფერენციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, რომ კოდორელთა მეტყველებაში ადგილი აქვს იმავე პროცესს, რომელიც ამ თვალსაზრისით თავის დროზე ბეჩოური კილოკავისთვის შენიშნეს აკაკი შანიძემ და ვარლამ თოფურიამ, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ინტერფერენცია უფრო ძლიერია კოდორელთა მეტყველებაში, რადგანაც ბალსზემო და ბალსქვემო სოფლებიდან გადასულთა შთამომავლები

ერთ სოფელში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ (და არა ერთმანეთის მოსაზღვრე სოფლებში – შდრ. ლატალი და ბეჩო).

2. კოდორელთა მეტყველებაში დადასტურდა თანამედროვე ბალსზემოური თუ ბალსქვემოური დიალექტებისათვის იშვიათი უწყვეტლის ფორმა, როგორცაა: **ხად-და-ნ** „ჰქონდა“, **მიჰრ-ი-და-ნ** „მთხოულობდა“, **მეყა-დ-და-ნ** „მყავდა“, **ნიხალ-და-ნ** „ვიცოდით“, რომელიც, შესაძლოა, **ხალტ-გნ-და** „უყვარდა“ და მისთანათა ფორმების საპირისპირო პროცესს წარმოაჩენდეს. თუ ამგვარ მონაცემებში **-ნ-ს** უწყვეტლის ფორმანტად მივიჩნევთ, მაშინ ზოგიერთ ზმნაში ამ მწკრივის სამმაგ გამოხატვასთან გვექნება საქმე (**მ-ე-ყ-ა-დ-და-ნ** „მყავდა“, **ხ-უ-ღ-უ-ა-ნ-და-ნ** „ჰქონდა“, **ხ-ო-წ-უ-ა-ნ-და-ნ** „უჩანდა“).

კოდორულ მეტყველებაში ასევე ხშირია ისტორიულად ბალსქვემო სვანეთის წარმომადგენელთა მიერ ბალსზემოური თურმეობითისა და შედეგობითების ფორმების გამოყენება და პირიქით. ინტერფერენციით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნამყოსრულის (resp. I შედეგობითის) საზედაო ქცევის ფორმებში წარმოდგენილი **-ენ/-ენ** ელემენტი, რომელიც, ჩვეულებრივ, ბალსზემოურის ნამყოწინარეწარსულში (resp. II შედეგობითში) უგულებელყოფილია (თოფურია 1967:174): **ხადუნხ** „ჰქონოდათ“, **ხახლუნხ** „სცოდნოდათ“..., კოდორელ ბალსზემოელთა მეტყველებაში ხშირად დასტურდება: **აარაღ ხეკუტეს ზხათ ხადუნენ-ენ-ხ** (კოდ. ქრ. 2010:318) „იარაღი მზად უნდა ჰქონოდათ“; **ამის ესერ მაღ ფას ხაზ, ეჯ'ესერ ხეკუტეს ჩუ ხახლუნენ-ენ-ხ** (კოდ. ქრ. 2010:382) „ამას რა ფასი ადევს, ის უნდა გცოდნოდათ“, რაც ასევე ბალსქვემოურის გავლენა უნდა იყოს.

პრევერბისეული ა-, რომელიც ბალსქვემოურში ჩვეულებრივ **ო-დ** არის წარმოდგენილი, ხშირად კოდორელი ბალსზემოური კილოს წარმომადგენლების მეტყველებაშიც იჩენს თავს და ბალსზემოური **ამჰკეჰელი** „ამოწყვეტილან“, **ჩაღლშიხელი** „დამწვარა“ ზმნების ნაცვლად გვხვდება გრძელი ხმოვნეზიანი, მაგრამ გრამატიკულად თურმეობითის ბალსქვემოური ფორმები: **ომ-ჰკეჰელიხ, ჩაღლშიხელი**, რაც ენგურისხეობელ ბალსზემოელთა მეტყველებაში (გარდამავალ კილოკავშიც კი, როგორც ლატალურია) სრულებით გამოიციხულია.

ამრიგად, ორი დიალექტის წარმომადგენელთა სამეტყველო კოდების შერევა კოდორელ სვანთა მეტყველებაში ზმნასთან მიმართებითაც ნათელია, თუმცა, აღნიშნულის გარდა, გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც კილოთა შერევით ვერ აიხსნება და ქართულ ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს; როგორც ცნობილია, სვანურ ენას ახასიათებს ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც აისახება არა მარტო ზმნაში, არამედ კუთვნილებით ნაცვალსახელშიც.

ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი – როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში.

კოდორის ხეობაში მოსალოდნელი არ იყო ინტერფერენციული ცვლილებები ზმნის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით, ვინაიდან აქ მხოლოდ იმ კილოთა წარმომადგენლები მოსახლეობდნენ, რომლებმაც ეს კატეგორია ცოცხლად შემოგვინახეს. აღმოჩნდა, რომ, საანალიზო კატეგორია, ენგურის ხეობის სვანურისაგან განსხვავებით (სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია), კოდორულ სვანთა მეტყველებაში რყევას განიცდის – ისინი ხშირად ურევენ ერთმანეთში ზმნის ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმებს, რაც კატეგორიის პოზიციათა შესუსტების გამოვლინებად მიგვაჩნია (და არაიდიოლექტად)<sup>1</sup>.

კოდორულ სვანთა მეტყველებაში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების „აღრევა“ ინოვაციის იერს ატარებს და ფორმათა უნიფიკაციის პროცესს წააგავს, რომლის ხელშემწყობი ფაქტორი, შესაძლოა, ქართულთან ანალოგია იყოს (ხეობის მაცხოვრებლებს 2008 წლის მოვლენებამდეც ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობა სწორედ აფხაზეთის ქართულენოვან მოსახლეობასთან ჰქონდათ, ახლა კი ისინი კომპაქტურად მხოლოდ ერთეულ ადგილებშია ცხოვრობენ); ამ მოსაზრებას მხარს უჭერს 83- O1 ქართულ და 87- O-ი სვანურ პრეფიქსთა მატერიალური მსგავსება: ანომალიის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური 87-პრეფიქსიანი ფორმა იკავებს ექსკლუზიური 83-პრეფიქსიანი ფორმის ადგილს;

ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ კოდორულ სვანთა მეტყველებაში ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რაც ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო.

ვფიქრობთ, კვლევის დასრულებისა და მასალის სისტემატიზაციის შედეგად საბოლოოდ გადაწყდება საკითხი სვანურში კიდევ ერთი დიალექტის გამოყოფის შესახებ, თუმცა, ჩვენი აზრით, საბოლოო დასკვნამდე აუცილებელია, ერთი მხრივ, ინტერფერენციული ფორმების სტატისტიკური ანალიზი და, მეორე მხრივ, ინტერფერენციულ მოვლენათა სისტემურობის დადგენა.

## ლიტერატურა

- თოფურია 1967** – ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი.  
**ქალდანი 1970** – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი.  
**შანიძე 1981** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

<sup>1</sup> ეს მოვლენა დადასტურდა როგორც 2008 წლამდე საკუთარ საცხოვრისში, ასევე უკვე დევნილობის პირობებში მცხოვრებ კოდორულ სვანთა ჩვენ მიერ ჩაწერილ მეტყველების ნიმუშებში; ჯერჯერობით ტენდენცია ეხება მხოლოდ ზმნას და მხოლოდ ობიექტური წყობის ექსკლუზივს.

**ჩანტლაძე 2002** – ი. ჩანტლაძე, დეფექტურ ზმნათა თავისებურებანი კოდორის ხეობის სვანურში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჩანტლაძე 2010** – ი. ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი, მედეა საღლიანი, რუსუდან იოსელიანი „კოდორული ქრონიკები“, თბილისი.

**ჯორბენაძე 1995**– ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

### **Verb Interferences in Kodorian Speech of the Svan language**

S u m m a r y

Before the occupation of the Kodori Gorge (resp. Dal), Upper Bal and Lower Bal speakers who left Upper Svaneti a century and a half ago lived in its villages together (Tishi, Chkhalta, Ajara, Marjvena Gentsvishi, Kvapchara, Kuluchi, Barumba, etc.). In their speech it is apparent that both the dialects had an impact on each other. The situation is adstratal that means an active process of influence but in this case (Kodorian speech) this influence is not one-sided. The paper deals with some issues of interdialectal and Georgian-Svan interferences in verbal word formation.

ნანა მაჭავარიანი

**აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა  
და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში**

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება -შა სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

აყაზშა „თვისება, ხასიათი“, (აყაზაარა „ყოფნა“), ამსა-შა „ცურვის ხერხი“ (ამსარა „ცურვა“), აფხაშა „კითხვის ჩვევა“ (აფხარა „კითხვა“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს აშაპჟ „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ.: ქართული:

**ფეხი** (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედი შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**) || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენტ.**) (ქეგლ 1986).

**ფეხი** (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი (ჭინჭარაული 2005).

**ემშაკის ფეხი** პრდ. ემშაკის მაგიერი, ემშაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ემშაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ემშაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 261) (სახოკია 1950).

აფხაზურ აფიქსთა ამოსავალი სიტყვები ხშირად სომატურ ლექსიკას ემყარება. ამაში მოულოდნელი არაფერია, ადამიანი, როგორც სუბიექტი, ინდივიდი, ცდილობს თავისი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცნება-სიტყვებით გამოხატოს ნაირგვარი ურთიერთობა თავის თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის. მაგალითად: უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი **ამაზა < ამაჯა**, დაკავშირებულია ხელთან. შდრ. ქართ. **ხელ** მეწიფება...

ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის – „ხელის“ არსებობაში გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა (მაჭავარიანი 2015<sub>1</sub>).

აფხაზურსა და აბაზურში სახელის ფუმიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა **-ხა** სუფიქსის გამოიყენება.

აჭვ „ადამიანი“, დგ-ჟაჟ-**ხ**-ოდტ < დგ-ჟაჟ-**ხა**-უედტ „ადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-**ხე**-ოდტ „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრივია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება.

აღნიშნული სუფიქსის (**-ხა**) ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს **ახე** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით. შდრ.: ახაჭი „თავისი პირადი“; აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ა-**ხათა** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით (ს-**ხათა** „მე თვითონ“, ჟ-**ხათა** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ. (მაჭავარიანი 20152).

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)**ჭ**-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის **ჭ** პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის **-ჭა** სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ **ჭა** აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“ (მაჭავარიანი 20153).

გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ უნდა მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

„ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან – სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობააო**, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა 1983 : 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში – გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი 1979).

ამ მხრივ საინტერესოა „**ენობრივი შუაფენის**“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ – თვალსაზრისის მის შესახებ.



ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აფიქსთა წარმომავლობა აფხაზურ-ადიღურ ენებში. სომატური ლექსიკის ანუ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული (შექმნილი) სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა და აფიქსოვდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალწარმოებას.

ჩვენი სტატიის მიზანია აფხაზური ენის **შიდააზრის** ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოთ აფხაზური ენის **მსოფლხედვა** სახელთა და ზმნურ ფუძეთა მაწარმოებელ ელემენტთა (მორფემათა) ეტიმოლოგიის საფუძველზე.

**შიდააზრის** ცნება უფრო მრავლის მომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან **შიდააზრში** აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციუმის წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

შიდააზრთან ერთად საინტერესოდ გამოიყურება თითოეული სახელი-სა და ზმნურ ფუძეთა აფიქსაციის **სტრუქტურული მოდელი**, რაც სიტყვათქმნადობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

აფიქსთა წარმომავლობის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად მიღებულ აფიქსოვდათა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა; და თუ ეს მნიშვნელობანი შესადარებელ ენებში ერთნაირ მსოფლმხედველობრივ მიდგომას ავლენენ, ეს საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. აფხაზური და ქართული ენები აღნიშნულ შემთხვევაში ერთნაირ **შიდააზრს** გვიჩვენებენ. აფხაზურში პროცესი უფრო შორსაა წასული, დამთავრებულია. „ფეხის“ აღმნიშვნელი სიტყვა იქ უკვე აფიქსად ქცეულა და სახელსაა მართული, ან სხვა შემთხვევაში გარდაქცევითობას ასახავს (მაგ. ტაპანთურში). ქართულში კი დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმის სახით გვაქვს წარმოდგენილი. ქართულისათვის განვითარების პროცესი აქაა შეჩერებული. მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის. ქართულიცა და აფხაზურიც ცდილობენ მსგავსების გამოსახატავად გამოიყენონ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა და ეს სიტყვა მოცემულ შემთხვევაში არის „ფეხი“. ქართული და აფხაზური ავლენენ ერთნაირ მსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებას საგანსა და ცნებას შორის გარკვეული მიმართების გამოსახატავად. ენისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა – აღსანიშნთან დამოკიდებულების გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალის გამოყენება – აერთიანებს ამ ორ ენას, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი და შესაძლოა გამოდგეს ქართულ და აფხაზურ ენათა ნათესაობის ერთ-ერთ დამატებით არგუმენტად.

### ლიტერატურა

**მაჭავარიანი 1998** – ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო „ცგ“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები IX, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015<sub>1</sub>** – ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015<sub>2</sub>** – ნ. მაჭავარიანი, მადინამიკურებელი (გარდაქცევილობის) -ხა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015<sub>3</sub>** – ნ. მაჭავარიანი ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის -ცგ პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**რამიშვილი 1979** – გ. რამიშვილი, ენათსხვაობა და სემანტიკური შედარების მიზანი. – კრებული „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი.

**სახოკია 1950** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი.

**ქეგელ 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი.

**ჩიქობავა 1983** – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი.

**ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

### The Original Meaning of the Abkhazian Suffix -*ša* and Its Semantic Equivalent in Georgian

#### S u m m a r y

In the Abkhazian language a part of nouns are derived by the suffix -*ša* that expresses a manner of an action, a way or a characteristic, e.g. *aqazša* “characteristic”, (*aqazaara* “being”), *azsa-ša* “a way of swimming” (*azsara* “swimming”), *apx̣aša* “a habit of reading” (*apx̣ara* “reading”).

The paper gives an opinion that the suffix -*ša* is originated from the word *iašapa* “leg” with an imaginary meaning – similar to something, alike, their leg.

In Georgian one of the meanings of this word is the second wife to the previous wife or the second husband to the first husband (Kartlian dialect); or a substitute, e.g. *ešmaḳis pexi* “lit. trans. a devil’s leg” that means evil, having the character and actions of a devil.

Abkhazian and Georgian show the similarities in this case. In Abkhazian the process has gone far or been completed while in Georgian almost the same meaning is presented by a phraseological unit.

The paper also analyzes the cases where the connection between formatives of various Abkhazian verbal categories and Abkhazian somatic vocabulary is apparent and draws a parallel between them and the similar Georgian cases.

As the empirical material shows Georgian and Abkhazian have similar ideological views to express a particular relation between a subject and a concept. This phenomenon typical to a language – to use the same linguistic material to express the attitude towards the concept – unites these two languages that, as we think, is not accidental and may be useful as one of the arguments of the relation of the Georgian and the Abkhazian languages.

სალომე ომიაძე

### კონცეპტ „ქართული უნივერსიტეტის“ დომინანტური ნიშნები

სულიერებაზე ორიენტირებულ ქართულ დისკურსში დიდი ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო კონცეფციებს. „სწავლის მძებნელი“ ხალხის ეროვნულ ცნობიერებაში მკვიდრია ახალი ცოდნისკენ სწრაფვის მნიშვნელობა, რაც სხვადასხვა დროს მაკროკონცეპტ „ცოდნის“ ახალ-ახალ შემადგენლებს აჩენს. 1918 წლიდან ქართულ ლინგვოკულტურასა და ქართულ დისკურსში ჩნდება კონცეპტი „უნივერსიტეტი“, რომელიც თავისი მნიშვნელობით დიდად აჭარბებს ამავე სიტყვით აღნიშნულ ცნებას.

ცალკეული ადამიანის ცნობიერებაში შენახული ინდივიდუალური კონცეპტი, ჩვეულებრივ, მეტი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება, ვიდრე კოლექტიური ცნობიერების იგივე კონცეპტი. აღნიშნული მოვლენის საფუძველი შემდეგია: კოლექტიური ცნობიერება იქმნება კოლექტივში შემავალი ინდივიდების პერსონალურ გამოცდილებაში არსებული უნიკალურობის რედუქციითა და თანხვედრათა შეკრებით. არნოლდ ჩიქობავა, როგორც ენობრივი პიროვნება, როგორც უნივერსიტეტის პირველი გამომგების სტუდენტი და ასპირანტი, უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის პირველი პროფესორი და არა ენის რიგითი მატარებელი, არღვევს მოხმობილ დებულებას – მის ცნობიერებაში შემავალი კონცეპტ „უნივერსიტეტის“ დომინანტური ნიშნები არა რედუცირებულად, არამედ მთელი სისრულით გადაინაცვლებს ქართველთა კოლექტიურ ცნობიერებაში, რასაც ნათელყოფს XX-XXI საუკუნეების ქართული დისკურსი.

ჩვენ კონცეპტ „ქართული უნივერსიტეტის“ დომინანტური ნიშნები გამოვავლინეთ არნოლდ ჩიქობავას მედიატექსტთა მიხედვით („სახელოვანი იუბილარს“, გაზ. „მუშა“, 1938, 29 მაისი, გვ. 3; „გვახსოვდეს და ვაფასებდეთ“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967, 2 დეკემბერი, გვ. 2; „თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება“, ჟ. „ცისკარი“, 1968, № 10, გვ. 121-125; „ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი“, გაზ. „თბილისი“, 1968, 21 ოქტომბერი, გვ. 3; „დედაბოძი“, გაზ. „კომუნისტი“, 1978, 11 ნოემბერი, გვ. 5; „მაშინ და ახლა“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1978, 10 ნოემბერი, გვ. 6), რომლებიც უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება და არნოლდ ჩიქობავას შრომების მეხუთე ტომში ერთად არის შესული.

აღნიშნულ კონცეპტურ სტრუქტურაში გამოვყავით ოთხი ძირითადი მიმართულება:

- თბილისის უნივერსიტეტი – ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა;

- თბილისის უნივერსიტეტი – ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება;

- თბილისის უნივერსიტეტი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საძირკველი;

- თბილისის უნივერსიტეტი – ქართული კულტურის უდიდესი ფაქტორი. დასახელებულ მიმართულებათა რიგითობა პირობითია, რადგან თითოეულისთვის საყრდენი დედაენა, ეროვნული ცნობიერება და ქართული კულტურაა, რაც მათ შორის გავლენულ საზღვრებსაც პირობითს ხდის.

მშობლიურ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ყველა დროში ყოველი ხალხისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ დასახელებული ფაქტი უმნიშვნელოვანესი ხდება, თუ ეს ხალხი არცთუ მრავალრიცხოვანი და არცთუ დამოუკიდებელია. სწორედ ამგვარ ვითარებაში დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი. ერთ-ერთ წერილში არნოლდ ჩიქობავა მიმოიხილავს თბილისში, როგორც კავკასიის სამეფისნაცვლო ცენტრში, უმაღლესი სასწავლებლის გახსნის უშედეგო მცდელობებს. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს მხრიდან არაერთი თხოვნის შეუსრულებლობის მიზეზსაც ასახელებს – მეფის მთავრობას შიდა რუსეთშიც კი, სახელდობრ ვორონეჟში, არ სურდა უნივერსიტეტის გახსნა – „კრამოლას გააძლიერებსო“. იქვე ახსენებს 1912 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის შუამდგომლობას თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილებულა და 1917 წელს ინსტიტუტს მუშაობა დაუწყია, თუმცა, მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს იყო სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რუსეთის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სწავლებაც მხოლოდ რუსულ ენაზე იყო“ (ჩიქობავა 2011: 340).

ყოველივეს აღნიშვნის შემდეგ არნოლდ ჩიქობავა დასძენს, რომ, მაშინდელი ვითარების გათვალისწინებით, 1918 წელს დაარსებული **ქართული უნივერსიტეტი** მხოლოდ **კერძო** უნივერსიტეტი შეიძლებადა ყოფილიყო.

ქართული უნივერსიტეტის გახსნა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის სწავლა-სწავლების ენად ქცევას ნიშნავდა, რაც ახალი გამოწვევის წინაშე აყენებდა როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებს. სტუდენტობა ხელახლა მოინდომეს იმ პირებმა, რომელთაც უმაღლესი განათლება უკვე მიღებული ჰქონდათ უცხო ენაზე, უმეტესად, რა თქმა უნდა, რუსეთის უნივერსიტეტებში. დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ლექციების ქართულად წასაკითხად პროფესორებიც, რომლებიც იმ დროისათვის თავიანთი დარგების ცნობილი სპეციალისტები იყვნენ, რის მაგალითადაც არნოლდ ჩიქობავას პეტრე მელიქიშვილი მოჰყავს, უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი.

საუნივერსიტეტო კურსების ქართულად მომზადება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შექმნას მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ არნოლდ ჩიქობავას სიტყვებს 1968 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული სტატიიდან:

„მეცნიერების შინაარსი ერთია, ითქმის კი სხვადასხვა ენაზე.

ჰუმანიტარულ დარგებს ჩვენში ქართულად მეტყველების გარკვეული ტრადიცია ჰქონდათ; საბუნებისმეტყველო დარგებს კი (ქიმია, ფიზიკა ...) ამ მხრივ მცირე მემკვიდრეობა მოეპოვებოდათ.

თანამედროვე სამეცნიერო დარგების ცნებებს ქართული ტერმინები ესაჭიროება; ეს ტერმინები არ გვქონდა და უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტის დამაარსებელი ივ. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ტერმინოლოგიის დამუშავების ძალზე საჭირო საქმეს; სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (მათემატიკოსები, ქიმიკოსები, მედიცინის, ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები) გატაცებით მუშაობდნენ იმისათვის, რომ თავიანთი დარგის ტერმინოლოგია შეექმნათ და ქართულად საუნივერსიტეტო კურსები წაეკითხათ.

**ამჟამად არ არსებობს ისეთი სამეცნიერო სპეციალობა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა ქართულად არ შეიძლებოდეს.**

ქართული ენა ამჟამად, როგორც იტყვიან, **პოლივალენტური სალიტერატურო ენაა**, ე. ი. ენა, რომელსაც ფუნქციათა მაქსიმუმი მოეპოვება, და ამაში სამეცნიერო დარგებს, მათი ტერმინოლოგიის ქართულად დამუშავებას დიდი წილი უდევს“ (ჩიქობავა 2011: 352).

ჩვენ მიერ განხილულ მედიატექსტებში ხშირად არის აღნიშნული, რომ არაერთი სამეცნიერო დარგი, სახელდობრ: ქიმია, ფიზიკა, უმაღლესი მათემატიკა, ფიზიოლოგია, გეოლოგია, ბოტანიკა, ფსიქოლოგია, მასალათა გამძლეობა თუ სხვა პირველად სწორედ უნივერსიტეტში ამეტყველდა ქართულად.

როგორც ზემოთ ვთქვით, „ქართული უნივერსიტეტის“ კონცეპტურ ერთეულებად გამოყოფილი მიმართულებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს: ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინების დასაწყისს ნიშნავდა. „ყოველი ახალი ლექცია ახალ აზრსა და ახალ სიტყვას მოასწავებდა“ (ჩიქობავა 2011: 337). თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არაერთი სამეცნიერო მიმართულება როგორც საბუნებისმეტყველო დარგში, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებაც სწორედ თბილისის უნივერსიტეტში ჩაისახა.

პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ არნოლდ ჩიქობავას ყოველ წერილსა თუ ინტერვიუს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ხასიათი მსჭვალავს, დიდი მეცნიერი საზოგადო მოღვაწეც იყო, ამდენად, მას მოვლენათა ხედვისა და შეფასების სხვა დიაპაზონი ჰქონდა. სადაც ლექტორს ახსენებს, იქვეა სტუდენტიც და პირიქით, თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საუნივერსიტეტო სივრცეში ყოფილა ტენდენციები რომელიმეს წინ წამოწევისა, უპირატესად ცნობისა, რასაც, რა თქმა უნდა, არანაირი სიკეთე არ მოუტანია.

უნივერსიტეტის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით არნოლდ ჩიქობავა წერს: „სტუდენტის განცდები მერევა, ოცი წლის წინანდელ ვითარებას სტუდენტის თვალით ვუყურებ.

დღევანდელ დღესავით ვხედავ იმ ოთახს, სადაც საბუთები წარვადგინე. ეს საბუთები იქვე გადაათვალიერა უნივერსიტეტის საბჭოს მაშინდელმა მდივანმა, აწ განსვენებულმა პროფ. ი. ყიფშიძემ (ყველასათვის, ვინც მას იცნობდა, და მეტადრე სტუდენტებისთვის სიყვარულით მოსაგონარი, ტკბილი იოსები ახალ შემომსვლელთადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა).

მას, ენათმეცნიერს, ეტყობოდა, არ ეწყინა, რომ განცხადება შექმნდა ენათმეცნიერო განხრაზე (პირველ კურსზე სულ 4 სტუდენტი ვიყავით ამ განხრაზე, მეორე წლიდან ორნი დავრჩით).

იქვე მომცა დარიგება: ენებს მთავარი ყურადღებაო“ (ჩიქობავა 2011: 334).

სტუდენტებსა და ლექტორებს პატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა ჰქონდათ, მათ ასევე აერთიანებდათ ქართული კულტურის განვითარებაში მონაწილეობის პასუხისმგებლობაც. სწორედ ამიტომ იყო გაყინული და ხშირად ლამპის შუქის ამარა დარჩენილი აუდიტორიები სავსე, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა დასწრებას არავინ არ ამოწმებდა.

არნოლდ ჩიქობავა, უნივერსიტეტის სტუდენტიცა და პროფესორიც, ამ პასუხისმგებლობას განსაკუთრებულად გრძნობდა. წერილში „დედაბოძი“ იგი წერს: „მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ვერ მოვამზადებთ, თუ ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას არ ვეწევით.

მეცნიერებამ შეღავათი არ იცის. მეცნიერული ჭეშმარიტება ერთნაირ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს იმისდა მიუხედავად, თუ სად ითქვა იგი და ვინ თქვა“ (ჩიქობავა 2011: 355).

მართალია, მოყვანილი სიტყვები 1978 წელს არის დაწერილი, მაგრამ კვალიფიციური კადრების მომზადებისადმი მიდგომა ამგვარივე იყო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე და სწორედ ამიტომ მისი გახსნიდან მეათე წელს ისეთი სამეცნიერო-პედაგოგიური რესურსი დაგროვდა, რომ პოლიტექნიკური ფაკულტეტის საფუძველზე შეიქმნა ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), რასაც მოჰყვა სხვადასხვა ფაკულტეტის ბაზაზე არაერთი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. ასე რომ, თბილისის უნივერსიტეტი არა მარტო საკუთარ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის იყო აღმა-მატერი, როგორც სულიერი საზრდოს მიმწოდებელი, არამედ ყველა იმ ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტისათვის, რომლებიც მის წიაღში იშვა.

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებაც 1941 წელს შეუძლებელი იქნებოდა, უნივერსიტეტს რომ საამისო ნიადაგი არ მოემზადებინა: თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ამჟამად ჩვენი აკადემიის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებს წარმოადგენენ ... როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა, პირველი შემადგენლობის 16 ნამდვილი წევრიდან 13 წევრი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო“ (ჩიქობავა 2011: 344).

ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ამდენი არსებითი რამ მოჰყვა კერძო გიმნაზიის შენობაში საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით გახსნილ კერძო უნივერსიტეტს, ჯგუფისა, რომელსაც სათავეში ედგა პეტროგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი 41 წლის ივანე ჯავახიშვილი.

ჩვენ ამჯერად მოკლედ მიმოვიხილეთ „ქართული უნივერსიტეტის“ კონცეპტური სტრუქტურის დომინანტური ნიშნები, თუმცა საანალიზო მედიატექსტა მიხედვით აღსაწერია პერიფერიული ნაწილიც, რომელშიც შემდეგი კომპონენტები გამოიკვეთა: „უნივერსიტეტის“ პროექტი (საჯარო სხდომები, საჯარო მოხსენებები); „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ (წესდება, სახსრების შეგროვებაზე ზრუნვა...); ყოფითი პირობები და სხვა მატერიალური საკითხები; სასწავლო-სამეცნიერო პროცესი (პროფესურა, სტუდენტები, საათობრივი ბადე) და სხვ., რათა, ჩიქობავას ხატოვანი ნათქვამი რომ მოვიშველიოთ, ნათლად დავინახოთ, როგორ იქცა „პაწაწინა ნაკადული, ძლივს შესამჩნევი სათავეში ... მდინარედ, რომელიც უნივერსიტეტთა რუკაზე ჯეროვნად აისახება“.

### ლიტერატურა

**ჩიქობავა 2011** – არნოლდ ჩიქობავა, შრომები, ტ. V, თბილისი.

SALOME OMIADZE

### Dominant Signs of the Concept “Georgian University”

#### S u m m a r y

In the spirituality-oriented Georgian discourse a huge attention is paid to educational concepts. In the national consciousness of the people “who always seek to learn” the importance of aspiring to new knowledge is basic that created new parts of the macro-concept “knowledge” at different times. In 1918 in Georgian linguoculture and Georgian discourse the concept “university” appears that significantly exceeds the notion with its meaning.

We have identified the dominant signs of the concept “Georgian university” and have described it on the basis of Arnold Chokobava’s media texts that were dedicated to the anniversary dates of Tbilisi University.

We have distinguished four main directions in the said conceptual structure:

- Tbilisi University – the possibility of getting higher education in Georgian;
- Tbilisi University – the revival of Georgian scientific thinking;
- Tbilisi University – the foundation of the Georgian National Academy of Sciences;
- Tbilisi University – the greatest factor of Georgian culture.

The order is arbitrary, since the mother tongue, the national consciousness and Georgian culture are the base for each of them.





ლნტ.), -**გდ** (ბზ.), -**უდ** (ჩოლ.) „კიდევ, კვლავ“, -**ა**, -**ა** „კითხვითი ნაწილაკი“, -**გჟ**, -**უჟ**, -**იჟ** „მეთქი, თქო“, -**უნყ[ტ]ს**, -**თუ**, -**უთ** „ც“, „მცა“ და ა. შ.

**-უ, -ოტ, -ოღ[ტ] ნაწილაკდართული თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნება**

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	წან-უ „ხარიმც“	წან-ოღ[ტ]
მიც.	წან-ს-უ „ხარსამც“	წან-ს-ოღ[ტ]
მოთხ.	წან-დ-უ „ხარმამც“	წან-დ-ოღ[ტ]
ნათ.	წან-იშ-უ „ხარისამც“	წან-ტ-ემ-ოღ[ტ]   წან-იშ-ოღ[ტ]
მოქ.	წან-შ[ტ]-უ „ხართამც“	წან-შ[ტ]-ოღ[ტ]
ვით.	წან-დ-უ „ხარადამც“	წან-დ-ოღ[ტ]

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	წან-უ	წან-უ	წან-უ
მიც.	წან-ს-უ	წან-ს-უ	წან-ს-უ
მოთხ.	წან-დ-უ	წან-დ-უ	წან-დ-უ
ნათ.	წან-იშ-უ	წან-იშ-უ	წან-იშ-უ
მოქ.	წან-ტშ-უ	წან-ტშ-უ	წან-ტშ-უ
ვით.	წან-დ-უ	წან-დ-უ	წან-დ-უ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	წან-პრ-უ „ხარეზიმც“	წან-პრ-ოღ[ტ]
მიც.	წან-პრ-ს-უ „ხარეზსამც“	წან-პრ-ს-ოღ[ტ]
მოთხ.	წან-პრ-დ-უ „ხარეზმამც“	წან-პრ-დ-ოღ[ტ]
ნათ.	წან-რ-ემ-უ „ხარეზისამც“	წან-რ-ემ-ოღ[ტ]
მოქ.	წან-პრ-შ[ტ]-უ „ხარეზითამც“	წან-პრ-შ[ტ]-ოღ[ტ]
ვით.	წან-პრ-დ-უ „ხარეზადამც“	წან-პრ-დ-ოღ[ტ]

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	წან-არ-უ	წან-პრ-უ	წან-არ-უ
მიც.	წან-არ-ს-უ	წან-პრ-ს-უ	წან-არ-ს-უ
მოთხ.	წან-არ-დ-უ	წან-პრ-დ-უ	წან-არ-დ-უ
ნათ.	წან-არ-ემ-უ	წან-პრ-ემ-უ	წან-არ-ემ-უ
მოქ.	წან-არ-ტშ-უ	წან-პრ-შ[ტ]-უ	წან-არ-ტშ-უ
ვით.	წან-არ-დ-უ	წან-პრ-დ-უ	წან-არ-დ-უ

შდრ. ლახამულური

მხ. რ.

მრ. რ.

სახ. **ჟან-ოჷ**  
 მიც. **ჟან-ს-ოჷ**  
 მოთხ. **ჟან-დ-ოჷ**  
 ნათ. **ჟან-იშ-ოჷ**  
 მოქ. **ჟან-შჷ-ოჷ**  
 ვით. **ჟან-დ-ოლჷ**

**ჟან-პრ-ოჷ**  
**ჟან-პრ-ს-ოჷ**  
**ჟან-პრ-დ-ოჷ**  
**ჟან-რ-ეშ-ოჷ**  
**ჟან-პრ-შჷ-ოჷ**  
**ჟან-პრ-დ-ოჷ**

როგორც **-უ, -ოჷ, -ოლჷ** ნაწილაკდართული თანხმოვანფუმიანი საზოგადო არსებითი სახელების ბრუნებამ აჩვენა, ნაწილაკის დართვა რაიმე არსებით ცვლილებას არ იწვევს სვანური ენის დიალექტებში, თუმცა ლახამულური კილოკავი აშკარად სხვაობს ბალსქვემოურისაგან, შდრ., ერთი მხრივ, ბალსქვემოური **ჟან-პრ-ოლჷ** და, მეორე მხრივ, ლახამულური **ჟან-პრ-ოჷ**. როგორც ვხედავთ, ბალსქვემოური ძირითადად **-ოლ** ნაწილაკს იყენებს, ლახამულური კი **-ოჷ**-ს, რაც ბრუნებაზე არ აისახება.

*-გდ, -იდ, -უდ ნაწილაკდართული ხმოვანფუმიანი საკუთარი სახელების ბრუნება*

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>რობო-{გ}დ</b> „ისევ რობო“	<b>რობო-იდ</b>
მიც.	<b>რობჷე-ს-გდ</b> „ისევ რობოს“	<b>რობო-ს-იდ</b>
მოთხ.	<b>რობჷე-დ-გდ</b> „ისევ რობომ“	<b>რობო-დ-იდ</b>
ნათ.	<b>რობჷე-შ-გდ</b> „ისევ რობოსი“	<b>რობო-შ-იდ</b>
მოქ.	<b>რობჷჷ-შჷ-გდ</b> „ისევ რობოთი“	<b>რობო-შჷ-იდ</b>
ვით.	<b>რობჷჷ-დ-გდ</b> „ისევ რობოდ“	<b>რობო-დ-იდ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>რობო-იდ</b>	<b>რობო-უდ</b>	<b>რობო-უდ</b>
მიც.	<b>რობო-ს-იდ</b>	<b>რობო-ს-უდ</b>	<b>რობ[ო]-ს-უდ</b>
მოთხ.	<b>რობო-დ-იდ</b>	<b>რობო-დ-უდ</b>	<b>რობო-დ-უდ</b>
ნათ.	<b>რობო-შ-იდ</b>	<b>რობო-შ-უდ</b>	<b>რობო-შ-უდ</b>
მოქ.	<b>რობო-ჷშ-იდ</b>	<b>რობო-ჷშ-უდ</b>	<b>რობო-ჷშ-უდ</b>
ვით.	<b>რობო-დ-იდ</b>	<b>რობო-დ-უდ</b>	<b>რობო-დ-უდ</b>

*-გდ, -იდ, -უდ შტოგვარის აღმნიშვნელი სახელების ბრუნება*

	ბზ.	ბქ.
სახ.	ჟოთარშერ-გდ „ისევ ოთარისანი“	ჟოთარშერ-იდ
მიც.	ჟოთარშერ-ს-გდ „ისევ ოთარისანს“	ჟოთარშერ-ს-იდ
მოთხ.	ჟოთარშერ-დ-გდ „ისევ ოთარისანმა“	ჟოთარშერ-დ-იდ
ნათ.	ჟოთარშერ-იშ-გდ „ისევ ოთარისანის“	ჟოთარშერ-იშ-იდ
მოქ.	ჟოთარშერ-შჟ-გდ „ისევ ოთარისანით“	ჟოთარშერ-შჟ-იდ
ვით.	ჟოთარშერ-დ-გდ „ისევ ოთარისანად“	ჟოთარშერ-დ-იდ

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ჟოთარშერ-იდ	ჟოთარშერ-უდ	ჟოთარშერ-უდ
მიც.	ჟოთარშერ-ს-იდ	ჟოთარშერ-ს-უდ	ჟოთარშერ-ს-უდ
მოთხ.	ჟოთარშერ-დ-იდ	ჟოთარშერ-დ-უდ	ჟოთარშერ-დ-უდ
ნათ.	ჟოთარშერ-იშ-იდ	ჟოთარშერ-იშ-უდ	ჟოთარშერ-იშ-უდ
მოქ.	ჟოთარშერ-შჟ-იდ	ჟოთარშერ-შჟ-უდ	ჟოთარშერ-შჟ-უდ
ვით.	ჟოთარშერ-დ-იდ	ჟოთარშერ-დ-უდ	ჟოთარშერ-დ-უდ

	ბზ.	ბქ.
სახ.	{ჟ}ოთიშ-გდ „ისევ ოთისანი“	{ჟ}ოთიშა-იდ
მიც.	{ჟ}ოთიშ-ს-გდ „ისევ ოთისანს“	{ჟ}ოთიშა-ს-იდ
მოთხ.	{ჟ}ოთიშ-დ-გდ „ისევ ოთისანმა“	{ჟ}ოთიშა-დ-იდ
ნათ.	{ჟ}ოთიშ-იშ-გდ „ისევ ოთისანის“	{ჟ}ოთიშა-იშ-იდ
მოქ.	{ჟ}ოთიშ-შჟ-გდ „ისევ ოთისანით“	{ჟ}ოთიშა-შჟ-იდ
ვით.	{ჟ}ოთიშ-დ-გდ „ისევ ოთისანად“	{ჟ}ოთიშა-დ-იდ

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	{ჟ}ოთიშ-უდ	{ჟ}ოთიშა-უდ	ოთიშ-უდ
მიც.	{ჟ}ოთიშ-ს-უდ	{ჟ}ოთიშა-ს-უდ	ოთიშ-ს-უდ
მოთხ.	{ჟ}ოთიშ-დ-უდ	{ჟ}ოთიშა-დ-უდ	ოთიშ-დ-უდ
ნათ.	{ჟ}ოთიშ-იშ-უდ	{ჟ}ოთიშა-იშ-უდ	ოთიშ-იშ-უდ
მოქ.	{ჟ}ოთიშ-შჟ-უდ	{ჟ}ოთიშა-შჟ-უდ	ოთიშ-შჟ-უდ
ვით.	{ჟ}ოთიშ-დ-უდ	{ჟ}ოთიშა-დ-უდ	ოთიშა-დ-უდ

	გზ.	ბქ.
სახ.	<b>გუჩარ-გდ</b> „ისევ გუჩასანი“	<b>გუჩარ-იდ</b>
მიც.	<b>გუჩარ-ს-გდ</b> „ისევ გუჩასანს“	<b>გუჩარ-ს-იდ</b>
მოთხ.	<b>გუჩარ-დ-გდ</b> „ისევ გუჩასანმა“	<b>გუჩარ-დ-იდ</b>
ნათ.	<b>გუჩარ-იშ-გდ</b> „ისევ გუჩასანის“	<b>გუჩარ-იშ-იდ</b>
მოქ.	<b>გუჩარ-შჷ-გდ</b> „ისევ გუჩასანით“	<b>გუჩარ-შჷ-იდ</b>
ვით.	<b>გუჩარ-დ-გდ</b> „ისევ გუჩასანად“	<b>გუჩარ-დ-იდ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>გუჩარ-უდ</b>	<b>გუჩარ-უდ</b>	<b>გუჩარ-უდ</b>
მიც.	<b>გუჩარ-ს-უდ</b>	<b>გუჩარ-ს-უდ</b>	<b>გუჩარ-ს-უდ</b>
მოთხ.	<b>გუჩარ-დ-უდ</b>	<b>გუჩარ-დ-უდ</b>	<b>გუჩარ-დ-უდ</b>
ნათ.	<b>გუჩარ-იშ-უდ</b>	<b>გუჩარ-იშ-უდ</b>	<b>გუჩარ-იშ-უდ</b>
მოქ.	<b>გუჩარ-ჷშ-უდ</b>	<b>გუჩარ-ჷშ-უდ</b>	<b>გუჩარ-შჷ-უდ</b>
ვით.	<b>გუჩარ-დ-უდ</b>	<b>გუჩარ-დ-უდ</b>	<b>გუჩარ-დ-უდ</b>

*შდრ. ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი*

სახ.	<b>როზო-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-გდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-გდ</b>	<b>გუჩარ-გდ</b>
მიც.	<b>როზო-ს-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-ს-გდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-ს-გდ</b>	<b>გუჩარ-ს-გდ</b>
მოთხრ.	<b>როზო-დ-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-დ-გდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-დ-გდ</b>	<b>გუჩარ-დ-გდ</b>
ნათ.	<b>როზო-შ-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-იშ-გდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-შ-გდ</b>	<b>გუჩარ-იშ-გდ</b>
მოქმ.	<b>როზო-შჷ-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-შჷ-იდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-შჷ-გდ</b>	<b>გუჩარ-შჷ-გდ</b>
ვით.	<b>როზო-დ-გდ</b>	<b>ჟოთარშერ-დ-გდ</b>	<b>{ჟ}ოთიშა-დ-გდ</b>	<b>გუჩარ-დ-გდ</b>

-გდ, -იდ, -უდ ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები და, ასევე, შტოგვარის აღმნიშვნელი სახელები ბრუნებისას რაიმე ხელშესახებ თავისებურებას არ ამჟღავნებენ. ერთადერთი, რამაც ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს არის ლახამულური კილოკავი, რომელიც ბალსქვემოურისაგან იმით სხვაობს, რომ მისგან განსხვავებით იყენებს არა -იდ ნაწილაკს, არამედ -გდ'ს, მსგავსად ბალსზემოური დიალექტისა. ლაშხურში -იდ/-რდ და -უდ ნაწილაკები მონაცვლეობენ, ხოლო ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ -უდ ნაწილაკი გამოიყენება.

სვანურში, კერძოდ ზემოსვანურ დიალექტებში, დასტურდება **-უნყ||-უნყჷ||-უნყჷს||-უთ{უ}** ნაწილაკები, რომლებიც მიჩნეულია დევის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ნაწილაკებად, დასტურდება მხოლოდ ზღაპრებში და მხოლოდ დევის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, ქართულ თარგმანებში კი აღნიშნული ნაწილაკი განუმარტავია. ჩვენი აზრით, დევის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ეს უჩვეულო ნაწილაკი უნდა განიღარ-

ტოს როგორც „ც, მცა“, ხოლო რაც შეეხება ბრუნებას, როგორც დანარჩენი ნაწილაკები, არც ეს ნაწილაკი იბრუნვის, სვანურ პუბლიკაციებში სიტყვასთან, როგორც წესი, დეფისითაა მიერთებული, მაგრამ ბალსქვემოური -**უთ** რატომღაც ცალკეა გატანილი, რაც ორთოგრაფიულად არასწორად მიგვაჩნია. იგი დაერთვის ნებისმიერ სახელს (მაგ.: **ბიკ-უნყუ[ს]**, **როსტომ-უნყუ[ს]**, **ნიშნ-უნყუ**, **ათხე-უნყუს**, **ათხენყუს**, **აღნყუს**, **სი-უნყუს**, **ეჩრშ-უნყუს**, **იმუნყუს**, **მამ-უნყს**, **დომ უნყუს**, **მანგ-უნყუს...**; **ღუაშუთ**, **ბიკუთ**, **ოქრეშუთ**, **წთროლიშუთ**, **ეშხუთ**, **ს'ოდუთ**, **მიშგუთ**, **მანუთ**, **აჭრუთ**, **აუთ**, **ლადიუთ**, **იმგი უნყუს...**), ზმნას (მაგ.: **ჯიგხაუთ**, **მულტაუთ...**), სახელზმნას (მაგ.: **ლიბრისდალუნყუს**, **ლირტყუიუთ...**) და მათ შორის ზმნისწინებსაც (მაგ.: **ქა-უნყუს**, **სგა-უნყუს...**; **ჩუუთ...**), თუმცა ამჯერად მხოლოდ -**უნყუ** და -**უთ** ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნებას განვიხილავთ.

**შენიშვნა:** ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ჩოლურის ხეობის სოფლებში სავსე პირობებში მოპოვებულ მასალებში, კერძოდ, საყდრელი დარეჯან გვიდიანისაგან ჩაწერილ ერთ-ერთ ზღაპარში დავადასტურეთ დევის მეტყველებისათვის დამახასიათებელი -**უც** ნაწილაკი (მაგ., **აადო**, **ღედაგარა ქტინს-უც**, **ღუტარა ქტინ-უც მიცხა** „აბა, მიცვალეულის სულსმცა, ცოცხალის სულიმც მირჩენია“), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული ნაწილაკი ქვემო სვანური დიალექტებისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, თუმცა მისი გამოყენების სხვა შემთხვევას ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

*წარმოვადგენთ ბრუნების ნიმუშებს ზემოთხსენებული დიალექტების მიხედვით*

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>დოლბზირწ-უნყუ-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვაც“	<b>დოლბზირა-უთ-{ო}</b>
მიც.	<b>დოლბზირწ-უნყ[უ]-ს-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვასაც“	<b>დოლბზირა-ს-უთ-{ო}</b>
მოთხ.	<b>დოლბზირწ-უნყ[უ]-დ-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვამაც“	<b>დოლბზირა-დ-უთ-{ო}</b>
ნათ.	<b>დოლბზირწ-უნყ[უ]-შ-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვისაც“	<b>დოლბზირა-შ-უთ-{ო}</b>
მოქ.	<b>დოლბზირწ-უნყ[უ]-შტ-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვითაც“	<b>დოლბზირა-შტ-უთ-{ო}</b>
ვით.	<b>დოლბზირწ-უნყ[უ]-დ-{რ}</b> „წისქვილის დოლაბის ქვადაც“	<b>დოლბზირა-დ-უთ-{ო}</b>

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]-[რ]</b> „ჯიჯბახილიც“	<b>ჯიჯბჷწილ-უთ</b>
მიც.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]ს-[რ]</b> „ჯიჯბახილისაც“	<b>ჯიჯბჷწილ-ს-უთ</b>
მოთხ.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]დ-[რ]</b> „ჯიჯბახილმაც“	<b>ჯიჯბჷწილ-დ-უთ</b>
ნათ.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]იშ-[რ]</b> „ჯიჯბახილისაც“	<b>ჯიჯბჷწილ-იშ-უთ</b>
მოქ.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]შუ-[რ]</b> „ჯიჯბახილითაც“	<b>ჯიჯბჷწილ-შუ-უთ</b>
ვით.	<b>ჯიჯბჷწრლ-უნყ[ტ]დ-[რ]</b> „ჯიჯბახილადაც“	<b>ჯიჯბჷწილ-დ-უთ</b>

-უნყუ ნაწილაკიანი სახელების ბრუნებისას ბალსზემოურში რამდენიმე თავისებურება იჩენს თავს, კერძოდ: როდესაც ზემოთ წარმოდგენილ ხმოვანფუძიან საზოგადო სახელს – **დოღებშირა**ს ნაწილაკის გარეშე ვაბრუნებთ (მაგ.: **დოღაბშირა, დოღაბშირა-ს, დოღაბშირა-დ, დოღაბშირა-შ, დოღაბშირა-უშ, დოღაბშირა-დ**), აუსლაუტისეული ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის გარდა ყველგან სრული ხმოვნით იქნება წარმოდგენილი, **-უნყუ** ნაწილაკის დართვისას კი მთელი რიგი ცვლილებები შეიძლება განვითარდეს: აუსლაუტისეული **-ა-** ხმოვანი ყველა ბრუნვაში **-ა-** ხმოვნით წარმოგვიდგება, ბრუნვის ნიშნები **-უნყუ** ნაწილაკის შემდეგ გადაინაცვლებს (მაგ.: **დოღაბშირა-უნყუ-ს, დოღაბშირა-უნყუ-დ, დოღაბშირა-უნყუ-შ, დოღაბშირა-უნყუ-შუ, დოღაბშირა-უნყუ-დ**), **-უნყუ** ნაწილაკის პარალელურად კი გამარტივებული **-უნყ** ნაწილაკიც დასტურდება, **-უ-** თანხმოვნის მოკვეცა კი, ჩვენი დაკვირვებით, არაფერს ცვლის. ერთნაწილაკიანი ფორმების პარალელურად ბალსზემოურ დიალექტს ორმაგნაწილაკიანი ფორმებიც უდასტურდება (მაგ.: **დოღაბშირა-უნყუ-ი, დოღაბშირა-უნყუ-ს-ი, დოღაბშირა-უნყუ-დ-ი, დოღაბშირა-უნყუ-შ-ი, დოღაბშირა-უნყუ-შუ-ი, დოღაბშირა-უნყუ-დ-ი**), თუმცა ქართულად ორივე შემთხვევაში ერთნაირად განიმარტება.

ბალსქვემოურ ტექსტებში **-უნყუ** ნაწილაკის გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა დადასტურდა (მაგ.: [დაუ] ... ასენჯაუი ჩაძუ [სამჭელაქს] ი ჰაულომ მეგამთეჟი ხეწად ი ხაქუე: „**იმჟი უნყუს** ადერ აშთეჟი?“ – დევი ათვალიერებს ყველგან სამჭელაქს და ალვის ხეზე დაინახა და ჰკითხა: „როგორ ახვედი ამაზე?“ (სვან. ქრესტ., 1978, 225:13-14)). ვინაიდან ამ ნაწილაკის შემცველი ტექსტი – **სამჭელაქ** ჩაწერილია სოფელ ბეჩოს ერთ-ერთ უბანში, მახერში, რომელიც ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან და თვით ბეჩოური კილოკავის დანარჩენი თქმებისაგან უამრავი თავისებურებით გამოირჩევა და სადაც ბალსზემოური დიალექტის, კერძოდ, ლატალური კილოკავის გავლენა ცხადად იგრძნობა, ვფიქრობთ, ეს მოვლენაც ლატალურთან მეზობლობით უნდა აიხსნას. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბალსქვემოურ ტექსტებში **-უთ** ნაწილაკი დასტურდება, რომელსაც დამატებით, ასევე, შეიძლება დაერთოს **-ი** „ც“ ნაწილაკი, თუმცა, ბალსზემოურის მსგავსად, ბრუნვის ნიშნები **-უთ** ნაწილაკის შემდეგ არ გადადის.

-ა/-ნ ნაწილაკიანი არსებითი სახელების ბრუნება

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	ბეფშუ-ნ „ბავშვი“?	ბეფშუ-ა?
მიც.	ბეფშუ-ს-ნ „ბავშვს“?	ბეფშუ-ს-ა?
მოთხ.	ბეფშუ-დ-ნ „ბავშვმა“?	ბეფშუ-დ-ა?
ნათ.	ბეფშუ-იშ-ნ „ბავშვის“?	ბეფშუ-იშ-ა?
მოქ.	ბეფშუ-შ[ტ]-ნ „ბავშვით“?	ბეფშუ-შ[ტ]-ა?
ვით.	ბეფშუ-დ-ნ „ბავშვად“?	ბეფშუ-დ-ა?

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ბოფშ-ნ?	ბეფშ[ტ]-ა?	ბოფშ-ნ?
მიც.	ბოფშ-ს-ნ?	ბეფშუ-ს-ა?	ბოფშ-ს-ნ?
მოთხ.	ბოფშ-დ-ნ?	ბეფშუ-დ-ა?	ბოფშ-დ-ნ?
ნათ.	ბოფშ-იშ-ნ?	ბეფშუ-იშ-ა?	ბოფშ-იშ-ნ?
მოქ.	ბოფშ-შ[ტ]-ნ?	ბეფშუ-შ[ტ]-ა?	ბოფშ-შ[ტ]-ნ?
ვით.	ბოფშ-დ-ნ?	ბეფშუ-დ-ა?	ბოფშ-დ-ნ?

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	ბოფშ-წრ-ნ „ბავშვები“?	ბოფშ-წრ-ა?
მიც.	ბოფშ-წრ-ს-ნ „ბავშვებს“?	ბოფშ-წრ-ს-ა?
მოთხ.	ბოფშ-წრ-დ-ნ „ბავშვებმა“?	ბოფშ-წრ-დ-ა?
ნათ.	ბოფშ-რ-ეშ-ნ „ბავშვების“?	ბოფშ-წრ-ეშ-ა ბოფშ-რ-ეშ-ა?
მოქ.	ბოფშ-წრ-შ[ტ]-ნ „ბავშვებით“?	ბოფშ-წრ-შ[ტ]-ა?
ვით.	ბოფშ-წრ-დ-ნ „ბავშვებად“?	ბოფშ-წრ-დ-ა?

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ბოფ/ბშ-არ-ნ?	ბოფშ-წრ-ა?	ბოფშ-არ-ნ?
მიც.	ბოფ/ბშ-არ-ს-ნ?	ბოფშ-წრ-ს-ა?	ბოფშ-არ-ს-ნ?
მოთხ.	ბოფ/ბშ-არ-დ-ნ?	ბოფშ-წრ-დ-ა?	ბოფშ-არ-დ-ნ?
ნათ.	ბოფ/ბშ-არ-ეშ-ნ?	ბოფშ-წრ-ეშ-ა?	ბოფშ-არ-ეშ-ნ?
მოქ.	ბოფ/ბშ-არ-შ[ტ]-ნ?	ბოფშ-წრ-შ[ტ]-ა?	ბოფშ-არ-შ[ტ]-ნ?
ვით.	ბოფ/ბშ-არ-დ-ნ?	ბოფშ-წრ-დ-ა?	ბოფშ-არ-დ-ნ?



შდრ. ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი

მხ. რ.

მრ. რ.

სახ. ბეფშ-ა?	ბოფშ-წრ-ა?
მიც. ბეფშ-ს-ა?	ბოფშ-წრ-ს-ა?
მოთხრ. ბეფშ-დ-ა?	ბოფშ-წრ-დ-ა?
ნათ. ბეფშ-იშ-ა?	ბოფშ-რ-ეშ-ა?
მოქმ. ბეფშ-შ[ტ]-ა?	ბოფშ-წრ-შ[ტ]-ა?
ვით. ბეფშ-დ-ა?	ბოფშ-წრ-დ-ა?

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	გოგლწანდ-წ „ცირცელი“?	გოგლწანდ-ა?
მიც.	გოგლწანდ-ს-წ „ცირცელს“?	გოგლწანდ-ს-ა?
მოთხ.	გოგლწანდ-დ-წ „ცირცელმა“?	გოგლწანდ-დ-ა?
ნათ.	გოგლწანდ-იშ-წ „ცირცელის“?	გოგლწანდ-იშ-ა?
მოქ.	გოგლწანდ-[ტ]შ-წ „ცირცელით“?	გოგლწანდ-შ[ტ]-ა?
ვით.	გოგლწანდ-დ-წ „ცირცელად“?	გოგლწანდ-დ-ა?

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	გოგლანდ-წ?	გოგლანდ-ა?	გოგლანდ-წ?
მიც.	გოგლანდ-ს-წ?	გოგლანდ-ს-ა?	გოგლანდ-ს-წ?
მოთხ.	გოგლანდ-დ-წ?	გოგლანდ-დ-ა?	გოგლანდ-დ-წ?
ნათ.	გოგლანდ-იშ-წ?	გოგლანდ-იშ-ა?	გოგლანდ-იშ-წ?
მოქ.	გოგლანდ-[ტ]შ-წ?	გოგლანდ-[ტ]შ-ა?	გოგლანდ-[ტ]შ-წ?
ვით.	გოგლანდ-დ-წ?	გოგლანდ-დ-ა?	გოგლანდ-დ-წ?

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	გოგლწანდ-წრ-წ „ცირცელები“?	გოგლანდ-წრ-ა?
მიც.	გოგლწანდ-წრ-ს-წ „ცირცელებს“?	გოგლანდ-წრ-ს-ა?
მოთხ.	გოგლწანდ-წრ-დ-წ „ცირცელებმა“?	გოგლანდ-წრ-დ-ა?
ნათ.	გოგლწანდ-რ-ეშ-წ „ცირცელების“?	გოგლანდ-წრ-ეშ-ა?
მოქ.	გოგლწანდ-წრ-[ტ]შ-წ „ცირცელებით“?	გოგლანდ-წრ-შ[ტ]-ა?
ვით.	გოგლწანდ-წრ-დ-წ „ცირცელებად“?	გოგლანდ-წრ-დ-ა?

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>გოგლანდ-არ-წ?</b>	<b>გოგლანდ-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-წ?</b>
მიც.	<b>გოგლანდ-არ-ს-წ?</b>	<b>გოგლანდ-ს-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-ს-წ?</b>
მოთხ.	<b>გოგლანდ-არ-დ-წ?</b>	<b>გოგლანდ-დ-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-დ-წ?</b>
ნათ.	<b>გოგლანდ-არ-ეშ-წ?</b>	<b>გოგლანდ-იშ-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-ეშ-წ?</b>
მოქ.	<b>გოგლანდ-არ-ჭეშ-წ?</b>	<b>გოგლანდ-ჭეშ-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-ჭეშ-წ?</b>
ვით.	<b>გოგლანდ-არ-დ-წ?</b>	<b>გოგლანდ-დ-ა?</b>	<b>გოგლანდ-არ-დ-წ?</b>

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, -ა/-წ კითხვითნაწილაკიანი არ-სებოთი სახელები ბრუნებისას რაიმე არსებით თავისებურებას არ აჩვენებენ.

*-გჟ, -უჟ, -იჟ ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების ბრუნება*

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	გზ.	ბქ.
სახ.	<b>თჷფგ-გჟ „თოფი-თქო“</b>	<b>თჷფგ-იჟ</b>
მიც.	<b>თჷფგ-ს-გჟ „თოფს-თქო“</b>	<b>თჷფგ-ს-იჟ</b>
მოთხ.	<b>თჷფგ-დ-გჟ „თოფმა-თქო“</b>	<b>თჷფგ-დ-იჟ</b>
ნათ.	<b>თჷფგ-იშ-გჟ „თოფის-თქო“</b>	<b>თჷფგ-იშ-იჟ</b>
მოქ.	<b>თჷფგ-ჭეშ-გჟ „თოფით-თქო“</b>	<b>თჷფგ-შ[ეშ]-იჟ</b>
ვით.	<b>თჷფგ-დ-გჟ „თოფად-თქო“</b>	<b>თჷფგ-დ-იჟ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>თოფ-იჟ</b>	<b>თოფ-იჟ</b>	<b>თოფ-იჟ</b>
მიც.	<b>თოფ-ს-იჟ</b>	<b>თოფ-ს-იჟ</b>	<b>თოფ-ს-იჟ</b>
მოთხ.	<b>თოფ-დ-იჟ</b>	<b>თოფ-დ-იჟ</b>	<b>თოფ-დ-იჟ</b>
ნათ.	<b>თოფ-იშ-იჟ</b>	<b>თოფ-იშ-იჟ</b>	<b>თოფ-იშ-იჟ</b>
მოქ.	<b>თოფ-ჭეშ-იჟ</b>	<b>თოფ-ჭეშ-იჟ</b>	<b>თოფ-ჭეშ-იჟ</b>
ვით.	<b>თოფ-დ-იჟ</b>	<b>თოფ-დ-იჟ</b>	<b>თოფ-დ-იჟ</b>

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>თოფ-წრ-გჯ</b> „თოფები-თქო“	<b>თოფ-წრ-ოჯ</b>
მიც.	<b>თოფ-წრ-ს-გჯ</b> „თოფებს-თქო“	<b>თოფ-წრ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>თოფ-წრ-დ-გჯ</b> „თოფებმა-თქო“	<b>თოფ-წრ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>თოფ-რ-ემ-გჯ</b> „თოფების-თქო“	<b>თოფ-წრ-ემ-ოჯ</b>
მოქ.	<b>თოფ-წრ-ტრ-გჯ</b> „თოფებით-თქო“	<b>თოფ-წრ-შტრ-ოჯ</b>
ვით.	<b>თოფ-წრ-დ-გჯ</b> „თოფებად-თქო“	<b>თოფ-წრ-დ-ოჯ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>თოფ-არ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ოჯ</b>
მიც.	<b>თოფ-არ-ს-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ს-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>თოფ-არ-დ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-დ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>თოფ-არ-ემ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ემ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ემ-ოჯ</b>
მოქ.	<b>თოფ-არ-ტრ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ტრ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ტრ-ოჯ</b>
ვით.	<b>თოფ-არ-დ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-დ-ოჯ</b>	<b>თოფ-არ-ოჯ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>ბწრ-გჯ</b> „ქვა-თქო“	<b>ბწრ-ოჯ</b>
მიც.	<b>ბწრ-ს-გჯ</b> „ქვას-თქო“	<b>ბწრ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>ბწრ-დ-გჯ</b> „ქვამ-თქო“	<b>ბწრ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>ბწრ-შ-გჯ</b> „ქვის-თქო“	<b>ბწრ-იშ-ოჯ   ბარ-ტრ-ემ-ოჯ   ბწრ-ტრ-ემ-იშ-ოჯ</b>
მოქ.	<b>ბწრ-ტრ-გჯ</b> „ქვით-თქო“	<b>ბწრ-შტრ-ოჯ</b>
ვით.	<b>ბწრ-დ-გჯ</b> „ქვად-თქო“	<b>ბწრ-დ-ოჯ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ბარ-ოჯ</b>	<b>ბწრ-ოჯ</b>	<b>ბარ-ოჯ</b>
მიც.	<b>ბარ-ს-ოჯ</b>	<b>ბწრ-ს-ოჯ</b>	<b>ბარ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>ბარ-დ-ოჯ</b>	<b>ბწრ-დ-ოჯ</b>	<b>ბარ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>ბარ-იშ-ოჯ   ბარ-ტრ-ემ-ოჯ</b>	<b>ბწრ-იშ-ოჯ  ბარ-ტრ-ემ-ოჯ   ბწრ-ემ-იშ-ოჯ</b>	<b>ბარ-იშ-ოჯ</b>
მოქ.	<b>ბარ-ტრ-ოჯ</b>	<b>ბწრ-ტრ-ოჯ</b>	<b>ბარ-ტრ-ოჯ</b>
ვით.	<b>ბარ-დ-ოჯ</b>	<b>ბწრ-დ-ოჯ</b>	<b>ბარ-დ-ოჯ</b>

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	ბზ.	ბქ.
სახ.	<b>ზაზ-წრ-გჯ</b> „ქვები-თქო“	<b>ზაზ-წრ-ოჯ</b>
მიც.	<b>ზაზ-წრ-ს-გჯ</b> „ქვებს-თქო“	<b>ზაზ-წრ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>ზაზ-წრ-დ-გჯ</b> „ქვებმა-თქო“	<b>ზაზ-წრ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>ზაზ-რ-ემ-გჯ</b> „ქვების-თქო“	<b>ზაზ-წრ-ემ-ოჯ  </b> <b>ზაზ-ტ-რ-ემ-იმ-ოჯ</b>
მოქ.	<b>ზაზ-წრ-ტ-გჯ</b> „ქვებით-თქო“	<b>ზაზ-წრ-შტ-ოჯ</b>
ვით.	<b>ზაზ-წრ-დ-გჯ</b> „ქვებად-თქო“	<b>ზაზ-წრ-დ-ოჯ</b>

	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ზეზ-არ-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-ოჯ</b>
მიც.	<b>ზეზ-არ-ს-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-ს-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-ს-ოჯ</b>
მოთხ.	<b>ზეზ-არ-დ-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-დ-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-დ-ოჯ</b>
ნათ.	<b>ზეზ-არ-იმ-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-ემ-ოჯ  </b> <b>ზაზ-ტ-წრ-ემ-იმ-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-იმ-ოჯ</b>
მოქ.	<b>ზეზ-არ-ტ-იმ-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-ტ-იმ-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-ტ-იმ-ოჯ</b>
ვით.	<b>ზეზ-არ-დ-ოჯ</b>	<b>ზაზ-წრ-დ-ოჯ</b>	<b>ზაზ-არ-დ-ოჯ</b>

თანხმოვანფუმიან საზოგადო არსებით სახელებზე -**გჯ**, -**უჯ**, -**ოჯ** ნაწილაკის დართვა ბრუნებისას, არც სახელის ფუძეზე და არც ბრუნვის ნიშნებზე გავლენას არ ახდენს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბალსზემოური ფორმები -**გჯ** ნაწილაკს დაირთავენ, დანარჩენი სვანური დიალექტები და, აგრეთვე, ლახამულური კილოკავი კი -**ოჯ** ნაწილაკს.

**დასკვნა:** თანამედროვე სვანური ენის დიალექტ-კილოკავები საკმაოდ მდიდარია ნაწილაკებით. ნაწილაკთა სიმრავლე განპირობებულია, ძირითადად, ფონეტიკური ვარიაციულობით, რასაც, ასევე, როგორც აღინიშნა, დიალექტ-კილოკავთა სიმრავლე განაპირობებს.

ნაწილაკთა სისტემა როგორც სემანტიკურად, ასევე ფუნქციურადაც ძალზე დატვირთულია. მათი სისტემური აღწერა და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი კი მნიშვნელოვანია ამ ენის ფუნქციონერებისა და განვითარების ტენდენციებისათვის. ბუნებრივია, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ნაწილაკიან სახელთა ბრუნება სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (*ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის*), *ჩოლურული მეტყველებისა* და *ლახამულური კილოკავის* მონაცემების გათვალისწინებით, მითუმეტეს, რომ ამ კუთხით საკითხი დღემდე არავის უკვლევია.

სვანურში ნაწილაკთა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი (*კითხვითი, განუსაზღვრელობითი, მიმართებითი, გაძლიერებითი, მიგებითი, უკუთქმითი, სიტყვასიტყვითი, განცვიფრებითი, ნება-სურვილისა, ნატვრითი, სხვათა*

სიტყვისა, დადასტურებითი, ჯერობა-გ ზისობისა, უარყოფითი და ა. შ.) გამოიყოფა, რომელთა ერთ ნაწილს, ქართულის მსგავსად, სუფიქსური ელემენტის (მაგ.: -ა, -ა, -მა, -ტა, -ჰა, -აჲ, -უ, -გ, -მა, -მო, -მუ, -ტნ/ალე||-ტნ/ალა, -დე/-დენ/-დენ/-დენა/-დენა/-დენა/-დენა/-დენა/-დენა, -ტნა, -ტნა, -ტნა, -ინ, -ენ, -უნ, -ჲ, -ჲჲ, -ოჲ, -ოდ, -ოდჲ, -ოდჲ, -გჲ, -უჲ, -ო, -უნყ[ტ]ს, -თუ, -უთ...) სახე აქვს.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ისეთ ნაწილაკებზეა ყურადღება გამახვილებული, რომელთაც სუფიქსური ელემენტის სახე გააჩნიათ (-უ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), -ჲჲ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), -ოჲ (ბქ.), -ოდ[ტ] (ბქ., ლნტ.), -ოდჲ (ბქ.) „მცა, -ცა, -ც“, -იდ (ბქ., ლშხ., ლნტ.), -გდ (ბზ.), -უდ (ჩოლ.) „კიდევ, კვლავ“, -ა, -ა „კითხვითი ნაწილაკი“, -გჲ, -უჲ, -ოჲ „მეთქი, თქო“ და ა. შ.) და დაერთვიან არსებით (საზოგადო და საკუთარ) სახელებს.

როგორც -უ, -ოჲ, -ოდ[ტ] ნაწილაკდართული თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნებამ აჩვენა, ნაწილაკის დართვა რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ იწვევს სვანური ენის კილოკავებში, თუმცა ლახამულური აშკარად სხვაობს ბალსქვემოურისაგან, რაზეც მოწმობს, ერთი მხრივ, ბალსქვემოური ჯან-პრ-ოდ[ტ] და, მეორე მხრივ, ლახამულური ჯან-პრ-ოჲ, როგორც ვხედავთ, ბალსქვემოური ძირითადად -ოდ ნაწილაკს იყენებს, ლახამულური კი -ოჲს, რაც სახელთა ბრუნებაზე არ ახდენს გავლენას.

-გდ, -იდ, -უდ ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები და, ასევე, შტოგვარის აღმნიშვნელი სახელები ბრუნებისას რაიმე ხელშესახებ თავისებურებას არ ამჟღავნებენ. ერთადერთი, რამაც ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს არის ისევ ლახამულური კილოკავი, რომელიც ბალსქვემოურისაგან იმით სხვაობს, რომ მისგან განსხვავებით იყენებს არა -იდ ნაწილაკს, არამედ -გდს, მსგავსად ბალსზემოური დიალექტისა. ლაშხურში -იდ/-რდ და -უდ ნაწილაკები მონაცვლეობენ, ხოლო ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ -უდ ნაწილაკი გამოიყენება. ცხადია, ერთი და იმავე ნაწილაკის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტთა გამოყენება არც სახელის ფუძეზე და არც ბრუნვის ნიშნებზე გავლენას არ ახდენს.

სვანურში, კერძოდ ზემოსვანურ დიალექტებში დასტურდება დევის მეტყველებისათვის დამახასიათებელი -უნყ||-უნყჲ||-უნყჲს||-უთ[უ] ნაწილაკი, რომელიც მხოლოდ ზღაპრებში გვხვდება და სავარაუდოდ „ც, მცა“ ნაწილაკის ფუნქცია გააჩნია. რაც შეეხება ბრუნებას, როგორც დანარჩენი ნაწილაკები, არც ეს ნაწილაკი იბრუნვის. იგი დაერთვის ნებისმიერ სახელს (მაგ.: ბიკ-უნყჲ[ს], როსტომ-უნყჲ[ს], ნიშნ-უნყჲ, ათხე-უნყჲს, ათხენყჲს, აღანყჲს, სი-უნყჲს, ერიშ-უნყჲს, იმუნყჲს, მამ-უნყს, დომ უნყჲს, მანგ-უნყჲს...; ღუაშუთ, ბიკუთ, ოქრეშუთ, პნთროლიშუთ, ეშხუთ, ს'ოდუთ, მიშგუთ, მანუთ, მარუთ, აუთ, ლადიუთ, იმყი უნყჲს...), ზმნას (მაგ.: ჯიგხაუთ, მუღტაუთ...), სახელზმნას (მაგ.: ლიპრისდალუნყჲს, ლირტყუიუთ...) და მათ შორის ზმნისწინებსაც (მაგ.: ქა-უნყჲს, სგა-უნყჲს...; ჩუუთ...).

-**უნყუ** ნაწილაკიანი სახელების ბრუნებისას ბალსზემოურში რამდენიმე თავისებურება იქნეს თავს, კერძოდ: როდესაც ზემოთ წარმოდგენილ ხმოვან-ფუძიან საზოგადო სახელს – **დოლებზირა**ს ნაწილაკის გარეშე ვაბრუნებთ (მაგ.: **დოლზზირა**, **დოლზზირა-ს**, **დოლზზირა-დ**, **დოლზზირა-შ**, **დოლზზირა-ჟშ**, **დოლზზირა-დ**), აუსლაუტისეული ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის გარდა ყველგან სრული ხმოვნით იქნება წარმოდგენილი, -**უნყუ** ნაწილაკის დართვისას კი მთელი რიგი ცვლილებები შეიძლება განვითარდეს: აუსლაუტისეული -**ა**- ხმოვანი ყველა ბრუნვაში -**ა**- ხმოვნით წარმოგვიდგება, ბრუნვის ნიშნები -**უნყუ** ნაწილაკის შემდეგ გადაინაცვლებს (მაგ.: **დოლზზირა-უნყუ-ს**, **დოლზზირა-უნყუ-დ**, **დოლზზირა-უნყუ-შ**, **დოლზზირა-უნყუ-ჟშ**, **დოლზზირა-უნყუ-დ**), -**უნყუ** ნაწილაკის პარალელურად კი გამარტივებული -**უნყ** ნაწილაკიც დასტურდება, -**ჟ**- თანხმოვნის მოკვეცა კი, ჩვენი დაკვირვებით, არაფერს ცვლის. ერთნაწილაკიანი ფორმების პარალელურად ბალსზემოურ დიალექტს ორმაგნაწილაკიანი ფორმებიც უდასტურდება (მაგ.: **დოლზზირა-უნყუ-რ**, **დოლზზირა-უნყუ-ს-რ**, **დოლზზირა-უნყუ-დ-რ**, **დოლზზირა-უნყუ-შ-რ**, **დოლზზირა-უნყუ-ჟშ-რ**, **დოლზზირა-უნყუ-დ-რ**), თუმცა ქართულად ორივე შემთხვევაში ერთნაირად განიმარტება.

ბალსქვემოურ ტექსტებში -**უნყუ** ნაწილაკის გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა დადასტურდა. ვინაიდან ამ ნაწილაკის შემცველი ტექსტი – **სამჭელაქ** ჩაწერილია სოფელ ბეჩოს ერთ-ერთ უბანში, მაზერში, რომელიც ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან და თვით ბეჩოური კილოკავის დანარჩენი თქმებისაგან მრავალი თავისებურებით გამოირჩევა და სადაც ბალსზემოური დიალექტის, კერძოდ, ლატალური კილოკავის გავლენა დიდად იგრძნობა, ვფიქრობთ, ეს მოვლენაც ლატალურთან მეზობლობით უნდა აიხსნას. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბალსქვემოურ ტექსტებში -**უთ** ნაწილაკი დასტურდება, რომელსაც დამატებით, ასევე, შეიძლება დაერთოს -**ო** „ც, მცა“ ნაწილაკი, თუმცა, ბალსზემოურის მსგავსად, ბრუნვის ნიშნები -**უთ** ნაწილაკის შემდეგ არ გადაინაცვლებს.

-**ა**/**-ა** ნაწილაკიანი არსებითი სახელები ბრუნებისას რაიმე არსებით თავისებურებას არ აჩვენებენ.

რაც შეეხება -**გჯ**, -**უჯ**, -**იჯ** ნაწილაკიან თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების ბრუნებას, მათი დართვა არც სახელის ფუძეზე და არც ბრუნვის ნიშნებზე გავლენას არ ახდენს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბალსზემოური ფორმები -**გჯ** ნაწილაკს დაირთავენ, დანარჩენი დიალექტები და მათ შორის ჩოლურული მეტყველება და ლახამულური კილოკავი კი -**იჯ** ნაწილაკს.

### **ინფორმატორები**

**ელიზავეტა გაზდელიანი** (ლენტესური დიალექტის წარმომადგენელი)  
**ზოია საღლიანი** (ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელი)  
**თათია ზედანი** (ბალსზემოური დიალექტის წარმომადგენელი)  
**ლელა გიგლემიანი** (ბალსზემოური დიალექტის წარმომადგენელი)  
**მერი ნემსაძე** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი)  
**ნატო შავრეშიანი** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი)  
**ონისე ჯანხოთელი** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი)  
**როენა ჭკადუა** (ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის წარმომადგენელი)  
**ციცო კვასტიანი** (ჩოლოურული მეტყველების წარმომადგენელი).

MEDEA SAGHLIANI

### **On the Declension of Nouns Containing Particles in Svan Dialects**

#### S u m m a r y

The present paper is focused on such particles that look like suffixal elements (-**u**/**-uw**/**-ow**/**-ოყ[w]**/**-uყw** “even”, **-id**/**-əd**/**-ud** “again, still”, **-a**/**-ā** “a question particle”, **-əჷ**/**-uჷ**/**-iჷ** “speech particles”, etc.) and attach to nouns (proper or common).

As the research has shown, in some cases in the process of declension attaching these particles to the base of a noun does not cause any major changes in Svan dialects but there are cases when it causes such changes that are mainly reflected on the case markers. In this respect, the declension of nouns that contain particles **-unq**||**-unqw**||**-unqws**||**-ut**{**u**} typical to Devi’s speech is especially interesting.

In most cases, the difference between the dialects is limited to the phonetic variants of the said particles, e.g. cf. Lower Bal **mare-ოყw** and Lakhamul **mare-ow**, etc. Using the different phonetic variants of the same particle has no impact on the base and the case markers.

მედია სალიანი, ნატო შავრეშიანი, ლელა გიგლემიანი

### **სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებული რიგი საკითხების შესახებ**

ტოპონიმები, რამდენადაც ცნობილია, უთარგმნელი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა სხვა ენაზე გადმოტანისას, ფონეტიკური ტრანსკრიფციის საფუძველზე დაყრდნობით, მხოლოდ ტრანსლიტერაციის საკითხი დგება (აფრიდონიძე 2004: 65). ცხადია, ეს დებულება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უცხოენოვანი, კერძოდ, რუსული ენის ტოპონიმების ქართულ ენაზე გადმოღებას ეხება, გამოყენებული უნდა იქნას მეგრულ-ლაზური და სვანური გეოგრაფიული სახელების ქართულ ენაზე გადატანის შემთხვევაშიც, თუმცა ტრანსლიტერაციისას ანგარიში უნდა გაეწიოს სხვა ფაქტორებს.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ დღემდე საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა მცდელობა მეგრულ-ლაზური და სვანური ტოპონიმების ქართულ ენაზე გადმოტანის კრიტერიუმების შემუშავებისა. ალბათ, ამ კრიტერიუმების არარსებობამ განაპირობა თავის დროზე არაერთი მეგრული ტოპონიმის (მაგ.: **გოჭკადილი** „გაჭედილი“, **უჩა დაღუ** „შავი დეღე“ და სხვ.) ქართულად თარგმნა, რაც, მკვლევართა აზრით, არასწორი იყო და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე პრობლემატურ საკითხად რჩება სამეგრელოში, მითუმეტეს რომ სახელმწიფო ენის შესახებ ახლახან შესულ კანონში გარკვევით წერია: „ტოპონიმების შეცვლა დაუშვებელია“.

რა შეიძლება ითქვას სვანურ გეოგრაფიულ სახელებზე? როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურ ტოპონიმთა ქართულ ენაზე გადმოთარგმნის შემთხვევები თითქმის არ ყოფილა და, ამდენად, ამ მხრივ პრობლემაც მოხსნილია, თუმცა, ენათმეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ტოპონიმის ქართულ ენაზე გადმოტანისას, ბევრი საკითხი ახლებურ მიდგომასა და ინტერპრეტაციას მოითხოვს, მეტადრე თუ ეს საკითხი ეხება სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენას.

სვანური ტოპონიმების კვლევის მნიშვნელობაზე არაერთ მეცნიერს უმსჯელია და უადრესად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გაკეთებულა ამა თუ იმ რიგი საკითხების შესახებ, მაგრამ ტოპონიმთა თარგმნა-უთარგმნელობის შესახებ დღემდე არავის უმსჯელია. ვინაიდან დღის წესრიგში დადგა საკითხი სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონის გამოცემისა, ვფიქრობთ, წინასწარ უნდა შემუშავდეს ლექსიკონის შედგენის კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმთა გათვალისწინებით მკითხველს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ლექსიკონი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შესახებ



არსებული ინფორმაციით (ვგულისხმობთ ტოპონიმის შემსწავლელი საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ შემუშავებული კითხვარის – *ადგილის სახელი, რისი სახელია, ადრე რა ერქვა, ამ ადგილის მოკლე აღწერა, რატომ დაერქვა ადგილს ეს სახელი, რომელი სოფლის კუთვნილებაა ეს ადგილი, ვინ ჩაიწერა, როდის ჩაიწერა, ვისგან ჩაიწერა* და ა. შ.<sup>1</sup> მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას ამა თუ იმ ტოპონიმის შესახებ) კი არ იქნება შემოფარგლული, არამედ ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც უფრო საინტერესო და გამჭვირვალე იქნება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს როგორც ტრანსლიტერაციას (ანუ ერთი ენის ბგერების გადმოცემას სხვა ენის ასოებით), ასევე სიტყვასიტყვით თარგმანებს, რაც გააადვილებს სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენას.

სანამ ჩვენ მიერ შემუშავებული ენათმეცნიერული კრიტერიუმების განხილვაზე გადავალთ, მანამდე შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ინსტრუქცია ონომასტიკური მასალის ჩამწერათვის (იხ. ერთელიშვილი 1998: 40-53; ხორნაული 2003: 374-388), რომლის მიხედვითაც ტოპონიმიკური კვლევა-ძიება სამ ძირითად ეტაპად იყოფა:

1. *მასალის აღწერა-შეგროვება*
2. *მასალის სისტემატიზაცია*
3. *მასალის დამუშავება და კვლევა.*

რასაკვირველია, ტოპონიმის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მასალის აღწერა-შეგროვებას ენიჭება, რაც სპეციალური კითხვარის მიხედვით მიმდინარეობს. ეს კითხვარი ითვალისწინებს შემდეგ პუნქტებს:

I. **ადგილის სახელი** (სახელის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებით, აგრეთვე სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით)

II. **რისი სახელია** (მთისა, მდინარისა, ხევისა, საძოვრისა...)

III. **ადრე რა ერქვა**

IV. **ამ ადგილის მოკლე აღწერა** (მდებარეობა, რელიეფი, საზღვრები, თავისებურება, რით იქცევს ყურადღებას...)

V. **რატომ დაერქვა** (ან დარქმევია) **ადგილს ეს სახელი** (როგორია ხალხური თქმულება, გადმოცემა, ეტიმოლოგია)

VI. **რომელი სოფლის** (ქალაქის, დაბის...) **კუთვნილებაა ეს ადგილი ამჟამად**

VII. **დამატებითი ცნობები და ჩამწერის მოსაზრებანი ამ ტოპონიმთან დაკავშირებით**

VIII. **ვინ ჩაიწერა** (გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, მისამართი)

IX. **ვისგან ჩაიწერა** (გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, მისამართი)

X. **როდის ჩაიწერა.**

ვინაიდან ჩვენ ხელთ არსებული სვანური დიალექტოლოგიური სალექსიკონო ტოპონიმიკური მასალა უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის (დღეს უკვე ონომასტიკის ეროვნული ცენტრის) მიერ შემუშავებული ინ-

<sup>1</sup> ამ კითხვარის სრული ვარიანტი წარმოდგენილი იქნება ქვემოთ!

სტრუქციით ზუსტადაა აღწერილ-შედგენილი ამბაკო ჭკადუას მიერ<sup>1</sup>, ამიტომ ამ მხრივ რაიმე სერიოზულ პრობლემას ადგილი არა აქვს, დავამატებთ მხოლოდ რამდენიმე კრიტერიუმს, რაც უფრო ნათელს და გასაგებს გახდის ამა თუ იმ სვანური ტოპონიმის საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ენათმეცნიერებს კი საშუალება ექნებათ უფრო დაწვრილებით იკვლიონ სვანური ტოპონიმების როგორც სტრუქტურული შედგენილობა, ასევე სემანტიკა და ეტიმოლოგია.

სვანური ტოპონიმური ლექსიკონის შედგენისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი კრიტერიუმები:

• **ტრანსლიტერაციის საკითხი**

• **სიტყვასიტყვითი (ანუ ზედმიწევნით) თარგმნის საკითხი**

• **სინტაგმების შემადგენელი კომპონენტების თარგმნის საკითხი**

1. ტრანსლიტერაცია, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალებაა ერთი ენის ტოპონიმების სხვა ენაზე გადმოცემისა. ბუნებრივია, ეს საშუალება უნდა გამოვიყენოთ სვანურ ტოპონიმთა ქართულ ენაზე გადმოტანის შემთხვევაშიც, რამეთუ სვანური ბგერითი შედგენილობით, კერძოდ – ვოკალიზმით (**ა, ე, ი, ო, უ, გ, ზ, ნ, რ, ო, უ, გ, ა, ო, უ, ზ, ო, უ**) საგრძნობლად განსხვავდება სხვა ქართველურ ენათა ბგერითი შედგენილობისაგან.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმის სახით წარმოვადგენთ ტოპონიმურ მასალას, სადაც ტრანსლიტერაციის საშუალებით ნაჩვენები იქნება თითოეული სვანური ბგერის შემცველი ქართული ფონემა:

ა) სვან. **ა/ა/ა** – ქართ. **ა**

*საილუსტრაციო მასალა:*

ცხემარ „ცხუმარი“, ფარ „ფარი“, ლაღეჟალ „ლაღევალი“, უშხუანარ „უშხვანარი“, იფარ „იფარი“, ისკარ „ისკარი“, ლაშერა „ლაშერა“, ზაგარ „ზაგარი“, კალაშ „კალაში“...; აბდანი „აბდანი“, დაბრშ „დაბიში“, დეჟლშ „დევლაში“, უანი „ვანი“, მამ „მამი“, ლაშხე „ლაშხე“, მახაშ „მახაში“, დერაშ „დურაში“...; აბაანი „აბაანი“, აბლანი „აბლანი“, არშელანი „არშელანი“, დადანი „დადანი“, დალტანი „დალტანი“...

ბ) სვან. **ე** – ქართ. **ე**

*საილუსტრაციო მასალა:*

ადაშერ „ადაიშერი“, არცხელ „არცხელი“, ლეუშერ „ლეუშერი“, მუყმენდ „მუყმენდი“, დაბდერ „დაბდერი“, დაბიერ „დაბიერი“...

<sup>1</sup> ა. ჭკადუას ფონდში დაცული უნიკალური სვანური ტოპონიმური მასალა შემდგომი კვლევა-ძიების ჩასატარებლად ქართველურ ენათა განყოფილების გამგის გ. გოგოლაშვილისა და ონომასტიკის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პ. ცხადაიას ძალისხმევითა და მონდომებით გადაეცა ამავე განყოფილების სვანურ ენაზე მომუშავე ჯგუფს. აღნიშნულმა ჯგუფმა კი 2015 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარადგინა დასაფინანსებლად პროექტი „**სვანური ენის ტოპონიმთა (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“, რომელიც 2016 წელს დაფინანსდა; მომზადებული წიგნის გამოცემა ივარაუდება 2019 წლისთვის.

გ) სვან. ო – ქართ. **ო**

*საილუსტრაციო მასალა:*

ქუნრმ „ქუნიში“, დაბჷრერ „დაბვიერი“, დნბჷრმ „დაბში“, დნდჷრმ „და-  
დვიში“, მოლრდარ „მოლიდარი“, აფხჷერრმ „აფხვერიში“...

დ) სვან. ო – ქართ. **ო**

*საილუსტრაციო მასალა:*

ჩრლოურ „ჩოლოური“, ზაგალორდ „ზაგალოდი“, დრმრლწმ „დრმოლაში“,  
კალორდარ „კალოდარი“, ლაკაჟოლალ „ლაკაჟოლალი“, აყაროლ „აყაროლი“...

ე) სვან. უ – ქართ. **უ**

*საილუსტრაციო მასალა:*

ნაცჷლ „ნაცული“, აშჷლდ „აშჷლდი“, ჩუკჷლ „ჩუკული“, ქჷნიმ „ქჷნი-  
ში“, ღურმჷთიან „ღურმუთიანი“...

ვ) სვან. გ/გ – ქართ. **უ**

*საილუსტრაციო მასალა:*

ცხემწარ „ცხუმარი“, ბგლეშ „ბჷლეში“, ლახმგლ „ლახამჷლა“, ფხგტრერ  
„ფხჷტრერი“, ლამგჷკა „ლამჷკა“, ტყაბგლდ „ტყაბჷლდი“, გოგლგნდწრ „გოგ-  
ლუნდარი“...; დგწმ „დჷრაში“, ტობგლდარ „ტობჷლდარი“...

სვანურ ნეიტრალურ გ/გ ხმოვანს ქართულში, ძირითადად, **უ** ხმოვანი  
ენაცვლება, თუმცა იშვიათად სხვა ხმოვანთა შენაცვლების შემთხვევებიც დას-  
ტურდება (მაგ.: მემხგლ „მემშილი“, ზაგლგდ „ზაგლიდი“ და სხვ.).

**შენიშვნა:** ხშირად სვანური ამა თუ იმ ტოპონიმის ქართულად  
გადმოტანისას სვანური ძირისეული ხმოვანი აღდგება (მაგ.: **ლატლი** „ლა-  
**ტალი**“, **ლახმგლ** „ლახამჷლა“, **ლელება/ლენტა** „ლენტები“...). გვხვდება  
ისეთი სვანური ტოპონიმებიც, რომელთა ქართულად გადმოტანისას, მათი  
სტრუქტურულიდან გამომდინარე, არ ხდება მიღებული ტრანსლიტერაციის  
წესის გამოყენება, ასეთი ტოპონიმებია: **უმზა** „მწვერვალი ბალსქვემო სვა-  
ნეთში“, **ჩიშტი** „უღელტეხილი სვანეთის ქედზე“, **ჰყერუ** „მთა ბალსქვემო  
სვანეთში“, **მანგარა** „ადგილი ბალსქვემო სვანეთში“, **აკლდამა** „სასაფლაო  
ბალსქვემო სვანეთში“, **ფალა** „სათიბი ბალსქვემო სვანეთში“ და მრავ. სხვ.

2. ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენის დროს ხშირად უცხო წარმო-  
შობის ტოპონიმ-თა *სიტყვასიტყვითი* (ანუ *ზედმიწვევითი*) თარგმანის საკი-  
თხიც დგება, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, უპირველეს ყოვლისა ტრანსლიტე-  
რაცია უნდა გავითვალისწინოთ და შემდგომ უკვე შესაძლებლობის ფარგლებ-  
ში უცხო წარმოშობის ყველა „გამჭვირვალე“ სახელწოდების ქართული ეკვივა-  
ლენტი უნდა გამოავალინოთ. თარგმნის დროს კი, როგორც საენათმეცნიერო  
ლიტერატურაში აღნიშნავენ, ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებლად რო-  
გორც ტოპონიმის სტრუქტურას (ერთელიშვილი 1998: 51), ასევე სემანტიკას  
(მაგ.: **ლა-გუჷ-ერ-ი** „წაბლ-ნარ-ი“ (შდრ. სვან. **გუჷჷ** „წაბლი“), **ლე-შგუდ-ინ-ი**  
„სა-ჩრდილ-ობ-ელ-ი“ (შდრ. სვან. **შგედ** „ჩრდილი“), **ლა-ღუამ** „სა-ჯიხვ-ე  
(შდრ. სვან. **ღუამ** „ჯიხვი“), **ლა-შერ-ა** „სა-ლეს-ი“ (შდრ. სვან. **ლაშერ** „სალე-  
სი“), **ლა-ღუწარ-ი** „სა-ხბო-ე“ (შდრ. სვან. **ღუნ** „ხბო“), **ლა-გუწი-წარ** „სა-ტირალ-ი

(შდრ. სვან. **ლიგუნი** „ტირილი“)“ და ა. შ.). ვფიქრობთ, ამგვარად შედგენილი ტოპონიმიკური ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ სვანური ტოპონიმებით დაინტერესებულ ყველა პირს.

**შენიშვნა:** აქვე შევნიშნავთ, რომ დაუშვებელია სვანურიდან ქართულად პირდაპირ ითარგმნოს რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდება (მაგ.: **ცხემარ** „რცხილნარი“, **ჭუხერ** „წაბლნარი“, **ზაგარ** „გორაკი“, **კაცხ** „წვერი“ და ა. შ.) ყოველგვარი ტრანსლიტერაციის გარეშე, ვინაიდან ეს დიდ გაუგებრობას გამოიწვევს როგორც არასვანურენოვან, ისე სვანურენოვან მოსახლეობაშიც. სოფლის სახელწოდება **ცხემარ** „ცხუმარი“ რომ პირდაპირ **რცხილიან**-ად გადმოვიღოთ ქართულში და შემდგომში ვინმემ სვანეთში სოფელ რცხილიანის ძებნა დაიწყო, ცხადია, ეს სრულ გაუგებრობამდე მიგვიყვანს.

3. სვანური რთული შედგენილობის (შესიტყვების ტიპის) ტოპონიმების ქართულ ენაზე გადმოტანისას, ცხადია, სინტაგმების შემადგენელი კომპონენტების თარგმანის საკითხიც დგება. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამონაკლისი დავუშვათ და ვთარგმნოთ ქართულად, მაგალითად, ან მთლიანი სინტაგმა (მაგ.: **ჩიხე შუჴან** „ზემო სვანეთი“, **ჩუხე შუჴან** „ქვემო სვანეთი“, **ბალღენჴიშ შუჴან** „ბალსზემო სვანეთი“, **ბალღენჴუშ შუჴან** „ბალსქვემო სვანეთი“ და ა. შ.), ან სინტაგმის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი (მაგ.: **ჩაბე ლჴა** „ზედა ლუჴა“, **ჩუჴბე ლჴა** „ქვედა ლუჴა“, **ჩიხე ლეზგარა** „ზედა ლეზგარა“, **ჩუხე ლეზგარა** „ქვემო ლეზგარა“...), თუმცა მთლიანად სინტაგმების პირდაპირი (ან თუნდაც მისი რომელიმე კომპონენტის) თარგმნის საკითხი გამართლებულად არ მიგვაჩნია, უბრალოდ ზოგჯერ გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონში ტოპონიმები გარკვეული წესით უნდა შევიდეს, მაგალითად:

**არშუღ-იშ** „არშვლ-იშ-ი (ზედმიწ. – შარვლ-ის[ა])“, ყანა (მესტია, ფარი, ქვედა ლუჴა), სილევან იშმაგის ძე დადემქელიანი, 54 წლისა, 1969 წ.

**დაბ-ერ-ილ** „დაბ-ერ-ილ-ი (ზედმიწ. – დაბ-იან-უკა)“, სათიბი (მესტია, მულახი, ლახირი), ალექსანდრე ისლამის ძე იოსელიანი, 99 წლისა, 1971 წ.

**დაშდუ-ლ-ან-ი** „დაშდვ-ელ-ან-ი (ზედმიწ. – დათვ-ის-ან-ი)“, ყანები (მესტია, ლენჯერი, ლაშთხვერ-ქაშუეთი), ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წლისა, 1972 წ.

**ლაშდალჴ-ა** „ლაშდალვა (ზედმიწ. – სა-მერცხლ-ე)“, სათიბი (მესტია, ცხუმარი, ლეზგარა), შოთა მიხეილის ძე საღლიანი, 75 წლისა, 2001 წ.

**რატ-ან-ი** „რატ-ან-ი (ზედმიწ. – სა-რატ-იან-ო)“, სათიბი (მესტია, ცხუმარი, ლეზგარა), ჯოტა ზორბექის ძე საღლიანი, 68 წლისა, 1990 წ.

**ლა-ბუღ** „ლა-ბუღ-ი (ზედმიწ. – სა-მტვერ-ე)“, ადგილი, სამოვარი (მესტია, ცხუმარი, ლეზგარა), კარლო ერმინეს ძე საღლიანი, 75 წლისა, 2013 წ.

**სტარმუნ-იშ** „სტარმუნ-იშ-ი (ზედმიწ. – ჯვარისა)“, სათიბები (მესტია, ფარი, ლემდერი), კარლო პავლეს ძე მიქიანი, 60 წლისა, 2001 წ.

**ცხემარ** „ცხუმარ-ი (ზედმიწ. – რცხილ-იან-ი)“, სოფელი (მესტია), შოთა მიხეილის ძე საღლიანი, 75 წლისა, 2001 წ. და ა. შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სახით გამოცემული სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონი, სადაც სვანური ენის ყველა დიალექტის (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის და, აგრეთვე, ჩოლურული მეტყველების) მასალა იქნება წარმოდგენილი, საშუალებას მისცემს ენათმეცნიერებს უფრო მეტი სიზუსტით იკვლიონ სვანური ტოპონიმების როგორც სტრუქტურული შედგენილობა, ასევე სემანტიკა და ეტიმოლოგია.

### ლიტერატურა

**აფრიდონიძე 2004** – შ. აფრიდონიძე, საკუთარი სახელების გადმოცემისათვის მხატვრულ თარგმანში (ლ. ტოლსტოის “**Казакъ**”-ს სამი თარგმანის მიხედვით), ქართველური ონომასტიკა, II, თბილისი, 2004

**ერთელიშვილი 1998** – ფ. ერთელიშვილი, ტოპონიმის აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი, 1998

**ხორნაული 2003** – გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა, თბილისი, 2003.

MEDEA SAGHLIANI, NATO SHAVRESHIANI, LELA GIGLEMIANI

### **On the Issues Related to Compiling the Svan Toponymic Dictionary**

#### S u m m a r y

The paper deals with problematic issues related to compiling the Svan toponymic dictionary.

According to linguistic literature, toponymic research is divided into three main stages: 1. Collecting and describing material; 2. Systematizing material; 3. Processing and studying material. Of course, the first stage is especially important when studying toponymy that is carried out with the help of questionnaires that include the following parts: the place name; what the place is; what the previous name was; a brief description of the place; the reasons of naming; to what village (city, town...) this place belongs; additional information and the interviewer's ideas about the place; who recorded; who the respondent was; when the information was recorded.

In order to make it clearer we added the following several issues to the criteria for compiling the toponymic dictionary: the issue of transliteration; the issue of literal translation; the issue of translating the components of a syntagm. Scientists will be able to study the structural composition, semantics and etymology in more detail.

ნარგიზა სურმავა

**პარალინგვიზმები, ელიფსისი და ტრანსპოზიციის  
გზით მიღებული ნაწილაკები**

სამეტყველო პროცესის განუყოფელ ნაწილს ვერბალურთან (სიტყვიერთან) ერთად წარმოადგენს არავერბალური საშუალებები: ჟესტ-მიმიკა, შეყოვნების პაუზა და მისი ჰეზიტაციური შემავსებლები, ხმის მოდულაცია, ტემბრი, ინტონაცია, აქცენტუაცია.

არავერბალურ მახასიათებელთა ერთობლიობას უწოდებენ პარაენას, მის შესასწავლად სპეციალური სამეცნიერო მიმართულება პარალინგვისტიკა შეიქმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ცოცხალი მეტყველების თანამდევი პარაენობრივი მახასიათებლები ორი სახისაა: კინეტიკური (ჟესტ-მიმიკაზე, სხეულის ნაწილების მოძრაობაზე დაყრდნობილი) და ფონაციური (ხმიანობით, ბგერადობით გამოხატული – სმენით აღქმაზე გათვლილი).

საკომუნიკაციო პროცესში მთავარი და წარმმართველი ვერბალური ურთიერთობაა, ხოლო პარაენობრივის მიმართ ლინგვისტური ინტერესი განპირობებულია მისი ჩართულობით ამ პროცესში. პარაენა საკომუნიკაციო აქტისგან ავტონომიურად არ არსებობს, მაგრამ არც კომუნიკაციური ურთიერთობა არსებობს პარალინგვისტური კომპონენტის გარეშე. პარაენობრივი მახასიათებლები აქტიურ ინფორმაციულ და ექსპრესიულ წყაროს წარმოადგენენ. ისინი ორმხრივ ფუნქციას ასრულებენ: ა) აზუსტებენ, აკონკრეტებენ გამონათქვამის აზრობრივ მხარეს და ბ) მიუთითებენ მოლაპარაკე პირის ეთნოკულტურულ, ეთიკურ, სოციალურ, ასაკობრივ, გენდერულ, დიალექტურ, იდიოლექტურ შტრიხებზე (კოლშანსკი 1974; ნიკოლაევა 1990; კვარაცხელია 2008).

გამოკვლეულია, რომ პარაენობრივი საშუალებანი სხვაობენ თვით ერთი ენის ფარგლებში – სოციალურსა და ტერიტორიულ ქვესისტემებში. შესაძლებლად არის მიჩნეული საუბარი პარადიალექტსა და პარადიალექტოლოგიაზე: „ჩაწერილი დიალექტური მასალა თვალსაჩინოს ხდის, თუ რაოდენ არსებითი ღირებულებისა აღმოჩნდება მისი შესწავლა წმინდა დიალექტოლოგიურთან ერთად პარადიალექტოლოგიური პრინციპებითაც“ (ჯორბენაძე 1989: 55-56). მაგრამ ასეთი მასალა ვიდეოჩანაწერის თანხლებას ან ვიდეოჩანაწერის სპეციფიკურ გაშიფვრას მოითხოვს – ჩამწერისეული რემარკებითა და დამატებითი გრაფიკული აღნიშვნებით.

საკომუნიკაციო ვითარებაში სიტყვიერთან ერთად პარაენობრივი საშუალებების თანამონაწილეობა ხშირად წარმოქმნის გამომხატველ საშუალებათა სიჭარბეს, რისგანაც თავის დაღწევა ვერბალური მასალის შეზღუდვის ხარჯზე

ხდება. კომუნიკაციური პროცესის სიტუაციურობა და პარაენობრივი საშუალებები ერთობლიობაში ნიადაგს ქმნიან ენობრივი რესურსების ეკონომიისათვის, რაც საბოლოოდ ელიფსისში პოვებს გამოხატულებას.

ზეპირ მეტყველებაში ხშირია ელიფსისის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს მთელი შესიტყვების ცვეთას. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დიალოგებისათვის (ისევე როგორც სწორედ დიალოგებისთვის არის დამახასიათებელი პარალინგვიზმების უხვი გამოყენება). ასე მაგალითად: სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია მესხურ-ჯავახურში **რომ** კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ცვეთის შემთხვევა, ისე რომ ამ დამოკიდებული წინადადების ყველა წევრის განულება ხდება და სახეზე რჩება მხოლოდ კავშირი **რომ**. მაგალითად: „ჩვენ ყანიდან უკვე მოვედით“. ამას მოსდევს კითხვა: „სამუშაო დაამთავრეთ, რო?“ სრული სახით გვექნებოდა: „სამუშაო დაამთავრეთ, რომ მოხვედით?“ – მიქმელი ამოკლებს რთულ კონსტრუქციას და აზრი არ ირღვევა, პირიქით მარტივდება (ბერიძე 1988: 179). კონკრეტული სიტუაცია და პარაენობრივი საშუალებანი (ინტონაცია და ჟესტ-მიმიკა) სრულიად გასაგებს ხდის თანამოსაუბრისთვის ელიმინირებული გამონათქვამის შინაარსს. პირიქით, შეტყობინება უფრო ექსპრესიული და ადვილად აღქმადი ხდება, ძლიერდება მსმენელზე ზემოქმედების კომპონენტი. სხვა მაგალითებია: „წამოვსულიყავ, იმდენ რამეს მოვკრეფდით, რო!“; „მე მაგისკენ ვლაპარაკონ, იმდენი როდი ესმის, გაიგენს, რო!“ (ბერიძე 1988: 179).

ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ძნელია ითქვას, რომ **რო** (რომ) კავშირმა ფუნქცია და გრამატიკული კატეგორია იცვალა, ალბათ უფრო სწორი შეფასება იქნება, თუ ვიტყვით, რომ მეტყველიცა და ადრესატიც მას ისევე კავშირად აღიქვამს. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ელიფსისის შედეგად შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ სიტყვის ფუნქციისა და გრამატიკული მარკერის შეცვლა. ქვემოთ განვიხილავთ შემთხვევებს, როცა ელიფსისის საფუძველზე მოხდა გრამატიკული კატეგორიის ცვლა – ტრანსპოზიცია კავშირისა ნაწილაკად, კითხვითი სიტყვისა ნაწილაკად. მხედველობაშია **და**, **რა** ნაწილაკები.

**და ნაწილაკი.** და მტკიცებით-დადასტურებითი ნაწილაკი საკმაოდ გავრცელებულია აჭარულსა და თურქეთის ქართველთა მეტყველებაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ხშირად მოისმენთ აჭარაში მცხოვრებ სხვა კუთხის წარმომადგენელთა საუბარში და არაქართველთა ქართულ მეტყველებაშიც კი. შეიძლება ითქვას, რომ **და** მტკიცებით-დადასტურებითი ნაწილაკი შესულია ბათუმის ქალაქურ სასაუბრო მეტყველებაში.

**და** ნაწილაკის გამოყენების სფეროა სპონტანური სამეტყველო აქტები: მონოლოგები, დიალოგები, პოლილოგები. დიალოგებში იგი გამოიყენება არა კითხვებში, არამედ პასუხებსა და რეპლიკებში. შ. ნიჟარაძის ლექსიკონში იგი ასეცაა განმარტებული: „გასაპასუხებელი სიტყვა-ნაწილაკი, დადასტურების შინაარსის გასაძლიერებლად“ (ნიჟარაძე 1971).

მისი ძირითადი ფუნქცია გამონათქვამში ლოგიკური დატვირთვის მქონე წევრის გამოყოფა, აქტუალიზაციაა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩნდება კითხვა-პასუხის შემცველ დიალოგებში. პასუხებში, რომლებიც არასრულ წინა-

დადებებს წარმოადგენენ, და შესაძლოა, მხოლოდ ერთი, ახალი ინფორმაციის მატარებელი წევრით, იყვნენ წარმოდგენილი, ეს წევრი ძალზე ხშირად **და** ნაწილაკდართულია.

მაგალითები<sup>1</sup>:

[გველს რას ემახიან?] – **ბობოლი’და** (ნიგალი, ზაგინი).

[ადრიან დილას რას ეტყვიან?] – ცივი დილაა. **ცივი დილა’ და**. [რატომ ჰქვია?] – ბზე არაა, **სიცივეა’ და**. სიცივეა, ცივი დილაა, ახალი დილაა (ნიგალი, ხება).

[რომ გაქუხავს და ხეებს დაეცემა მეხი, რას ემახიან?] – **ქუხილი’ და**, – ზეციელი, ზეციელი (ნიგალი, ხება).

[ერთი ნაბიჯი გადადგო, როგორ ეტყვი ვინმეს?] – ერთი გედე, **გადაა-ლაბიჯეო’ და**, მეიცვალე ფეხი (ნიგალი, მარადიდი).

ჩამოთვლილი მაგალითები დიალოგის საპასუხო რეპლიკებია, უსრული წინადადებებით წარმოდგენილი, რომლებშიც პრედიკატი სახეზე არ არის, მაგრამ შეიძლება **და** ნაწილაკი შეგვხვდეს არაპრედიკატ წევრთან სრულ წინადადებებშიც, როცა ლოგიკური გამოყოფა ხდება არა პრედიკატისა, არამედ სხვა რომელიმე წევრისა, მაგალითად:

– აქ მოვლენ **ღორები’ და** ტყიდან, ტყიდან **მოდიან’ და**; მოხვლიან, გადაადგებენ; აქ იმას არ შევშჷამთ (ნიგალი, ოზმალი).

ეს შემთხვევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გვაქვს განმეორება: პირველ წინადადებაში **და** ნაწილაკის დართვით ხაზგასმულია სუბიექტი, რომელიც ახალი ინფორმაციის მატარებელია – მას პრედიკატის მომდევნო განლაგება უჭირავს **მოვლენ ღორები’ და**, – ხოლო მეორე წინადადებაში სუბიექტი, რომელიც უკვე ცნობილია (ტოპიკია), გამოტოვებულია და **და** ნაწილაკით გამოყოფილია პრედიკატი: **ტყიდან მოდიან’ და**.

სხვა მაგალითები, სადაც **და** ნაწილაკი დართულია არაპრედიკატზე:

პურის სირონი უნდოდა, აჰა, სიტყვაზე, რუმ შეგეჷმევა ერთი **ლუკ-მა’ და**, ითხოუს! (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

თქვა: უიყბალო კაცი ვარ **მეო’ და**! (ზემოაჭარა, ფაჩხა).

ფიქრიე იქ არი **მისი’ და**! და უთხარ ფიქრიეს... (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

– ე ბაღმა თუ ფეხი ვერ ედგა, ვერ დგება **ფეხზე’ და**, ყველამფერიწა დააქელვიო, ოჯახში რაცხა გაქ“ (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

– ე შეწული თევზია, ამ თევზზე მუაყოლე ახლა მე ამტენი ამბავი, უყვარს **ამას’ და** მაგრათ (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

– გეგონა, ნერონი ამოსულაო, დუუკავნია ამხელა ბოთლით ოტკა ახალგამობტილი, ამედატანა ნერონისთვინ **საჩუქრათ’ და**! (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

– ჰა მიქყაუს ახორში გუშინდელი მოსული **ქალი’ და**, შენ რომ დედამთილი ხარ! (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

– ამ სახლებიდან აწევდენ რაცხას, იპარევდენ, **ძალა-ძალ’ და**! (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

<sup>1</sup> სტატიაში მოყვანილი მასალები დამოწმებულია „ქართული დიალექტური კორპუსიდან“. ჩამწერები: მ. ცინცაძე, ნ. სურმავა, მ. ფაღვა, თ. აბულაძე. შ. ფუტყარაძე, გამოყენებულია აგრეთვე პირადი გამოუქვეყნებელი მასალები.



– ვისაც არ შუუძლია იმას მუუტანთ, ვინცხად რუმ ვკლავთ, იმას მუუტანთ **ყველაა’და!** (ნიგალი, ბორჩხა).

**და** ნაწილაკი ხშირად გვხვდება გარკვეული იდეოგრაფიული ჯგუფის ლექსემებთან, ე.წ. „ცნობიერების წრის“ (ტერმინი ეკუთვნის ფ. ერთელიშვილს) ზმნებთან: **იგის, იგნებს** (ხვდება), **ეტყვის...** დიალოგებში ხშირად **და**-ნაწილაკდართული ზმნები მეორე პირის (ბრძანებითის) ფორმებს წარმოადგენენ: **იცი’და!** **იგნავ’და!** მსგავსი ფორმები განსაკუთრებით თურქეთის ქართველთა მეტყველებაში ჩნდება საქართველოდან ჩასულებთან კომუნიკაციისას. ამ შემთხვევაში **და** ნაწილაკის ფუნქციაა, ერთი მხრივ, თანამოსაუბრესთან კონტაქტის გააქტიურება და, მეორე მხრივ, მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ადრესატზე ზემოქმედების მოხდენა – მიწოდებული შეტყობინების სისწორე-ქეშმარიტებაში მისი დარწმუნების მიზნით. თურქეთის ქართველთა მეტყველებაში ამ ნაწილაკს ის დამატებითი დანიშნულება ეძლევა, რომ მოლაპარაკე ცდილობს, თავად დარწმუნდეს, რომ ადრესატი მის ნათქვამს ხვდება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ **და** ნაწილაკიან გამონათქვამს, ზოგჯერ იქვე მოსდევს გადასამოწმებელი კითხვითი წინადადება.

მაგალითები:

– ახლა იგნავთ’მი? **იგნავთ’და!** (ნიგალი, ჯვანი).

ქირაზი იქნება, ქირაზი **იცი’და**, მბალი, მბალი, გურჯიჯა მბალია! (ნიგალი, ოზმალი).

ისემე **იცი’და**: აწლი, ჯინჭარი, იმფხრი – ამ კუთხეს ახლა! (ნიგალი, ბორჩხა).

– ე თქვენი სიძეა, **იგით’და**, თქვენი სიძე! (ნიგალი, ხება)

როგორც ვხედავთ, **და** ნაწილაკის გამოყენებას მუდმივად ახლავს სუბიექტური ექსპრესიულ-შემფასებლური კომპონენტი. მეტყველების ადრესატის მიმართ ექსპრესიულ-შემფასებლური დამოკიდებულება გამოიხატება მეტყველის მცდელობაში ადეკვატურად მიიტანოს ადრესატამდე მიწოდებული შეტყობინების აზრი და მოახდინოს მასზე ემოციური ზემოქმედება – დააჯეროს ის. მეტყველის სუბიექტური ექსპრესიულ-შემფასებლური დამოკიდებულება კომუნიკაციური სიტუაციისადმი კარგად ჩანს გამონათქვამებში, სადაც თავის თავთან განსჯაა მოცემული.

მაგალითები:

– მემრე **მიმბტარიყო’და** ეს პოლკოვნიკი: შაბანაო, მართლა ვირი მე ვყოფილვარო! (ზემოაჭარული, ვაშლოვანი).

– ვამბოფ, რუმ ხომ არ **დამტევს’და**, მეფხედაჟს **უკან’და!** (ზემოაჭარული, ვაშლოვანი)

– წამოტდენ, გო, და მიყურებენ, ეხალისებთან ჩემთან **ყოფნა’და!** (ზემოაჭარული, ვაშლოვანი)

– თაუდაღმა გამეუქეცი და ასე გახიდული ხე იყო და: ამ ხეზე გვეკქენები და **გავალ’და!** (ქვემოაჭარული, კირნათი). (ამ მაგალითში **და** ნაწილაკი მოწოდების, წაქეზების სემანტიკურ ნიუანსს ავლენს).

**და** ნაწილაკდართული წევრი მეტწილად გამონათქვამში განლაგებულია ბოლოკიდურად, პაუზისწინა პოზიციაში. მაგრამ ეს აუცილებელი არ არის, შეიძლება შეგვხვდეს შუა წინადადებაშიც (ასეთ დროს ხშირად წინადადების პირდაპირი წყობა – სუბიექტი – პრედიკატი – დარღვეულია), მაგრამ ამ შემთხვევაშიც მის შემდგომ აუცილებლად იქმნება საპაუზე შეყოვნება.

მაგალითები:

[აყირო რას ჰქვია?] – ხაპი **ეტყვიან’და** აყიროსა თქვენში (ნიგალი, ოზმალი).

დაბერდები – **დეიჭლუმპვის’და** აქაურობა. [დაბერდები – დანაოჭდება აქაურობა (შუბლზე მიუთითებს)] (ნიგალი, მურღული).

– [ძროხას] ხზო თუ მიეცი, **ჩამოყრის’და** ძუძუს, ძეს ჩამოყრის (ნიგალი, ბაგინი).

– ის’ნა წამედლოს **მემთვერმა’და** თიდან (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

თავად **და** ნაწილაკის არსებობა წინადადების სტრუქტურაზე გავლენას არ ახდენს. მისი ამოღებით წინადადებაში სიტყვათგანლაგება არ იცვლება.

მაგრამ **და** ნაწილაკი გავლენას ახდენს წინადადების (გამონათქვამის) მოდალობაზე. მასთან დაკავშირებულია ექსპრესიულობა, ემოცია, **და** ნაწილაკის შემცველი წინადადებები ემოციური (მახილის) წინადადებებია.

**და** ნაწილაკი დაერთვის სხვადასხვა დროისა და კილოს ზმნის ფორმებს, ისევე როგორც შეუზღუდავია მისი დართვა ზმნის სხვადასხვა პირის ფორმებზე, სხვათა სიტყვის ნაწილაკიან ფორმებზე.

მაგალითები:

ვინც გინდა, იმას მიმცენ, არ ვიტყვი, რატომ **მაძლევთ-მეთქი’და!** (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

მეც მეშინოდა, იმან თუ წიმიყვანა, იქ რაფერ’ნა **ვიყო’და!** (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

მიაპნიე ყანაში და **გეყნება’და!** (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

კი ვიცოდი, მარაა, ახლა, რუმ ახალათ მიხვალ სხუა ოჯახში, შენ მაძვ **ქცხვენია’და!** (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

ისმის კითხვა, რით შეიძლება **და** ნაწილაკის ჩანაცვლება სალიტ. სასაუბრო ენაში? სასაუბრო ენაში მისი ჩანაცვლება ზოგ შემთხვევაში თითქოს შესაძლებელია დადასტურებითი ნაწილაკებით: **ხომ/ჰო; არა** (დადასტურებითის ფუნქციით), მაგრამ – მხოლოდ ზოგ შემთხვევაში. თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ნაწილაკებს შერჩენილი აქვთ კითხვითობის ნიუანსი, რაც **და**-ს არ ახასიათებს. ასეც რომ არ იყოს, ყველა ეს ნაწილაკი (ხომ/ჰო, არა) იხმარება აჭარულსა და თურქეთის ქართველთა კილო-თქმებში, და მათ გვერდით ენობრივ სისტემაში თავისი შეუცვლელი ფუნქცია აქვს მიკუთვნებული **და** ნაწილაკს!

სალიტერატურო ფუნქციური ეკვივალენტის მოსაძიებლად საინტერესოა თავად აჭარელთა სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება: ზემოაჭარიდან (კერძოდ, სხალიტიდან) მიგრირებული და კახეთში ჩასახლებული აჭარელის მეტყველებაში (რომელიც ჩამწერთან – მარინე ბერიძესთან სალიტერატურო კოდზე ცდილობდა საუბარს), ყურადღება მიიქცია **რა** ნაწილაკის ხშირმა ხმა-

რებამ: მიგრანტი **რა** ნაწილაკს იყენებდა აჭარული **და** ნაწილაკის ადგილას; სულ ორჯერ „დასცდა“ ცოლთან გაპასუხებისას **და** ნაწილაკი, ისიც მაშინ, როცა საუბრის თემა ყოფით საკითხს – ნიშნობა-ქორწინებას – ეხებოდა:

– ჭო, მე მივეგზანე **ელჩი'და**, შტამავალი მივეგზანე, აბა რა, მივეგზანე!

ვნახე, მეორე დღე მობმანდენ, მოვიდენ. ჰოდა, ქურდს რა უნდა, ბნელი **ღამე'და**, მოიყვანა, როგორ არა!

ყველა სხვა შემთხვევაში (17-ჯერ) **და**-ს ნაცვლად გამოიყენა **რა** ნაწილაკი. მაგალითები:

[მეწყერმა] სახლები ჩამარხა, იმან ჩამარხა იშტა, იი რო წამოვიდა, კიდევ დაგუბდა და კიდევ ჩამარხა, კაცო, **რა!**

– ზოგი აქ ვართ, ზოგი ბათუმში, ზოგი სად, ზოგი სად. აღარაა ტევადობა, **რა!**

– ამათ ხალხი ყავთ, ბიჭო, **რა!** საშინელი **რა!** ადგენ ფეხზე ყველა:

– ის ნიშნობაც კარგი იყო, ის მნახველებიც კარგი იყო, უფრო რაღაცას ნიშნავდა, **რა!**

...გვიფერხა, პირველმა შემოდგა ფეხი და იმა პატივ ვცემთ, კარგათ მოგვივიდესო, **რა!**

მეხვეწებოდენ, რომ კიდევ შენ'და მოხვიდეთ, **რა!**

ვამლევდით, რომ პირუტყვს მოუხარშეო და აჭამეო **რა!**

იქვეა, იმ ეკლესიას ირგვლივ არი, **რა!**

ვფიქრობთ, რომ აჭარულსა და თურქეთის ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული **და** ნაწილაკის სალიტერატურო სასაუბრო ეკვივალენტად ყველაზე მეტად ეს მტკიცებით-დადასტურებითი **რა** ნაწილაკი გამოდგება.

ჩნდება კითხვა **და** ნაწილაკის წარმომავლობის შესახებ. გამოკვეთილი მტკიცებითი ფუნქცია, ემოციური ინტონაცია, რომელიც ამ ნაწილაკზე მოდის, გვაფიქრებინებს, რომ **და** მიღებულია შესიტყვების ელიფსისის (ცვეთის) შედეგად, შესიტყვებისა, რომელშიც იგი კავშირის როლში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

**რა ნაწილაკის შესახებ.** შესიტყვების ელიფსისის ნიადაგზე არის ახსნილი **რა** ნაწილაკის წარმომავლობაც **რა** კითხვითი სიტყვისაგან: რა არის→რა: „მთავარ კომპონენტში ლოგიკური მახვილი კითხვით სიტყვას **რა**-ს აქვს, ამიტომ ხშირად მასთან ზმნა „არის“ იკარგება და გვაქვს ე.წ. ნულოვანი პრედიკაცია“ (კვანტალიანი 1990: 54). „ინტონაციით გამოყოფილი ეს **რა** ნაწილია მთელი გამოთქმისა – რა არის (რა იქნება//რა მოხდება)“ (კვანტალიანი 1990: 58). აქვე მკვლევარი მიუთითებს, რომ თხოვნის **რა**-ს დიდი გასაქანი მიეცა ახალ ქართულში და გვხვდება არა მარტო ბრძანებითის ფორმებთან, არამედ სხვა შემთხვევებშიც: „ერთხელ ჩვენც ვიქნებით წითლები, რა!“

**რა**-ს, როგორც ნაწილაკს, აქვს სხვადასხვა სემანტიკური ფუნქცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ყურადღება მახვილდება მის თხოვნითობის ფუნქციაზე ბრძანებითის ფორმებთან, აღნიშნულია აგრეთვე, რომ **რა** დაერთვის ზმნას და გამოხატავს მოქმედებისადმი განურჩეველ დამოკიდებუ-

ლებას. „ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს შესიტყვების „რა მენაღვლება“ ცვეთასთან: მოდი რა მენაღვლება! → მოდი, რა!“ (ჯორბენამე, კობაიძე, ბერიძე 1988: 361).

მაგრამ ყურადღება არ არის გამახვილებული მის მტკიცებით ფუნქციაზე. თუმცა მითითებულია, რომ მტკიცებითი ფუნქცია აქვს მოდალურ ფორმა-შესიტყვებას: **რა თქმა უნდა / რაღა თქმა უნდა** (ჯორბენამე, კობაიძე, ბერიძე 1988: 362). მოსალოდნელია, რომ სასაუბრო ენაში **რა / რაღა** მტკიცებითი ნაწილაკი სწორედ ამ შესიტყვების კვეცის შედეგად იყოს მიღებული.

ამრიგად, როგორც ვხედავთ **რა** ნაწილაკის სემანტიკური ნიუანსების გამოხატვის ძირითადი საშუალება ფონაციური და კინეტიკური პარაენობრივი საშუალებებია: ხმის მოდულაცია, ინტონაცია, ქესტ-მიმიკა. მათი მეშვეობით უშეცდომოდ ვარკვევთ, კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში **რა** ნაწილაკი თხოვნას გამოხატავს, განურჩევლობას თუ მტკიცებას. იგი სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნაწილაკია, ისევე როგორც ელიფსური მოვლენების, სტერეოტიპული გამოთქმების ცვეთის, ასპარეზი ზეპირი მეტყველება.

სტერეოტიპული გამოთქმების ცვეთის გზით მიღებულ **რა**-ს შესაძლებელია სასაუბრო მეტყველებაში სხვა სემანტიკური ნიუანსებიც გამოუვლინდეს, მაგალითად, „შენ ფულს მოიგებ, მერე მე რა!“ აქ **რა** წარმოადგენს, სავარაუდოდ, ფრაზეოლოგიური ერთეულის „მე რა ხეირი (მექნება)“-ს ცვეთის ნაშთს და მიუთითებს პირისთვის არასახარბიელო, არამომგებიან ვითარებაზე. ასეთ შემთხვევაში **რა** გვხვდება პირის ნაცვალსახელთან ან ადამიანის საკუთარ სახელთან კომბინაციაში (მე რა, შენ რა, ჩვენ რა...), შეიძლება დაირთოს **მერე** ზმნისართი.

პირის ნაცვალსახელის გარეშე **რა** ნაწილაკი **მერე** ზმნისართთან ერთად – **მერე რა** ასევე გვევლინება სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული სხვა სტერეოტიპული გამოთქმის („მერე რა მოხდა!“) კვეცის შედეგად მიღებულად. **მერე რა** სიტყვათკომპლექსი ნუგეშისცემის, დამამშვიდებელი სემანტიკის მატარებელია, შეიძლება ნიშნისმოგებასაც გამოხატავდეს, და ეს ნიუანსური სხვაობები ზეპირ მეტყველებაში ზუსტად, ადეკვატურად გადმოიცემა პარალინგვისტიკური საშუალებებითა და სამეტყველო სიტუაციით (ისე რომ ფრაზის დასრულება სულაც არ არის საჭირო). ხოლო წერით მეტყველებაში გამოიხატება აღწერითად და კონტექსტურად.

როგორც ვხედავთ, ზეპირ მეტყველებაში ლაკონიურობისა და ეკონომიის პრინციპის მოქმედებას დიდ გასაქანს აძლევს სიტუაციურობა და პარაენობრივი საშუალებები. მათი მეშვეობით მყარი გამოთქმების, სტერეოტიპული სიტყვათმეხამებების ელიფსისი – კუმშვა, ცვეთა – მეტყველებისთვის ბუნებრივ, დამახასიათებელ მოვლენად იქცევა. **რა**-ს მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ შესაძლებელია ელიფსისის ნიადაგზე დამხმარე სიტყვამ ტრანსპოზიციური გარდაქმნა განიცადოს – ფუნქცია და გრამატიკული კატეგორია შეიცვალოს. ამ გზით მიღებულმა ნაწილაკმა შესაძლებელია სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები გამოხატოს (შეკვეცილი სტერეოტიპული შესიტყვების მნიშვნელობიდან გამომდინარე).

დავუბრუნდეთ კვლავ **და** მტკიცებითი ნაწილაკის წარმომავლობას. მტკიცებითი სემანტიკა, გამოკვეთილი ემოციურ-შემფასებლური კომპონენტი, რომელიც ამ ნაწილაკს ახლავს, მიმანიშნებელია იმისა, რომ საქმე უნდა გვექონდეს გამონათქვამის, შესიტყვების ელიფსისთან. გამონათქვამი, რომლის ნაშთად ის წარმოგვიდგება, ასეთივე შინაარსისა უნდა იყოს, თანაც ეს უნდა იყოს ამ სამეტყველო რეგიონისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპული შესიტყვება.

ვფიქრობთ, დასაშვებია ვივარაუდოთ **და**-ს მიღება **იქნება/იქნა** საყრდენი სიტყვის შემცველი შესიტყვებისაგან ცვეთის გზით: **და იქნება/და იქნა** → **და**. საკვლევ ქვესიტემებში ძლიერ გავრცელებულია სტატიკური ზმნა მესამე პირის ფორმით **იქნება, იქნა**, რომლის მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია და იხმარება: „მოხდება/ მოხდა, მოგვარდება/მოგვარდა, გამოვა, ეღირსა, გათავდა, გამოდგება“-ს გაგებით. მაგალითები:

ისე კად **იქნა** ტელეფონი, რომე! (აჭარა, კირნათი).

სოფლებში ძუელებურ ფიცრის სახლებ გავაკეთავთ, წაბლისა **იქნება** [=ვარგისია, გამოდგება], ნაძვისა. სხუა რამისა არ **იქნება**, არ გაძლებს (ზედა მაჭახელი, აკრია)..

თხუთმეტი ტკაველი თოვლი მოვა. **იქნება** [=ხდება], რომ ოცდაოთხ საათ არ გამოვალთ (იმერხევი).

[შველი] დადგება და გიყურეფს შენ და იმას თოფს აყრი [=ესვრი], **იქნება?!** [=გამოვა, შეიძლება?]

აქ მოვლა ადვილი **იქნა** [=გამოდგა, დარჩა]თხისა (ქვემოაჭარა, კირნათი).

უთხრა ხემწიფემ გოგვებს, რომ ეს რაფერ **იქნავო** [=მოხდა](ქობულეთი)!

აი ერთი სალდათი უყობა მიორეს მის ამბავს, ასე დავკარქე დედაო, მამაჩემი ასე **იქნაო** [მამაჩემს ასე მოუხდაო, მოუვიდაო] (ქობულეთი, აჭყვისთავი).

იმის მემრე შევხედე, ქი რამე არ'ნა **იქნას** (აჭარა, მარადიდი).

გვხვდება რიტორიკულ-კითხვითი შესიტყვების სახით: **რა იქნა? რა'ნა იქნას? რა იქნება? არ იქნება?**

შენი დუნგური ვიყნე, რა **იქნება!** [=რა მოხდება?] (შავშეთ-იმერხევი, ხობლევი).

ჭო, ერთი, ნუ **შააწუხეფ'და** ახალგაზდას, რა **იქნა** ? [=რა მოხდა?] (ზემოაჭარა, ვაშლოვანი).

რავარ **იქნება**, კაცოვო. ყოჯა მემედ-ბეგ აბაშიძის კაც რავარ შააგდებდენ ციხეშიო. [=როგორ მოხდება] (ინეგოლი).

ახლა ამას რა'ნა ვუყოთ, რა'ნა **იქნას** ესაო. [რა უნდა ეშველოს?] (ტაო, ქობაქი).

სწორეთ გაგაგნებო: მინდა ბათუმ გადმოსლა, რა'და (=რა უნდა) **იქნას?** [რა უნდა გაკეთდეს? ეშველოს?] (ნიგალი, ბაგინი).

დაუშვებელი არ არის, რომ ამ ტიპის კითხვითი შესიტყვებათა კვეცის შედეგად იყოს მიღებული **და** მტკიცებითი ნაწილაკი: **და რა იქნა→და**. ამ ვარაუდის მხარდამჭერია გამოყენების ამგვარი შემთხვევები:

ბაკო, ჯვალი (ტომარა) ლამაზათ მოკოჭილი მაქ ზეიდან **და წეიდღ'და რა იქნა!** (ზემოაჭარა, დიოკნისი).

ცხადია, გამოსარიცხი არ არის სავარაუდო შესიტყვებათა სხვა ვარიანტებიც, მაგალითად: **და ისე იყო**→**და, და ისეა**→**და. რა** ნაწილაკის შემთხვევაში ელიმინირებული შესიტყვების აღდგენა უფრო მარტივია, ვიდრე **და**-ს შემთხვევაში.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **და**-ს ექსპრესიულ-მტკიცებით ნაწილაკად ჩამოყალიბება-განზოგადება უკვე დასრულებული პროცესია; იგი გარკვეული სამეტყველო რეგიონის ფუნქციონალურ-ლექსიკურ ფონდშია დამკვიდრებული, და ამდენად, ყველა კონკრეტულ გამონათქვამში ელიმინირებული სემანტიკის ძიება არც არის გამართლებული.

**და** ნაწილაკის წინამავალ პრედიკატთან შერწყმის გამო გრამატიკული ომონიმია იქმნება კავშირებითის **და** (<უნდა) ნაწილაკთან, დიფერენცირება შესაძლებელი ხდება ინტონაციისა და საკომუნიკაციო სიტუაციის / კონტექსტის მეშვეობით, აგრეთვე, ზმნის მწკრივის მიხედვით ტექსტში. გრაფიკულად განსხვავება შეიძლება გამოიხატოს და ნაწილაკზე მახვილის ნიშნის დასმით – **და**: „ბაზგირეთ ახლა დუგუნი **იქნას' და** (იქნას უნდა)“. **და** მტკიცებითი ნაწილაკის დართვით მივიღებთ: **იქნას'და' და**. მოსალოდნელია, რომ „კეთილხმოვნებისათვის“ კავშირებითის **და**, რომელიც მოძრავია, გადატანილი იყოს ზმნის წინა პოზიციამში და მივიღოთ: „ბაზგირეთ ახლა დუგუნი'**და იქნას' და**!“

**და კავშირი ნაწილაკის ფუნქციით იმერხეულში.** **და** ნაწილაკი გამოკვეთილი მტკიცებითი სემანტიკით იხმარება აჭარულში, ნიგალის მეტყველებაში (ბორჩხა, მურღული), დევსქელის ხევში, მაჭახლის ხევში, მუჭაჯირ აჭარელთა მეტყველებაში. აღსანიშნავია, რომ ამ ფუნქციით იგი არ შეგვხვედრია იმერხეულ მეტყველებაში. მაგრამ იმერხეულში ყურადღებას იქცევს **და**-ს გამოყენება უჩვეულო პოზიციამში, წინადადების ბოლოს; იგი ენკლიტიკურად ეკედლება წინამავალ სიტყვას. მასაც ახასიათებს თავისებური (**და** მტკიცებითი ნაწილაკისაგან განსხვავებული) ინტონაცია და ემოციური წარმოთქმა. ინტონაცია ისეთია, თითქოს დაუსრულებლობის განცდას და გამონათქვამის გაგრძელების მოლოდინს აჩენს.

მონოლოგებში, გაბმულ მეტყველებაში შეიძლება ისეც მოგვეჩვენოს, რომ **და** თავისი ჩვეულებრივი ფუნქციით, მარტივ წინადადებათა მაკავშირებლის როლში გვევლინება, ოღონდ გამოიყენება გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ეს ახალ ქართულს ახასიათებს. მაგალითად:

– წრეველ ბევრი არ ასხია თუთას. ერთ კიდენ მოვადულო-მეთქი'**და**, ერთი ჰაჯერას ჩუუსხი ახლა'**და**, მე ქი უმიანათან ვარ, ხანდახან გავალ ჰაჯერასთან'**და** (იმერხევი, ხევწრული).

– ხისიმები გვყავდა, გადმოდიოდენ იქა იშტე, ყიშლა გვქონდა სერ იქით'**და**; იქ ყიშლაში ვიყავთ'**და**, იქიდან ჩემი მეზობელი, ჩემი ხისიმი'**და**, ის წამეიყვანეს იმ წელიწად (იმერხევი, ბაზგირეთი).

მაგრამ **და**-დართული გამონათქვამი მარტივი წინადადების სახითაც გვხვდება. **და**-ს სისტემატური ბოლოკიდური პოზიცია კი გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვექონდეს ელიფსისის მოვლენასთან, შესიტყვების ცვეთასთან.

მაგალითები:

– რაი აქვან?! ტიტველაძე ნუ იქნები **და**!

ჭამე **და** ბალი, აქვერი არი!

– ეს პაწაჲ, პაწაჲ ბიჭია. არ დიმისახლება ჯერ **და**! იქ საქმობს, ისტამ-ბოლშია, იქა (იმერხევი, ბაზგირეთი).

ზოგ შემთხვევაში **და**-დართული გამონათქვამი წინა გამონათქვამთან მჭიდრო შინაარსობრივ კავშირს ამჟღავნებს, მას ინფორმაციულად ავსებს: ხსნის მიზეზს, წინავალი გამონათქვამით გადმოცემული მოქმედებისა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი წარმოადგენენ რთული კონსტრუქციის (თანწყობილი წინადადების) სეგმენტებს, შებრუნებული მიმდევრობით განლაგებულს.

მაგალითები:

– ბაბოჲ ყიშლაში იყო, ჩომაჲ გვყავდა **და** (ყიშლა - საზაფხულო იალაღი, ჩომა - საქონელი) (იმერხევი, ბაზგირეთი).

– კაკალი აქ არ არი ზათი, არ იჯება, მალათ ვართ **და**. ქომოდან მოგვაქ (იმერხევი, უსტამისი).

შევნიშნეთ, რომ ზოგის (განსაკუთრებით, ხანშესულ, სოფლელ ქალთა) მეტყველებაში **და** ნაწილაკის გამოყენება აშკარად ჭარბობს. მაგალითად, ბაზგირეთელი აინურ ილდიზი-დურმიში მას ინტენსიურად იყენებდა.

ჩნდება აზრი, რომ აღნიშნული ნაწილაკი მიღებული უნდა იყოს ტრანსპოზიციის გზით ისეთი სტერეოტიპული გამოთქმების ელიფსისის შედეგად, როგორცაა: **და რაი ვქნა / და რა'ნა ქნა; და მე რა ვიცი**.

შავშურ-იმერხეული მეტყველება **და** ნაწილაკის ამგვარი გამოყენებით ახლოს დგას ჯავახურ კილოსთან.

მაგალითები ჯავახურიდან:

– რა ბევრი თევზი გვქონდა, ე ილიკოი ფაცერ მუუდგამდა და...

– ვკვდებით სიცილით, გუდას აფხაკუნებდა'და...

– რატომ ტირიხარ, ბიჭო? – მამამისმა პური არ მუუტეხა'და... (ბერიძე 1988: 178-179).

გრ. ბერიძეს ეს **და** ელიმინირებული შესიტყვების (და კავშირიანი წინადადების) ნაშთად მიაჩნია. იგი ასეთ ახსნას გვთავაზობს: „წინადადების აზრი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს **და**-ს შემდეგ. მაგრამ შესაძლებელია კითხვაში გამოთქმული აზრის განმეორება **და**-ს შემდეგაც: – რატომ ტირიხარ, ბიჭო? – მამამისმა პური არ მოუტეხა და იმიტომ ტირის.“ „მოლაპარაკე წინასწარ გრძნობს გამოტოვებული წინადადების შინაარსს და საჭიროდ არ თვლის მის თქმას. შედეგს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მიზეზს“ (ბერიძე 1988: 179).

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ახსნა არ მოიცავს ნაწილაკის ფუნქციით **და**-ს გამოყენების ყველა შემთხვევას არც ჯავახურში და არც შავშურ-იმერხეულში.

**დასკვნები:**

პარალინგვიზმები და სიტუაციურობა სამეტყველო კომუნიკაციისას პირობას ქმნის ვერბალურ საშუალებათა ეკონომიისათვის, რაც ელიფსისში პოვებს გამოხატულებას. ელიფსისის ნიადაგზე შესიტყვების კვეცა-ცვეთა ჩვეულებრივი მოვლენაა კონკრეტული დიალოგური სამეტყველო აქტებისთვის.

ელიფსისი შესაძლებელია გახდეს გამომწვევი დამხმარე სიტყვის ფუნქციისა და გრამატიკული კატეგორიის ტრანსპოზიციური ცვლისაც. ნაშრომში აღწერილია ეს მოვლენა **რა** კითხვითი ნაცვალსახელისა და **და** კავშირისა ნაწილაკებად ტრანსპოზიციის მაგალითზე. ნაწილაკის ამპლუაში მათი ფუნქციონირება კონკრეტული საკომუნიკაციო აქტებიდან აბსტრაჰირდება და იქცევა სასაუბრო ენისა და რეგიონალური მეტყველების (**და** ნაწილაკის შემთხვევაში აჭარული, თურქეთის ქართველთა მეტყველება) ლექსიკის ნაწილად.

ტრანსპოზიციის პროცესს და მისი შედეგის აბსტრაჰირებას განაპირობებს ის, რომ შესიტყვება, რომლის ცვეთის შედეგადაც დამხმარე სიტყვა ნაწილაკად იქცევა, წარმოადგენს ექსპრესიულ სტერეოტიპულ გამონათქვამს. მსგავს სტერეოტიპულ გამონათქვამებში წამყვანია ექსპრესიულ-შემფასებლური კომპონენტი, რომელიც ძირითადად ფონაციური და კინეტიკური პარალინგვიზმების (ხმის მელოდიკა და ჟესტ-მიმიკა) მეშვეობით გადმოიცემა.

**რა** ნაწილაკის შემთხვევაში ივარაუდება სასაუბრო ენაში გავრცელებული შემდეგი ტიპის ემოციური სტერეოტიპული შესიტყვებების შეკვეცა: რა არის! რა იქნება/რა მოხდება! რა მენაღვლება! რა თქმა უნდა! მე რა ხეირი მექნება! მერე რა მოხდა!

**და** ნაწილაკის შემთხვევაში (რომელიც გამოკვეთილი ექსპრესიულ-მტკიცებითი სემანტიკის მატარებელია) დასაშვებია ვივარაუდოთ **და**-ს მიღება **იქნება/იქნა** საყრდენი სიტყვის შემცველი შესიტყვებისაგან ცვეთის გზით: **და იქნება / და იქნა** → **და**. (საკვლევ ქვესისტემებში ძლიერ გავრცელებულია სტატიკური ზმნა მესამე პირის ფორმით **იქნება, იქნა**, რომლის მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია და იხმარება: „მოხდება / მოხდა, მოგვარდება/მოგვარდა, გამოვა, ეღირსა, გათავდა, გამოდგება“-ს გაგებით.). გამოსარიცხი არ არის სავარაუდო შესიტყვებათა სხვა ვარიანტებიც, მაგალითად: **და ისე იყო**→**და**; **და ისეა**→**და**.

მტკიცებითი სემანტიკის გამომხატველი **და** ნაწილაკი დამახასიათებელია აჭარული და ნიგალურ-კლარჯული მეტყველებისათვის. იმერხეულსა და ჯავახურში გვხვდება **და** ნაწილაკი რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით და შედარებით ნეიტრალური ემოციით, რაც გამოიხატება სათანადო ინტონაციური ფონით და ჟესტ-მიმიკით. ხანშესულ სოფლელ ქალთა მეტყველებაში მისი ინტენსიური გამოყენება გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნული ნაწილაკი მიღებული უნდა იყოს ტრანსპოზიციის გზით ისეთი სტერეოტიპული გამოთქმების ელიფსისის შედეგად, როგორიცაა: **და რაი ვქნა / და რა'ნა ქნა; და მე რა ვიცი**.



შესიტყვების ელიფსისის გზით მიღებულმა ნაწილაკმა შესაძლებელია სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები გამოხატოს (შეკვეცილი სტერეოტიპული შესიტყვების შინაარსისაგან გამომდინარე). მაგალითად, **რა** ნაწილაკი გამოხატავს: თხოვნას, განურჩევლობას, მტკიცებას, ნიშნისმოგებას... რაც საუბრის ადრესატის მიერ შეუცდომლად აღიქმება სამეტყველო სიტუაციისა და გამოყენებული პარალინგვისტური საშუალებების მიხედვით.

### ლიტერატურა

- ბერიძე 1988** – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი
- კვანტალიანი 1990** – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.
- კვარაცხელია 2008** – გ. კვარაცხელია, ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებები, ქართული ენა – ენციკლოპედია, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი.
- კოლშანსკი 1974** – К о л ш а н с к и й Г. В., Паралингвистика, М.
- ნიკოლაევა 1990** – Н и к о л а е в а Т. М., Паралингвистика – Лингвистический энциклопедический словарь, М.
- ნიჟარაძე 1971** – ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.
- ქდკ** – ქართული დიალექტური კორპუსი, <http://www.corpora.co/#/>
- ჯორბენაძე 1980** – ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი.
- ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

NARGIZA SURMAVA

### **Paralinguisms, Ellipsis and Particles Formed Through Transposition**

S u m m a r y

Paralinguisms and depending on the situation in communicating create conditions for the economy of verbal means that is reflected in ellipsis. On the basis of ellipsis, shortening-abrasion of an expression is a common phenomenon for specific communicational acts.

Ellipsis may become a reason for a transposal change of the function and grammatical category of an auxiliary word. The paper describes this phenomenon on

the example of transposition of the interrogative pronoun **ra** and the connector **da** as particles. Their functioning as a particle is abstracted from specific communicational acts and turns into a part of a vocabulary of colloquial and regional speeches. The process of transposition and the abstraction of its result is conditioned by the fact that a syntagm (that is abraded and as a result an auxiliary word turns into a particle) is an expressive stereotypic expression.

In case of the particle **ra**, shortening of the following type of emotional stereotypic expressions in the colloquial language is assumed: *ra aris! ra ikneba/ra moxdeba! ra menayvlcba! ra tkma unda! me ra xciri mekneba! mere ra moxda!* As for the particle **da** (that has an apparent expressive-affirmative semantics), it is possible to suppose that we will get it as a result of abstraction of an expression containing the basic word **ikneba/ikna**, e.g. **dá ikneba / dá ikna** → **dá**. Other variants of possible expressions should not be excluded, e.g. **dá ise iqo** → **dá**; **dá isea** → **dá**.

The particle formed through ellipsis of an expression may have different semantic nuances (depending on the meaning of a shortened stereotypic expression).

მურმან სუხიშვილი

**უმლაუტის ერთი შემთხვევა სვანურში**

მ. ქალდანის წესის მიხედვით, სვანურის უმლაუტიან დიალექტებში, უ სონანტი (ისტორიულად სხვადასხვა წარმოშობის), როგორც უკანა რიგის ბგერა, წინამავალ ე ხმოვანსა და, ნაწილობრივ ი ხმოვანსაც იმსგავსებს. ეს ფონეტიკური პროცესი კვალიფიცირებულია როგორც პოზიციური, უკანა მიმართულების უმლაუტი, შდრ.: უშგ. სათჷთრ < ბზ. სათჷთურ || სათჷთრჷ < ბქ. სათეთჷრ < ლშხ. სათითჷრ > ქართ. სათითჷრ-ი. ეს მაგალითი სვანურის დიალექტებში ფაქტობრივად დადასტურებული უ სონანტის წინა პოზიციაში განხორციელებული ი / ე / ა ხმოვანთმონაცვლეობის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული (ქალდანი 1969, 109); აღნიშნულია, რომ ი ხმოვანი მომდევნო უ-ს წინ უფრო მდგრადია ე'სთან შედარებით, ამიტომ უ'ს წინ ი > ა პროცესის „უეჭველი და ნათელი მაგალითები“ ძნელად დასაძებნია (ქალდანი იქვე, 108).

ი + უ > ა პოზიციური უმლაუტის წარმოდგენილი შეზღუდული ნიმუშებიდან ზოგიერთი სვანური მასალაა (ნ ა წ ა ქ უ ლნტ. „ნაწვეთები“, შდრ. ბქ. ნ ა წ ე ქ უ || ნ ა წ ი ქ უ, წ ი ქ უ „წვეთი“). ზოგი ქართულიდან ნასესხები სიტყვაა, მაგალითად, ზემოთ დასახელებული ბზ. ს ა თ ჷ თ უ რ < ბქ. ს ა - თ ე თ უ რ < ლშხ. ს ა თ ი თ უ რ < ქართ. ს ა თ ი თ უ რ - ი; ასევე, – ბზ. ა ყ ა რ || ჰ ა ყ ა რ „გოგრა“ < ქართ. ა ყ ი რ ო), ზოგიც საერთო ქართველური მონაცემი ჩანს, მაგალითად, ბზ., უშგ. პ ა რ შ დ უ ა: ქართ. ფ ი ლ ტ ვ - ი: მეგრ. ფ ი რ ტ ვ - ი (ქალდანი 1969, 108-109), თუმცა სვანური მონაცემის ჩართვა შესატყვისობათა ამ რიგში (ქალდანი 1969, 108; მაჭავარიანი 1965, 18; კლიმოვი 1964; შმიდტი 1962), მკვლევართა ერთი ნაწილისათვის პრობლემური ჩანს; მაგალითად, ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე სვანურის მონაცემს არც განიხილავენ, იხ., ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000. ი + უ > ა უ პოზიციური უმლაუტის ფიქსაციისათვის საერთოქართველურ მასალაში სხვა, ნაკლებად პრობლემური მონაცემებიც იძებნება, მაგ., ს.-ქართვ. \*ხ ი წ უ „ხიწვი“ > ქართ. ხ ი წ ვ - ი: ზან. [ხ ი ჭ ვ - ი]: სვან. ფ ხ ა ჭ || ფ ხ ა ჭ || ფ ხ ე რ ჭ < \*ხ ი ჭ უ (ჩუხუა 2000-2003)...

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის (კერძოდ, ი + უ > ა პოზიციური უმლაუტის) ერთ-ერთ სავარაუდო ნიმუშად გვესახება ბ. ნიჟარაძის სამენოვან „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ (2007) დამოწმებული ნამყო დროის მიმდევობის ნ ა - რ ა ს უ ფორმა: **ნაქლიბი** ნარაჰვ опилки; სვან. ნარაჰუ < \*ნარისუ (რეგრესული ასიმილაცია, წინამავალი ი ხმოვანი მომდევნო, ფუძის ბოლოკიდური უმარცვლო უ-ს გავლენით იქცა ა-დ). ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში მოხმობილია მასდარის ფორმებიც:

გაქლიბვა ლ ი რ ს ი спилить напилком  
 და ქლიბვა ლ ი რ ს ი пилить напилком  
 მოქლიბვა ლ ი ქ ლ ი ბ ა ვ ი, ლ ი რ ს ი пилить железо  
 აქვეა განმარტებული ქლიბივ. ქლიბი რ ა ს терпуг

ერთია, რომ ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში დამოწმებული სვანური ფორმები ლ ი რ ს ი „მოქლიბვა, გაქლიბვა, დაქლიბვა“, ნ ა რ ა ს უ „ნაქლიბი“, რ ა ს (<\*რასუ) „ქლიბი“ სხვაგან ჯერჯერობით არ იძებნება. ის არაა შეტანილი არც ი. ნიჟარაძის 1910 წ. გამოცემულ რუსულ-სვანურ ლექსიკონში, აქ სათანადო ადგილას ქ ლ ი ბ, ქ ლ ი ბ ი შ დასტურდება: напилок ქლიბ, напилочный ქლიბიშ... საყურადღებოა, რომ ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში მოქლიბვა ორი სვანური ფორმითაა განმარტებული ლ ი ქ ლ ი ბ ა ვ ი და ლ ი რ ს ი.

ვფიქრობთ, რომ სვან. ნ ა - რ ა ს უ „ნაქლიბი“ უკავშირდება ქართ. რ ი ს ვ ა ს (ძვ. ქართ. რისუვა): რისვა ძვ. პარსვა, კრეჭა (ცხვრისა) ქეგლ VI, რისვა ცხო(ვართ პარსვა (საბა).

რ ი ს ვ ა < რ ი ს უ ვ ა დადასტურებულია ძველი ალექსის უძველეს ტექტებში სხვადასხვა ზმნური და სახელზმნური ფორმით და დარგობრივი ლექსიკის (მეცხვარეობის) უძველესი ტერმინი ჩანს: რ ი ს უ ვ ა „კრეჭა“, გ ა ნ რ ი ს (უ) ვ ა, მ ო რ ი ს ვ ა „გაკრეჭა“, მ რ ი ს უ ვ ე ლ ი „მპარსველი, მკრეჭელი“, ნ ა რ ი ს უ ა ვ ი, ნ ა რ ი ს უ ა ლ ი, ნ ა რ ი ს უ ე ვ ი „ნაპარსი“, უ რ ი ს უ ვ ე ლ ი „გაუკრეჭელი, გაუპარსველი“ (აბულაძე 1973) მ ო რ ი - ს უ ლ ი „გაკრეჭილი“ (სარჯველაძე 2001).

აპა ესერა, მამამთილი შენი ალვალს თამნად რ ი ს უ ვ ა დ ცხოვართა თვსთა“ შესაქმ. 38,13 O, რ ი ს ვ ა დ CB, AKS

და ესმა დავითს, ვითარმედ რ ი ს უ ა ვ ს ნაბად კარმელს საცხოვართა თვსთა“ I მეფ. XXV, 4 FO, რ ი ს ა ვ ს S, B

და ვითარცა ტარიგი წინაშე მ რ ი ს უ ვ ე ლ ი ს ა უჭმობელად დგა წინაწარ. ეს. LIII. 7 J, CS, მ რ ი ს ვ ე ლ ი ს ა S

პირველი ნ ა რ ი ს უ ა ვ ი ცხოვართა შენთად მისცე მას II შჯ. XVIII 14 BDES

და მისცემდა ხარკსა მეფესა ისრაწლისასა – და ას ათასსა კრავსა და ას ათასსა ვერძსა უ რ ი ს უ ვ ე ლ ს ა IV მეფ. III, 4 O, უ რ ი ს ვ ე ლ ს ა Ia

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, რ ი ს უ ა ვ -ს ზმნის ფუძეა რ ი - ს უ (ბოლოკიდური უმარცვლო უ-თი), მასდარის ფორმა რ ი ს უ ვ ა < \*რ ი ს უ - ა ვ - ა. ძვ. ქართულში უ (Q#)=უ-ს C#V, C#V და სიტყვის ბოლოკიდურ C# პოზიციებში.

ჩვეულებრივ, ძველ ქართულში თუ უმარცვლო უ-ს მომდევნო ხმოვანი ფუძის კუმშვის შედეგად ამოღებული იქნება, უმარცვლო უ მაინც უმარცვლო დარჩება: ლ უ ა წ ლ ი, ი ლ უ ა წ ა, მაგრამ ი ლ უ წ ი ს, ლ უ წ ო ლ ა დ (შანიძე 1976, 21) მაგრამ მომდევნო ბაგისმიერი თანხმოვნის გავლენით ის შეიძლება დაიკარგოს: თ ქ უ ა, თ ქ უ მ უ ლ ი || თ ქ მ უ ლ ი; ჩვენ შემთხვევაში, მასდარის ფორმაში აწმყოს ფუძის თემის ნიშნისეული -ავ სუფიქსის ა ხმოვნის

რედუქციის შედეგად – რ ი ს უ - ა ვ - ს > \*რ ი ს უ - ა ვ - ა > რ ი ს უ - ვ - ა, ფუძეში ორი ბაგისმიერი ბგერა იყრის თავს (უვ) და ფუძისეული უმარცვლო უ შეიძლება დაიკავოს, შდრ.: რ ი ს უ - ვ - ა > || რ ი ს - ვ ა, მ - რ ი ს უ - ვ - ე ლ - ი > || მ - რ ი ს - ვ - ე ლ - ი, უ - რ ი ს უ - ვ - ე ლ - ი < || უ - რ ი ს - ვ - ე ლ - ი; უმარცვლო უ შეიძლება დაიკარგოს ბაგისმიერ თანხმოვანთან დისტანციურ მეზობლობაშიც: რ ი ს - უ ა ვ - ს || რ ი ს - ა ვ - ს ფუძის ბოლოკიდური უმარცვლო უ იკარგვის სუფიქსისეული -უ ხმოვნის (ულ) დართვის შედეგად: მორისულ-ი (<\*მო-რისუ-ულ-ი):

კბილნი შენი ვითარცა არვე მ ო რ ი ს უ ლ თ ა, რომელნი აღმოკდეს საბანელით. ქება, V, 2 B

ასევე, ფუძისეული უმარცვლო უ იკარგვის II კავშირებითის -თ სუფიქსის დართვის შედეგად:

„და არა გა ნ ჰ რ ი ს ო პირმშოა ცხოვართა შენთაჲ. II შჯ. 15,19 G მ ო ჰ რ ი ს ო BES

შდრ.: ანალოგიური პროცესი უმარცვლო უ-თი დაბოლოებულ სახელებთან:

სახ. მ ო გ უ, რ ი ც ხ უ ... წოდ. მ ო გ - ო, რ ი ც ხ - ო... (იმნაიშვილი 1957, 121).

საბოლოოდ, ძვ. ქართულის რისუ- ფუძის (რისუვ-ა) აუსლაუტის უმარცვლო უ ახალ ქართულში წესისამებრ კბილბაგისმიერი ვ-ს სახით შემოგვრჩა: რ ი ს ვ - ა, შდრ.: რ ი ს ვ - ი, ხევს. რ ი ს ვ - ა ვ - ს...

როგორც ქეგლის განმარტებიდანაც ჩანს რ ი ს ვ ა ახალი ქართულისათვის უკვე ძველი ფორმაა: რ ი ს ვ ა ძვ. პარსვა, კრეჭა (ცხვრისა); ამ სიტყვის გავრცელების არეალი შეზღუდულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებით (ფშაური, ხევსურული, თუშური, ქიზიყური... ზმნის პირიანი ფორმები ნაკლებად – ან არ დასტურდება, შესაბამისად, სათანადო ლექსიკონებში საწყისის ფორმებიც არ არის წარმოდგენილი, იხ. თუშური კილო, 1969, თუშური ლექსიკონი, 2002, ქიზიყური ლექსიკონი, 1942... „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ (1984) რ ი ს ვ ა სახელური ერთეულის (**რისვ**-ი) ბუდეშია განხილული: ...რ ი ს ვ ა „ცხოვართ პარსვა“ და მხოლოდ საბაზე და ჩუბინაშვილებზე მითითებით;

ჩამოთვლილ ლექსიკონებში, „განმარტებითშიც“ და დიალექტურებშიც რ ი ს ვ - ი ყველგანაა წარმოდგენილი. ეს განმარტებები, ცხვრის გაპარსვის დროის ფიქსაციის მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანია: „გაზაფხულზე გაკრეჭილი მატყლი“ (ფშ. შანიძე), „გაზაფხულის ნაპარსი ცხვრისა“ (თუშ. კ.) „გაზაფხულის მატყლი“ (თუშ. ლ.), „გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი“ (ქიზიყ.) ცხვარ-ბატკნის ნაპარსი, ამ ცხვარ-ბატკნის ასაკის შესაბამისად, დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ხარისხისა; რ ი ს ვ - ი ყველაზე უხარისხოა (ჭინჭ. 1960), დაბალი ხარისხისა (ხუბ., 1969), „რ ი ს ვ ი გაწიდულია ურთიერთშია, ძნელ საკეთუა“ (დიალექტ.), თუმცა ქიზიყურში ის განმარტებულია როგორც წმინდა მატყლი: **რისვ-ი** გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი, წმინდაა...

პირიანი ფორმები რ ი ს ვ ა ზმნისა (მოქმედებითი და ვნებითი გვარი-სა) დამოწმებულია ხევსურულში; ისევე, როგორც სახელში (**რისვ-ი**), პირიან ფორმებშიც (გა-ღ-რისვ-ავ-ს, გა-ი- რ ი ს ვ -ა) **ვ** ფუძისეულად წარმოჩნდება, შდრ.:

**ირისვები-ს** რ ი ს ვ ი (იხ.) სცვივა ან რისვს პარსავენ „ცხვარ გაზა-ფხულ თავისთავადაც ი რ ი ს ვ ე ბ ი ს ტყეჩია ბალახჩი“ (ხევს. ლექს.).

**გაირისვები-ს** გაზაფხულზე გაიპარსება, რისვს (იხ.) გაპარსავენ...

„თუ გაზაფხულზე დროულად არ „გაირისვა“ ცხვარ-ბატკანი, „ტყე მაქაც გააყრევს **რისვს**“ (ხევს. თავის. 252).

გა-ღ-რისვაგ-ს რისვს (იხ.) გაპარსავს (ხევს. ლექს.).

ამ ფაქტს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართ. რ ი ს უ ვ ა „პარსვა, კრეჭა (ცხვრისა)“ და სვან. ლ ი რ ს ი „ქლიბვა“ ზმნათა საერთოქართველური წარმომავლობის ძიებისათვის; სწორედ ფუძის ბოლოკიდური უმარცვლო უ (რ ი ს უ) განსაზღვრავს სვანურის განსხვავებულ ფონეტიკურ სახეს, რაც უ-ს, როგორც უკანა და მაღალი აწეულობის ბგერის, გავლენით წინამდებარე **ი**-ს წარმოების უკან გადაწევაში (**ი + უ > ა**), გაშუაენისმიერებაში გამოიხატება: სვან. ნ ა რ ა ს უ < \*ნ ა - რ ი ს უ „ნაქლიბი“, შდრ. ძვ. ქართ. ნ ა - რ ი ს უ - ა ვ - ი || ნ ა - რ ი ს უ - ა ლ - ი. „ნაპარსი“; მაგრამ, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, ლექსიკონში დამოწმებული მასალა მწირია, წარმოდგენილია მხოლოდ მასდარისა და მიმღობის ფორმები, საალბათო ფუძისეული ი-ს უმლაუტიზაცია კი მხოლოდ მიმღობის ფორმაში დაჩნდება: \*ნა-რისუ > ნა-რასუ; მასდარის ფუძე **ლი-რს-ი** „გაქლიბვა, დაქლიბვა, მოქლიბვა“ რედუცირებულია და, შესაბამისად, ფონეტიკური პროცესის კვალი აქ არ ჩანს; თავისთავად, მასდარის სრული და რედუცირებული ფორმების თანაარსებობა სვანურისათვის უცხო არ არის; ასეთი სხვაობა არსებითად დიალექტური ჩანს, – რედუცირებული ფუძეები მეორეულია, შდრ.:

ლი-ზემ-ე            ლნტ. ლი-ზემ-ე ზს., „მიზომება“

ლი-თენ-ე            ლნტ. ლი-თენე ზს., ლშხ. „გაჩენა, დაბადება“

ლი-კარ-ე            ლნტ. ლი-კრ-ე ზს., ლშხ. „გაღება (კარისა, ფანჯრისა)“

ლი-რგადი            ლნტ. ლი-რგად-ი ბქ. „ლაპარაკი“...

მეორეულია რედუცირებული ლი-რსი-ი ფორმაც: ლი-რს-ი < \*ლი-რასუ „ქლიბვა“; მასდარის სრული ფუძის აღდგენას მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში ლ ი - რ ს - ი (ლ ი ქ ლ ი ბ ა ვ ი) „ქლიბვა“ ნასახელარი ზმნის ამოსავალი სახელური **რას** „ქლიბი“ ფუძე სრული ა- გახმოვანებით არის წარმოდგენილი, მართალია უუმლაუტოდ და მასიმილირებელი ფუძის ბოლოკიდური უ-ს გარეშე – **ქლიბი** რ ა ს терпуг, მაგრამ ეს უკვე ტექნიკური საკითხია; სწორი ჩაწერა იქნებოდა \*რ ა ს (უ), შდრ.: მიმღობის ნ ა - რ ა ს უ ფორმა.

სემანტიკური სიახლოვე დასაკავშირებელ სვანურ და ქართულ ზმნურ ფუძეებს შორის სვან. ლირსი „[გა]ქლიბვა“: ქართ. რისუვა... ძვ. პარსვა, კრეჭა (ცხვრისა)“ ამ ლექსიკურ ერთეულთა ამხსნელი სიტყვების განმარტებებში და-

ჩნდება: **რისვა** – ძირში მოჭრა, მოცლა-მოშორება, გადაცლა... **გაქლიბვა** – ზედაპირის გაცლა, გადაცლა, გაწმენდა...

**რისვა**... ძვ. პარსვა, კრეჭა (ცხვრისა)

პ ა რ ს ვ ა... თმის, ბალნის, წვერის ძ ი რ შ ი მ ო ჭ რ ა

მ ო პ ა რ ს ვ ა... პარსვით წვერ-ულვაშისა და თმის მ ო ც ლ ა, მ ო შ ო რ ე ბ ა

გ ა დ ა პ ა რ ს ვ ა: გადაპარსავ-ს... მთლიანად მოპარსავს, თმას გადაულებს, გ ა დ ა ა ც ლ ი ს, ძირში მოსჭრის (სამართებლით, დანით და მით.).

კ რ ე ჭ ა: გავრეჭ-ს... მოჭრის, მ თ ლ ი ა ნ ა დ შ ე კ რ ე ჭ ს (თმას, მატყლს და მისთ.).

შდრ.: **გაქლიბვა**... ქლიბით გახეხვა, გაფხეკვა, ქლიბით გაჭრა

გ ა ხ ე ხ ვ ა 1. ხეხვით, რისამე გასმით ზ ე დ ა პ ი რ ი ს გ ა - ც ლ ა, გ ა წ მ ე ნ დ ა...

გ ა ფ ხ ე კ ა... ფხეკვით გ ა დ ა ც ლ ა, გადასუფთავება...

გ ა ჭ რ ა... დანითა და სხვა მჭრელი იარაღით რისამე შუაზე გაყოფა, გაკვეთა, ჭრით ერთმანეთის მ ო ც ი ლ ე ბ ა.

„ქართულ-სვანურ-რუსულ“ ლექსიკონში დამოწმებულ ლ ი რ ს - ი (\*ლი - რ ა ს უ) „გაქლიბვა, მოქლიბვა...“, ნ ა რ ა ს უ „ნაქლიბი“ ფორმებს შეიძლება ქართულიდან (რისუ-ა „პარსვა, კრეჭა ცხვრისა“) ნასესხობის კვალიფიკაცია მიეცეს სემანტიკის სათანადო ცვლილებით; თუმცა ფუძის სტრუქტურა CVტ მათ საერთოქართველურ წარმომავლობასაც მიანიშნებს.

დასაკავშირებელი ქართულ-სვანური ფუძეების ფონეტიკური სტრუქტურების სხვაობა ამოსავალ ფუძედ ძვ. ქართ. რისუ (resp. ს.-ქართვ. \*რისუ) ფუძეს გულისხმობს: სვანურში ფუძის ბოლოკიდური უ-ს გავლენით განხორციელდა წინამდებარე **o** ხმოვნის უმლაუტი.

მ. ჩუხუა ქართ. რ ი ს უ ა'ს მეგრ. რისქონუასთან „გაყვლეფა“ და იმავდროულად რისინაფა'სთან „კბილების კრეჭა“ || რისუა „კბეჩა“ ფორმებთან აკავშირებს და, შესაბამისად, ქართულ-ზანურ შესატყვისობათა ასეთ პარადიგმას გვთავაზობს:

ს.-ქართვ. (ქართ.-ზან.) \*რის „პარსვა, ყვლეფა“ > ქართ. რის-, რის-უვ-ა, რის-ვ-ი: ზან. რის- || < რისქ.

შესატყვისობათა ასეთი პარადიგმა განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქართულ-ზანურ-სვანურ სისინა სიბილანტთა შესატყვისობის საერთოქართველურ მოდელს, კერძოდ: ს.-ქართვ. \*ს > ქართ. ს: ზან. სქ > || ს : სვან. სგ > || ს (შდრ. მაჭავარიანი 1965, 24...).

ეს ნიშნავს: ისტორიულად ქართ. სისინა: ზან. სისინა (ასევე, სვანური სისინა) შეფარდება უფრო ძველი ქართ. სისინა: ზან. შიშინა (ასევე, სვანური შიშინა) შესატყვისობიდან მომდინარეობს და არ საჭიროებს განსაკუთრებული რიგით მესამე ე. წ. სისინ-შიშინა ლოკალური სიბილანტების პოსტულირებას საერთოქართველურ ფუძენაში (ჩუხუა 2000-2003, 30).

თავისთავად, ეს შეხედულება ცალკეა საკვლევი; რაც შეეხება წარმოდგენილ ქართულ-ზანურ ეტიმოლოგიას; აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქართული და, შესაბამისად, ს.-ქართველური ფუძის განსხვავებული სემანტიკა: ქართ. **რის**- (ს.-ქართვ. \***რის**), რაც რეალურ ვითარებას არ შეესაბამება: ძვ. ქართ. რისჷ (< ს.-ქართვ. \*რისჷ), რისუგ-ა ახ. ქართ. რისგ-ა, ხევს. რისგ-ავ-ს, რისგ-ი „ნაპარსი“; სწორედ ფუძის ბოლოკიდური **ჷ** არის მიზეზი სვანურის ფუძეში განხორციელებული შებრუნებული უმლაუტისა და ის განსაზღვრავს სვანური ფუძის ფონეტიკურ სახეს.

ქართ. რ ი ს უ ვ ა სთან დაკავშირებულ ზანურ (მეგრულ) ფორმათაგან – რ ი ს ქ ო ნ უ ა „გაყვლეფა“ > რ ი ს ი ნ ა ფ ა || რ ი ს უ ა „კბეჩა...“ ჩვენი მიზნისათვის საყურადღებოა მეგრ. რ ი ს უ ა; ქართულ-სვანურ სავარაუდო შესატყვისობათა ამ რიგში (ქართ. რ ი ს უ ა „პარსვა“; სვან. ლ ი რ ს-ი „გაქლიბვა“) მეგრ. რ ი ს უ ა ს „კბეჩა...“ ჩართვა პერსპექტიული ჩანს სემანტიკისა და ფორმის თვალსაზრისითაც. მეგრ. რ ი ს უ ა ფორმას ლექსიკონებში დამოწმებული მნიშვნელობების „კბეჩა“, „ძვლის ხვრა...“ (ქაჯაია II, 2002, ქობალია 2010) გარდა სხვა მნიშვნელობებიც ეძებნება: „ხეხვა, ჭუჭყისაგან გაწმენდა...“ (ეს მნიშვნელობები მოგვაწოდა ე. შენგელიამ. ეს დამატებითი მნიშვნელობები „გახეხვა, ჭუჭყისაგან გაწმენდა...“ ერთგვარი შუალედური რგოლი ჩანს ქართ. რ ი ს უ ვ ა (რისვა „გაპარსვა, გაკრეჭა (ცხვრისა) და სვან. ლ ი რ ს ი „გაქლიბვა“ ფორმების სარწმუნო სემანტიკური კავშირისა.

რაც შეეხება მეგრ. რ ი ს უ ა (აწმყ. რ ი ს უ ნ-ს) ფორმის შედგენილობის საკითხს; მასდარის -ა სუფიქსის წინამდებარე **ჷ** ხმოვანს (რის-უ-ა) სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ახსნა ეძებნება (ყიფშიძე, ჩიქობავა, გუდავა, ქირია...): -**უა** მასდარის ერთი მთლიანი სუფიქსია, **ჷ** ნაშთია აწმოსეული -უნ თემის ნიშნისა (უნ > უ), **ჷ** ნაშთია -ოვ სუფიქსისა (ოვ > უ) და ა. შ. (იხ. კარტოზია... 2010, 276-277).

თუ გავიზიარებთ მეგრ. რისუა ს „კბეჩა, ხვრა...“ კავშირს ქართ. რისჷვა/რისვა ზმნასთან, შეიძლება დავუშვათ, რომ საერთოქართველური ძირეული მორფემის აუსლაუტის **ჷ** სონანტის (\*რ ი ს ჷ) **ვ** რეფლექსი მეგრულში **ჷ** და **ო** სუფიქსური ხმოვნების წინ რისუა, რისუნს (შეიძლება ასევე, რისონუა) ფორმებში დაკარგულია, როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, შდრ.:

ს.-ქართვ. \***რეგჷ** > ძვ. ქართ. რ ე გ ჷ- (ახ. ქართ. რ ე გ ვ-) რეგვ-ავ-ს „ამტვრევს (სეტყვა), რეგ-ვ-ა „მსხვრევა, მტვრევა“, სა-რეგუ-ავ-ი „მახე“ (საბა).

მეგრ. **რაგვ**-/**რაგ**- რაგვ-ინ-ი / რაგვ-ავ-ა „დაცემინება, გადაყირავება; გადაგდება; ვ-ო-რაგ-უ-ან-ქ „ვაყირავებ“; ქგ-დგ-ვორაგვ-ე „გადავაყირავე“; რაგვ-ი „მახე“...

ლაზ. რაგ- რაგ-ი „ჩიტის საჭერი მახე“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 381)...



მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია; ქართ. რისუვა / რისვა და მეგრ. რისუა (რისონა) ზმნათა მიმართების საკითხი დამატებით მასალას და, შესაბამისად, კვლევას საჭიროებს.

ჩვენი დასკვნა კი ასეთია:

ს.-ქართვ. \*რისუ > ძვ. ქართ. რისუა, ახ. ქართ. რისვა „პარსვა, კრეჭა (ცხვრისა)“; სვან. \*[ლი-რისუ] > \*ლი-რჷს(უ) > ლი-რს-ი „გაქლიბვა“.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**იმნაიშვილი 1957** – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**იმნაიშვილი... 1996** – ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, მაინის ფრანკფურტი.

**კარტოზია... 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

**კლიმოვი 1964** – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, მოსკოვი.

**მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

**ნიქარაძე 1910** – И. Нижарадзе, Русско-сванский словарь, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа. 41, თბილისი.

**ნიქარაძე 2007** – ბ. ნიქარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი (ბალსზემოური დიალექტი) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. ნიქარაძემ, „უნივერსალი“, თბილისი.

**საბა 1991** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ქალდანი 1969** – სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

**ქაჯაია II 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-IV (2001-2009), თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990; 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**შანიძე 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

**შიდტი 1962** – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.

### შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

იოზ., წიგნი იოზისი; ბიბლია, ძველი აღთქმა, ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, II, 2017, თბილისი.

ესაია; წინაწარმეტყულებად ესაიადსი; ბიბლია, ძველი აღთქმა, II, ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017, თბილისი.

II სჯ., წიგნი მეორისა სჯულისად; ბიბლია, ძველი აღთქმა, I, ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017, თბილისი.

IV მეფ., წიგნი მეოთხე მეფეთად; ბიბლია, ძველი აღთქმა, I.

შესაქმ., წიგნი შესაქმისად; ბიბლია, ძველი აღთქმა, I.

ქებ., ქებად ქებათად; ბიბლია, ძველი აღთქმა, II.

ქეგლ VI, 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული (1950-1964), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

თუშ. ვ. 1969 – ჰ. ხუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბილისი.

თუშ. ლექსიკ. 2002 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

დიალექტ. 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

ღლონტი, 1984 – ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, თბილისი.

შანიძე, 1960 – ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზ. I, თბილისი.

ხევს. თავის. 1960 – ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი.

ხევს. ლ. 2005 – ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

MURMAN SUKHISHVILI

**One Case of the Umlaut in Svan**

## S u m m a r y

The past participle *na-rasu* (sawdust, filings) attested in the trilingual Georgian-Svan-Russian Dictionary (2007) by B. Nijaradze (1852-1919) seems to be one of the possible examples of the regressive assimilation of vowels,  $i+\hat{u}>a$  positional umlaut in particular (cf. *satätur* || *satätürü* in the Upper Bal dialect of Svan < *satetür* in the Lower Bal dialect of Svan < *satitur* in the Lashkhian dialect of Svan < *satitur-i* in Georgian). Both the infinitive *lirs-i* (< \**li-räsü*) “to file down” and the initial nominal *ras* (< \**räsü*) “a flat file” forms can also be found in the dictionary.

In my opinion, Svan *li-rs-i* (< \**liräsü*) “to file down” is linked up with Georgian *risva* (old Georgian *risüva*) meaning to shear, to cut the wool off (a sheep).

The conclusion is as follows:

Proto-Kartvelian \**risü* > old Georgian *risüa*, modern Georgian *risva* “to shear, to cut the wool off (a sheep)”: Svan. *[li-risü]* > \**li-räsü* > *li-rs-i* “to file down”.

თეა ტეტელოშვილი

**ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სინტაქსური  
ანალიზისთვის „გულის“ შემცველი ქართული  
ფრაზეოლოგიზმების მაგალითზე<sup>1</sup>**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმად განიხილება „განუყოფელი ლექსიკური ერთეული, რომელიც ფორმით ჩვეულებრივ შესიტყვებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი – სიტყვას“ (ქართული ენა 2008: 486). ამგვარ გამოთქმათა კვლევა საინტერესოა როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-სინტაქსური თვალსაზრისით. ჩვენ ამ ეტაპისთვის შევხებით „გულის“ შემცველ ფრაზეოლოგიას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვანს ქართულში. საანალიზო მასალა შევკრიბეთ სხვადასხვა ბეჭდური თუ ელექტრონული რესურსებიდან. ესენია: თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ალ. ონიანის „ქართული იდიომები“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეული და ქართული ენის ეროვნული კორპუსი (კორპუსიდან მოპოვებული „გულის“ შემცველი 65 000 მეტი წინადადებიდან ფრაზეოლოგიზმის შემცველი აღმოჩნდა დაახლოებით ნახევარი).

ფრაზეოლოგიზმები, როგორც წესი, წინადადების შინაარსს ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს სძენენ და ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ხალხის ეთნოლინგვისტურ თავისებურებებსაც ასახავენ. სავარაუდოდ, ამ ენობრივი ფენომენის საზოგადოებრივ ყოფასთან მჭიდრო კავშირი უნდა განაპირობებდეს იმას, რომ დიაქრონიულ პერსპექტივაში დასტურდება გარკვეული ეტაპისთვის აქტიური ფრაზეოლოგიური ერთეულის მიერ მოქმედების ასპარეზის დათმობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ცნობიერების ცვლილების კვალდაკვალ... ასე, მაგალითად, დღეს არააქტიურია ან საერთოდ არ გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორებიცაა: **გულზე ბინდის დაცემა, გული ემუნათება, გულის ბუხრის ამოყრა, გულის მოლოკვა, გულზე ჭიის გადავლა, გულის ჭუჭყის მოხანა** და სხვ.<sup>2</sup> მყარ შესიტყვებათა ამ თვისების გათვალისწინებით საანალიზო ბაზაში მოვაქციეთ მხოლოდ ისეთი ერთეულები, რომლებიც თანამედროვე ქართულისთვისაც ბუნებრივია. ბუნებრივობის განმსაზღვრელ ინდიკატორად მივიჩნიეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემები.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად („გულის“ შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სინტაქსური ანალიზი) 2017 წლის 20-23 ნოემბერს გამართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

<sup>2</sup> ჩამოთვლილი შესიტყვებები დასტურდება თ. სახოკიას ნაშრომში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ალ. ონიანის „ქართული იდიომებში“.

ფრაზეოლოგიზმთა ბუნებიდან გამომდინარე მათი კვლევა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საინტერესოა როგორც სტრუქტურული, ისე სინტაქსური თვალსაზრისით.

პირველი საკითხი უშუალოდ უკავშირდება ამგვარ ერთეულთა კომპონენტების კლასიფიკაციას, წინადადების სიტყვათა მიმდევრობაში მათ ადგილსა და ამ ადგილის მკაცრად განსაზღვრულობის გარკვევას (ანუ, რამდენადაა შესაძლებელი ფრაზეოლოგიზმის სიტყვათა ჯაჭვში სხვა ერთეულის ჩართვა და სხვ.).

ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

(ა) თანამედროვე ქართულში ზოგი ფრაზეოლოგიზმის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რა თქმა უნდა, მსგავსი მნიშვნელობებით. ასეთებია, მაგალითად: **გულზე ადევს/აწევს ლოდად, გულზე ადევს/აწევს ლოდივით; გულზე/გულიდან/გულს (მო)ეშვება; გული მიუწევს / მოუწევს / გაუწევს; გულზე/გულში/გულს ეკალივით ესობა / ეკლად ესობა / ლახვრად ესობა / ხინჯად ესობა; გულს გადაუშლის / გადაუხსნის; გულს / გულში გაივლებს** და სხვ. ზმნის შემცველი მყარი შესიტყვებები, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყენება სხვადასხვა პირის, დროისა თუ რიცხვის, ასევე სხვადასხვა გვარის ფორმებით: **გულს/გულიდან/გულზე გადაეყრება და გულს/გულიდან/გულზე გადაიყრის, გული უწუხს და გულს უწუხებს, გულზე სკდება და გულზე ხეთქ(აგ)ს** და ა.შ.

(ბ) ძირითადად გვხვდება „გულის“ შემცველი ორ-, შედარებით იშვიათად სამ- და ოთხკომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები. ოთხკომპონენტიანის ერთ-ერთი შემადგენელია უკუთქმითი ნაწილაკი „არ“.

(გ) მიუხედავად იმისა, რომ მყარ შესიტყვებებში სიტყვათა რიგი ძირითადად ფიქსირებულია, მაინც გვხვდება კომპონენტთა გადანაცვლების შემთხვევებიც. საილუსტრაციო მაგალითებს<sup>1</sup> მოვიყვანო „კორპუსიდან“<sup>2</sup>:

#### **გული შეუწუხდება / შეუწუხდება გული**

ჩვენ ყველას **გული შეგვიწუხდა** და უგრძნობლად დავემხეთ დედამიწაზე.

ერთ-ერთ დევნილს **გული შეუწუხდა** და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს.

გონს მოსულ დედას ლამის ხელახლა **შეუწუხდა გული**.

... ალბათ მილიონობით იტალიელ ფანს **შეუწუხდა გული**.

...

**გული გაუტყდება, გულს გაუტებს / გაუტყდება გული, გაუტებს გულს** ბუნებრივია, ამის შემდეგ მხოლოდ აღიარებას ველოდით, მაგრამ **გული გაგვიტყდა**.

ბოლო ათმა წელმა ძალიან შემაკრთო და **გული გამიტება**.

მოსახლეობას კიდევ უფრო **გაუტყდა გული** და იმედები გაუცრუვდა.

ბოლო მოვლენებმა ისე **გამიტება გული**, ვფიქრობ, პოლიტიკას თავი დაეკანებო.

<sup>1</sup> მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

<sup>2</sup> ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge>)

(დ) ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევისას გამოიკვეთა, რომ ქართულში დასტურდება მათში არაფრაზეოლოგიური კომპონენტის ჩართვის შემთხვევები. ასეთ კომპონენტად უმეტესად გვხვდება ნაწილაკები (არ, ვერ, ნუ, არც, ვერც), ზმნიზედები (არასოდეს, ვერასოდეს, აღარ, ვეღარ, ვერანაირად, კვლავ, კინაღამ, ლამის, ნამდვილად, საშინლად, ძალიან, ასე, ისე), ნაცვალსახელები (არავინ, არაფერი, ვერაფერი, იმაზე, იმან, იმით, რაზე), კავშირები (თუ, კი)... გამოვლინდა ფრაზეოლოგიზმის ერთზე მეტი სიტყვით გახლეჩის მაგალითებიც. ეს სიტყვები, როგორც წესი, წინადადებაში მყარი შესიტყვების ზმნით გამოხატული ქმედების ან მონაწილე პირები არიან, ან ქმედების ვითარებას, დროს, ადგილსა და სხვ. გვიჩვენებენ. საილუსტრაციო მასალას კვლავ „კორპუსიდან“ დავიმოწმებთ.

მარცხის გამო **გულს არ გავიტებ** და მომავალშიც მივიღებ ამ კონკურსში მონაწილეობას.

წაგება კი, როგორც გითხარით, **გულს არ დაგწყვეტს...**

რა აღარ ვცადე, მაგრამ მათი **გული ვერ მოვიგე.**

დავითაშვილის შეგონებებმა უმრავლესობას **გული ვერ აუჩყყა.**

მოკლედ, იბურთავეთ, ბიჭებო და **გული ნუ დაგწყდებათ**, თუ მოედანზე ვერ იჩაუქებთ.

დღეს **გული კი არ მწყდება**, უბრალოდ, ვნერვიულობ.

ცოტა **გული კი მწყდება**, რომ ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მეძლევა.

...**გული თუ გაიტყდა**, ოცი წლისაც მოხუცად იქცევი.

მისი **გული ვერაფრით მოვიგეთ.**

**გული იმაზე მწყდება**, რომ სახლის მშენებლობის მაგივრად, სახლობას ვთამაშობთ...

სამშობლოში დაბრუნებულმა ბურთსა და მოედანს **გული ვეღარ დაუდო.**

ეს ყოველივე **გულს ძალიან მტკენს**, ვინაიდან ჩემი კოლეგების მსგავსად, ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია.

... ფილმის პროდიუსერთან ერთად, **გული ისე აუჩყყდა**, რომ ტატუს მრავალჯერ გადააკითხა სცენარი.

ხოლო თუ გენუაში მოგზაურობას გადაწყვეტთ, **გულს არც იტალიელიები დაგწყვეტენ.**

თუმც გოროზი ესპანელის **გული ვერც ამან მოაღბო...**

მზარდმა პოპულარობამ ამ კლასზე **გული ბევრ ავტომწარმოებელს მოუბრუნა...**

... იქ დიდხანს ვერ გაჩერდა, რადგან **გული კვლავ სამხედრო სამსახურისკენ უწევდა.**

მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფს, რომ ფრაზეოლოგიური გამოთქმების სტრუქტურა ქართულში საკმაოდ მრავალფეროვანია, ფრაზეოლოგიზმში სიტყვათა მიმდევრობა ზოგჯერ არაა მკაცრად განსაზღვრული, გვხვდება მის ჯაჭვში სხვა არაფრაზეოლოგიური ელემენტის ჩართვის არაერთი შემთხვევაც, ანუ „მათი მდგრადობა შეფარდებითია“ (გამყრელიძე 2008: 375).

რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმების სინტაქსურ ანალიზს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არ გვაქვს ერთგვაროვანი მიდგომა. კერძოდ, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებულია აზრი, რომლის თანახმადაც „იდიომი ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია; მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია“ (გამყრელიძე 2008: 376). სწორედ ამგვარი შემთხვევებისთვის მიიჩნევა, რომ „სიტყვათა მყარ შეკავშირებას ერთი წევრის მნიშვნელობა აქვს“ (კვაჭაძე 1996: 81). აღნიშნულ მოვლენას აკ. დავითიანი შემდეგნაირად ხსნის: ფრაზეოლოგიზმის „სემანტიკური მონოლითურობა (ნომინაციის ერთიანობა) სძლევს მის შემადგენელ ელემენტთა სტრუქტურულ დანაწევრებულობას, რის შედეგადაც წინადადების შედგენილობაში მისი ფუნქცია ერთი სიტყვის (წევრის) ფუნქციის იდენტურია“ (დავითიანი 1973: 367). „ცხვირი ჩამოუშვა“, „ქადაგად დაეცა“ და სხვა მსგავსი ორკომპონენტური ფრაზეოლოგიზმების შესწავლის საფუძველზე თ. ვაშაკიძემ მიიჩნია, რომ ხსენებული „ორკომპონენტური ფრაზეოლოგიური გამოთქმები გრამატიკულად ზმნის აღწერით წარმოებას უტოლდება“ და მათ წინადადებაში ერთი წევრის სტატუსი აქვს (ვაშაკიძე 2013: 44).

„გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმებიდან სემანტიკური მონოლითურობა ახასიათებს და წინადადებაში ერთი წევრის ეკვივალენტურია, მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მყარი გამოთქმა:

### **2-კომპონენტური**

...ისმიალოვამ მათი **გულის მოგება** მოახერხა (**გულის მოგება** – მიმხრობა; პირდაპირი დამატების ფუნქცია).

რა თქმა უნდა, ჩემია – წამოიძახა ბრაზით **გულზე გამსკდარმა** სოპიმ (**გულზე გამსკდარმა** – გაბრაზებულმა; მსაზღვრელის ფუნქცია).

... სად გაქრა ის ტექნიკა რაიონის ცენტრში თვეობით რომ იყო ჩამწკრივებული მტრის **გულის მოსაკლავად** (**გულის მოსაკლავად** – გასამწარებლად; მიზნის გარემოების ფუნქცია).

მინდა მივმართო ყველას, ვისაც **გული შესტკივა** ჩვენს ქალაქზე (**გული შესტკივა** – თანაურგმნობს; შემასმენლის ფუნქცია).

### **3-კომპონენტური**

კორნელის **გულზე ცეცხლი მოედო**: რა სისულელეს ეუბნება ამ ახალგაზრდა ქალსო, იფიქრა (**გულზე ცეცხლი მოედო** – გაბრაზდა; შემასმენლის ფუნქცია).

უსაზღვროდ მადლობელი ვარ ყველასი, ვინც თუნდაც ერთი ლარი გაიღო და **გულთან ახლოს მიიტანა** ჩვენი გასაჭირი (**გულთან ახლოს მიიტანა** – განიცადა; შემასმენლის ფუნქცია).

ნეტავ რისი ბრალი იყო, ასე რომ დაემძიმდი, დავიქანცე და **გულზე ლოდი დამაწვა** (**გულზე ლოდი დამაწვა** – დავდარდიანდი, დავნაღვლიანდი; შემასმენლის ფუნქცია).

**გულმა რეჩხი მიყო** – ასეთ დროს თევზი ხომ არ ზიანდება-მეთქი (**გულმა რეჩხი მიყო** – შევცბი; შემასმენლის ფუნქცია).

#### 4-კომპონენტები

იგი ვაგონში შევიდა, მაგრამ **გული საგულეს არ ჰქონდა** (გული საგულეს არ ჰქონდა – ეშინოდა; შემასმენლის ფუნქცია).

[ემეს] **გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა** (გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა – უხაროდა; შემასმენლის ფუნქცია).

მაკა ნერვებს ძალიან უნდა გაუფრთხილდეს და ლანძღვა **გულთან ახლოს არ მიიტანოს** (გულთან ახლოს არ მიიტანოს – არ განიცადოს; შემასმენლის ფუნქცია).

მოყვანილი საილუსტრაციო მასალა ადასტურებს, რომ ფრაზეოლოგიზმის აზრობრივი ერთიანობა არაა დამოკიდებული მისი შემადგენელი კომპონენტების რაოდენობასა და მათ მიმდევრობაში არაფრაზეოლოგიური ელემენტის ჩართვაზე. მაგალითად, ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებაში სემანტიკურად მონოლითურია და ერთი წევრის გაგება აქვს მყარ გამოთქმას „გულზე ეხატება“ მიუხედავად იმისა, რომ მეორე მაგალითში იგი გახლეჩილია ნაწილაკით „არ“, ხოლო მესამეში – ნაწილაკთან (არ) ერთად „დიდად“ სიტყვაფორმით:

იქნებ გგონიათ, რომ პუტინს ძალიან **გულზე ეხატება** ეგ „შალვა“ (გულზე ეხატება – მოსწონს).

ჰამით ალთინთოფსაც **გულზე არ ეხატება** თერთმეტმეტრიანების სერია... (გულზე არ ეხატება – არ მოსწონს)

მისი განცხადებით, მას ამგვარ ცნობებს ის ხალხი უვრცელებს, ვისაც პატრული **გულზე დიდად არ ეხატება** (გულზე დიდად არ ეხატება – დიდად არ მოსწონს).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიზმის წინადადების ერთ წევრთან ეკვივალენტურობასა და მის შემადგენელ კომპონენტთა რაოდენობას შორის არ არის პირდაპირი კავშირი. მეორე მხრივ კი კორპუსული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ „გულის“ შემცველ ყველა მყარ შესიტყვებას არ ახასიათებს აზრობრივი ერთიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაინც განიცდიან შინაარსობრივ ტრანსფორმაციას და ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა ისევე აქვთ, როგორც ნებისმიერ სხვა, სემანტიკურად მონოლითურ ფრაზეოლოგიზმს. შესაბამისად, ასეთი გამოთქმების ერთი წევრის სინტაქსური ფუნქციით გააზრება ჭირს, თუ შეუძლებელი არაა. მაგალითად,

მარცხის გამო **გულს არ გავიტებ** და მომავალშიც მივიღებ ამ კონკურსში მონაწილეობას (მარცხის გამო **იმედს არ დაგვარგავ** და მომავალშიც მივიღებ ამ კონკურსში მონაწილეობას).



დავითაშვილის შეგონებებმა უმრავლესობას **გული ვერ აუჩყყა** (დავითაშვილის შეგონებებმა უმრავლესობას გული ვერ აუჩვილა/უმრავლესობის თანაგრძნობა ვერ გამოიწვია).

მზარდმა პოპულარობამ ამ კლასზე **გული ბევრ ავტომწარმოებელს მოუბრუნა...** (მზარდმა პოპულარობამ ამ კლასის მიმართ ბევრი ავტომწარმოებელი კეთილად განაწყო).

... იქ დიდხანს ვერ გაჩერდა, რადგან **გული კვლავ სამხედრო სამსახურისკენ უწევდა** (...იქ დიდხანს ვერ გაჩერდა, რადგან კვლავ სამხედრო სამსახურის სურვილი ჰქონდა).

როგორც აღმოჩნდა, „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ზოგ შემთხვევაში სემანტიკურად მონოლითური და, შესაბამისად წინადადების ერთი წევრის ეკვივალენტურია, ზოგ შემთხვევაში კი მათი აზრობრივი ერთიანობა შეფარდებითია და მხოლოდ სემანტიკური ტრანსფორმაციის სახისაა. პირველი ტიპის მყარ გამოთქმათა აღსანიშნავად ჟ. სორდია ფუნქციის შესაბამისად მიზანშეწონილად მიიჩნევდა ტერმინების „ფრაზეოლოგიური შემასმენლის“, „ფრაზეოლოგიური ქვემდებარის“, „ფრაზეოლოგიური დამატების“ და სხვ. გამოყენებას (სორდია 1986: 82), ხოლო „წავიწყმიდე სული“ (= ბოროტება ჩავიდინე), „სიტყვა გიჭრის“ (= ლაპარაკი გეხერხება) და მსგავსი ფრაზეოლოგიზმების სახელდებისთვის მიმართავდა ტერმინებს: „ფრაზეოლოგიური სინტაგმები“/ „ფრაზეოლოგიური წყვილები“. უნდა აღნიშნოს, რომ დასახელებული ტერმინები კარგად მიჯნავს აზრობრივად ერთიან და ნაკლებმონოლითურ ფრაზეოლოგიზმებს, მაგრამ არ აადვილებს მათს სინტაქსურ ანალიზს. სწორედ ამიტომ, ზოგი მკვლევარი სკეპტიკურადაა განწყობილი წინადადების ფრაზეოლოგიური წევრების გამოყოფისადმი. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, წინადადების ფრაზეოლოგიური წევრის, როგორც ტერმინის, შემოტანა მართებულია მყარი გამოთქმის შემცველი წინადადების სინტაქსური ანალიზის სრულყოფისათვის, მხოლოდ ერთი დაზუსტებით – იგი უნდა გამოიყენებოდეს როგორც აზრობრივად ერთიანი, ისე ნაკლებმონოლითური მყარი გამოთქმების შემადგენელი ნებისმიერი კომპონენტის აღსანიშნავად და არ მოიაზრებდეს სინტაქსური ანალიზის ცვლილებას (იგულისხმება წევრებს შორის მიმართებები). ეს იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური გამოთქმის შემცველ წინადადებაშიც წევრებს შორის სინტაქსური მიმართებები ისეთივეა, როგორც არაფრაზეოლოგიური წევრების არსებობისას. სხვაგვარად შეუძლებელი გახდებოდა ასეთი წინადადების შინაარსის აღქმა-გაგება მსმენელის მხრიდან, განსაკუთრებით მრავალკომპონენტის ფრაზეოლოგიზმის გამოყენების შემთხვევაში. ამ მიდგომის თანახმად, „ფრაზეოლოგიური შემასმენლის“, „ფრაზეოლოგიური ქვემდებარისა“ და სხვ. დამკვიდრება არ გულისხმობს ფრაზეოლოგიური გამოთქმის შემცველი წინადადების სინტაქსური ანალიზის ცვლილებას, იგი მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ ანალიზში გარკვეული სინათლის შეტანას ტერმინოლოგიური დაზუსტების გზით.

### ლიტერატურა და წყაროები

**გამყრელიძე 2008** – გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**დავითიანი 1973** – დავითიანი აკ., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**ვაშაკიძე 2013** – ვაშაკიძე თ., ორკომპონენტური ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა სინტაქსური სტატუსისათვის ქართულში, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი.

**კვაჭაძე 1996** – კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**ონიანი 1966** – ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბილისი.

**სახოკია 1979** – სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

**სორდია 1986** – სორდია ჟ., ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N4, თბილისი.

**ქართული ენა 2008** – ენციკლოპედია, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეული (ელ-ვერსია: <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

**ქეიკ-ი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ვებგვერდი: <http://gnc.gov.ge>).

TEA TETELOSHVILI

### On the Structural-Syntactic Analysis of Phraseological Units Using the Example of Georgian Ones Containing the Word “Heart”

#### S u m m a r y

The paper discusses the Georgian phraseological units containing the word “heart” structurally and syntactically. Material was selected from various printed and electronic resources. The study has revealed that (a) there are several variants of some phraseological units in modern Georgian; (b) phraseological units containing the word “heart” mainly consist of two components and they rarely include three or four components; (c) despite the fact that the order is mainly fixed, still there are cases where components interchange their places; (d) putting a non-phraseological element (sometimes more than one) into phraseological units is not unfamiliar to Georgian. Such elements are particles, adverbs, pronouns, connectors, etc.

Analyzing huge material (only the corpus base included more than 32 000 sentences) made it clear that in Georgian there is no direct link between the equivalence of a phraseological unit to one member of a sentence and the number of its components. In addition, all the fixed syntagms containing the word “heart” are not characterized by the conceptual unity. Accordingly, it is difficult or even impossible to perceive them with a syntactic function of one member. That is why the issue of syntactic qualification of such members is always topical. We think that the introduction of the term “a phraseological member of a sentence” will be appropriate to thoroughly analyze a sentence containing a fixed expression. It should be used to denote not only a conceptually united component of a phraseological unit but also of a less monolith fixed expression. Establishing the terms like “a phraseological predicate”, “a phraseological subject” does not mean a change (relations between members) in a syntactic analysis of a sentence containing a phraseological expression. It will be useful to make the analysis clearer through the terminological clarification.

როსტომ ფარეულიძე

**ცნობები ჩეჩნეთის შესახებ ნ. ი. დინიკის ნაშრომში  
„მოგზაურობა ჩეჩნეთსა და დაღესტანში“**

(Н. Я. Динник, По Чечне и Дагестану. Тифлис, 1905, 78 стр.)

ნ. დინიკი დაიბადა ქ. სტავროპოლში 1847 წელს. იქვე დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია. 1865 წლიდან სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბიოლოგიის განყოფილებაზე მოსკოვის უნივერსიტეტში. სტუდენტობისას იგი განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა ზოოლოგიით. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დაკავშირებული იყო რევოლუციონერთა წრის წევრებთან. 1869 წლის აპრილში, „საკანდიდატო“ გამოცდების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, იგი გარიცხეს უნივერსიტეტიდან და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაასახლეს თავის სამშობლოში, სტავროპოლში. სწორედ ამ დროიდან იწყებს იგი ჩრდილო კავკასიის ბუნების კვლევას.

1873 წლის აპრილში, პოლიციის ზედამხედველობიდან გათავისუფლების შემდეგ, ნ. დინიკს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება მისცეს. მან იმავე წლის ოქტომბერში დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი და მიიღო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ნ. დინიკი მუშაობას იწყებს სტავროპოლის ერთ-ერთ გიმნაზიაში. თავისუფალ დროს მოგზაურობს კავკასიის მთებში, იკვლევს მყინვარებს, კავკასიის ფლორასა და ფაუნას. კვლევის შედეგებს აქვეყნებს მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, სტავროპოლის პერიოდულ გამოცემებში, შვიდი ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს თბილისში.

გარდაიცვალა 1917 წელს სტავროპოლში.

ახალდამწერლობიანი ენისათვის ფასეულია თითოეული ენობრივი ერთეულის გამოვლენა წერილობითი წყაროებიდან. ამასთან იმდროინდელი სოფლების ნაწილი, 1940-იან წლებში ჩეჩნების გადასახლების გამო, ნასოფლარებად იქცა, დაიკარგა არაერთი ტოპონიმის სახელი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას მთის სოფლებში დასახლების უფლება არ მისცეს.

რამდენადაც ხელი მიგვიწვდება ნახურ საენათმეცნიერო ლიტერატურაზე, ნ. დინიკის დასახელებული ნაშრომი ცნობილი არ არის. იგი ეხება 1904 წლის ზაფხულში ავტორის მოგზაურობას ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ამ ნაშრომში საინტერესოდ არის აღწერილი მოგზაურის თვალით დანახული ჩეჩ-

ნებისა და დაღესტნის ბოთლიხის რეგიონის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ისტორიული ხასიათის ზოგი ცნობა. დაწვრილებით აღწერს იმ ადგილებში გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს. მცენარეთა სახელებს ავტორი იძლევა რუსულ ენაზე ლათინური შესატყვისებით, ცხოველთა სახელებიდან ჩეჩნურად დაფიქსირებული აქვს:

ჩა „დათვი“  
ცოგოლ „მელა“  
ხეკა „ღორი“  
ლუ „გარეული თხა“  
სედ „ირემი“  
ბორძ „მგელი“  
დაამ „მაჩვი“  
ააქა ციციგ „გარეული კატა“ (ფოცხვერი)  
სალორ „კვერნა“  
ფააგალ „კურდღელი“ (გვ. 50-51)

ამ ათი სახელიდან ზუსტად არის დაფიქსირებული **დათვის, ირმის, კატის** ჩეჩნური შესატყვისები. **ლუ** სიტყვაში ხმოვანი თანამედროვე ჩეჩნურში გრძელია (**ლუ**), რაც ნიშნავს „შველს“ და არა „გარეულ თხას“. **ჯ** დაფიქსირებულია **ქ** და **კ** ნიშნებით (**ააქა** „გარეული“, უ. ი. **ჰჯა; ხეკა** „ღორი“; ამ სიტყვის ამოცნობა რუსული თარგმანის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, შდრ., **ხეკა** და მისი მართებული ვარიანტი **ჰაჯა**, რომელიც 1863 წელს, დინიკის ნაშრომამდე თითქმის 40 წლით ადრე, დამოწმებული აქვს პ. უსლარს). გარდა ამისა, ფარინგალური მჟღერი ‘(-აინი) „მაჩვის“ და ყრუ **ჰა** „მელიის“, „ღორის“, „კურდღლის“ აღმნიშვნელ სახელებში გამოტოვებულია. ეს თანხმოვნები რუსული ენისათვის უცხოა და დაუფიქსირებლობა მოულოდნელი არ არის. ხმოვნების სიგრძე გადმოცემულია ორი იდენტური ნიშნით (**ფააგალ, ააქა**), შენიშნული არ არის დიფთონგები – **ჟო**-ს ნაცვლად (შდრ., **ბორძ, სალორ**) გვხვდება **ო**. როგორც ჩანს, **ძ** არათავკიდურ პოზიციაშიც ჩვეულებრივი იყო ჩეჩნურში, ამ პოზიციაში იგი **ზ**-თი არის შეცვლილი, შდრ., სალიტერატურო ენის, იგივე ბარის კილოს **ბჟორზ** „მგელი“ ფორმა..

ავტორი ჩეჩნეთში მოგზაურობის აღწერას იწყებს გროზნოდან. ამ ქალაქის შესახებ ის არაფერს ამბობს. იგი მიემგზავრება მდინარე **არგუნის** ხეობისაკენ. ამ მდინარეს ჩეჩნურად **ო რ გ ჯ** ჰქვია. ამოსავალი ამ ფორმისათვის არის **ა რ გ უ ნ**, სადაც უ-ს გავლენით რეგრესულ-დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაციით ფუძისეული **ა** იძლევა **ო**-ს. ჩეჩნურში **ნ** ბგერა აუსლაუტში სუსტდება და იკარგება, ამ პროცესის შედეგად ორმარცვლიანი სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში აღმოჩენილი მარტივი ხმოვანიც სუსტდება და მის ნაცვლად წერენ ა-ს. ასე ჩანს მიღებული ჩეჩნურ მეტყველებაში **ო რ გ ჯ**-ც.

მოგზაურობის მარშრუტი ასეთია:

არგუნის ხეობა **შატოი**-ს, **ითუმ-ყალე**-ს, **ხილდეხარო**-ს გავლით სოფელ **ტიულ**-ამდე. ამ სოფლის სახელით თუ, პირიქით, მთის სახელით არის ცნობილი ჩეჩნეთის უმაღლესი მწვერვალი **ტებულო**-ს მთა. ამ მთის სახელი ყველა რუკაზე რატომღაც ქართული წარმოთქმით არის დაფიქსირებული, შენიშნავს ავტორი, თუმცა ჩეჩნურად მას **დოქო-ქორთ** ჰქვია. ადგილობრივთა მტკიცებით, ტებულოს თხემზე ფეხი არავის დაუდგამს, მის მწვერვალს ფრინველი თუ შესწვდება.

თუმეითის საზღვრიდან იმავე მარშრუტით უკან ბრუნდება საწყის პუნქტამდე.

მეორე ექსპედიცია მოეწყო მდინარეების – **ხულხულაუ**-ს და **აქსაი**-ს – აუზებში ჩეჩნეთის მოსაზღვრე დაღესტნის ბოთლიხის რეგიონამდე და უკან.

არგუნის ხეობისაკენ მიმავალი მოგზაური პირველად ჩერდება სლობოდა ვოზდვიჟენსკაიაში, რომელიც გროზნოდან 25 ვერსით არის დაშორებული და მდებარეობს არგუნის ხეობის სიახლოვეს – **სჭრ-ქორთ**-ისა და **ხერდიკელ**-ის მთებს შორის მდებარე გაშლილ ვაკეზე, რომელსაც ხანყალის ხეობასაც ემახიან. ამ დასახლებაში ნაშრომის ავტორი თურმე წინა წლებშიც ყოფილა, იგი მოხიბლულია იქაური ბუნებით, სუფთა ჰაერით. **ხანყალა** დღეს გროზნოს გარეუბანია, **სჭრ-ქორთ** სათვალთვალო, საყარაულო ადგილს ნიშნავს, ადრე იქ რუსული სამხედრო საგუშაგო ყოფილა. **ხერდიკელ** ამჟამად სოფლის სახელიც არის, როგორც ჩანს, სოფლის სახელის მიხედვით იწოდება ქედი თუ მთა. სიტყვასიტყვით ნიშნავს: ბეგრდ „კლდე“, კელ „ქვეშ, ქვეშეთი“, ე, ი. კლდის ქვეშეთი.

ამ მიმართულებით მოგზაური აფიქსირებს მდინარეთა სახელებს:

არგუნ-ი

ლოით-ი

ჩანტი-არგუნ-ი და შარო-არგუნ-ი (ერთდებიან აულ დუბა-იურთთან)

ვაშენდერო

ჯარჯა

ქი (დელე და ხეობა)

ხილდეხარო

ტიულის წყალი

ამ მდინარეთა აუზებში განლაგებულია დასახლებული პუნქტები:

ევდოკიმოვსკოე (ეს არის პუნქტი, სადაც რუსის ჯარი დგას; ასევე რუსების სიმაგრეს წარმოადგენს შატოიდან 10 ვერსზე მდებარე **ბაშინ-ყალე**).

დუბა-იურთ-ი

შატო

დაჩუ-ბარზო

ულუსქერთ-ი

ნიუხო

ზილბერო

სონოდ  
ფამიათოდ  
ბიექუმ-ჯალე  
მარშინ-ჯალე  
ხალი-ჯალე  
დად (დ'ად)  
ნიხალოდ  
დდენ-ჯალე  
ითუმ-ჯალე  
ბდეჩიქ  
ქურდი  
სანჩხოდ  
ჩამგოდ  
ტდულლოდ

**შატო** არგუნის ხეობის სოფელია. ეს სოფელი, შენიშნავს ავტორი, მთიანი ჩეჩნეთის ყველაზე ხალხმრავალი პუნქტია. აქ დგას ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი და 1 ბატარეა. ამ რეგიონის მოსახლეობას ქისტებს ეძახიანო, წერს იგი, მაგრამ არ აზუსტებს, ვინ ეძახის მათ ქისტებს. ეს სიტყვა ქართული მეტყველებიდან უნდა მომდინარეობდეს, ალბათ, ეს იცოდა ნაშრომის ავტორმაც. შატომს ესაზღვრება თუმ-ფშავ-ხევსურეთი, რომლებიც მეზობელი მხარის მოსახლეობას ქისტებს ეძახიან. თვით ჩეჩნები თავიანთ თავს **ნოხჩი|ნჭოხჩი** (მხ. რ.), **ნოხჩი**-ს (მრ. რ.) უწოდებენ და მათთვის უცნობია ტერმინი ქისტი.

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ზოგი აულის სახელი გამოტოვებულია. ავტორი წერს, მაგალითად, სოფელ ტიულამდე რამდენიმე სხვა დასახლება გავიარეთო. როგორც ზემოთ ითქვა, ნ. დინიკის კვლევის ძირითადი სფერო იყო ჩეჩნეთის მდინარეთა ხეობებისა და მათათა კალთების მცენარეული საფარის, იქ გავრცელებული ველური ცხოველების სახეობების შესწავლა. ამდენად იგი თავის ნაშრომში იძლევა მწირ ცნობებს ჩეჩნების ყოფა-ცხოვრების, ისტორიის, ონომასტიკის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ არსად არა აქვს ნახსენები თავისი მეგზურების – ორი ჩეჩენისა და სამი რუსის – გვარი ან სახელი, ჩეჩნების სადაურობა.

ზემოთ ჩამოთვლილ ადგილთა სახელებიდან ჩვენთვის რამდენიმე ცნობილია, ხილდიხაროს თემის სოფლები ჩეჩნების გადასახლების დროიდან ნასოფლარებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ამ ნასოფლარების სახელები 1979 წელს ჩაწერილი გვაქვს ადგილზე, ხილდიხაროში, მწყემსებთან. შემდგომში ეს მასალა გადავამოწმეთ პანკისში ქალბატონთან, რომელმაც დაახლოებით იგივე ცნობები მოგვაწოდა აღნიშნული თემის სოფლების სახელწოდებათა შესახებ, რაც ჩვენ ადგილზე გვქონდა ჩაწერილი. ეს ქალბატონი ომამდე იქ ყოფილა გათხოვილი, მაგრამ გადასახლებას გადაურჩა პანკისში დაბრუნების გამო. ნ. დინიკის მასალა დიდად განსხვავდება ჩვენი მასალისაგან. გარდა ამისა, ჩეჩნეთის ტოპონიმი კომენტარებით დაბეჭდილი აქვს ცნობილ ჩეჩენ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ახმედ სულეიმანოვს. ნ. დინიკის მასალა, ვფიქრობთ, უთუოდ გამოადგებათ ონომასტიკაში (ტოპონიმიკაში) მომუშავე მკვლევრებს.

მთათა სახელებიდან ნაშრომში დასტურდება:

ჩახთირ-ი

დარგენდუყ

ხაიქალამ

დოქო-ქტორთ

პირიქითის ქედი (საზღვარი თუშეთთან; **მაცეხჩუ**-ს უღელტეხილის გადავლით გადავდივართ თუშეთში, პირიქითის ალაზნის დაბლობზე, ალაზნის ხეობაში).

დასახელებული ტოპონიმებიდან ზოგი კომპოზიცია, რომლის მეორე კომპონენტი სემიტური ენებიდან ნასესხები **ყალა||ყალე** „ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს. ეს სიტყვა თანამედროვე ჩეჩნურში „ქალაქის“ მნიშვნელობითაც გვხვდება. გამოსაყოფია, აგრეთვე, თურქული წარმოშობის **იურთ**-ი სოფლის მნიშვნელობით, **ზარზა** „ბორცვის, გორაკის“ მნიშვნელობით, **დუყ** „ქედს“, **ქტორთ** (აქ: ქორთ) – „თავს, მწვერვალს“ აღნიშნავს. **ხაიქალამ**-ში უნდა გამოიყოს **ლამ** „მთა“. ყურადღებას იქცევს ტოპონიმებში **-ოი** დაბოლოება (**ჩამგოი**, **სჭონოი**, **ზილბეროი** და მისთ.), რომლის სტრუქტურა და ფუნქცია საკვლევეა.

მეორე მარშრუტი ვედენოს მიმართულებით იწყება ისევ ვოზდვიჟენ-სკოედან. ამ გზაზე განლაგებულია სოფლები:

სტარო-ათაგი

ნოვია-ათაგა (ამ ორ ტოპონიმში ერთი და იგივე სახელი მოცემულია -ი და -ა დაბოლოებით)

შალი

ერსენოვსკაია

სერჟენ-იურთ

ცა-ვედენო (= წა-ვედენო)

ვედენო ((სიმაგრე)

ზივირხი

ელისტანჟი

დარგო

დიშნი-ვედენო

მდელი, ველობი: ახმეთ ირიცოვ (რაც, სავარაუდოდ, ახმედის სათიბს – ირზუ-ს – უნდა ნიშნავდეს).

ხორ(ო)ჩოი (მითითებულია, რომ ამ სოფლიდან არის ჩეჩნეთის სახალხო გმირი ზელიმხან ხარაჩოელი).

ხოი (აქედან გზა გადადის ბოთლიხში)

**მდინარეთა სახელებია:**

ხულხულაუ

ელისტანჟი

შაუდან (ვედენოსთან)

ახქაჩუ

აქსაი

ხოროჩოი-ახქი

ერი-ახქი

ხარსუმ



ქაუხა (ალბათ, დღევანდელი ქენხი – რუსული წარმოთქმით)

**ქედები, მთები:**

ბეხეჩო-ლამ (გრძელი ქედი)

ჯეღრან-ქუორთ

თაუზენ-ბოლუ-ქუორთ

ქერქეთი

ვოლოდამ-ინცი

აზალი

ხაგალია (უღელტეხილი)

ეზენ-‘ამ (= ყეზენოს ტბა)

ეს მხარე იჩქერიის სახელით არის ცნობილი.

ამ ნაშრომის სხვა მხარესაც შევხვებით. საკითხი ეხება ავტორის შეხედულებებს ჩეჩნების შესახებ.

ევდოკიმოვსკოეს სიმაგრეში, სადაც მოგზაურები მცირე ხნით შეჩერდნენ, მასპინძელი რუსი ოფიცერი ამ ამბით დიდად გახარებულია. იგი ჩივის, რომ იქ არავინაა რუსი ჯარისკაცების გარდა, რომ გაესაუბროს. მართალია, ცოტა მოშორებით ჩეჩნები ცხოვრობენ, მაგრამ ისინი არა მხოლოდ ნაკლებად განვითარებული, არამედ ნახევრად ველურები არიან. ამიტომ აღნიშნულ სიმაგრეში ოფიცრის ცხოვრება უკიდურესად მოსაწყენიაო. მან მოგზაურები თავაზიანად მიიღო და გახარებული იყო იმით, რომ ჩვენთან ყბედობით ერთი-ორი საათით გაერთობოდა (ნыл рад случаю поболтать с нами час или два).

ავტორი წერს: ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩეჩნებზე, რომლებიც არგუნისა და მისი შენაკადების ხეობებში ცხოვრობენ. მათზე არაერთხელ მსმენია როგორც ვერაგებზე, ავეზზე, რომლებიც უკიდურესად ცუდად ექცევიან რუსებს. ბევრჯერ ჩემთვის უთქვამთ, რომ ისინი ყველაზე სასტიკები არიან იმ ხალხებში, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობენ. ხშირად მარწმუნებდნენ, რომ მოგზაურობა ჩეჩნეთში საშიშია, რომ იქ ადვილად შეიძლება გაგქურდონ ან გაგმარცვონ, შეიძლება მოგკლან კიდეც. ნათქვამი შეიძლება მეტნაკლებად მიესადაგებოდეს ბარის ინგუშებსა და ჩეჩნებს, მაგრამ არა მთიელებს. ისინი ღარიბები არიან, მაგრამ შრომისმოყვარეები, მშვიდები, წესიერები, ზრდილები, თავაზიანები და სტუმართმოყვარეები. მე, წერს იგი, რამდენჯერმე შევჩერდი და ღამე გავათიე (ჩამოთვლილია სოფლები) იქ და ყოველთვის ვსარგებლობდი მასპინძელთა სრული ყურადღებით, ბევრჯერ ვიმგზავრე ღამითაც ზაფხულსა და ზამთარში მთიან ჩეჩნეთში და ერთხელაც არ გადავყრივარ უსიამოვნებას. პირიქით, მასპინძელთაგან ყურადღებას ვგრძნობდი ყოველ ნაბიჯზე, მომსახურების საფასურზე უარს ამბობდნენ, მიმტკიცებდნენ, სტუმრისაგან ფულის აღება, იმათი ტრადიციით, სირცხვილია. რა თქმა უნდა, ჩეჩნებს არ უნდა ჰქონდეთ სიმპათია რუსებისადმი, ჩვენთან მტრობის მიზეზი მათ აქვთ, და მაინც, უმეტეს შემთხვევაში ისინი იქცევიან ჯენტლმენებივით. მოჰყავს ამის მაგალითებიც. ერთ-ერთ აულში რამდენიმე ათეული სახლია, ამ სოფლის ერთმა მცხოვრებმა გამოგვიყო ოთახი და მიგვიღო ძალიან თავაზიანად, გვამცნობს ნაშრომის ავტორი.

აქედან ისინი ჩადიან **ჩამლა**-ში, იქაც ასევე თავაზიანად მიიღეს სტუმრები, გამოუყვეს ფართო და სუფთა ოთახი, სადაც დილამდე ჩინებულად გამოვიძინეთო. ამ მხარეში **ტიულ**-ი ბოლო სოფელია, სადაც რამდენიმე კომლი ცხოვრობს. გზა იქამდე ძალიან ცუდია. სახლები ფიქლისაგან არის ნაგებიც და გადახურულიც, სიღარბის მიუხედავად, სახლები შედგება ოთახებისაგან, ცხოვრობენ ძალიან სუფთად, ოთახები შიგნიდან გალესილია თიხით, რაც სიტბოს ინახავს. მათ არასოდეს ენახათ რუსი, რამდენიმე წუთში ჩვენს სანახავად თავი მოიყარა მთელმა სოფელმა, გვიყურებდნენ, როგორც რაღაც საოცრებას. მოგვართვეს ჩაი, რძე, კვერცი და ყველი, მოკლედ, ხალისით მოიტანეს ყველაფერი, რითაც გამასპინძლება შეეძლოთ. წასვლისას ძლივს დავითანხმეთ, რომ მომსახურებაში ფული აეღოთ.

ტიულის (ტებულოს მთის) მიმართულებით მდებარეობს პატარა აული **სანჩხო**. იგი მცირემიწიანია, ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ და ძალიან ღარიბულად ცხოვრობენო. იქვე ახლოსაა **ჩამგო**, სადაც სახლები ნაშენებია ფიქლისაგან, რადგან ტყე ახლო-მახლო არ არის, აქვე ახლოსაა რამდენიმე საბრძოლო კოშკიცო, წერს ნ. დინიკი.

რა თქმა უნდა, ჩეჩნეთის შესახებ ენათმეცნიერული ხასიათის მასალები უხვად უნდა მოიძებნებოდეს საისტორიო წყაროებში. ამ მიმართულებით ძიება მნიშვნელოვანი იქნება ნახურ ენათა შესწავლის საქმეში.

ROSTOM PAREULIDZE

### **Information About Chechnya in N. I. Dinnik's Work "Across Chechnya and Dagestan"**

(Н. Я. Динник, По Чечне и Дагестану. Тифлис, 1905, 78 стр.)

#### S u m m a r y

The Chechen alphabet originates from the 20s of the 20<sup>th</sup> century. In order to study the language that has a new script it is important to consider each new lexical unit and onomastic material that can be found in historical sources, travelers' notes, etc.

As far as we know, N. I. Dinnik's work "Across Chechnya and Dagestan" is not known to Nakh scientific literature. It refers to the author's journey to Chechnya in the summer of 1904. His itinerary included: 1. Grozny, from Vozdvizhenskaya to the head of the Argun River until the border of Tusheti; 2. From Vozdvizhenskaya to Vedeno and then to Botlikh, Dagestan through the Khulkhulau River Gorge.

N. Dinnik was a botanist. The journey aimed to study the plant varieties that were spread on the sites (the plant names are given in Russian and Latin).

The work describes the lives of the residents of Chechnya and the Botlikh region of Dagestan through the eyes of the Russian traveler and researcher in an interesting way. The paper analyzes Chechen lexical material and geographical names – toponyms and hydronyms found in the said work.

ნათია ფონიავა

**ინტერფერენციული მოვლენები კოდორელთა  
აფხაზი რძლის სვანურ მეტყველებაში**

კოდორის<sup>1</sup> (resp. დალის) ხეობაში საუკუნენახევრის წინ ზემო სვანეთი-დან ჩასახლებულან სვანური ენის ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოს წარმომადგენლები. ამ დროიდან მოყოლებული ხდებოდა როგორც სვანური ენის დიალექტების, ისე სხვა ქართველური თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ქვეჯგუფის ენების მონაცემების ურთიერთშერევა.

სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით ამ მხარის სვანური მეტყველება კარგადაა შესწავლილი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მერი გუჯეჯიანისა და მაქსიმე ქალდანის შრომები, კერძოდ, მ. გუჯეჯიანის „საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ“ და მ. ქალდანის „დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში“.

კოდორის ხეობის სვანური მეტყველების ერთგვარი ძეგლია ავტორთა კოლექტივის (იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი, მედეა საღლიანი, რუსუდან იოსელიანი) ნაშრომი „კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ)“, რომელიც მომზადდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კოდორული ქრონიკები 2007-2010).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“, ასევე საანალიზო საკითხს ეხება მ. საღლიანისა და ე. გაზდელიანი სტატია „სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში“. მ. საღლიანი მონოგრაფიაში „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“ ცალკე თავს უძღვნის ინტერფერენციული მოვლენების განხილვას კოდორელ სვანთა მეტყველებაში.

მონოგრაფიის „კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ)“ ერთ-ერთ თავში „კოდორის ხეობის (დალის) მოსახლეობის მეტყველების ინტერდისციპლინალური კვლევის შედეგები“ ი. ჩანტლაძე აღნიშნავს, რომ „კოდორის მოსახლეობის მეტყველებაში დადასტურდა ორგვარი ინტერფერენცია:

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217848, კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონითურთ).

სტატიაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქ-ნ იზა ჩანტლაძესა და ქ-ნ ქეთევან მარგიანს.

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა);

ბ) სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 21).

დასახელებულ ნაშრომში შესულია კოდორულ სვანთა აფხაზი რძლის მერი არშა-წიფიანის სვანური მეტყველების ნიმუშები, რომელზეც დაკვირვება საინტერესოა სწორედ ინტერფერენციის თვალსაზრისით. ის ფლობს მშობლიურ აფხაზურ ენას, ასევე კარგად იცის ქართული და სვანური.

მერი არშა-წიფიანის სვანურ მეტყველებას ნაკლებად ახასიათებს ფონოლოგიური ინტერფერენცია, ზოგ შემთხვევაში ბევრი ზემოსვანი უმლაუტს არ იტყვის, ეს კი **საათსა** და **ჰაერს** ამბობს უმლაუტით:

აფხზარ ლასუბ, მარე მგზნიი გჷარ ხულუბ. აფხზურ სკოლას ხუთურთრიდად ნაჲ, მეოთხე კლასთეჷი მაგ საგნარ აფხზურდ ლასუ, ეშხუ **საათ** ნულუჷანდა აფხზურ ენა ი ლიტერატურა, ეჩგნქა ლურსულ „აფხაზები იყვნენ, მაგრამ მეგრული („ზან-ი-ს“) გვარი ჰქონდათ. აფხაზურ სკოლაში ვსწავლობდით ჩვენ, მეოთხე კლასამდე ყველა საგნები აფხაზურად იყო, ერთი საათი გვქონდა აფხაზური ენა და ლიტერატურა, დანარჩენი ყველაფერი რუსულად“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 745, 768).

...ეჩეჩუმ **ჰაერ** ხოსგუჷდახ ბოფშარს „...იქაური ჰაერი ძალიან უხდებოდათ ბავშვებს“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769).

თუმცა ზოგ შემთხვევაში მთქმელი უგულებელყოფს უმლაუტს, რაც, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ მისთვის სვანური არაა მშობლიური, აფხაზურში კი უმლაუტიანი ხმოვნები არ გვაქვს:

ქა-იმ-მატულდა, ალას **ჩუხუტაცხრიდას** „რასაც მეუბნებოდა, ამას ვიგებდო“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769). უნდა იყოს: **ჩუხუტაცხრიდას**.

**აფხზარმეყ** მამა ლი ამჷი „აფხაზებთან არაა ასე“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 747, 770). უნდა იყოს: **აფხზარმეყ**.

ტექსტების ჩაწერისას თვითონ წიგნის ავტორებს აქვთ შენიშნული, რომ აფხაზი მთქმელი ვერ ამბობს **ჰ**-ს, მას ანაცვლებს **ხ**-თი. მოვიყვანთ დიალოგს „კოდორული ქრონიკებიდან“:

ქ. მ.-ს. – ათხე, მაგალითად, „**ჰანარს**“ იმჷი ტული სი? „ახლა, მაგალითად, **ჰანარ**ს როგორ ამბობ შენ?“

მ. ა. – „**ხანარ**“.

ქ. მ.-ს. – ი ნა მოშდ ლუტულიდ ი აფხზარს ამჷიმ მედე... ლიქუისგ გარჯ ჯარხ, ეტყობა, მადეა? „ჩვენ სხვანაირად ვამბობთ და აფხაზებს ასეთი წარმოთქმა გიჭირთ („სა-გა-რჯ-ო გაქვთ“), ეტყობა, ხომ?“

მ. ა. – გ... „**ხანარ**“, „**ხანარ**“...

ქ. მ. – ჰ-ს დემ ტული სი „ჰ-ს ვერ ამბობ შენ.“

მ. ა. – ხ-გა? „ხ?“

ქ. მ. – ხ მამა, ჰ. ალო, ლეჷა: „**დაკელ**“, „**მეჰარ**“... „**ხ** არა, **ჰ**. აბა, თქვი **დაკელ** („თხა“), **მეჰარ** („მკლავი“)“

მ. ა. – **დახელ**, **მეხარ** (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 762; 786).

ამდენად, ენათმეცნიერის (ქეთევან მარგიანი-სუბარი) დიდი მცდელობის მიუხედავად, აფხაზი ინფორმატორი მაინც ვერ ხედავს სხვაობას **ჭ**-სა და **ხ**-ს შორის, მისთვის ის ერთი ფონემაა, ეს გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე აფხაზურ ენაში **ჭ** ფონემა არ გვაქვს და ის მისთვის უცხოა.

**აფხაზის სვანურ მეტყველებაშიც, საკუთრივ სვანების მეტყველების მსგავსად, ყველაზე გავრცელებულია ლექსიკური ინტერფერენცია.** ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სვანური არსებითი სახელი ჩანაცვლებულია სათანადო ქართული ლექსემით. ეს განსაკუთრებით ითქმის **ნათესაობის ლექსიკაზე**:

ლუშნუ დემე მიხალდა, **დედამთილს** ლურსუ ემზუ დემე... მამა... ხოხალდა ი ლუშნუდ გარ მარგადიუ ქორისგა „სვანური არ ვიცოდი, დედამთილმა იმდენი რუსული არ იცოდა და მხოლოდ სვანურად მელაპარაკებოდა სახლში“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769). შდრ. სვან. **დიმთილ** „დედამთილი“.

...**მამამთილს** ბაბას ხუტატულდად „...მამამთილს „ბაბუას“ („ბა-ბა-ს“) ვეძახდით“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 748, 771). შდრ. სვან. **მიმთილ** „მამამთილი“.

მაშყიდ, მიშგუა მუემ **ბიძაშვილ** ერ ადჩრჟან (სოფელს ლჰსუ, ოჩამჩირის რაიონს, მოქუ ხაჟხა სოფელს), პატარძალს თეთნე ლერქუალ ხუქუდა ი თეთნე შრაფუ სახე ჩულგლფარე ხადდა „მახსოვს, ჩემი მამის ბიძაშვილი რომ დაქორწინდა (სოფელში იყო, ოჩამჩირის რაიონში, მოქვი ჰქვია სოფელს), პატარძალს თეთრი ტანსაცმელ(ებ)ი ეცვა და თეთრი მანდილით („შარფ-ით“) ჰქონდა სახე დაფარული“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 750, 773). შდრ. სვან. **ხუბამ გეზალ** „ბიძაშვილი“.

წინასწარ ჩუმხალდა, ალძარს იმჟიმ წესარ ხულჷანდახ, ქახომბუალდა მიშგოუ მიშგუ **მეულღეს** „წინასწარ ვიცოდი, ამათ როგორი წესები ჰქონდათ, ნაამბობი ჰქონდა („ე-ამბ-ნ-ა“) ჩემთვის („ჩემად“) მეულღეს“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 750, 773-774). შდრ. სვან. **ჭაშ** „ქმარი“.

...მიჩა **ბიძია** სოხუმხან ლტოლჷილდ წყნეთს არდა ი შორენად ეჩხაუ ესხრიუ „...ბიძამისი სოხუმიდან ლტოლვილად წყნეთში იყო და შორენაც იქ მიდიოდა“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 774). შდრ. სვან. **ხუბა** „ბიძა“.

...**ბეზია** მამ მაშყიდ ხომა „...ბეზია მაინცდამაინც არ მახსოვს“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 778). შდრ. სვან. **დადა** „ბეზია“.

მიშგუ დედდჷშხანქა მასმა, ერე (მი უკუე ქალგწილღე ხუჰსუ ეჯ პერიოდქა) ომხედ თურქეთხან ამხაუ ალ მარე ი ჟანთხე მიშგუ **დეიდა** ი ექქანღუე კაუშირ ხულჷანხ... „დეიდაჩემისგან მსმენია, რომ (მე უკვე გათხოვილი ვიყავი იმ პერიოდში) მოსულა თურქეთიდან ეს კაცი და მომეხნა დეიდაჩემი. მერე მათ კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 778-779). შდრ. სვან. **გიგა** „დეიდა, ბიცოლა. მამიდა“.

...მი ამჟი მასმა, ერე ხოლა **დედინაცუალ** ხაყენა, ხოლამდ ხეგდდახ ქორს ი ქოხჩანდ ამხაუ „...მე ასე მსმენია, რომ ცუდი დედინაცვალი ჰყოლია, ცუდად ექცეოდნენ ოჯახში და იმათ აქეთ გამოექცა“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 779). შდრ. სვან. **დიტორა** „დედინაცვალი“.

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების მსგავსად, უმეტესად სათანადო ქართული ლექსემებიტაა ჩანაცვლებული **რელიგიური ტერმინებიც**:

მ. ა. – ხამთქუახ, ა, **მარიამობა** ერ ლი, ერქას „სჩვევიათ, აი, მარიამობა რომ არის, მაშინ“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 761, 786). შდრ. სვან. **ლიმერე** „მარიამობა“.

საანალიზო მასალაში დადასტურდა **სვანური ზედსართავი სახელის ნაცვლად ქართული ერთეულების** გამოყენებაც:

...მასწრდ მუჭხუტი, **მორცხუ**, ურგანდა. ათხე ლიმწჩუთე დოჟ ხომილ ოხბინ რაგანდ... „...მეტად ჩუმი, მორცხვი, უხმაურო („ულაპარაკო“); ახლა, სიბერისკენ, მგონი, უფრო დავიწყე ლაპარაკი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 747, 770). შდრ. სვან. **მუშგუტი** „მორცხვი“.

მთქმელი თითქმის ყოველთვის იყენებს ქართულ რიცხვით სახელს, რაც მხოლოდ აფხაზის სვანურისთვის არაა დამახასიათებელი, იგივე ტენდენცია შენიშნულია თვით სვანთა მეტყველებაშიც კი:

აფხზარ ლასუხ, მარე მგზინი გჷარ ხულუახ. აფხზურ სკოლას ხუტიურტიდად ნაჲ, **მეოთხე** კლასთეჟი მაგ საგნარ აფხზურდ ლასუ, ეშხუ სწათ ნულუანდა აფხზურ ენა ი ლიტერატურა, ერგნქა ლურსუდ „აფხზუები იყვნენ, მაგრამ მეგრული („ზან-იქს“) გვარი ჰქონდათ. აფხზურ სკოლაში ვსწავლობდით ჩვენ, მეოთხე კლასამდე ყველა საგნები აფხზურად იყო, ერთი საათი გვქონდა აფხზური ენა და ლიტერატურა, დანარჩენი ყველაფერი რუსულად“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 745, 768). შდრ. სვან. **მეშთხუ** „მეოთხე“.

...უმხუართე ხუტინჭურნლდად სოფელისგა, ლიმზერ დერ ლასუ, ზურლან ცალკე ხუტისგურითდ ი ღუაჟარ ცალკე. **რუა** მარტ გუამთქუნდა... „თავს ვიყრიდით („სხუ-ებ-ის-კენ ვგროვდებოდით“) სოფელში; ლოცვა რომ იყო, ქალები ცალკე ვსხდებოდით და კაცები ცალკე. რვა მარტი გვჩვეოდა...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 762, 787). შდრ. სვან. **არა** „რვა“.

...ჰგე, ჩუწმმეჩანხ ი... ელგუჯა... **სამოცდათერთმეტიან** ლი, **ოცდაჩვიდმეტი** ლგზან ლი; სემემდიფორი ლგზან გოჩა ლი ი შორენა ლი ერუემდიემდ ლგზან „...ეჰ, დამიბერდნენ და... ელგუჯა სამოცდათერთმეტიანი არის, ოცდაჩვიდმეტი წლისაა, ოცდათორმეტის („სამ-ი ათ-ი და ორ-ი“) გოჩა არის. შორენა კი ოცდაათისაა“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769). შდრ. სვან. **იშგუტიდშდი-ეშხუ** „სამოცდათერთმეტი“ და **სემემდიშგუტიდ** „ოცდაჩვიდმეტი“.

...ლალჭუმის, უო, **ოცდაშუტიდ** ნოემბერხენქა ...მედეჩიქდ... ქრისტეშობა-ჩიქდ, **იშგუტიდ** მანუარჩიქდ. ერქანლო ადგომ... **თურამეტ** მანუარს ადგომ ლი... „...მარხვას, ჰო, ოცდაშვიდი ნოემბრიდან ...იმამდე... ქრისტეშობამდე...“ შვიდ იანვრამდე. მერე თურამეტ იანვარს არის „ადგომ“-ი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 761, 785). შდრ. სვან. **ერუემდიშგუტიდ** „ოცდაშვიდი“ და **(ა)ეშდა-რა** „თურამეტი“.

**ცხრამეტში**... ერქა უკუთე თაშგრანში ი ლელურანში კერზარს ხუამარად ი შომა ანდრიუხ ქუნარ, გაგსი... „ცხრამეტში... მაშინ უკვე ყველეულისაქ და ხორცეულის კერძებს ვამზადებდით და, როცა გამოდიოდნენ სულელები, ფაფასაც („ქაქ-ია-ს-ა-ც“)...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 761, 786). შდრ. სვან. **(აეშდა)ჩხარა** „ცხრამეტი“.

...ლათას იზგე ეშხუ მგფხაზი, ეჯი იყდი კაპეკპარა ი ჰედი ეჩქანღტე ხოშილ ძტირდ ი... ლურსუ უარჩხილს ხაჰტიდი – **იორათჰს – სემათჰს** მანწათს. ეჯა ლი აშირ, **ას ოცი** ლარ, ამჟი... კაპეკპარისგა თუეფნი ხალხი ალამგ ნჰჰირ... „...ლათაში ცხოვრობს ერთი აფხაზი, ის ყიდულობს კაპიკებად და ყიდის მერე უფრო ძვირად და... რუსულ ფულს უხდის – ორი ათას, სამი ათას მანეთს, რაც ასი, ას ოცი ლარი გამოდის... ასე ქრება კაპიკებში ხალხის ამდენი ნაჯაფი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 767, 792). შდრ. სვან. **აშირიერტემ** „ას ოცი“. იგივე მთქმელი აქვე ხმარობს სვანურ რიცხვით სახელეებსაც: **იორათჰს** „ორი ათასი“, **სემათჰს** „სამი ათასი“.

გამოქვეყნებულ ტექსტებში არ დასტურდება აფხაზი ინფორმატორის მიერ სვანური ნაცვალსახელის ქართულით ჩანაცვლების შემთხვევები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ მაგალითს, სადაც ის თვითონვე ქართულის გვერდით სვანურ ფორმას ასახელებს:

...ოსხტრიდ ესერ, ოსხტრიდ, მარე წყნეთი შუკუტ მწმ ესერ ლ’ალი, რადაცა **მოლე** მოშ შუკუტეთე... „მივიღვართო, მივიღვართ, მაგრამ ეს წყნეთისა გზა არ არისო, რადაც სხვანაირი გზააო („გზისკენ“)“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 750-751, 774). შდრ. სვან. **მოლე** „რადაცა, ცოტა“.

მთქმელი იყენებს ქართულ ზმნისართს შესაბამისი სვანური ერთეულის ნაცვლად:

...ჩუხტაცხრიტ ი **თანდათან** სგ’ოხითურ რწგად „...ვიგებდი და თანდა-თან შევისწავლე ლაპარაკი“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769). შდრ. სვან. **ხემეჯი** „თანდათან“.

...ადუ, ქტერწილ ჩულაშტ, მარე **მოგტიანებით** „...დიახ, ქორწილი კი იყო, მაგრამ მოგვიანებით“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 747, 770). შდრ. სვან. **ხოშა გტიანდ** „მოგვიანებით“.

...**ხანდახან** ფოსტაჲ დემ ანღრიტ, წერილწრ მინი დემ იკადახს დრეუტჟი ი გუნაზ ხანდხ „...ხანდახან ფოსტაც ვერ მოდიოდა, წერილებს („წერი-ლები“) თვითონაც ვერ იღებდნენ („ი-კიდ-ებ-დ-ნენ“) დროზე და დარდი („გუნ-ებ-ა“) ჰქონდათ“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 748, 771). შდრ. სვან. **იერხი-იერხინ** „ხანდახან“.

...**ნელ-ნელა** ოცხირდ, ერე ღტემიდი დემ ომტეხელიხ ი სოხუმს მიშგუ ჭწშიმ ბიძაშტილთე ათხედგნდახ „...ნელ-ნელა გავიგეთ („გა-ვ-ცხრ-ილ-ე-თ“), რომ უკანაც ვერ დაბრუნებულან და სოხუმში, ჩემი ქმრის ბიძაშვილთან, მო-ხვდნენ („მოუწიათ მისვლამ“)“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 749-750, 772-773). შდრ. სვან. **თამ-თამშდ** „ნელ-ნელა“.

**წინასწარ** ჩუმიხალდა, ალღარს იმჟიმ წესწრ ხულტანდახ, ქახომბუალდა მიშგოტ მიშგუ მეუღლეს „წინასწარ ვიცოდი, ამათ როგორი წესები ჰქონდათ, ნამბობი ჰქონდა („ე-ამბ-ნ-ა“) ჩემთვის („ჩემად“) მეუღლეს“ (კოდორული ქრო-ნიკები 2007-2010: 750, 773-774). შდრ. სვან. **სგტებნაჲ** „წინასწარ“.

...ხაზტინიოლ, ალო მა ოროლ, მარე მი ეშხუ **ახლოს** მწმ ხტარდჰს ბაბწცახწ, ხანდახან გარ მიხდენიტ ეჩიცახწ ლირდე ზაჲლადად... „...ენდომე-ბოდა წასვლა, რა იქნებოდა აბა, მაგრამ მე იმდენად ახლოს არ ვიყავი ბაბუას-

თან, მხოლოდ ხანდახან მიწევდა („მ-ი-ვდ-ებ-ოდ-ა“) მასთან ყოფნა ზაფხულში...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 779). შდრ. სვან. **ფედის** „ახლოს“.

...გუამიდ ხოჩა. ათხე მწ... მიშგუადი ი მიშგუამუ ხემდაბდახ, ეზუ ხწს დემ სედნიტხ აჯარას ი მიშგუ ლატიდილა, მიშგუ ჯგმილი **თუეობით** სედენდახ „...ძალიან კარგ(ს). ახლა რა... დედაჩემი და მამაჩემი მუშაობდნენ („ე-თიბ-ებ-ოდ-ნენ“), ამიტომ დიდხანს („ე-გ ზო{მა} ხან-ს“) ვერ რჩებოდნენ აჯარაში, ხოლო ჩემი დები და (ჩემი) ძმაც თვეობით რჩებოდნენ“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 746, 769). შდრ. სვან. **თუეობშუ** „თვეობით“.

საანალიზო მასალაში გამოვლინდა სვანური კავშირის ნაცვლად ქართული ფორმის გამოყენების შემთხვევაც:

...გ, **რახან** ჩუასად ი მად ანხად... დმანისთწდდუხ, ლიზწმ უუდილ იზგე ეჩეჩუ „...რახან დარჩა და არ წამოვიდა, დმანისში წაიყვანეს, ლიზას და ცხოვრობს იქ“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 751, 774). შდრ. სვან. **ლახე** „რახან“.

აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა ინფორმატორი იყენებს არა მხოლოდ ქართულ ზმნურ ფუძეს, არამედ სვანურად მეტყველებისას მას ქართული გაფორმებითვე ხმარობს:

...უშხუდ ხუითუტიტუდ, ეჩხენქა **გატიცანი** „...ერთად ვსწავლობდით, იქიდან გავიცანი“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 747, 770). შდრ. სვან. **ოთგრ** „გავიცანი“.

...თელღერწმ ქორშწრ **ნერულოზდნენ**, მასწრდ გუნწბ ხწდხ მიშგუ ლამუარსი... ალ დამაბულ დურუტისგა მიშგუ ჭწმდ **გააცილა** ეჯწრ აძუბუჟათე (ეჩე იზგე მიშგუ უუდილ) „...რძლის სახლეულები ნერვიულობდნენ, მეტად დარდი ჰქონდათ ჩემს მამისიანებსაც... დამაბულ დღეებში ჩემმა ქმარმა გააცილა ისინი აძვიბუჟაში (იქ ცხოვრობს ჩემი და)“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 749-750, 772-773). შდრ. სვან. **ინერუიულალხ** „ნერვიულობდნენ“ და **ადგუგრდაგე** „გააცილა“.

...ხოჩამდ **ჩატარდა** მაგ... „...კარგად ჩატარდა ყველაფერი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 749, 772). შდრ. სვან. **წდტარწწ** „ჩატარდა“

...მარე შორენა მამ ანხად; ჩუასად, **შეეგუა** ი ათხე სემი გეზალ ხორი „...მაგრამ შორენა არ წამოვიდა; დარჩა, შეეგუა და ახლა სამი შვილი ჰყავს“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 751, 774). შდრ. სვან. **სგალწხმითქუწწ** „შეეგუა“.

...გუწწრს ეს-ოგლის **ატარებენ** ეჯდწრ „...ეს-ოღლის გვარს **ატარებენ** ისინი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 779). შდრ. სვან. **ატარებ** „ატარებენ“.

...ბოფშწრ დემე, მწმა ი მწმ ახკაფგნდა (მიშგუ ჭწშს), ეღო ორმოცეი **შეიძლებოდა**... „...ბავშვები არა, საჭიროდ არ ჩათვალა ჩემმა ქმარმა, თორემ ორმოცზე შეიძლებოდა...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 763, 788). შდრ. სვან. **ჟიიმგრგგდა** „შეიძლებოდა“.

...განსაკუთრებით გლეხს მასწრდ **გაუჭირდება** ამჩუ... „...განსაკუთრებით გლეხს გაუჭირდება ძალიან აქ...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 767, 792). შდრ. სვან. **გარჯ ხობდენი** „გაუჭირდება“.



ლექსიკურის მსგავსად ფართოდ არაა გავრცელებული, მაგრამ მაინც გვხვდება მორფოლოგიური ინტერფერენციაც. მთქმელი სვანურის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს ანაცვლებს სათანადო ქართულ **-ის** სუფიქსით:

...მაშიდ, მიშგუა მუემ ბიძაშუილ ერ ადჩრჟან (სოფელს ღსსუ, ოჩამჩირის რაფონს, მოქუ ხაჟხა სოფელს), პატარძალს თეთნე ლერქუალ ხაქუდა ი თეთნე შრაფშ სახე ჩულღლფარე ხადდა „მახსოვს, ჩემი მამის ბიძაშვილი რომ დაქორწინდა (სოფელში იყო, ოჩამჩირის რაიონში, მოქვი ჰქვია სოფელს), პატარძალს თეთრი ტანსაცმელ(ებ)ი ეცვა და თეთრი მანდილით („შრაფ-ით“) ჰქონდა სახე დაფარული“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 750, 773). შდრ. სვან. ოჩამჩირიშ რაფონს „ოჩამჩირის რაიონში“.

უფრო საინტერესოა მეორე მაგალითი, როცა მთქმელი გვერდიგვერდ ხმარობს ერთი და იმავე ბრუნვის ქართულ და სვანურ აფიქსებს:

ამუბიჟა ხაშხა ხეობიშ კოდორის ეჩხე მხარეს, ეჯდარ ეშხუ-ფორი ლეთ არდახ ეჩჩუ ი ღო ტყუარჩელთე ომჩედელაშუხ „ამვიბჟა ჰქვია, კოდორის ხეობის იქითა მხარეს (აფხაზებისკენ). ისინი ერთი-ორი ღამეს ყოფილან იქ და მერე ტყვარჩელში წასულან („წასულიყვენ“)“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 750, 773). აქ მთქმელი არასწორად აგებს ფრაზას, უნდა ეთქვა: **კოდორიშ ხეობიშ** და არა **ხეობიშ კოდორის**.

სინტაქსური ინტერფერენცია ძალიან იშვიათია. აფხაზი მთქმელის მეტყველებაში დადასტურდა „რა ვიცი“ სიტყვათმეხამების რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევა, სვანური **მა მიხა**-ს ნაცვლად:

...გეზალდ ადგენედახ... **რა უიცი**, ოჯახისგა, ალბათ, მოლე პრობლემა ხულუწნდა ბაბას ი ახხადენდა ამხაუ, მი ამჟი მიხა მინე ნამბუალ „...იშვილეს: ოჯახში, ალბათ, რაღაც პრობლემა ჰქონდა ბაბუას და ჩამოვიდა („მოსვლამ მოუწია“) აქეთ, მე ასე ვიცი მათი ნაამბობი“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 755, 778).

...შიმდ იხრინიხ, განსაკუთრებით ნათუნჟი ფერხი ხოლა მწკვიმარს იჩობ ი ჩილად მინე ნაქუ ხეკუეს ანმედენას... ადიას, ი **რა უიცი**... „...უცებ („ხელად“) ბრაზდებიან, განსაკუთრებით ნასვამ მდგომარეობაში ზოგი ცუდ ხასიათებს („მანკ-ის-ებ-ს“) ავლენს („ი-ქმ-ა-ნ“), აუცილებლად თავიანთი ნათქვამი უნდა ...იმას ქნან... გაიტანონ და რა ვიცი...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 765, 789-790).

გვაქვს ისეთი მაგალითიც, როცა მის მეტყველებაში გვერდიგვერდ გვხვდება სვანური და ქართული ფორმები:

მ. ა. – **რა უიცი, მამ მიხა**, მასარდ... მასარდ გუი ხაკუიშ ხალხ... „რა ვიცი, რა ვიცი! ძალიან, ძალიან გული აქვს გატეხილი ხალხს...“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 764, 789).

აქვე განვიხილავთ ისეთ შემთხვევას, როცა მთქმელი დატიურის ნაცვლად ნომინატიურ კონსტრუქციას ხმარობს:

მიშგუ ხობრა **ლაუდილა** ჩუმატურა ქორს „ჩემს პატარა დებს მიტოვებდა სახლში“ (კოდორული ქრონიკები 2007-2010: 747, 770). უნდა იყოს: **ლაუდილას**.

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ აფხაზი მთქმელისთვის დომინანტია სახელმწიფო ენა ქართული, ამიტომ მის სვანურ მეტყველებაში თავი იჩინა ქართულის გავლენით გამოწვეულმა ინტერფერენციულმა მოვლენებმა. ისევე როგორც სვანების მეტყველებაში, ამ შემთხვევაშიც მეტი წილი ლექსიკურ ინტერფერენციებზე მოდის. აფხაზურის გავლენით შეიძლება აიხსნას ის, რომ აფხაზი მთქმელი სვანურად საუბრისას ვერ ამბობს ჯ-ს, რაც აღნიშნულია „კოდორული ქრონიკების“ ავტორების მიერ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დასახელებული ფარინგალური ფონემა თანამედროვე აფხაზურს არ აქვს. აფხაზურში არაა უმლაუტიანი ხმოვნებიც, ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ეს იყოს, რომ ინფორმატორი ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფს უმლაუტს სვანურში.

### ლიტერატურა

**გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2008** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შესწავლელთათვის, თბილისი.

**გუჯეჯიანი 1939** – მ. გუჯეჯიანი, საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ, ენიმკის მოამბე, IV-3, თბილისი.

**ლადარია 2002** – ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა (სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის), თბილისი.

**მარგიანი-სუბარი 2008-2009** – ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი.

**საღლიანი, გაზდელიანი 2009** – მ. საღლიანი, ე. გაზდელიანი, სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბილისი, 2009;

**საღლიანი 2016** – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

**ქალდანი 1970** – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVI, თბილისი.

**ჩანტლაძე 2007** – ი. ჩანტლაძე, ინტერფერენციული მოვლენები კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში, ენათმეცნიერების საკითხები, ტ. I-II, თბილისი.

**ჩანტლაძე 2008** – ი. ჩანტლაძე, ინტერფერენციურ დიალექტ-კილოკავთა საკითხისათვის სვანურ ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები, თბილისი.

**ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი, მარგიანი-სუბარი, საღლიანი, იოსელიანი 2007-2010** – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), ტ. I, თბილისი.

NATIA PONIAVA

**Interferential Phenomena in the Svan Speech  
of the Kodorians' Abkhazian Daughter-in-law**

S u m m a r y

A century and a half ago Upper Bal and Lower Bal speakers left Upper Svaneti and settled in the Kodori Gorge (resp. Dal). Since then Svan dialects and the languages of other subgroups of Kartvelian and the Ibero-Caucasian language family have interacted with one another.

The paper discusses the speech patterns of the Kodorians' Abkhazian daughter-in-law Merry Arshba-Tsipiani that are included in the monograph "Kodorian Chronicles (with Analyses)" by the team of the authors (Iza Chantladze, Ketevan Margiani-Dadvani, Ketevan Margiani-Subari, Medea Saghliani, Rusudan Ioseliani). They are very interesting in terms of interference. The women can speak her mother tongue Abkhazian as well as Georgian and Svan very well.

Merry Arshba-Tsipiani's Svan speech is less characterized by phonological interference. The cases of morphological and syntactic interferences are rare while lexical interference is very common.

The study has shown that the speaker's dominant language is Georgian, so interferential phenomena caused by the influence of the Georgian language occurs in her Svan speech. The fact that she cannot pronounce **q** when speaking Svan can be explained by the influence of Abkhazian as the authors of "Kodorian Chronicles" state. This is caused by the fact that the said pharyngeal phoneme is not typical to Abkhazian. The Abkhazian language does not have umlauted vowels. This can be one of the reasons why the speaker avoids umlaut in Svan in most cases.

ხათუნა ყანდაშვილი

### მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვა კახურში

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმის მიხედვით, როგორც ცნობილია, მეორე სუბიექტური პირის ნიშნები – **ხ-**; **ჰ-** აღარ გამოიყენება. აღნიშნული ფორმანტების გამოყენება ზმნაში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმაა, თუმცა **ხ-** პრეფიქსი ამჟამინდელ სალიტერატურო ენაში მხოლოდ ორ ზმნაშია შემორჩენილი, ეს ზმნებია: **ხ-არ და მო-ხ-ვალ; მო-ხ-ვედ-ი**. ასევე ნორმის მიხედვით, პირდაპირი ობიექტი მესამე პირში ნიშანს არ დაირთავს, ირიბი ობიექტის ნიშნები კი არის **ჰ-**; **ს-** ფორმანტები, მათი გამოყენება ფონეტიკურად არის განპირობებული.

დიალექტებში პირის ნიშნები განსხვავებულად რეალიზდება, დიალექტური ნორმა განსხვავდება სალიტერატურო ენისგან. ამ მხრივ საიტერესო ვითარებას გვიჩვენებს ქართული ენის კახური დიალექტი. ჩვენი საკვლევი მასალაა „ქართული დიალექტოლოგია“ (გიგინეიშვილი; თოფურია; ქავთარაძე 1961).

კახურ დიალექტში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის აღმნიშვნელი ვარიანტები მრავალფეროვანია, გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობა; სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიუთითებენ პირთა აღმნიშვნელი მორფემების მრავალფეროვნებაზე.

ჩვენი მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ვისაუბრებთ, რა ვითარება გვაქვს მეორე სუბიექტური პირის გამოხატვის თვალსაზრისით, არის თუ არა რაიმე სხვაობა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებაში და ამ მიმართულებით დიალექტის რა თავიებურებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ; როგორ ხდება პირდაპირი და ირიბი ობიექტის აღნიშვნა კახურში და რა ფონეტიკურ სახესვაობებს ვხვდებით აღნიშნული პირების გამოსახატავად. შეიძლება თუ არა საუბარი რაიმე კანონზომიერებებზე.

ჩვენი მასალის მიხედვით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მეორე სუბიექტური პირის აღსანიშნავად კახურში გამოიყენება **ა-**:

„ი ქალმა უთხრა: ადექო, აქ რასა-**აწევხარო**, წამოდიო, მე ცოლი და შენ ქმარიო“

„იმ მოხუცებულ დედაკაცმა უთხრა რო: კარქი, შვილო, ნუ-**იდარდობო** და მე გიშოვი მაგეთ ქალსაო“

„არ დაგავიწყდეშ შამადგომი წვიმები, როცა სამი დღე **ილეწამ** და ორი იმდენ კიდე იგრე-**აზიხარ**“

მოცემულ მაგალითებში ზმნები: **იწევხარო, ილეწამ, იდარდობო, აზი-ხარ** მეორე სუბიექტური პირი **მ**-ით გამოიხატება. მისი გამოყენება არ არის შეზღუდული, იგი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი თანხმონით დაწყებულ ზმნის ფუძესთან.

კახურ დიალექტზე მოსაუბრე ადამინთა მეტყველებაში ბოლო ხანს შეინიშნება დიალექტური ფორმების გამოუყენებლობის შემთხვევები, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს სალიტერატურო ენის გავლენა და, შესაბამისად, გააზრება იმისა, რომ დიალექტზე მოსაუბრეთა მხრიდან დიალექტური ფორმების გამოყენება ითვლება ცუდ ტონად, მათი შეხედულებით, დიალექტზე საუბარი ადამიანების დაბალი წიგნიერების ამსახველია. ასევე, აქტიური კონტაქტები სალიტერატურო ქართულით მოლაპარაკე სივრცესთან ხელს უწყობს ამ პროცესების განვითარებას, რაც ამ რეგიონის მოსახლეობის დიალექტურ მეტყველებაზე აისახება. ჩამოთვლილი მიზეზები ნებისმიერი დიალექტური ფორმების გამოყენებას ეხება.

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ახალგაზრდები მეტყველებისას აღარ იყენებენ მეორე სუბიექტური პირის დიალექტურ ნაირსახეობას (**მ**-ით წარმოებულ ფორმას) პირის გამოსახატავად და დიალექტზე და სალიტერატურო ქართულზე მოსაუბრის მეტყველება ხშირ შემთხვევაში თანმხვედრია, განსაკუთრებით მაშინ, თუ პირი იმყოფა უცხოთა გარემოცვაში. ასევე ყურადღებას მივაქცევთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც: ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები საუბრისას თავს არიდებენ დიალექტურ ფორმებს და ცდილობენ მათ მიმსგავსებას სალიტერატუროსთან. მაგალითად, ამგვარი ნიმუშები: **სწევხარ, სდგევხარ, მისდიხარ, სჭამ** და ა. შ. მოსაუბრეები თავს არიდებენ **მ** პრეფიქსის გამოყენებას და მის ადგილას იშველიებენ, მათი თვალთახედვით, სალიტერატურო ფორმას მეორე სუბიექტური პირის აღსანიშნავად – ხდება დიალექტური ფორმის „გალიტერატურება“ ისევ დიალექტური ფორმით.

ასევე საინტერესო ვითარება გვაქვს ობიექტურ პირებთან დაკავშირებით. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, კახურში ზმნას მესამე პირდაპირი ობიექტი ნიშანს დაირთავს. ძირითადად ასეთი ფორმები ზმნისწინიანია. ეს ნიშნებია:

**მ**: „დილით ადრე, სანამ გაშუქდება, **მოამშლის** ძნას ცალ მხრიდან, რო მერე წვიმამ არ გააფუჭოს, და **გამშლის** კალოში“

**ს**: „ბოლოს მამამ **გადასწყვიტა**“

**ზ**: „ყოველდღიურად **ზდემდა** კვერცხ და მოექონდა სოვდაგართან“

**მ**; **მპ**: ის ძნის შემკვრელი აკეთებს ულოს, **გამშლის** იმ ულოს, ჩააწყობს იმ მომკილ ხელეურებს და **შეიპკრავს** ძნას და დააწყობს ეგრე ძნებს წვერზე.

**მს:** „ერთ თუნგიან ღვინოას ჩამსდგავს ხურჯინში“

**შ:** „რა იქნა, სად წავიდა, ეს გასაწყვეტი ბავშვები შეშვამდნენო“

**ჰ:** „დაპატიყეს ისევ სოვდაგარს“

არის ისეთი შემთხვევები, რომ მოსალოდნელია ზმნაში მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი, მაგრამ არ გვხვდება. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, გარეკახურში შეინიშნება. მაგალითად:

„ის ძაღლებიც თან დაუდის, ნადირებს ხოცამს“

ქიზიყურში ზმნას აუცილებლად ექნება პირდაპირი ობიექტის გამოხატველი ფორმანტი **მ**- დიალექტური ნორმაა **მხოცამს**.

საილუსტრაციო ნიმუში გარეკახურიდან:

„ხედამს, სახში არაფერია“

ირიბი ობიექტური პირის ნიშნები ჩვეულებრივ აღინიშნება ზმნაში. ეს ნიშნებია:

**მ:** „ველოგიაობაზე კელაპტარი უნდა-**მჭეროდა** პატარძალს“

**ზ:** „რატო და იმა**მ ზდომნია** ჩვენი ოქრომ დედლის ხორცი“

**შ:** „ან თუ რამე **დაშვირდება**, გუთნიდედამ უნდა მიაქციოს ყურადღება“

**ჰ** პრეფიქსი გვხვდება ერთპირიან ზმნაშიც:

„ჩვენი ცხოვრება მაგ დედალზე **ჰკიდაიო**“

სამპირიან ზმნაში ზოგჯერ გამოხატულია მესამე ირიბი ობიექტური ნიშანი **ჰ** სალიტერატურო ქართულის მსგავსად. მაგალითად:

**ჰ:** „წავიდა იქაც ის ბიჭი, **მოჰგვარა** იმასაც ის ღორის შვილი“

კახურში დასტურდება **მოჰგვარა** ზმნის პარალელური ფორმები: **მოიგვარა // მაიგვარა**. ზმნებში აღნიშნული პირებით გამოხატვა არის დიალექტური ნორმა.

გარეკახურში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელია მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი, მაგრამ ზმნაში არ არის. მაგალითად:

„ყვანდა მზეთუნახავი ქალი“

„ერთსა **რქმევია** კაენი, მეორესა – გოგია“

ამგვარი ფორმების გამოყენება შესაძლოა განპირობებული იყოს ინდივიდუალური თავისებურებით. მთქმელი ზემო იმერეთიდანაა ჩასახლებული და არ არის გამორიცხული, ეს ფაქტი განაპირობებდეს იმას, რომ იგი არ იყენებს კახური დიალექტის ფორმებს. დიალექტური ნორმის მიხედვით უნდა იყოს: **იყვანდა, ირქმევია**.

როგორც ვხედავთ, კახურში საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი გვაქვს მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტურ პირთა გამოხატვის თვალსაზრისით. პირთა ფორმანტების გამოყენება განსხვავებულად არის რეალიზებული კახეთის რეგიონის სხვადასხვა ნაწილში.

### ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I ტ., თბილისი.

**გოგოლაშვილი 2010** – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბილისი.

**გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე 2016** – გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II დიალექტები, თბილისი.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956** – ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

**შანიძე 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I ტ., თბილისი.

KHATUNA KANDASHVILI

### Expressing the 2<sup>nd</sup> Person Subject and the 3<sup>rd</sup> Person Object in Kakhetian

#### S u m m a r y

In Kakhetian dialect the 2<sup>nd</sup> person subject and the 3<sup>rd</sup> person object markers are diverse. Different phonetic varieties can be found. On the basis of the obtained material, we can confirm that  $\square$ s used to mark the 2<sup>nd</sup> person subject, e.g. ak rasa- $\square$ v $\square$ xaro “Why are you lying here?”. Using  $\square$ s as the 2<sup>nd</sup> person subject marker is not limited. It can be found with a verbal base starting with any consonant.

Recently, in the speech of people who speak Kakhetian dialect, the cases of avoiding dialectal forms are apparent. In their opinion, the dialectal speech shows low literacy. They often try to make dialectal forms sound like the literary ones, e.g. s $\square$ ev $\square$ xar, sd $\square$ ev $\square$ xar, das $\square$ dixar, s $\square$ am, etc. Thus, the dialectal forms are literalized by still the dialectal forms.

In the Kakhetian verb the 3<sup>rd</sup> person direct object marker can be found. Such forms are mainly accompanied with preverbs. These markers are as follows  $\square$ s, z,  $\square$ h,  $\square$ z,  $\square$ h and h. The verb also has the indirect object markers  $\square$ z,  $\square$ h.

ვაჟა შენგელია

**სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოებისათვის  
მეგრულში**

მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტის სახელის სიტყვაწარმოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი და საფუძვლიანი მსჯელობა (ყიფშიძე 1914; ჩიქობავა 1938; ჩიქობავა 1942; კარტოზია და სხვ. 2010; ქირია და სხვ. 2015...), მაგრამ ოდენპრეფიქსულ სიტყვაწარმოებაზე სპეციალურ მსჯელობას მცირე ადგილი ეთმობა, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მეგრული სახელის დერივაციულ სისტემაში წამყვანია კონფიქსური და სუფიქსური სიტყვაწარმოება, თუმცა ოდენპრეფიქსული სიტყვაწარმოების შემთხვევებიც არაერთი მოიპოვება. პრეფიქსებად გამოყენებულია ნო-, ნა-, ო-, სა-, უ-...<sup>1</sup>

**ნო-, ნა- პრეფიქსები**

მეგრული **ნო-** პრეფიქსი, რომელიც ქართული **ნა-**ს ფონეტიკური და ფუნქციური შესატყვისია, სახელური ფუძეებისაგან ე. წ. წინა ვითარების სახელებს აწარმოებს:

- ნოქური** „ნაკვალევი“ (შდრ. ქური „ქუსლი“)
  - ნობუდი** „ნაბუდარი“ (შდრ. ბუდე „ბუდე“)
  - ნოისირი** „ნაისლარი“ (შდრ. ისირი „ისლი“)
  - ნოტყი** „ნადირი, ტყიური“ (შდრ. ტყა „ტყე“)
  - ნოჩილი** „ნაცოლარი“ (შდრ. ჩილი „ცოლი“)
  - ნოურემი** „ნაურმალი“ (შდრ. ურემი „ურემი“)
  - ნოჭკიდი** „მჭადისებური რაღაც“ (შდრ. ჭკიდი „მჭადი“)
- და სხვ.

ხშირია **ნო-** პრეფიქსის გამოყენება ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლად:

- ნორდი** „ნაზარდი“ (შდრ. **რდ-**უალა „გაზრდა“)
- ნოთხი** „ნათხოვარი“ (შდრ. **თხ-**უალა „თხოვნა“)
- ნოთირი** „გამონაცვალი“ (შდრ. **თირ-**უა „გამოცვლა“)
- ნოხირი** „ნაქურდალი“ (შდრ. **ხირ-**უა „ქურდობა“)

<sup>1</sup> ვემყარებით ძირითადად იმ ლექსიკურ მასალას, რომელიც წარმოდგენილია ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას, გ. ელიავას, ო. ქაჯაიასა და ა. ქობალას ლექსიკონებში (ყიფშიძე 1914, ჭარაია 1997, ელიავა 1997, ქაჯაია 2001-2002, ქობალა 2010).



**ნორთი** „განაყოფი“ (შდრ. **რთ**-უალა „გაყოფა“)  
**ნორცვი** „გაცვეთილი, გაცრეცილი“ (შდრ. **რც**-უალა „გაცრეცა“)  
**ნოფორი** „დაფარული“ (შდრ. **ფორ**-უა „დაფარვა“)  
**ნორგი** „დარგული, ნერგი“ (შდრ. **რგ**-უალა „დარგვა“)  
**ნოსოფი** „ნაგლეჯი“ (შდრ. **სოფ**-უა „გლეჯა“)  
**ნოფული** „დამალული“ (შდრ. **ფულ**-უა „დამალვა“)  
**ნოსონი** „ნამყენი“ (შდრ. **სონ**-უა „მყნობა“)  
**ნოწირი** „ნაწური“ (შდრ. **წირ**-უა „წურვა“)  
 და სხვ.

ეგვე **ნო**- პრეფიქსი უნდა გვექონდეს სიტყვაში **ნოსორი** „პირის ღრუ, ხახა“ (ჩუხუა 2002-2003: 167-168).

**ნო**- დასტურდება ტოპონიმებშიც: **ნოჯიხი**, **ნოქალაქი**, **ნოსირი**...  
**ნო**-ს პარალელურად იმავე მნიშვნელობით ქართული **ნა**-ც გამოიყენება:  
**ნაღვინი** „ნასვამი“ (შდრ. ღვინი „ღვინო“)  
**ნახანდი** „ნაშრომი“ (შდრ. ხანდა „შრომა“)  
**ნარყი** || **ნორყი** „შთამომავალი“  
**ნაჭვი** „ნამწვი“ (შდრ. **ჭუ**-ალა „წვა“)  
**ნართვი** „დახურული“, ზედმიწე. „დანახური“ (შდრ. **რთ**-უალა „დახურვა“)  
**ნარსხი** „დახსნილი“ (შდრ. **რსხ**-ება „დახსნა“)  
**ნარჩხი** „ნარეცხი“ (შდრ. **რჩხ**-უალა „რეცხვა“)  
**ნახაფული** „ნაფოტი“ (შდრ. **ხაფულ**-უა „ნაფოტებად დაჭრა“)  
 და სხვ.

#### ო- პრეფიქსი

ოდენ **ო**- პრეფიქსით ნაწარმოები სახელი ბევრი არაა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **ოჯიჯი** || **ოჯინჯი** „ბადე“, რომელიც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია წარმოდგენილი (**ჯიჯი** „ბადე მეგრულად“ – საბა 1928: 267); ამ სიტყვის ფუძეა **ჯიჯ**-ი || **ჯინჯ**-ი „ძირი“, რომლის კავშირიც **ოჯიჯი** || **ოჯინჯი** სიტყვასთან ცხადი ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმ განმარტებას, რომელსაც ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ გვთავაზობს: **ოჯინჯი** „ერთგვარი ბადეა, რომელიც ფსკერამდე უწევს“ (ქობალია 2010: 560).

**ო**- პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს სხვა სიტყვებშიც:

**ოხორი** „ეზო-კარი“ (შდრ. **ხორ**-უა „დასახლება“)  
**ოფორი** „საფარი“ (შდრ. **ფორ**-უა „დაფარვა“)  
**ოღალი** „ტვირთი“ (შდრ. **ღალ**-ა „წალბა“)  
**ორტვინი** || **ორტვილი** „ბოსტანი“ (შდრ. ქართ. მტილი „ბაღი, ბაღ-ბოსტანი“)  
**ოსკი** „საღორე“  
**ოწმახი** „წინათ“ (შდრ. წემოხ „ძველად, უწინ“)  
**ორსხი** „სახსარი“ (შდრ. რსხ-უალა „შეერთება“)  
**ობურჭი** „ხის სალტე“...

ოდენ **ო**- პრეფიქსიანი წარმოება გვხვდება ტოპონიმებშიც. ი. ყიფშიძის

აზრით, **ო-** პრეფიქსი გამოიყოფა წალენჯიხის სოფლის სახელწოდებაში – **ობუჯი**, რომლის **ბუჯ-** ფუძეც უკავშირდება იმერეთის მდინარის სახელწოდებას **ბუჯა** (ციფშიძე 1914: 292).

როგორც ვ. ცხადაია აღნიშნავს **ო-** პრეფიქსით არის ნაწარმოები ტოპონიმი **ოლორი**, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელი... **ლორი** ეწოდება ნაპობ სქელ და ფართო ფიცარს (ცხადაია 2015: 173). სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულია, აგრეთვე, სხვა **ო-** პრეფიქსიანი ტოპონიმებიც: **ოფუჩი** – სალოცავი ადგილი, **ოტორი** – დღე, **ორუმე** – ღრმა ხევი... (ცხადაია, ჯოჯუა 2003, ცხადაია 2015).

### სა- პრეფიქსი

მეგრული **ო-** ფუნქციური შესატყვისია ქართული **სა-** პრეფიქსისა, რომელიც მეგრულშიც დამკვიდრებულია:

**საბალი** „სამყოფი“ (შდრ. **ბად-**ება „კმარება“)

**საფაჩი** „საფანტი“ (შდრ. **ფაჩ-**უა „გაფანტვა, გაშლა“)

**საფორი** „საფარი“ (შდრ. **ფორ-**უა „დაფარვა“)

**საკვეთი** || **საკვეთარო** „კვეთის შესანახი ჭურჭელი“ (შდრ. კვეთი „კვეთი“)

**სადიარი** || **სადიარო** „საბალახო“ (შდრ. დიარუა „ბალახობა, მოვა; ჭმევა, დაპურება“)

**სათანჯი** || **სათანჯო** „გასამიჯნი“ (შდრ. თანჯი „საზღვარი, სასაზღვრო ნიშანი“)

**სარჩი** „ასარჩევი, სასინჯი, საჩვენებელი“ (შდრ. რჩია „რჩევა“)

**საქვი** „სამუშაო დღე“

**საქოსი** „ჩვარი“ (შდრ. **ქოს-**უა „დაგვა“, მე-**ქოს-**ავა „შეწმენდა“)

**საციცი** „სასხლეტი“

და სხვ.

### სი- პრეფიქსი

რამდენიმე სიტყვაში მაწარმოებლად დასტურდება **სი-** პრეფიქსი:

**სილამე** „სინოტივე, სინესტე“ (შდრ. ლამე „ტენიანი, ნოტიო“)

**სიმონვა** „სიმძიმე“ (შდრ. მონვა „მძიმე“)

**სინჩხე** „სიცხე“ (შდრ. ჩხე „ცხელი“)

**სინწარე** „სიმწარე“ (შდრ. ნწარე „მწარე“)

**სიჭითა** „სიწითლე“ (შდრ. ჭითა „წითელი“)

### უ- პრეფიქსი

**უ-** გამოიყენება სახელის უარყოფითი ფორმების საწარმოებლად. ერთი მხრივ, **უ-** სახელურ ფუძეთაგან აწარმოებს ე. წ. უქონლობის სახელებს:

**ურეკი** „ურიყო, ნოყიერი, უკენჭებო“ (შდრ. რეკა „რიყე“)

**უთური** „უჯიშო“ (შდრ. თური „მოდგმა, გვარი“)

**ურული** „უძილო“ (შდრ. რული „ძილი“)

მეორე მხრივ, უ პრეფიქსი უარყოფითი მიმდებარების მაწარმოებელია:

**ურგი** „ურგებელი“ (შდრ. **რგ**-ება „შერგება“)

**ურსხი** „უსაშვილო“ (შდრ. **რსხ**-ება „დახსნა“)

**ურწუმი** „დაუჯერებელი“ (შდრ. **რწ**-ამება „რწმენა“)

**ურხვი** „გაუხვრეტელი“ (შდრ. **რხუ**-ალა „გახვრეტა“)

**უსკვი** „გაუნასკვავი“ (შდრ. **სკუ**-ალა „გასკვნა“)

**უ**- პრეფიქსი ერთ ზმნისართშიც დასტურდება – **უკული** „კვლავ“

#### **ლა**- პრეფიქსი

პრეფიქსი **ლა**- რიგ სიტყვებში გამოიყოფა:

**ლაკადა** „მთაგორიანი მხარე“ (შდრ. კადა „ფერდობი“)

**ლაკვატა** „მოკლე ჯოხი“

**ლაჟგერთი** „უშნოდ გრძელი“

**ლარჩვი** „საყავრე კუნძი“...

#### **ლე**- პრეფიქსი

პრეფიქსი **ლე**- ი. ყიფშიძეს მეგრულში სვანურიდან შეთვისებულად მი-  
აჩნია (ყიფშიძე 1914: 27). **ლე**- პრეფიქსი **-ე** სუფიქსთან ერთად გვარებისაგან  
აწარმოებს ადგილის სახელებს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი უეჭველი შე-  
მთხვევა მოვიძიეთ, როდესაც ოდენ **ლე**- პრეფიქსი გამოიყენება სახელის მა-  
წარმოებლად; **ლენჭყი** „ნოტიო, ჭაობიანი ადგილი“ (შდრ. ჭენჭყო „ჭანჭრობი“).

ზემოთ განხილული პრეფიქსები სხვადასხვა სუფიქსებთან ერთად ფარ-  
თოდ არის გამოყენებული კონფიქსურ სიტყვაწარმოებაში. არნ. ჩიქობავას  
თვალსაზრისის შესაბამისად, სიტყვათა საწარმოებლად ერთდროულად პრე-  
ფიქსისა და სუფიქსის გამოყენება (კონფიქსები) ქართველური ენების აგლუ-  
ტინაციური ბუნებიდან გამომდინარე, მეორეული მოვლენად უნდა მივიჩნი-  
ოთ (ჩიქობავა 1979: 86-87).

#### **ლიტერატურა**

**ელიავა 1997** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-  
თბილისი.

**კარტოზია და სხვ. 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადა-  
ია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

**საბა 1928** – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი.

**ქაჯაია 2001-2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი: ტ. I –  
2001, ტ. II-III – 2002, თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ციფშიძე 1914** – ი. კიპშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка. Мингрельско-русский словарь, Санкт-Петербург.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულები-სათვის ქართველურ ენებში, ტფილისი.

**ჩიქობავა 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი.

**ჩუხუა 2002-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ცხადაია 2015** – პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

**ცხადაია, ჯოჯუა 2003** – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

**ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

VAZHA SHENGELIA

### **On the Prefixal Formation of Nominals in Megrelian**

#### S u m m a r y

In Megrelian dialect of the Megrelian-Laz language, in the derivation system of a nominal, confixal and suffixal word formations are dominant though the cases of the prefixal formation can be often found. These prefixes are o-, sa-, no-||na-, i-.

1. The prefix o- forms the nominals expressing a function/purpose, e.g. opori “covering” – cf. the verbal base por- “to cover”.

2. The functional equivalent of the Megrelian prefix o- is the Georgian prefix sa- that is established in Megrelian as well, e.g. sapači “buckshot” – cf. pač-ua “to scatter”.

3. The prefix no- and its Georgian equivalent na- are used to form words expressing the so-called previous situation, e.g. noisiri||naisiri “the place with sedge remains” – cf. isiri “sedge”.

4. The prefix u- is a formative of nominals having a negative meaning, e.g. uruli “sleepless” – cf. ruli “sleep”.

The said prefixes are often used in the confixal word formation.

იზა ჩანტლაძე, რუსუდან იოსელიანი

**სვანეთის მივიწყებული მკვლევარი**

(ევდოკია კოჟევნიკოვა-გუგუშვილი)

აკადემიკოსი **ნიკო მარი** სულ ოთხჯერ (1911-1914 წ.) ესტუმრა სვანეთს, მაგრამ მომავალ თაობებს დაგვიტოვა არა მარტო უბრწყინვალესი ნაშრომები ქართველურ ენათა და ქართული კულტურის შესახებ (ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, ბ ე ვ რ ი მ ა თ გ ა ნ ი დ ღ ე მ დ ე და უ ს ტ ა მ ბ ა ვ ი ც კ ი ა!), არამედ უდიდესმა მეცნიერმა შექმნა შესანიშნავი ეთნოლინგვისტური სკოლა უნიჭიერეს ქართველოლოგთაგან. საკმარისია გავიხსენოთ: კარპეზ დონდუას, იოსებ ყიფშიძის, იოსებ მეგრელიძის, შოთა ძიძიგურისა და მოსე ჯანაშვილის ღვაწლი (არც ამ უკანასკნელის „ქართველური სიტყვარია“ გამოქვეყნებული, რომლის ხელნაწერიდან ამოკრებილი მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიები დიდი ხანია გაზიარებულია ცნობილ სპეციალისტთა მიერ), რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მის მოწაფეებზე, მიუხედავად ზოგი წინააღმდეგობრივი თვალსაზრისისა.

„სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყაროდან მაშორებდა არა მარტო კავკასიის მაღალი ქედები, ძნელად გადასასვლელი უღელტეხილები და ღრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები... თავს ვგრძნობდი „ურარტულეთა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფეროში“ – წერდა ნ. მარი („Из поездки в Сванию“ 1913). საოცრად შეზღუდული დროის პატრონმა ცხენით მოიარა „კავკასიის შვეიცარია – ღარიბი, მაგრამ რელიგიური დღესასწაულებით აღსავსე სვანეთი“ და ზოგჯერ ამხედრებულიც კი აფიქსირებდა ძველ ხალხურ სიმღერებს, ძვირფასი წუთები რომ არ დაეკარგა. ის ძალიან დაუახლოვდა თავის უერთგულეს მასპინძლებს – ყოველთა სვანთა ეკლესიების ნეტარ მამად შერაცხულ ბლადოჩინს ბესარიონ ნიჟარაძეს (ზემო სვანეთი) და სოფელ სასაშის (ქვემო სვანეთი) მღვდელს არსენ ონიანს, რომლებიც იმხანად თავიანთ მიერვე დაარსებულ ოთხკლასიან სკოლებში მასწავლებლობდნენ (ნ. მარის სვანეთში ყოფნის დროს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ქართულად ვერ მეტყველებდა, რუსულის მცოდნე კი სანთლით იყო სამებარი).

დიდმა მეცნიერმა უმძიმეს პირობებში მოახერხა ა. ონიანის ეთნოგრაფიული ჩანაწერების, სვანური სიმღერების, ზღაპრების, იგავ-არაკების, შელოცვებისა და მცირე ბოტანიკური ლექსიკონის გამოცემა 1917 წლის რევოლუციური ცეცხლისგან აელვარებულ პეტროგრადში, მაგრამ ბ. ნიჟარაძის მიერ 1879-1884 წლების მანძილზე შეკრებილი სიმღერების ტექსტებს, რომელთა გამოცემასაც თავის აკადემიკოსს 1914 წლის აგვისტოში შეჰპირდა რუსეთის

საიმპერატორო აკადემია, ჩვენ ვერსად მივაკლიეთ (შესაბამისი ხელნაწერი რედაქტორის – ნ. მარის ჩასწორებებითურთ ახლაც დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

ასე რომ, ჩვენ დიდ ვალში ვართ ნ. მარის და მისი მოწაფეებისა თუ სვანის მასპინძლების წინაშე. ერთ-ერთი მათგანია პეტროგრადის (შემდგომში ლენინგრადის) უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის სპეციალობის სტუდენტი ევდოკია კოჟენიკოვა, რომელიც მასწავლებლის რჩევითა და მისივე ნაჩუქარი ფოტოაპარატით საწარმოო-საველე პრაქტიკის გასავლელად 1927 წლის ზაფხულს გაემგზავრა სვანეთში, რადგან ნ. მარს უთქვამს: თუ გინდა ნამდვილი ეთნოლოგი გახდე, აუცილებლად უნდა წახვიდე სვანეთში და სვანური ენაც ისწავლო. ორიენტალისტი მამის, მანჯურის დესპანის – ინოკენტი კოჟენიკოვის ქალიშვილს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ფუფუნებაში ეცხოვრა, მაგრამ დამხვედური ხალხის უძველესმა ტრადიციებმა, გულღია სტუმართმოყვარეობამ და არაერთმა უფაქიზესმა ეთნოგრაფიულმა ადათ-წესმა საოცრად მოხიბლა ევროპული სტილის ქალაქებში აღზრდილი გოგონა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან თხოვნით მიმართა რექტორს სუბსიდიების გამოსაყოფად სვანეთში ერთწლიანი მივლინებისთვის.

...აქვე გავიხსენებთ ერთ ფაქტსაც: ჩვენი თაობის სტუდენტებს, ასპირანტებსა და მეცნიერ-თანამშრომლებს მხოლოდ ერთი თვით გვიშვებდნენ ველზე სამუშაოდ (სახელმწიფოს მეტი სახსრები არ ჰქონდა!), **აკადემიკოსი არნოლდ ჩიკობავა (ჩვენი უსაყვარლესი მოძღვართმოდღვარი და აკადემიკოს ნიკო მარის უდიდესი დამფასებელი, მიუხედავად ზოგადლინგვისტურ და ეტიმოლოგიურ პრობლემებში აზრთა რადიკალური წინააღმდეგობისა)** კი სულ წუხდა: ნეტავ შეიძლებოდა ყოველ წელს სვანეთში 11 თვეს მუშაობდეთ, ხოლო ინსტიტუტში მხოლოდ ერთ თვეს და არა ისე, როგორც ახლა ხდებაო...

კვლავ დაადავა ევდოკია სვანეთის უშუქო, საშიშ, ნარეკლიან გზას და ამჯერად ხან ივარ-უშგულში, ხან მესტია-მულახში და ხანაც ლატალ-ბეჩოში ცხოვრობდა. სვანებმა ისე შეიყვარეს კლიმატურად ცივი ქვეყნიდან ჩამოსული საოცრად თბილი გოგონა, რომ მას სახელად **დინა** („ქალიშვილი, გოგო“) შეარქვეს და ასეც იხსენიებდნენ გარდაცვალებამდე (1970 წლამდე).

ევდოკია (**დინა**) კოჟენიკოვამ დაგვიტოვა სხვადასხვა ჟანრის უამრავი ტექსტი (12000 ფურცელი) და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი არაჩვეულებრივი ფოტომასალა (3 ალბომი). მათზე, ძირითადად, წარმოდგენილია: სვანური რელიგიური დღესასწაულები, ზღაპრები, ძველი ხალხური სიმღერები, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, სახელისა თუ ზმნის პარადიგმები... ზოგჯერ ტექსტები თარგმნილიცაა (ხან რუსულად, ხანაც ქართულად). ჩანაწერები გარდასული ყოფის ამსახველ არაერთ მონაცემს გვაწვდიან. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველაფერი, რაც მათშია მოთხრობილი, უშუალოდ ეთნოლინგვისტის თვალწინ ხდებოდა და მოქმედების პროცესში ფიქსირდებოდა. მასალები შეკრებილია საქმის ღრმა ცოდნით, კეთილსინდისიერებით, მაღალნიჭიერებით, რაც მათ ღირებულებას განუსაზღვრელს ხდის (ხიზანიშვილი 2003: 196).

ქალბატონი ევდოკია წლების მანძილზე ცხოვრობდა სვანეთში და ახლადდარსებული (1936 წ.) მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელიც კი გახლდათ. აქვე დაოჯახდა კიდეც – ცოლად გაჰყვა თბილისელ გეოლოგს ივანე გუგუშვილს და საბოლოოდ საქართველოს დედაქალაქში დამკვიდრდა.

დონა კოჟენიკოვა 1927 წელს ცხოვრობდა სოფელ ნაკიფარში, კესა და ბესარიონ პირველების ოჯახში. ეს ის კესა პირველია, რომლისგანაც 1926 წელს ვარლამ თოფურიამ ჩაიწერა თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობლის (**თამარ დედფალ**) ყველაზე ვრცელი ვარიანტი და ორი ზღაპარი (სამივე ტექსტი გამოქვეყნებულია „სვანური პოეზიისა“ – გვ. 4 და „სვანური პროზაული ტექსტების“ – გვ. 198-199 პირველ ტომებში). მოსალოდნელია, რომ ქალბატონი ევდოკია კარგად იცნობდა ბატონ ვარლამს. მას ეგნატე გაბლიანისგანაც აქვს ჩაწერილი ზღაპრები და, რაც მთავარია, ახლო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის **ჯიმ შტანთე** („მარილი სვანეთში“) სცენარის ავტორთან სერგეი ტრეტიაკოვთან. ამიტომ შესაძლებელია ის ამ ფილმის ეთნოკონსულტანტიც იყო და ე. წ. „მასიურ სცენებშიც“ მონაწილეობდა, როგორც მსახიობი.

იმ დროისათვის ივარში რუსული ენა იცოდა მხოლოდ იქაური ოთხწლედის მასწავლებელმა გერასიმე გულბანმა, რომელმაც 1923-24 წლებში აკაკი შანიძის დავალებით ჩაწერა სხვადასხვა სვანური ტექსტი 198 გვერდის მოცულობით (დღემდე გამოუცემელია და ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივის შანიძისეულ ფონდში). მისგან ვ. თოფურიასაც და ე. კოჟენიკოვასაც ჩაწერილი აქვთ ერთი და იმავე სიმღერის (**უმგულას მახელტაჟარე** „უმგულში ახალგაზრდები“) ტექსტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ფიქსაციის დროის ერთი წლის ხანგრძლიობით დაშორებული ვარიანტების ურთიერთშედარებისა.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ძველ სვანურ სიმღერებს ქალბატონი ევდოკია ხელით იწერდა მათი შესრულების დროსაც, რის გამოც მან შენიშვნა მიიღო ჩვენი სასიკაძულო კომპოზიტორის – დიმიტრი არაყიშვილისაგან. ნ. მარის მოწაფე 1926-1947 წლებში (პერიოდულად!) მუშაობდა სვანეთში, მაგრამ ვერასდროს მოიპოვა სიმღერის ჩამწერი ვერანაირი ტექნიკური საშუალება, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ე. კოჟენიკოვას მხედველობიდან არ გამორჩენია მხოლოდ მუსიკალური რიტმის დასაცავად შექმნილი (თუმცა ცოცხალი მეტყველებისთვის სრულიად განსხვავებული ფორმით ცნობილი) ლექსემებიც კი: **აბიჯარი** („აბჯარი“), **ზურიჩია** („ზუჩი-მეომრის რკინის ქუდი“), **ატილასი** („ატლასი“), **ხემინაური** („ბექთარი“), **მარიგლიტუშ** („მარგალიტის“), **ჩეჟიმარი** („წაღები“), **ლუნიქროუტე** („მოოქროვილი“), **ლუმიკაწდე** („მოქედელი“) და ა. შ.

მასალები ევდოკია კოჟენიკოვას სვანეთში საუკუნის წინანდელი მოღვაწეობის შესახებ **1987 წლიდანაა** დაცული სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივში. ნიკო მარის მოწაფის ღვაწლს თავის დროზე გარკვეული შეფასება მიეცა „ეთნოლოგიური ძიებანის“ II ტომში (2003 წ.) ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის მანანა ხიზანიშვილის

სტატიის სახით (გვ. 195-200). 2017 წლის 2 ნოემბრიდან 2018 წლის 15 თებერვლამდე მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოაწვევეს ედუარდ შერიფ კურტისისა (ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის კულტურის გამოჩენილი მკვლევარი) და ედოკია კოჟენიკოვას ნამუშევართა გამოფენა „მიწიერი და საკრალური სამყარო“, რომელსაც გამოეხმაურნენ Liverpress.ge თავის WS-ზე და გაზეთი „კვირის პალიტრა“ (18-24 დეკემბერი, 2017 წ.). ამას წინათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ფონდის ერთ-ერთ არქივში ჩვენ მივაკვლიეთ *Д. Кожевникова*'ს ხელნაწერს "Материалы по религиозным верованиям сванов".

რაც შეეხება ზემოაღნიშნული მასალების ლინგვისტურ ანალიზს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სრულიად არაფერია გაკეთებული. ე. კოჟენიკოვას არქივის მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტის გაცნობის შემდგომ თავი იჩინა სვანური ტექსტების ტრანსლიტერაციის ერთმა საკითხმა, ამიტომ ამჯერად მასზე ვიმსჯელებთ:

აკაკი შანიძე და ნიკო მარი ვერ შეთანხმდნენ საუმალო პოზიციაში მყოფი **ა** ხმოვნისა და მის წინამდებარე უკანაენისმიერ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციის თაობაზე, ანუ იმის შესახებ, თუ რომელი დაწერილობა იქნებოდა ზუსტი ფონოლოგიური თვალსაზრისით – **გააჩ** („დანა“), **ქაან** („კანაფი“), **იერსკაან** („არჩვი“)/**გააჩ**, **ქაან**, **იერსკაან** თუ **გაჩ**, **ქაან**, **იერსკაან**. ნ. მარმა თავის „Извлечение изъ сванско-русскаго словаря“-ში (Петроградъ, 1922) უკანაენისმიერ ფონემათა შემცველი 15 ლექსემა გააანალიზა (სხვადასხვა გრამატიკული თუ დერივაციული ფორმით!), მაგრამ არსად გამოუყენებია უმაღლესი სიმბოლო (ორი წერტილი), სამაგიეროდ, ყველგან აღნიშნა იოტაცია (**ა** გრაფემა **გ/ქ/კ**ს მომდევნო პოზიციაში), ხოლო **ა**. შანიძემ – პირიქით, მხოლოდ უმაღლესი გვიჩვენა (გულტურალთა შემდეგ პალატალი **ა**-ნის წინ იოტაცია ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უთუოდ იგულისხმებო – „უმაღლესი სვანურში“, 1925/1981: 324), ნ. მარს კი „კურნაქის დაწურვა და აქლემის შთანთქმა“ უსაყვედურა. ჩვენ ადრე (ჩანტლაძე 2012: 56) შევეხეთ ამ საკითხს და დავიკავეთ ერთგვარად შემრიგებლობითი (ამასთანავე, გარკვეულ ფონოლოგიურ მოვლენათა უფრო ზუსტად ამსახველი) პოზიცია – აღვნიშნეთ როგორც პალატალიზაცია, ისე იოტიზაცია, ოღონდ, რაკილა პირველი მათგანი ამ შემთხვევაში წამყვანი პროცესია (სწორედ ის იწვევს უკანაენისმიერ თანხმოვანთა იოტიზაციას!), ამიტომ პირველ რიგში უნდა წარმოვადგინოთ უმაღლესი, იოტიზაცია კი გამოვხატოთ **გ/ქ/კ** ფონემათა თავზე (მარჯვნივ, -ა-მდე!) **ა** სიმბოლოს (საერთაშორისო ტრანსკრიფციით **j**) დასმით, მით უფრო, რომ ევროპელი და ამერიკელი ეთნოლინგვისტები სწორედ ამ ხერხს გვთავაზობენ. სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ე. კოჟენიკოვაც თურმე ასე იქცეოდა, თუმცა თავისი მასწავლებლისგან განსხვავებულად (**ლეშე**'ადე „მოჭედილი“, **ჟილახაგ'ან** „მიადგენენ“, **ხოგ'ანდა** „უდგამდა“, **სგ'ამშანანი** „მიგნიდანაც“... უფრო ხშირად უწერტილო რუსული **и**, რომელიც მაშინდელი ორთოგრაფიით **იოტას** შეესაბამება, უკანაენისმიერი თანხმოვნის მარჯვნივ კი არის დასმული, ოღონდ – დაბლა:



**ტაბგარ** „მაგიდები“, **გან** „დანა“, **გარგლის** „ლაპარაკობენ“, **ლილმესგალი** „ცეცხლის ნთება“, „... ზოგჯერ ქალბატონი ევდოკია პალატალური ჯ ხმოვნის წინა პოზიციაში მდებარე ნარნარა **ლ**საც უკეთებს **l** სიმბოლოს სიღბოს აღსანიშნავად (**ლანშან** „სანიშნო, ნიშანი“, **ლიგინგილალ** „მეზღაპრობა“,...), რაც აშკარად მასწავლებლის წინასწარი ინსტრუქტაჟისა თუ მისი ლექციების დიდი ყურადღებით მოსმენის შედეგია. იშვიათად, მაგრამ მაინც ნ. მარიც იყენებს ანალოგიურ ხერხს პალატალური ხმოვნის წინა პოზიციაში (**გალიურ** „дикий кабань“, შდრ. **გალურ** – Извлечение..., გვ. 16).

ჩვენი ყურადღება მიიქცია 1928 წლის 24 აგვისტოს მესტიის სოფელ ლეხთაგში ნატაშა ნავერიანის<sup>1</sup> (შემდგომში ცნობილი სახალხო მასწავლებელი) მიერ ჩაწერილმა „იავნანამ“, რომელსაც ახლავს ყოველი სტრიქონის რუსული თარგმანი (როგორც ჩანს, ამ დროისათვის ქალბატონმა ევდოკიამ ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა სვანური და ამიტომაც სიმღერის ტექსტის თარგმანი მიანდო სოფელ მულახის სკოლის რუსული ენის საუკეთესო მასწავლებელს). სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ განებივრებული ამ ბრწყინვალე საგალობლის სვანური ვარიანტების პუბლიკაციებით (მონრეალის უნივერსიტეტის ეთნოლინგვისტი, პროფესორი კევინ ტუიტი მუშაობდა ანალოგიურ მასალებზე, მაგრამ ჯერჯერობით აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ „იავნანათა“ ქართული ტექსტებია მხოლოდ გამოქვეყნებული – იხ. Tuite 2011: 87-98), ამიტომაც გვინდა საგანგებოდ გავანალიზოთ ევდოკია კოჟენიკოვა-გუგუშვილის არქივში აღმოჩენილი ეს ხელნაწერი, რომელსაც, სამწუხაროდ, აკლია პირველი გვერდი, თუმცა იმედს არ ვკარგავთ და ვფიქრობთ, მთელი მასალის (1 2 0 0 0 ფ უ რ ც ე ლ ი!) დამუშავების შემდეგ მასაც მივაგნებთ. სიმღერაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მისრიალდა გველეშაპი (ცუდადაა თარგმნილი – дракон ან змея) ნაცვლად წერია змея-кракадил) ჩვილის აკვანთან, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ეკბინა ან რამე დაეშავებინა, ოქროს ტანსაცმლით შემოსა ბავშვი და საწოლიც ოქროს აკვანად უქცია:

დედე მიჩა აშვედელი  
ი ჰაკუჭლს ჟი ახთხელინა...  
ლაკილოშ ყორქა ოთსკინა,  
ჰაკუჭლს გუელამშაპ ხაჭონენა.<sup>2</sup>  
ეჯა ბეფშრლდს ქა ათარაშენა,  
ბეფშრლდ დედემდ ჩუ ესცვრნა;

ეჯა დედეს ჟი ოხკრდა,  
ბეფშრლდ ლუდტაშე ხახალენა:

„მი ლეჟრი ი მი საბრალე!  
ისგუა ღერთემ მამა აჯკაცე –

დედამისი მოსულა  
და აკვანს ეძებდა თურმე („ნამებნა“)...  
კივილით კარში გამხტარა,  
აკვანს გველეშაპი შემოხვეოდა.  
ის ბავშვს მოსცილებია („მორღვევია“),  
ბავშვი დედისთვის („დედის'ად“) დაუ-  
ტოვებია.  
ის დედას აუყვანია,  
ბავშვი დაღუპული („დაშავებული“) ჰგო-  
ნებია.  
„მე საწყალი და მე საბრალე!  
შენმა ღმერთმა არ დაგაქცია („დაგლუპა“) –

<sup>1</sup> ქალბატონ ნატაშას, უკვე ღრმად მოხუცებულს, ჩვენც შევხვდით 1960 წელს, სვანეთში პირველი სამეცნიერო მივლინების დროს – სტუდენტობის ასაკში (ი. ჩ.).

<sup>2</sup> მოქმელი თურმეობითის ე. წ. გრძელ ფორმას ხმარობს, რაც სიმღერის რიტმს არღვევს (ალბათ, სჯობდა ყოფილიყო **ხაჭონა**). რიტმის დარღვევის შემთვევები უცხო არაა არც ამ კონკრეტულ მასალაში და არც, ზოგადად, სვანურ ხალხურ პოეზიაში.

ამჟუ ანჳად გუელდშჳპ,  
 ისგუ ჰაკუტჳნ ჟოქრდ ადსიჳე,  
 ჟოქრჳ ჰაკუტჳნისგა ჩუ ადყტინე.  
 ნანაილა, სი ლემჩიაჟ,  
 სი ლემჩიაჟ, სი ლერდიაჟ!  
 ნანაილა, ნანაილა...  
 ნანილას ჯჳჳტჳნინე, ნანაილა,  
 სი ხოჩა ლირდე ი ბედუ აჯჳჳნა!“  
 ეჯა როქ ნანილს ხაყლორნა:  
 „ნანილ, სულა, ნანილ, გულა,  
 მიჩა როქ ჰაკუტჳლ ჟოქრჳში ლი,  
 მიჩა სახლჳრთჳლ ჟოქრჳშილ,  
 ჯა როქ მიჩა ჟოქრჳ ყნსგჳ ლი...“  
 დედე მიჩა დოსდ ანჳდენი,  
 ნანილა, ნანაილა,  
 ეჩჳა ეჩის ჟა ლნხბიში.  
 ნანაილა, ნანაილა...“

აქ მოვიდა გველეშაჳი,  
 შენი აკვანი ოქროდ აქცია,  
 ოქროს აკვანში ჩააწვინა.  
 ნანინა, შე დღეგრძელო („დასაბერებლო“),  
 შე დღეგრძელო, შე გასაზრდელო!  
 ნანინა, ნანინა...  
 ნანას გეტყვი, ნანინა,  
 შენ კარგი სიცოცხლე და ბედიმც მოგწევია!“  
 ისო ნანას გეუბნებოდა თურმე:  
 „ნანა, სულო, ნანა, გულო,  
 შენიო („მისიო“) აკვანი ოქროსია,  
 შენი („მისი“) არტახეზი ოქროსი,  
 შენო („თვითონო“) ჩემი („მისი“) ოქროს  
 რიკი ხარ („არის“)...“  
 დედაშენი („დედამისი“) მალე მოვა,  
 ნანინა, ნანინა,  
 მაშინ იმას გადაგცემ.  
 ნანინა, ნანინა...“

ეს სიმღერა არამხოლოდ ეთნოლოგიურ-მუსიკალურ-ფოლკლორული თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ მისი ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ლინგვისტური პოზიციებიდან:

**1.** ლექსების **სულა** („სულო“) და **გულა** („გულო“) თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში არ იხმარება, ამ იავნანიდან კი ჩანს, რომ სვანური ენის განვითარების ისტორიულ საფეხურზე აუცილებლად არსებობდა. ნასესხებია თუ არა ისინი ქართულიდან, ეს არც ისე ადვილი სათქმელია, რადგანაც მსოფლიოს ყველა ენაზე შექმნილი იავნანა ძველისძველი საგალობელია.

**2.** რაც შეეხება **პრევერზიან** ფორმებს, ამ ტექსტის მიხედვით შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ დროისათვის (ანუ თითქმის საუკუნის წინანდელ) სვანურ მეტყველებაში ელიზია, როგორც ძალზე გავრცელებული ფონეტიკური პროცესი, ჩამოყალიბებული არ არის, არადა ჩვენს ხელთაა აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურის მიერ 1923-1927 წლებში ჩაწერილი პროზაული ტექსტები, სადაც ეს პროცესი, წესისამებრ, აღნიშნულია აპოსტროფით, მაგრამ ქალბატონ ნატაშა ნავერიანს რომ დაეწერა **ქათრაშენა / ჩუ'ესცტირა / ჟ'ოხკიდა** და ა. შ. იავნანაში წარმოდგენილ **ქა ათრაშენა / ჩუ ესცტირა / ჟი ოხკიდა** და ა. შ. მონაცემთა ნაცვლად, მაშინ, თავისთავად ცხადია, ლექსის სტრუქტურა (რვამარცვლიანი) მთლიანად დაირღვეოდა. მაშასადამე, **სიმღერის მუსიკალურმა რიტმმა ხელი შეუწყო არქაული ენობრივი ფორმების შემონახვას.**

**3.** მეტად საყურადღებოა, რომ მთქმელი ერთდროულად, ერთსა და იმავე ლექსში, ხმარობს **თურმეობითთა** როგორც ე. წ. გრძელ, ისე მოკლე ფორმებს (**ხაყლორნა, ხაჳონენა, ათრაშენა, აჯჳჳნა**, მაგრამ: **ოთსკინა, ესცტირა**).

ჩვენი საგრანტო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მადონა ჩამგელიანმა 2008 წლის აგვისტოში 79 წლის ქემეზ გვიჩიანისგან სოფელ ლატალში ჩაიწერა იავნანას ტექსტი, რომელიც წააგავს 1928 წელს სოფელ ლებთაგში ფიქსირებულ სიმღერას როგორც სიუჟეტურად, ისე ლექსიკურადაც (და ეს არცაა გასაკვირი! „სვანური ლექსი ერთგვარად მოგვაგონებს საერთო ზეპირ ენას“ – ჩიქობავა 1952: 118), ოღონდ მასში უფრო კეთილშობილი პერსონაჟი – ნადირობის ქალღმერთი დალი უმღერის ოქროს აკვანში მწოლიარე ჩვილს:

ნანილა სულას, ნანილა გულას...	ნანა სულს, ნანა გულს...
ისგუ ჰაკუჰნ ოქურჰჰ ჰაკუჰნ...	შენი აკვანი ოქროს აკვანი <sup>1</sup> ...
ისგუ დედე გუემი დუდუს ჰჯიდიე.	დედაშენი სავეე მუჰუს მოგიტანს.
ისგუ სახლჰთ ოქურჰ სახლჰთ,	შენი არტახი ოქროს არტახი <sup>1</sup> ,
ისგუ კამრჰ დეცე კამრჰ,	შენი კამარა ცის კამარა <sup>1</sup> ,
ისგუ ჰაკუჰნ უჟუჰნ გუემი.	შენი აკვანი ძილით <sup>1</sup> სავეე <sup>1</sup> .
ნანილა სულას, ნანილა გულას...	ნანინა სულს, ნანინა გულს...

ლებთაგელი მთქმელი ხან **ჰაკუჰნ**<sup>2</sup>ს ხმარობს, ხანაც – **ჰაკუჰლ**<sup>2</sup>ს, ხოლო ლატალელმა მხოლოდ ფშვინვიერშემართვიანი ქართულენოვანი ვარიანტი იცის.

მეტად საყურადღებოა, რომ ე. კოჟეენიკოვას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია სამონადირეო ეპოსისთვის, ნადირობის ქალღმერთის – დალის თემატიკისთვის და, ზოგადად, ნადირობის პრობლემატიკასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების აღწერისთვის. მას **ზეთქილ/ზეთქენ** ისა და დალის ურთიერთობის აღმნიშვნელი სიმღერის რამდენიმე ვარიანტიც კი აქვს დაფიქსირებული, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი სიუჟეტურად წააგავს აკაკი შანიძის მიერ 1923 წელს ჩუბუხევში (თავრარში) ჩაწერილ ტექსტს (იხ. სვანური პოეზია 1939: 284-288); ქალბატონი ევდოკიას ჩანაწერი რუსული ასოებითაა წარმოდგენილი, თ ა რ გ მ ა ნ ი ც (ს ა კ მ ა ო დ კ ა რ გ ი და ზ ე დ მ ი - წ ე ე ვ ნ ი თ ი!) იმავე ენაზეა მოცემული, მაგრამ ჩვენ მათ გავაქართულებთ, რადგანაც ასე უფროა მოსახერხებელი ქართველი მკითხველისათვის:

ზეთქენ ლჰკუტცირას <sup>2</sup> მეშყედლი,	ზეთქენი საჯიხვე ადგილას (ნადირობისას) გადმოვარდნილა,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ!..	ბაილ ილბა, ილბა ბაილ!..
ჩუ ლუზუტერლიხ მულახ-მუჟალ,	შეკრებილა <sup>1</sup> ნ <sup>1</sup> მულახ-მუჟალი,
ჟიუ ზაგენახ სამთი ჭგმხჰშს.	შესდგომიან „სამთის“ ფერხულს.

<sup>1</sup> მოსალოდნელია, რომ ტექსტში უჟ („ძილი“) კი არ იგულისხმებოდეს, არამედ – **როჟან** („ეჟვანი“) ლექსემის კილოკაური ან იდიოლექტური ფორმა..

<sup>2</sup> ე. კოჟეენიკოვას ამ ჩანაწერში არც უ და არც ჰ, არც ჯ, ყ და ა. შ. (რუსული სიმბოლოებით) არ გვხვდება. მართალია, ენათმეცნიერი არ ყოფილა, მაგრამ ამ გრაფემათა შესაბამისი ფონემები რომ არ აღექვა ნიკო მარის მოწაფეს, ძნელი წარმოსადგენია. ამაზე მეტყველებენ მისი სხვა ტექსტები, რომლებშიც ლათინური ტრანსკრიფციით თითქმის ზუსტადაა გადმოცემული სვანური ფონემები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი საანალიზო ტექსტი ქალბატონი ევდოკიას სვანური ენის მასწავლებლის – ბატონი გერასიმე გულბანის მიერაა ფიქსირებული (სხვამ მაშინ სოფელ ივარში რუსული წერა-კითხვა არ იცოდა)

კუტიცროლდ ანსკინე ლაჭგზზშთე,  
ბეთქენს ოთჲად ნაბრწკიქა.  
– ამიშ მეჭემ ძარ იროლე?  
– ამიშ მეჭემ ბეთქენ ირი.  
სგუბინ-კუტიცრა, უემგიმ-ბეთქენ,  
სგუბინ ლალკან შუკუტ ხაჟოღახ,  
უემგიმ უმბტწრუ ხატეხა.

სგა მეჩდელიხ კოჯათესგა,  
ამჩუ დალი ჩუ ესხტბდდახ.  
– ბეთქენ მიშგუ, შტიდეღდ  
ლამკანდ!..

ემილიდ<sup>2</sup> მიშგუ მად ღალ ადან?  
– ცოდა მიშგუ თამარს ხერი,  
ურწყულ ამფიშუდ ლაკუტცირათე.  
დლიდ ბეთქენ ჩუ ადჭათენე,  
ლერსგუტენ ჭიშიშ ლაგნა ესცირ,  
ლერთენ შიმიშ ლაგუდირ ესცირ,  
ბეთქენ ამჟი კოჯს ლახსედა.  
ჩუქუნ მეთხუარ მეფსად ანდრი,  
– მეფსად, ხოჩა ლადან ჯერი!  
მი სი ჯუტინალდ ნაქაჩუ მარა,

ალა გუხან ნომ ლახჩუშე.

ცოდა მიშგუ თამარს ხერი,  
ურწყულ ამფიშუდ ლანთუიართე!  
ლახუბას მიშგუა ქა ხაქტინინე,  
გეზორ ლატკარდ ნომ ამფუშდეხ.  
ხეხუი მიშგუა ჟოხრზნანახ...

ცელქმა<sup>1</sup> შუნმა ისკუპა საფერხულოსკენ,  
ბეთქენს გაუარა ლაჯებში.  
– ამის მდევარი ვინ იქნება?  
– ამის მდევარი ბეთქენი იქნება.  
წინ – შუნი, უკან – ბეთქენი,  
წინ ფართო („სახარე“) გზა მიუძღვით,  
გავლის მერე კი გზა იკეტება („უკან  
ერთმანეთს უბრუნდება“).  
შესულან კლდეში,  
აქ დალი დახვდათ.  
– ბეთქენ ჩემო, მშვიდობით მომიხვედ!...

თილისმა ჩემი რა იქნა?!  
– ცოდა ჩემი თამარს ექნება,  
უწმინდური გამომიშვა საჯიხვეში.  
დალმა ბეთქენი დაწყველა,  
მარჯვენა ფეხის დასადგმელი დაუტოვა,  
მარცხენა ხელის მოსაკიდებელი დაუტოვა,  
ბეთქენი ასე კლდეს შერჩენია.  
ქვევით მონადირე მეფსაი მოდის,  
– მეფსაი, კარგი დღე გექნეს!  
მე შენ ოდესღაც („ძველად“) დაგჭერი  
(„დანაჭერი მყოლიხარ“).  
ეს გულში არ ჩაიდო („გულიდან არ  
მოიფარო“).

ცოდა ჩემი თამარს ექნება,  
უწმინდური გამიშვა სანადიროდ!  
ძმებს ჩემსას ეტყვი:  
შვილები ოზლად („ოკრად“) არ დამიტოვონ,  
ცოლს<sup>3</sup> ჩემსას მოუარონ...

ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ძველი სვანური ხალხური სიმღერების-  
თვის დამახასიათებელი არქაული გრამატიკული ფორმები (სახელთა თუ  
ზმნათა ურედუქციო ვარიანტები, ნათესაობით ბრუნვაში მართული –**იშ** მორ-  
ფემიანი მონაცემები, ზმნათა ფორმებთან შეურწყმელი პრევერბები, ასპექტის  
უსრულ სახეობათა სიხშირე, თურმეობითის მწკრივის გამოყენება აორისტის  
ნაცვლად და ა. შ.).

ბეთქილისა და დალის თემატიკაზე შექმნილი ჩვენთვის დღემდე ცნო-  
ბილი სიმღერის არც ერთ ვარიანტში ბეთქილი ბოდის არსად უხდის სხვა  
მონადირეს ადრე მიყენებული ჭრილობის გამო, აქ კი მარცხენა ხელით და  
მარჯვენა ფეხით სალ კლდეს შერჩენილი, ნადირობის ქალღმერთისგან სა-

<sup>1</sup> ა. შანიძის მიერ ჩაწერილ ტექსტში **ბეთგის ლაჯებში გაურხენს შავი ეშმაკი**, რომელიც მას  
შემდეგ, რაც მონადირე გაეკიდება, **თეთრ შუნად გადაიქცევა**. როგორც ჩანს, სვანი მთქმელის  
ახსნილი „**ეშმაკი შუნი**“ ე. კოჟევიკოვამ გადატანითი მნიშვნელობით გაიგო და, შესაბამისად,  
**რუსულ თარგმანში "шапаш тул"** ის სახით წარმოგვიდგინა.

<sup>2</sup> უნდა ყოფილიყო **ჰემილიდ**.

<sup>3</sup> თარგმანში შეცდომით წერია "матери" („დედის“).

სიკვდილოდ განწირული ვაჟკაცი თავის კოლეგას ეფერება და უკანასკნელი გამოსათხოვარით ემშვიდობება მშობლიურ ოჯახს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში რატომღაც ერთი კონკრეტული მონადირის სახელწოდების სხვადასხვა ფონეტიკური თუ დიალექტური ვარიანტი (**ზეთგ/ქილ**, **ზეთქენ**, **ზეთქან**, **მეთგ/ქი**) მიჩნეულია სხვადასხვა ადამიანთა ანთროპონიმებად (იხ. ზურაშვილი 2008: 330) რაც, ცხადაა, შეცდომაა.

გვინდა გავხაზოთ ისიც, რომ, რაკილა საუკუნის წინ რუსულენოვანი საზოგადოებისთვის მაინცადამაინც ცნობილი არ იყო სვანური სიმღერები, ამიტომ ე. კოჟენიკოვა ზოგჯერ თავის პროზაულ ანოტაციასაც უკეთებდა ხოლმე მათ. საილუსტრაციოდ მივიყვანთ ერთ-ერთ მათგანს:

Тесня „Дали в горах рогаеџ“ / *комеас хеллваиеалџ*  
 передает, что во время родов Дали выронила  
 ребенка, который попал со скалы вниз в нашу  
 часть; волк поиграл с ребенком в лес. Какой-  
 то охотник, расположившийся с утрайно в то  
 время у подошвы горы для того, чтобы заку-  
 сить и отдохнуть, заслышал удивительный крик  
 он взглянул наверх и увидел Дали; Спросил:  
 „в чем дело?“ Дали объяснила причину несто-  
 вою крика. Охотник посмотрел в сторону  
 леса и заметил волка, тащившего ребенка,  
 дал по нему выстрел, убил волка и вернул  
 Дали ее ребенка. Вррадовавшаяся Дали благо-  
 словила охотника и в подарок обещала ему  
 ешегодно, в августе ешеяе, по восьми туров  
 рогаеи длиной в три ладони, в день Варвары,  
 семь туров и еше енедеельно по одной серне;  
 обещала ему при этом продолжительную  
 оеишь и всему поколению его охотничий  
 дар.

<sup>1</sup> უნდა ყოფილიყო **коджас** (კოჯას – „კლდეს, კლდემი“).

როცა ე. კოჟევნიკოვა სვანეთში მუშაობდა, ამ დროისათვის გამოქვეყნებული არ გახლდათ სვანეთისა და სვანური ენისადმი მიძღვნილი ნ. მარის ყველა ნაშრომი; უფრო მეტიც, მისი „Сванские глаголы“ (1911, გვ. 1-1517), „Грамматика сванского языка сравнительно с языками сибилантной группы“ (1912, გვ. 1-481) და „Русско-сванский словарь“ (1916, გვ. 1-96)<sup>1</sup> დღემდე ხელუხლებლად დევს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების არქივში (ფონდი 800). გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ „ეპოქის შემქმნელმა ზუმბერაზმა მეცნიერმა“ (მეგრელიძე 1935: 173) ბ. ნიჟარაძესა და ა. ონიანთან ერთად შეადგინა დიდი სვანურ-რუსული ლექსიკონიც, სხვა შემთხვევაში თავის 39 გვერდიან ნაღვაწს „Извлечение“-ს ვერ დაარქმევდა... ისიც გასაოცარია, რომ ვ. თოფურიაშვილმა სადოქტორო დისერტაციის („სვანური ზმნა“) დაცვის დროს, 1935 წლის 5 აგვისტოს, შესავალ სიტყვაში შემდეგი რამ თქვა: „**ნიკო მარს, სვანურის** კარგ მცოდნეს და მისთვის დიდი ამაგის დამდებს ტექსტების გამოქვეყნებით, ლექსიკონის შედგენითა და სახელმძღვანელო წერილების დაბეჭდვით, **გრამატიკული მიმოხილვა არ მოუცია**“ (შრომები 2002: 296).

აუცილებელია ევდოკია კოჟევნიკოვას ტექსტობრივი და ფოტომასალის გამოწვლილვით შესწავლა ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, მით უფრო, რომ მას ერთ-ერთი სამეცნიერო საბჭოს წინაშე 1951 წელს სადისერტაციო თემის შერჩევა-დამტკიცებაც კი უთხოვია თბილისში, თუმცა სულაც არაა გასაკვირი, რომ ბედმა არ გაუღიმა – 1950 წლის 9 მაისს საენათმეცნიერო დისკუსია უკვე ჩატარებული იყო მოსკოვში და აკადემიკოს ნიკო მარის მოწაფეებს მუშაობის შესაძლებლობა შეეზღუდათ.

ჩვენი მოვალეობაა ღირსეულ წინაპართა ღვაწლის ჯეროვანი დაფასება – მათი ნაშრომების პუბლიკაციაზე ზრუნვა.

## ლიტერატურა

**ბაბუხაძია, ბიჭიკაშვილი 2004** – მ. ბაბუხაძია, ი. ბიჭიკაშვილი, აკადემიკოს ნიკო მარის ნაბეჭდი შრომების ბიბლიოგრაფია, თბილისი.

**ზურაშვილი 2008** – მ. ზურაშვილი, წმინდა გიორგი და სვანური სამონადირეო მითოსი, „სვანეთი – ქართული კულტურის სავანე“, თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, შესავალი სიტყვა სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს 5.VIII.1935, შრომები, II, თბილისი.

**კოჟევნიკოვა 1987** – ე. კოჟევნიკოვა, სვანეთში მივლინების მასალები, ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის კოლექციების ფონდი – საქადალდე №13, თბილისი.

<sup>1</sup> უღრმეს მადლობას მოვასხენებ ბატონ იოსებ ბიჭიკაშვილს შესაბამისი ცნობების მოწოდებისათვის.

**მარი 1913** – Марр Н. Я., Из поездок в Сванию, "Христианский Восток", т. II, вып. I, С.-Пб.

**მარი 1922** – Марр Н. Я., Извлечение из сванско-русского словаря, Петроград.

**მეგრელიძე 1935** – ი. მეგრელიძე, აკადემიკოსი ნიკო მარრი, ჟურნალი „მნათობი“, №1, ტფილისი.

**სვანური პოეზია 1939** – სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

**შანიძე 1925** – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“ – ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, ტფილისი.

**ჩანტლაძე 2012** – ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, თბილისი.

**ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**ხიზანიშვილი 2003** – მ. ხიზანიშვილი, ევდოკია კოჟევნიკოვა და მისი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ეთნოლოგიური მიეზანი, II, თბილისი.

**Tuite 2011** – A Georgian Lullaby as Song of Healing and Socio-Political Commentary, „ლინგვოკულტუროლოგიური მიეზანი“, ტ. II, ბათუმი.

IZA CHANTLADZE, RUSUDAN IOSELIANI

### **A Forgotten Researcher of Svaneti**

(Evdokia Kozhevnikova-Gugushvili)

#### S u m m a r y

Academician Nicholas Marr visited Svaneti four times (1911-1914) but for the future generations he left not only brilliant works about Kartvelian languages and Georgian culture (unfortunately, some of them are not even printed) but also this prominent scholar created great ethno-linguistic school with excellent Kartvelologists. It is enough to recall the contribution of Karpez Dondua, Ioseb Kipshidze, Ioseb Megrelidze, Shota Dzidziguri and Mose Janashvili.

We are in great debt to N. Marr, his disciples and Svan hosts. One of them is a student of an ethnographic direction of Petrograd (later Leningrad) University – Evdokia Kozhevnikova who came to Svaneti with her teacher's advice and a photo camera given by him to carry out field practice in the summer of 1927. N. Marr told her: "If you want to become a real ethnologist you must go to Svaneti and learn the Svan language. The daughter of the father who was an orientalist and an ambassador of Manchuria Inokenti Kozhevnikov could live in luxury but the ancient traditions,

hospitality and a number of ethnographic customs of the hosts impressed the girl who was brought up in European style cities. After the graduation from the university she asked the rector to finance her for one-year business trip to Svaneti.

Evdokia worked a lot in Svaneti in 1927-1947 and left a number of texts of different genres (12000 papers) and extraordinary photo material showing the ethnographical life (3 albums). They mainly give information about Svan feasts, fairy tales, old folk songs, various lexical units, verbal and nominal paradigms, etc. Some texts are even translated (in Russian or Georgian). The materials were collected with deep knowledge, faith, and talent making them very important.

The materials about Evdokia Kozhevnikova's journey to Svaneti have been preserved in the archives of Simon Janashia Georgian State Museum since 1987. Her contribution was assessed in the second volume of "Ethnological Researches" (2003) by a research fellow of the Department of Ethnography – Manana Khizanishvili (pp. 195-200). The American Embassy and the National Museum of Georgia organized the exhibition of the works of Eduard Sheriff Curtis (an outstanding scholar of the culture of the aboriginal population of North America) and Evdokia Kozhevnikova "Earthly and Sacred Worlds" in the Museum of Svan History and Ethnography in Svaneti from November 2 2017 to February 15 2018. It was covered by the newspaper "Kviris Palitra" (December 18-24 2017) and Liverpress.ge. Recently, in one of the archives of the scientific fund of the Institute of the History of Material Culture at the Russian Academy of Sciences we found E. Kozhevnikova's manuscript "Materials About the Religious Belief of Svans"

As for the linguistic analysis of the above-mentioned materials, unfortunately, nothing has been done yet. The present paper is the first attempt to linguistically study the texts of the forgotten researcher of Svaneti.



ორინე ჩაჩანიძე

**ქართველოლოგიური ძიებანი იოჰან კრისტოფ  
ადელუნგის თხზულებაში  
„მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება...“  
(‘Mithridates, oder allgemeine Sprachkunde...’)**

ქართული ენა, როგორც ენა უძველესი კულტურის ხალხისა, ძველთაგანვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა უცხოელებში. არ შეიძლება გამოვრიცხოთ წმინდა პრაქტიკული მიზნებიც, რამაც განსაზღვრა ლტოლვა ქართული ენის შესწავლისადმი. მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, ცხადია, ვერ ასცდებოდა ამ გზას და აქედან გასაგებია ზრუნვა, რასაც იჩენდნენ დასავლეთში პრაქტიკული ხასიათის გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენის მიმართ. კათოლიკური მისიონერების საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოსთან ევროპის ურთიერთობის განვითარების საქმეში. „ამგვარად, გამაგრდა და განმტკიცდა XVII-XVIII სს. საქართველოში დასავლეთ-ევროპის კულტურულ-ლიტერატურული გავლენა, რომელმაც შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენს საეკლესიო მწერლობაშიაც“ (კეკელიძე 1941: 70).

როგორც ცნობილია, იტალიაში, „პროპაგანდა ფიდეს“ კოლეგიუმში, რომელიც დაარსდა 1627 წელს, რომის პაპის ურბან VIII დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა იმ ქვეყნების ენების შესწავლა, რომლებშიაც შესაძლებელი იყო კათოლიკური პროპაგანდის გატარება (მ. თამარაშვილი 1902: 328). საქართველოში მოგზაურთა და მკვლევართათვის შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება. კოლეგიუმის მასწავლებლები ასრულებდნენ კონსულტანტისა და შუამავლის როლს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებში.

ქართული ენისადმი ინტერესი ევროპაში გამოწვეული იყო იმ ფაქტითაც, რომ აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის დადგენაზე, და, ამ მხრივ, ქართული ენის შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, გასაკვირი არ არის, რომ დასავლეთ ევროპელი სპეციალისტების მთავარი საზრუნავი იყო ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენა. 1626 წელს რომში სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირიბახის მიერ გამოიცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და დაარსდა ქართული სტამბა. 1643 წელს მარი მაჯომ გამოაქვეყნა ქართული გრამატიკა ლათინურ ენაზე, რომლის მეორე გამოცემა გამოქვეყნდა 1670 წელს. XVIII საუკუნეში მასალები

ქართულო ენის შესახებ შედარებითი ლექსიკონებში შეტანილ იქნა გერმანული მეცნიერების პ. ს. პალასისა და ი. ა. გიულდენშტედტის მიერ. ამ პერიოდში დაგროვილი ცნობები საქართველოს შესახებ, დოკუმენტები და საარქივო მასალები შეიცავს ბევრ ფასეულ ცნობას და როგორც იმ ეპოქის ინფორმაციის წყარო, მნიშვნელოვანია დღესაც. ქართველოლოგიური კვლევის საკითხებში ევროპელ მკვლევართაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს გერმანელი ლინგვისტის **იოჰან კრისტოფ ადელუნგის** (1732-1806) მიერ 1774 -1786 წლებში გამოცემულ ოთხტომიან კრებულს „**მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება**“. („**Mithridates, oder allgemeine Sprachenkunde, von Johann Severin Vater fortgesetzt und vollendet**“), რომლის პირველ ტომში, 500-ზე მეტ ენასთან ერთად, ერთ-ერთ თავში „**Georgisch oder Grusinisch**“ დასტურდება ცნობები ქართველური ენებისა და ლექსიკური მასალის შესახებ. ამ მასალის შეკრებაში ადელუნგისთვის ადგილზე კონსულტანტობა გაუწევია ნ. ი. ახვერდოვს (1775-1817), წარმოშობით ქართველს, რომელსაც ლექსიკოგრაფიაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება ჰქონია (ბულიჩი 1904: 478-479).

ენათმეცნიერებაში ეს იყო ისეთი პერიოდი, როდესაც ობიექტური სამეცნიერო მსოფლმხედველობა ენის შესახებ არ არსებობდა (ისტორიულ-შედარებითი მეთოდი შემუშავებულ იქნა მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში). ენათმეცნიერები ჯერ კიდევ კმაყოფილებოდნენ მხოლოდ ენათა პრიმიტიული შედარებით. სამეცნიერო აზრი დაკავებული იყო მსოფლიოს ენათა კატალოგიზაციითა და ენის წარმოშობის საკითხის ძიებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადელუნგი თავის ნაშრომში იძლევა ინფორმაციას ქართული ტიპოგრაფიის შესახებ. მან იცის ტიპოგრაფიის სახლი თბილისში, სადაც უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში მეფე ვახტანგ VI გამოაქვეყნა ფსალმუნები და ახალი აღთქმა. ის წერდა ქართულ ბიბლიაზე, „რომელიც მოსკოვში ჩამოსულმა მეფემ ბაქარ ვახტანგის - ძემ და მისი ძმამ 1743 წელს გამოაქვეყნეს“ (ადელუნგი 1806: 433).

ერთ-ერთი თავი, რომელიც ეძღვნება საქართველოს, ადელუნგი გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას ქართული გრამატიკისა და ლექსიკონის შესახებ, რომელთა ავტორებად მოიხსენიებს „მეცნიერ ანტონ კათალიკოსსა“ და სულხან-საბა ორბელიანს – *der Fürst Orbelianow Sulchan* (ადელუნგი 1806: 432). ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული ცნობები ნასესხებია მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის თხზულებიდან „საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა“ (1802), რომლითაც სარგებლობდა ადელუნგი (ადელუნგი 1806: 433). ამავე ნაშრომიდან მის მიერ გაზიარებულია ცნობები არქივპისკოპოსის ვარლამის „მცირე ქართული გრამატიკის“ შესახებ (ცაგარელი 1873: 38-39).

ენობრივი პრობლემებისადმი მიდგომის პრინციპები განსაზღვრავდა იმდროინდელ ლინგვისტურ ნაშრომთა სპეციფიკურ მახასიათებლებს. ენათა კლასიფიკაციამ და მიღებული მასალების სისტემატიზაციამ განაპირობა სხვადასხვა ენათა ცნობარების, საანბანო კრებულებისა და კატალოგების შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე გავრცელებულ სახეობას იმ პერიოდში წარმოადგენდა მრავალენოვანი კრებული, რომელიც შეადგინა ადელუნგმა. თხზულებაში „მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება“ თითოეული თავი ენობრივ ნიმუშად წარმოდგენილია „**მამაო ჩვენო**“-ს ორიგინალური ტექსტი ლათინური ტრანსლიტერაციით მსოფლიოს 500 ენაზე, რომელიც შეიცავს მონაცემებსა და განმარტებებს ცალკეულ ენებზე (ადელუნგი 1806: 645-676). გარდა ამისა, აქვე წარმოდგენილია გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა კონკრეტული ენის გავრცელებისა და მასზე მოსაუბრე ხალხის ბუნების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ „**მამაო ჩვენო**“ წარმოდგენილია სხვადასხვა მრავალენოვან კრებულებში, რომლებიც შედგენილია მრავალი ავტორის მიერ. წარმოდგენილია ტექსტი მაჯოს გრამატიკიდან. სწორედ ეს უკანასკნელი შეტანილია გერმანელი მეცნიერის ანდრეას მიულერის ნაშრომში (მიულერი 1680: 21), რომელიც თარიღდება 1680 წლით და, თავის მხრივ, როგორც წყარო, ემსახურებოდა სხვადასხვა ავტორთა თხზულებებს. ადელუნგის მიხედვით, მიულერი იყო აღმოსავლური ენების კარგი მცოდნე და ლონდონში ცხოვრებისას, მონაწილეობდა ბრაიან უოლტონის მრავალენოვანი ბიბლიისა და ედმუნდ კასტელის ლექსიკონის შედგენაში (ადელუნგი 1806: 655). თხზულებაში ადელუნგი აღნიშნავს, რომ ასეთი ტექსტები ემსახურება ორ მიზანს, კერძოდ, ენათა ნათესაობისა და არანათესაობის საკითხის გარკვევას და, ამასთანავე, ყოველ მათგანში დამწერლობის განვითარების გზებს. თვითონ ავტორი უპირატესობას ანიჭებს პირველს. აქედან გამომდინარე, მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის შესახებ, რომ ბევრ ნაშრომში ტექსტები არაზუსტია, რომლებიც კარგავენ სამეცნიერო ღირებულებასა და წარმოადგენენ მხოლოდ ერთგვარი კოლექციის იშვიათობას (ადელუნგი 1806: 645).

იოჰან კრისტოფ ადელუნგის კვლევა „**მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება...**“, რომელიც მოიცავს 500-ზე მეტ ენისა და დიალექტების ენობრივ მაგალითებს, წარმოადგენს XIX საუკუნის ბოლომდე შესრულებულ ყველა ლინგვისტური ნაშრომის საბოლოო ეტაპს. აღნიშნული კვლევა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ამ ტიპის ყველა წინა ნაშრომი, მაგრამ, ამასთანავე, იგი აგებულია იმავე პრინციპითა და მაგალითებით. როგორც დანარჩენი. „პონტოს მეფე მითრიდატე, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როგორც გვაუწყებს ისტორია, მრავალი (ოცზე მეტი) ენის მცოდნე იყო. გერმანელ ფილოლოგ ი. კ. ადელუნგს თავისი წიგნი დედამიწის ენათა შესახებ შემთხვევით კი არ დაუსათაურებია ამგვარად „**Mithridates, oder allgemeine Sprachkunde...**“ (ჩიქობავა 2008: 1).

ადელუნგის თხზულების პირველ ტომში ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეული ქართული მასალა, რომელიც 1806 წელს, ავტორის სიცოცხლეშია გამოცემული, წარმოდგენილია საკმაოდ სრულად და სისტემურად (ადელუნგი 1806: 428-436). ტომში მის მიერ მოხმობილია „**მამაო ჩვენო**“-ს ორი ტექსტი,

რომელიც ნასესხებია გერმანულად თარგმნილ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნიდან (ევგენი1804: 108-109). ტექსტიდან ერთი ვარიანტი წარმოადგენს ძველს, ქართული ბიბლიის ტექსტის მიხედვით, სათაურით „**Gelehrt Georgisch**“, ხოლო მეორე, „**Gemein Georgisch**“ – უფრო თანამედროვეს – საერთო-სახალხო ენის ვარიანტს.

### **Gelehrt Georgisch**

*Aus der Bibel, Moskau, 1743. fol.*

Vater unser, der bist Himmel in

Heilig sey Nahme dein;

Komme Reich dein;

Geschehe Wille dein wie Himmel in

so auch Erde auf;

Brot unser tägliches gib unsheute;

Und vergib uns Schulden

unsere, wie wir vergeben uns;

Und nicht lass fallen uns Versuchung in;

Sondern befreye uns Bösen von.

<p><b>Gelehrt Georgisch</b> <i>Aus der Bibel, Moskau, 1743. fol.</i></p> <p>ძველი ქართული (საეკლესიო) ენა</p>	<p><b>Gemein Georgisch</b> <i>Aus des Archimandriten Eugenius Gemähide von Grusien, S. 109.</i></p> <p>საერთო - სახალხო ქართული ენა</p>
<p>Mamáó tschwéno, romeli char Tzátá schina, Tzminda ickawn Sacheli scheni; Mowedin Supewa scheni; Ickawe Neba scheni witarza Tzátá schina, egretza kwekanasa Szeda; Puri tschweni arsobisa mometz tschwen dges; Da mogwi tewen tschwen Tananadebni tschwenni, witarza tschwen mintewebt Tanamdepta mat tschwenta; Da nti schemi kwáneb tschwen Gansatz delsa; Arained gwigsen tschwen Borotisagan.</p>	<p>Tschwèno Mamáo romélitz rom char Tzátá schina, Tzminda ickos Sacheli schèni; Mowides Supewa schéni; Neba schéni rogortz Tzaschi ègretwe kwekanasse Seda; Puri tschweni arsobisa mometz tschwen dges; Da mogwitebe tschwen Tananadebni tschwenni, rogortz tschwen miutewebs Tanamdebta mat tschwenta; Da nu schemikwan tschwen Gansätzdelschi; Da gwichsen tschwen Borotisagan.</p>

ამ ტექსტების შედარებისას აშკარად იგრძნობა განსხვავება საეკლესიო და საერთო-სახალხო ვარიანტებს შორის. მაგალითად, იყავნ – იყოს; მოვედინ – მოვიდეს; ვითარცა – როგორც; ცათა შინა – ცაში. აღსანიშნავია, რომ ე. ბოლხოვიტინოვი წერს ქართულ დამწერლობის შესახებ, რომელიც იყოფა საეკლესიო ანუ ნუსხურ და მხედრულ ანუ საერო სახეობებად. მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოსავლენად, საილუსტრაციოდ იყენებს „მამაო ჩვენო“-ს ქართული ტექსტის კირილეულ ვერსიას (ჩაჩანიძე 2013: 424).

მაჯოსა და პაოლინის ნაშრომებიდან გამომდინარე, ადელუნგს თავის თხზულებაში წერს სპეციალურ ნარკვევს ქართული ენის შესახებ, რომელშიაც საუბარია ენის ბგერათა თავისებურებების, ბრუნების, უღვლილების, მრავლობითი რიცხვის წარმოებისა და შედარებითი ხარისხის საკითხებზე. იმის მიუხედავად, რომ მოცულობით ქართული მასალა ადელუნგთან უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე მისი წინამორბედების შრომებში, ავტორისთვის მაინც ბევრი რამ გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა. ამიტომ, თავის მოკლე ნარკვევში ენათმეცნიერი განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სიფაქიზეს ავლენს ქართული ენის საკითხების მიმართ. აღ. ცაგარელი სამართლიანად შენიშნავს იმის შესახებ, რომ ადელუნგი „სცოდავს ბევრ რამეში, ისე როგორც მაჯო, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართული ენის რამდენიმე თავისებურება განსაკუთრებული გამჭრიახობით შემჩნეულია ლინგვისტის მიერ“ (ცაგარელი 1873: 56).

იოჰან კრისტოფ ადელუნგის "მითრიდატეში" ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით ფასეულია ლექსიკოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ, მცირე შედარებითი ლექსიკონის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ადელუნგის შედარებითი ლექსიკონი ხუთი სვეტისაგან შედგება: მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სვეტებში იმერულ, მეგრულ, სვანურ და თუშურ ლექსემათა ლათინური ტრანსლიტერაციაა მოცემული, ხოლო პირველი სვეტი კი გერმანულ შესატყვისს უჭირავს. ადელუნგისთვის, რომელმაც კავკასიური ენები არ იცოდა, მასალის შეკრება – შეჯერებაში ადგილზე დახმარება გაუწევია **პ. ს. პალასისა** და **ი. გიულდენშტედტის** შედარებით ლექსიკონებს (გიულდენშტედტი 1791: 496; პალასი 1786).

მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ადელუნგი ლექსიკონში ცალკე გამოყოფს იმერულ დიალექტს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ტექსტში ავტორი არ ახსენებს კონკრეტულად იმერულს, არამედ, პირიქით, წერს, რომ „ქართველური დიალექტი გავრცელებულია არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ იმერეთში“. როგორც ჩანს, ავტორი ესესხება პალასის ლექსიკონს, რომელშიაც მეგრულის ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია იმერულის სახელწოდებით.

რაც შეეხება თუშურ სიტყვებს, რომელიც მოცემულია ცხრილში, ადელუნგი არ არის გარკვეული საქართველოში დასახლებულ ხალხებსა და მათ ენებში. თუშურისათვის, ავტორს ცხრილში შეტანილი აქვს ბაცბური (წოვათუშური) ენის ლექსიკური ერთეულები და ლექსიკონში მოიხსენიებს როგორც 'Tuschi oder Tuscheti (ადელუნგი 1806:429-430). ქართველურ ენებს, მეგრულსა და სვანურთან ერთად, წოვათუშურსაც განაკუთვენებს, როცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ქართველური ჯგუფის ენას (ადელუნგი 1806: 436).

	<b>Imirettisch</b>	<b>Mingrelisch</b>	<b>Suanetisch</b>	<b>Tuschetissch</b>
<b>Vater</b>	Mama	Muma	Mu	Dada
<b>Unser</b>	-----	-----	-----	Tschende
<b>Du</b>	Si	Si	Si	Ao
<b>Himmel</b>	Tschasch	-----	Tsah	-----
<b>Dein</b>	-----	Tikani	-----	Hem
<b>Erde</b>	Dihka	Dicha	Gim	Jobste
<b>Brot</b>	Tzull. Czacho	Tschkomi	Dier	Mak
<b>Heute</b>	Nur. Nubu	Ga	Gadi	Tgada
<b>Wir</b>	Czchini	Tschschini	Noi	Tschen
<b>Böse</b>	-----	-----	Choja	Moshin

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამართლიანად დავეთანხმოთ არნოლდ ჩიქობავას სიტყვებს: „ბევრი ენის მცოდნე პირი – ანუ პოლიგლოტი – ენათმეცნიერი არ გახდება იმის გამო, რომ მრავალ ენაზე ლაპარაკობს. პოლიგლოტები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ამას ენათმეცნიერების გაჩენა არ გამოუწვევია, – ენათმეცნიერება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან გვაქვს. მეორე მხრივ, ენათმეცნიერთა შორის პოლიგლოტებს იშვიათად ვხვდებით. დიახაც, სასურველია ენათმეცნიერმა ბევრი ენა იცოდეს, ეს დიდად დაეხმარება მას, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ გახდის ენების მცოდნეს ენათმეცნიერად. ენათმეცნიერს მოეთხოვება მეცნიერულად შეისწავლოს ენა, თუნდაც მხოლოდ ერთი ენა. ენის მეცნიერული შესწავლა ნიშნავს მისი საფუძვლის (გრამატიკული წყობა, ლექსიკური ფონდი) შესწავლას მოცემული სახითაც და წარმოშობა-განვითარებაშიც“ (ჩიქობავა 2008: 1). ბუნებრივია, ადელუნგისთვის, როგორც უცხოელისთვის, მნელი იყო ბოლომდე ჩასწვდომოდა კავკასიაში არსებული მდგომარეობის ჭეშმარიტ არსს და ობიექტურად შეეფასებინა იგი. ამის გამო მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული უზუსტობისაგან, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის ღირებულებასა და მნიშვნელობას. როგორც ისტორიული წყარო, იგი მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას და ამავე დროს იმ ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებას, რასაც ემსახურებოდა ავტორი.

იოჰან კრისტოფ ადელუნგის „მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება“. მნიშვნელოვან და საინტერესო ნაშრომია. შეიძლება ითქვას, რომ იგი შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალას მსოფლიო ენებისა და დამწერლობების შესახებ. თხზულების ღირსებად მიჩნეულია ის, რომ გარდა პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოყენებული მასალისა, ავტორი სხვადასხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით, უხვად სარგებლობს წინამორბედთა ლინგვისტური მონაცემებით.

ადელუნგის მიერ წარმოდგენილი ცნობები უფრო მეტად ფასეულია იმდროინდელი კავკასიის ეთნოლინგვისტური სიტუაციის რეკონსტრუქციისთვის ისტორიული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნობები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც დიაქრონიული სოციოლინგვისტიკის ობიექტი.

## ლიტერატურა

**ადელუნგი 1806** – Adelung, J. Ch., Mithridates, oder allgemeine Sprachkunde, Bd. 1, von Johann Severin Vater fortgesetzt und vollendet, Berlin.

**ბულიჩი 1904** – С. С. Булыч, Очерк истории языкознания в России, I, СПб., Санкт-Петербург.

**გოულდენშტედტი 1791** – Güldenstädt, J.A., Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge / Bd 2.

**ევგენი 1804** – Evgenij, Georgien oder Historisches Gemälde von Grusien: In politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht, Riga ; Leipzig.

**თამარაშვილი 1902** – მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი.

**კეკელიძე 1941** – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი.

**მიულერი 1680** – Müller A., Orationis dominicae versiones praeter authenticam fere centum, Berolini.

**პალასი 1977** – Pallas P.S., Linguarium totius orbis vocabularia comparativa, Nachdr. / Hrsg. u. mit e. Vorw. vers. von Harald Haarmann. Hamburg: Buske. Bd. 1. Nachdr. d. Ausg. St. Petersburg, 1786, 1.

**ცაგარელი 1873** – Цагарели А. А., О грамматической литературе грузинского языка, СПб, Санкт-Петербург.

**ჩაჩანიძე 2013** – Чачанидзе И., Социолингвистические признаки в сочинении Е. А. Болховитинова «Историческое изображение Грузии, Функциональная лингвистика, научный журнал №5, Ялта.

**ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

IRINE CHACHANIDZE

### **Kartvelological Studies in Johann Christopher Adelung's Work "Mithridates, or General Linguistics" (*Mithridates, oder allgemeine Sprachkunde*)**

#### S u m m a r y

The article presents Kartvelological studies of a German linguist Johann Christophe Adelung (1732-1806). Along with other works, he became famous for his linguistic collection in four volumes "Mithridates, or General Linguistics...", where the text of "Our Father" is presented as a linguistic sample in 500 languages and local dialects of the world. In the first volume of "Mithridates" the information about the Georgian language can be found. The author used "the Georgian Grammar" by Maria Maggio. Despite many inaccuracies due to this source, some features of the Georgian language are revealed by Adelung through his strong linguistic intuition.

მანანა ჩაჩანიძე

**ლექსიკური სინონიმის ახალი წყვილი: მეგობარი და საყვარელი, ბარბარიზმები: ბოიფრენდი და გელფრენდი თანამედროვე ქართულში**

უახლეს ქართულ ლექსიკურ პარადიგმატიკაში ხშირად გამოყენებული სინონიმური წყვილი **მეგობარი** და **საყვარელი** ენობრივი კოლექტივის ცხოვრების ანარეკლია და, მასთან ერთად, ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკის პროდუქტი.

თანამედროვე ქართული სოციოკულტურული სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მძაფრად და მკაფიოდ ენის პრაგმატულ ასპექტში ვლინდება და უხშირეს შემთხვევაში ამგვარი თითქოსდა ცალკეული გამოვლინება მკვიდრდება კიდეც. ენობრივი არჩევანი, ოპტიმალურ ენობრივ საშუალებათა მიება ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს და ამის მეცნიერული შესწავლისათვის მოწოდებულია კიდეც სამეცნიერო დისციპლინები: ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, მეტყველების კულტურა და სხვ.

აღნიშნულ პროცესზე დაკვირვებისათვის, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საგანგებოდ შევარჩიეთ ლექსემები **მეგობარი** და **საყვარელი**, როგორც ლექსიკური სინონიმის დამკვიდრებადი (ან უკვე თითქმის დამკვიდრებული) ობიექტები.

ქართული აკადემიური ლექსიკოგრაფია ჩვენთვის საინტერესო ლექსემათა განმარტებისას გვეუბნება, რომ:

ლექსემა	ქეგლი (რვატომეული)	ქეგლი (ერთტომეული)	ქართული ლექსიკონი
მეგობარი	გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, ახლობელი.	გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე.	უახლოესი ადამიანი, ერთგული, სანდო, საყვარელი ამხანაგი.
საყვარელი	1. ვინც, რაც უყვართ; სიყვარულის ღირსი. 2. სატრფო, მიჯნური. 3. ვინც ვინმესთან ქორწინების გარეშე, ფარულ კავშირში იმყოფება.	1. ვინც, რაც უყვართ. 2. პირი, რომელიც ვინმესთან ქორწინების გარეშე, ფარულ კავშირში იმყოფება	1. ვინც ან რაც უყვართ. 2. პირი, რომელსაც ქორწინების გარეშე აქვს კავშირი ვინმესთან.



ქეგლის რვატომეული (ერთტომეულისა და „ქართული ლექსიკონისა-გან“ განსხვავებით) დასახელებულ მნიშვნელობათა დოკუმენტირებასაც გვთავაზობს ილუსტრაციის სახით, კერძოდ:

**მეგობარი** სიყრმის მეგობარი. – ძველი მეგობარი. – ნამდვილი ადამიანი... გაჭირვების დროს შველის ყველას: არა მარტო ნაცნობსა და მეგობარსა, არამედ უცნობსაცა (ი. გოგებ.). მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული! (ი. ევდ.). // ფიგურ. წიგნი მოსწავლის მეგობარია. – [ანდრიამ] ხელი გაიშვირა ხეხილისა და ვაზებისაკენ და ალტაცებით განაგრძო: „აი.... ჩემი მფარველი მეგობრები!“ (ნ. ლომ.) [ქეგლი 5: 148].

**საყვარელი** 1. საყვარელი შვილი. – საყვარელი მასწავლებელი. საყვარელი წიგნი. – მავრა ჩვენი სოფლის მოამაგე ექიმია, ჭკუით და გრძნობით სავსე, მშვენიერი და საყვარელი ქალი (ა. ქუთათ.). მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს სიმაღლეს, წინაპართა ძვლებს დავიცავ! (გ. ტაბ.). 2. ცნობს საყვარელი საყვარლისა გულს (აკაკი). სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია (რუსთაველი). 3. შენ... სხვისი საყვარელი ხარ, შენ ღალატობ ქმარს! (ჭ. ლომთ.). [ქალი] ღამით, როდესაც ქმარი მახლობლად არ ეგულება, საყვარელს ეპატიუება, მასთან ერთად იღებენ (გ. ქიქ.) [ქეგლი 6: 378].

იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ლექსიკოლოგიურ პროცესებზე დაკვირვება მეტად არგუმენტირებული იყოს და ობიექტურად წარმოჩნდეს თანამედროვე ქართულში სინონიმური თანამშრომლობა ლექსემებისა **მეგობარი** და **საყვარელი**, უპირველეს ყოვლისა, სრულად უნდა აღინუსხოს ის ლექსიკური გარემო, რომელიც ამ სიტყვებს უკავშირდება. ამ მხრივ საგულისხმო მასალას გვაწვდის ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონები, სახელდობრ:

ლექსემა	აღ. ნეიმანი, სინონიმთა ლექსიკონი	კ. ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი
მეგობარი	დოსტი, ამფსონი, ამხანაგი, ტოლ-ამხანაგი, სწორი, არიფი, მმა-ბიჭი, მმა-კაცი, მმად შეზრდილი, ნ. აგრეთვე თანამესუფრე (გვ. 193).	ამხანაგი (1), (ყარგ.) იუზგარა, (ძვ.) არიფი (4), მმაბიჭი, მმაკაცი, (ძვ. საუბ.) დოსტი, ძვ. (ყონალი), ძვ. (ეთნ.) ნამგალა (ამხანაგი მწყემსობაში – ის, ვინც მეზობლად ამოვებს ცხვარს) (გვ. 393).
საყვარელი	1. ნ. კურო. 2. ნ. მიჯნური. 3. ნ. სასურველი. 4. სასიყვარულო, უსაყვარლესი, გამორჩეული, ძვირფასი, თვალის ჩინი, ორთავ თვალის სი-	1. სათაყვანო, სათაყვანებ(ელ)ი, ნანიანატრი (შვილი...); 2. ნ. სატრფო; 3. თანამწოლი (2), (ძვ.) ხასა, (ძვ.) ხარჭა, ქალის (კურო) (2); 4. ფავორიტი (გვ. 530).

	ნათლე, გულითადი, გულისგული, სათაყვანები, სათაყვანო, სალოცავი, წმინდა რამ, წმიდათა-წმიდა, მზე და მთვარე მასზე ამოსდის (გვ. 282).	
--	---	--

როგორც ვხედავთ, ლექსიკონებში წარმოდგენილი ვითარების მიხედვით, ლექსები **მეგობარი** და **საყვარელი** არასინონიმური ოდენობაა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ უამრავი ფრაზა შეიძლება მოვიხმოთ ქართული მწერლობიდან, ასე მაგ.:

### **მეგობარი**

ბევრი ევედრა დემეტრე თავის სიყრმის მეგობარს,  
მაგრამ იოანე არ წაჰყვა მას (ვ. გამს.).  
[გიგას] უყვარდა... თავის სიყრმის მეგობრის დედა  
(ს. კლდ.).

ჩემს მეგობარს, თეთრ, გრძელ ფეხებზე ნატის შავი  
ჩუსტები ეცვა (ნ. ინან.).  
სიკვდილს მოსისხლე მტერსაც კი არ ვუსურვებ,  
არა თუ სიყრმის მეგობარს (ვ. ბუაჩ.).  
ბევრია კარგი მსროლელი, მუხლადი, მეგობრებისა-  
თვის მწვადის შემწველი (გ. ხორნ.).

### **საყვარელი**

[ბავშვები] ყველანი საყვარლები არიან (რ. ინან.).  
ძალიან ქვემოთ კი, პარტერში, ხალხი იჯდა და  
მშიდად ისმენდა მის საყვარელ ნაწარმოებს  
(გ. დოჩან.).  
– თუ ჩემი საყვარელი ხარ, მე არ უნდა ვიცოდე?  
(ო. იოს.).  
თქვენზე ამბობენ, თითქოს ქალბატონმა კატუშამ საყვარელ-  
თან წაგასწროთ (ა. სულაკ.).  
– საყვარელი გაიჩინაო? – როსტომ ერისთავი აიფოფრა (რ. ჯაფ.).

როგორც ლექსიკოლოგიურ პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში ლექსემა **მეგობარი** დაიტვირთა ახალი მნიშვნელობით, კერძოდ, შეითავსა ლექსემა საყვარლის მე-3 მნიშვნელობა (ქეგლის რვატომეულის მიხედვით). მეტიც, მან თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ეს მნიშვნელობა და ცდილობს იგი უფრო დადებითი ელფერით შემოსოს (შდრ. მნიშვნელობა 1-ლი), სანაცვლოდ **საყვარელი** არამარტო შეიზღუდა გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, არამედ მძლავრობს ტენდენციაც, რომ იგი მხოლოდ უარყოფითი კონოტაციის მატარებლად იქცეს, რამდენადაც მისი მე-2 მნიშვნელობა (სატრფო, მიჯნური) თანამედროვე სიტყვათხმარებიდან თითქმის მთლიანად განიდევენა.

თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში გავრცელებული უაღრესად მოდური ბარბარიზმები **გელფრენდი** და **ბოიფრენდი** და მათ საფუძველზე აღმოცენებული და მათივე შესაბამისი შესიტყვებები **მეგობარი ქალი** და **მეგობარი მამაკაცი** სწორედ იმ პრაგმატული შევიწროების ტენდენციის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც ჩვენს თვალწინ ამკვიდრებს ახალ სინონიმურ ოდენობას **მეგობარი – საყვარელი**. სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ ფრაზას დავასახელებთ, მაგ.:

მეგობარი მამაკაცის მკვლელობის ბრალდებით ქალი დააკავეს.

გორში ქალმა მეგობარი მამაკაცი დაჭრა.

კაცმა ორსული მეგობარი ქალი მიატოვა.

მსახიობის მეგობარი ქალი სტაბილურად იმატებს წონაში.

მაიკლ ჯექსონის 18 წლის ქალიშვილი ბოიფრენდთან ერთად თამამ ფოტოსესიაში გადაიღეს.

ბოლო პერიოდში პრესა ჩემზე ბევრ სისულელესა და სიბინძურეს წერდა, ვითომ ახალი გელფრენდი მყავს.

ვინ არის შენი საყვარელი (არ მიყვარს სიტყვები „გელფრენდი“ და „ბოიფრენდი“, „ევეროემონტს“ მაგონებს. „საყვარელი“ რა ცუდი სიტყვაა?).

ქეგლის ახალი რედაქცია ამ უცხო სიტყვათა შესახებ გვეუბნება, რომ:

**გელფრენდი** (გელფრენდისა)

[ინგ. girlfriend < girl გოგონა, friend მეგობარი] ნეოლოგ. ინტიმური მეგობარი ქალი კაცისათვის. ვემბე თბილ გელფრენდს („ას.-დას.“). მის ბრანსი... ბენი მაკარტის ყოფილი გელფრენდი გახლდათ (სარბ.) [ქეგლი 2: 1511].

**ბოიფრენდი** (ბოიფრენდისა)

[ინგ. boyfriend] ბარბარ. მეგობარი ვაჟი (ქალისათვის). შვილო, ვალდებული ვარ, უნდა გკითხო..., ბოიფრენდი თუ გყავს (ლ. ბუღ.). ეგება სულაც ოსი ან სომეხი ან აფხაზი ჰყავს ქმარი თუ ბოიფრენდი („ახმეტა“) [ქეგლი 1: 1040].

ჩვენი აზრით, ლექსემები **გელფრენდი** და **ბოიფრენდი** საჭიროების გარეშე ნახმარი უცხო სიტყვებია – ბარბარიზმები. ისინი ახალი შინაარსის გადმოცემისათვის კი არაა გამოყენებული (ამ შემთხვევაში ნეოლოგიზმებთან გვექნებოდა საქმე), არამედ უკვე არსებული შინაარსისა და მნიშვნელობის „გაკეთილშობილებისათვის“.

ვფიქრობთ, ბარბარიზმთა გამოყენება თავისებური ევფემიზაციის მიზნით (საყვარელთან შედარებით უპირატესობა მეგობარს ენიჭება) არის საფუძველი ამ ორი ლექსემის არამარტო სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებისა! შევნიშნავთ, რომ ენობრივ ერთეულთა ე. წ. პრაგმატული შევიწროების ტენდენციის საფუძველზე აღმოცენებული ახალი სინონიმური ოდენობა, თავის მხრივ, გარკვეული საფრთხის შემცველიცაა სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობის (საბოლოოდ, შეიძლება, თვით სიტყვის!) შეზღუდვისა და გაქრობის თვალსაზრისითაც (გავიხსენოთ: სრულიად უსაფუძვლოდ და არამართებულად

რამდენი სიტყვა ჩააანაცვლა და თითქმის გააძევა სიტყვათხმარებიდან დღეს ძალიან მოდურმა **ნარატივმა** და **კომუნიკაციამ**; ასევე, როგორ გაიფართოვა სამოქალაქო უფლებები ათეულობით ზედსართავი სახელის შევიწროებისა და განდევნის ხარჯზე დღეს ძალიან პოპულარულმა, თითქმის ერთადერთმა ზედსართავმა სახელმა, რომლის წყალობითაც ყველაფერი – ცუდიც და კარგიც – მხოლოდ **მაგარია!**). აშკარაა, რომ ამ ტენდენციის გამომწვევი დასავლური (უპირატესად, ინგლისურენოვანი) ყოფა და ენობრივი კულტურის ზეგავლენაა.

ცოცხალ ლექსიკოლოგიურ პროცესზე დაკვირვება და ფაქტობრივი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

I. თანამედროვე ქართულ ენაში ახალი სოციოკულტურული სიტუაციითაა პირობადებული ენობრივ ერთეულთა ე. წ. პრაგმატული შევიწროების ტენდენცია;

II. სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტებითვე აიხსნება თანამედროვე ლექსიკურ პარადიგმატიკაში იმავე პრაგმატული შევიწროების ტენდენციის საფუძველზე აღმოცენებული სინონიმის მოვლენა, და, შესაბამისად, ახალი სინონიმური წყვილი: **მეგობარი** და **საყვარელი**, როგორც ენობრივ ერთეულთა ე. წ. პრაგმატული შევიწროების ტენდენციის პროდუქტი;

III. აღნიშნულ ლექსემათა (**მეგობარი** და **საყვარელი**) სინონიმური თანამშრომლობის საფუძველს ქმნის თანამედროვე სიტყვათხმარებაში გავრცელებული უადრესად მოდური ბარბარიზმები **გელფრენდი** და **ზოიფრენდი** და მათ საფუძველზე აღმოცენებული და მათივე შესაბამისი შესიტყვებები **მეგობარი ქალი** და **მეგობარი მამაკაცი**.

## ლიტერატურა

- გუგლი** – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>
- ნეიმანი 1951** – ალ. ნეიმანი, სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
- ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
- ქეგლი 1950-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბილისი.
- ქეგლი 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.
- ქეგლი 2008** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. 1, თბილისი.
- ქეგლი 2010** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. 2, თბილისი.
- ცოცანიძე, ლოლაძე, დათუკიშვილი 2014** – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჯორჯანელი 2003** – ვ. ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, თბილისი.

MANANA CHACHANIDZE

**A New Pair of the Lexical Synonymy *megobari* „Friend“ and *sagvareli* „Lover“, Barbarisms *boiprendi* „Boyfriend“ and *gelprendi* „Girlfriend“ in Modern Georgian**

S u m m a r y

A synonymous pair *megobari* "friend" and *sagvareli* "lover" often used in modern Georgian lexical paradigmatics is a reflection of the life of a linguistic community and a product of the dynamics of the Georgian lexical fund as well.

The observation on a living lexicological process shows that the basis of the synonymous relation between the said lexemes is the highly fashionable common barbarisms in Georgian – *gelprendi* "girlfriend" and *boiprendi* "boyfriend" and the relevant syntagms derived on their basis – *megobari kali* "a girl friend" and *megobari mamakaci* "a boy friend".

A new synonymous pair *megobari* "friend" and *sagvareli* "lover" is a product of the tendency of the paradigmatic narrowing of lexical units conditioned by the socio-cultural situation.

როენა ჭკადუა

### გეობოტანიკურ ტერმინთა შემცველი მიკროტოპონიმების წარმოება სვანურში

სვანურ ტოპონიმიაში მრავლად მოიპოვება ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა ფუძეში გამოიყოფა ხე-მცენარეთა, ბალახეულის, პურეული და ბოსტნეული კულტურების სახელწოდებანი. ადვილი შესაძლებელია, ტერიტორიაზე, სადაც ამგვარი სტრუქტურის მიკროტოპონიმი დასტურდება, შეცვლილი იყოს მცენარეული საფარი ან მეტიც, იქ სამოვარი, სათიბი ან სახნავი დანიშნულების ფართობი იყოს.

გეოგრაფიულ სახელთა აღწერა-შესწავლა, სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, ამ კუთხითაც მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სვანეთში, სადაც ტოპონიმებში დადასტურებული ზოგიერთი მცენარე (განსაკუთრებით მარცვლეული) შეიძლება ადგილის საკუთარ სახელწოდებებშიდა იყოს შემორჩენილი.

ბოტანიკური ტერმინების შემცველი მიკროტოპონიმები სვანურში ძირითადად იწარმოება **ლე-** ოდენპრეფიქსთა და **ლე-** – **ე/-ო** კონფიქსით (**ლე-**პრეფიქსი თანხმლები სუფიქსებით). აღნიშნული ფორმანტები „სვანურ ლექსიკონში“ (ვ. თოფურია, მ. ქალდანი) შემდეგნაირად არის განმარტებული:

**ლე**<sup>1</sup>- დანიშნულების პრეფიქსი.

**ლე**<sup>2</sup>- ერთგვარ მცენარეთა გავრცელების ადგილის აღმნიშვნელი პრეფიქსი.

**ლე** – – **ე**<sup>1</sup>/**-ო** ვნებითი გვარის მყოფადის მიმდებარის კოფნიქსი.

ქართველურ ენათა გეოგრაფიულ სახელებში დადასტურებულ **ლე-ე** აფიქსის შესახებ საინტერესო შეხედულებები აქვთ გამოთქმული ცნობილ მეცნიერებს (ა. ცაგარელს, მ. ჯანაშვილს, ი. ჯავახიშვილს, ი. ყიფშიძეს, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, მიხ. ჩიქოვანს,...). მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით, ალ. ლლონტი დაასკვნის, რომ „**ლე-ე**, სვანური წარმოშობის აფიქსი, ხშირად გამოიყენება არა მარტო სვანურ, არამედ სვანურ-მეგრულ-ქართულ ტოპონიმთა საწარმოებლად“ (ლონტი 1971: 212).

საფუძვლიანად შეისწავლა **ლე-**, **ლი-**, **ლა-** ფორმანტთა წარმომავლობა და ფუნქცია ვ. თოფურიამ. როგორც ის აღნიშნავს, „დღევანდელ სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლადაც გამოიყენება **ლი-**, **ლე-**, **ლა-** თავსართები“ (თოფურია 1979: 63-64). **ლე-** გვხვდება როგორც ჩვეულებრივ, ისე ნაზმნარ სახელებთან. უკანასკნელ შემთხვევაში იგი მყოფადის მიმდებარის

აწარმოებს“ (იქვე, 64). მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ **ლე-**, როგორც სიტყვათმაწარმოებელი პრეფიქსი, ადგილის საკუთარ სახელებში გვევლინება, მისი გავრცელება სცილდება სვანეთის ტერიტორიას და იგი ქართულსა და მეგრულში არის მიღებული როგორც გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი (იქვე).

თანამედროვე მეცნიერთაგან, განსაკუთრებით საფუძვლიანად შეისწავლა სამეგრელოს ტოპონიმთა და ხშირ შემთხვევაში შეუდარა სვანურის მასალას პ. ცხადაიამ, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ამ თემაზე. მან საგანგებო წერილი მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო აფიქსებს, სადაც აღნიშნა, რომ მეგრულში „ლე-პრეფიქსი მხოლოდ ტოპონიმთა საწარმოებელი ფორმანტი, ანუ ტოპოფორმანტი“ და გაბატონებულია ძირითადად სვანეთის სიახლოვეს მდებარე სოფლებში“ (ცხადაია 1985: 151). მეცნიერი იზიარებს იმ ვარაუდს, რომ **ლე-** პრეფიქსი (ნაწილობრივ **ლა-**ც) წარმოადგენს საერთო-ქართველურ ან თუნდაც საერთო-ზანურ ფორმანტს (იქვე: 166).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორიის თანამშრომლის ა. ჭკადუას მიერ ჩაწერილი სვანური ტოპონიმის მასალა, რომელიც ამჟამად კომპიუტერულად მუშავდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის არს. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, გვამღევს საშუალებას დავაკვირდეთ საკვლევ ფორმანტთა გავრცელებულობას და დანიშნულებას სვანურში.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ლე-** პრეფიქსი და **ლე- -ე/-ი** კონფიქსი სვანურში დატვირთულია აპელატიური ფუნქციით (განსხვავებით მეგრულისაგან). ვ. თოფურია **ლე-** პრეფიქსიანებს ადიექტივებად მიიჩნევს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ „ობიექტი ამა თუ იმ მოქმედებისათვის ან მდგომარეობისთვის არის დანიშნული“ (თოფურია 1967: 218). ზოგადად, **ლე-** პრეფიქსს დანიშნულების თავსართს უწოდებენ. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ იგი შეესატყვისება ქართული წარმოშობის **სა-** პრეფიქსსა და ზანურის **ო-** თავსართს.

სამეგრელოს ტერიტორიაზე **ლე-ე** პრეფიქს-სუფიქსის ფუნქციას ოიკონიმის წარმოება წარმოადგენს. „ეს წარმოება იმდაგვარია, რომ ამოსავალია ამ პუნქტში დასახლებული და დამკვიდრებული გვარი“ (ცხადაია 1976: 360).

სვანურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ლე-** პრეფიქსი და **ლე- -ე/-ი** კონფიქსი უმეტესად ისეთ მიკროტოპონიმებშია, რომლებიც ბოტანიკურ ტერმინებს შეიცავენ. ასეთი საკუთარი სახელები ხაზს უსვამენ, თუ რა სახეობის მცენარე, ბუჩქი... ხარობს ან ხარობდა ამ ადგილებში. მაგ.:

**ლე-** პრეფიქსი + **ფუძე** (მცენარის სახელწოდება).

**ბალყან, ბელყან** ბზ., **ბალყენ, ბელყენ** ბქ., **ბელყენ** ლშზ., **ბელყან**  
ლნტ. „მურყანი, თხმელა“

**ლე-ბელყან** „თხმელნარი“ ტყე ლენტეხი-ლევშერი.

**ლე-ბელყენ** სათიბი, ლენტეხი-ცანა, მესტია-ვედი, წირმინდი.  
მესტია-დაკარი.

**ლე-პრეფიქსი + ფუძე + ა** (მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი სუფიქსი.

**ლე-ბელყერ-ა** სამოვარი, ტყე, მესტია-ლახამულა.

**გგობ, გიგობ** ზს. **გგობ** ლნტ. **გგგბ** ლშხ. „ფიჭვი“

**ლე-გგობ** „ფიჭვნარი“ სამოვარი, ტყე, მესტია-დიზი. (აღნიშნავს, ერთი მხრივ, იმ ადგილს სადაც ფიჭვის ერთგვაროვანი ტყეა, მაგრამ მეორე მხრივ, ჰქვია სამოვარს, სადაც ამჟამად „გგობ“ არც არის).

**ლე-გგბ** ტყე, მესტია-ლაბსყალდი.

**ლე-გგბ-ა** სამოვარი, მესტია-ცალანარი.

**ლე-გგბ-რ-ა** ტყე, მესტია-დავბერი.

**ლე-გგბ-რ-წლ** „ფიჭვნარები“ მესტია-ლახირი

**გუთიჯ** ზს. ქს. „წაბლი“

**ლე-გუთჯ-არ** „წაბლნარი“ ტყე, მესტია-ფაყი.

**ლე-გუთჯ-ერ** სოფლის უბანი, მესტია-ხაიში.

**ლე-გუთჯ-არ** ტყე, მესტია-ფაყი.

**ლე-გუთჯ-ა** ტყე, სამოვრები, ლენტეხი-ჭველფი.

**ნენზ** ზს. სოჭი

**ლე-ნენზ-ა** „ნამენარი“ ტყე, მესტია-ვედი, ვაკობი, მესტია-მაგარდელი.

**ცაძრა** || **ცაძ** ზზ., **ცაძრა** || **ცაძ** ბქ. ლნტ. **ცაძრა** ლშხ. „თელა“

**ლე-ცაძრა** საბალახო, მესტია-ხევრა, **ყანა** ლენტეხი-ლაღარვაში.

**ლე-ცაძრ-ე** ტყე, მესტია-უსგვირი.

**ლე-ცაჟ** სამოვრები, ლენტეხი-დურაში.

**ლე-ცაძ** ტყე, სათიბი, ლენტეხი-ჭველიერი.

**ჯიპრა** ზს., **ჯირა** ლშხ. ლნტ. „მუხა“

**ლე-ჯშ-პრ** „მუხნარი“ ტყე, მესტია-კალა.

**ლე-ჯშ-ერ** სამოვარი, მესტია-ბაგვდანარი.

**ლე-ჯპ-არ-წლ** სამოვარი, მესტია-ლაღამი.

**ლე-ჯპ-პრ-წლ** ტყე, ლენტეხი-ლაშთხვერი.

**ლე-ჯპ-ერ** ტყე, მესტია-დიზი (მუხნარია მთლიანად).

**ლე-ჩპ-არ** ტყე, ნავყვამი, კაერი.

**ლე-ჩპ-ჟ-ერ** სამოვარი, მესტია-ღემდერი.

**ლე-ჩპ-ერ-ა** ტყე, მესტია-ლახამულა.



**ცხტიმრა, ცხტიმ** ზს. ლნტ. **ცხუმრა, ცხტიმ** ლშხ. „რცხილა“.

**ლე-ცხტიმ-არ** „რცხილნარი“ საბალახო, ლენტეხი-ჭველიერი.  
**ლე-ცხტიმ-არ-ა** ყანა, ლენტეხი-წანაში (ამჟამად რცხილა არაა).

**წიფრა** ზს. ქს. „წიფელი“

**ლე-წფ-არ** „წიფლნარი“, ყანა, ლენტეხი – ჩოლური, ლესემა, კახურა; სა-  
თიბ-სადოვარი, ლენტეხი-ლექესირი, რცხმელური, გვიმბრაღა; ტყე, სადოვარი,  
ლენტეხი-ლესემა; სათიბი, ლენტეხი-ლაშხირი.

**ლე-წფ-არ-ა** ტყე, კაერი.

**ლე-წფ-არ-აღ** სახნავი, მესტია-ზესხო.

**ლე-წფ-ერ** სოფელი, მესტია-ჭუბერი; ტყე, მესტია-შგედი, მახაში, დიზი,  
განა, ხაიში, ლობი, სკორმეთი; სათიბ-სადოვარი, მესტია-წირმინდი (უნდა  
შევნიშნოთ რომ უამრავ ადგილას არის **წიფლნარის** სახელწოდებით ტყე, ყანა,  
სათიბი თუ სადოვარი, განსაკუთრებით – ბალსაქვემო სვანეთში. ა. ჭკადუას  
მითითებული აქვს, რომ სოფელ ლახამში, სადაც ადრე წიფლნარი ყოფილა,  
ამჟამად ძირითადად წაბლია, მაგრამ სახელწოდებად **ლე-წფერ** არის შემორჩე-  
ნილი.

**გაკ** ბზ., ქს., **კაკ** ბქ.

**ლე-კკ-ერ** „ნიგვზნარი“ ტყე, სათიბები, მესტია-ხევრა, ნაკი, ხაიში, წირ-  
მინდი, ვედი, შგედი (როგორც ა. ჭკადუა აღნიშნავს, ამ ადგილებში ყველგან  
ბლომად არის კაკლის ხეები, შიგადაშიგ კი სათიბი მდელოებია).

**თეკრა** ზს., ლშხ., **თეკერ** ლნტ. „ბოკვი, ნეკერჩხალი“

**ლე-თეკარ** „ბოკვნარი“, ტყე, სახნავ-სადოვარი, ლენტეხი-ყვედრეში.

**ლე-თკარ** სადოვარი, მესტია-ღვეზალდი, იფხი (ბოკვი აქა-იქაა, **ჟი ნამოლ**  
**ლი** „განაკავია“, ადრე კი ბევრი იყო).

**ლე-თკერ-ა** სადოვარი (ახლაც ბლომად არის **თეკერ**), ლენტეხი-ჟახუნდერი.

**ზარცხილ** ზს. **ზამგ** ქს. „ჭყორი“

**ლე-ზერცხ-ილ-ა** სოფლის უბანი, მესტია-;იდლიანი (დასახლებული ად-  
გილია, მაგრამ თითქმის ტყეშია. ადრე ალბათ იყო **ზარცხილი**).

**განჭუ** ზს. ლნტ., **განჭუ** ლშხ. „ანწლი“

**ლე-განჭუ** „ანწლნარი“ სათიბი, ლენტეხი-ხაჩეში, ტვიბელდი; სადოვარი,  
ლენტეხი-ჯუდარი.

**ლე-განჭუ-ე** სადოვარი, მესტია-წირმინდი, ხევრა.

**ლე-განჭ-ოლ** სადოვრები, ლენტეხი-ჟახუნდერი.

**ლე-განჭუ-ლ-წმ** „ანწლნარისა“ სამოვარი, სახნავ-სათიბი, ლენტეხი-ლე-სემა.

**ჟაკუტარ** ბზ., ლნტ., **ჟაკურა** ბქ., **ჟაკუტერ** ლშხ. „არყი“

**ლე-ჟაკუტარ** „არყნარი“ ტყე, მესტია-ტვიბერი; სამოვარი, ლენტეხი-მუწვი.

**ლე-ჟაკუტარ-ა** ტყე, მესტია-მურშეკელი; სამოვარი, მესტია-ზარდლაში; სა-თიბი, მესტია-ბოგრეში; ტყე-სამოვარი, მესტია-ზესხო (ტყე-სამოვარში იგუ-ლისხმება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყიანი, არყნარი ადგილი, შიგადაშიგ მდელო-სამოვრებით).

**ლე-ჟაკუტერ** ტყე, მესტია-გული; სათიბი, ლენტეხი-შედი.

**ლე-შადრ-ე** ტყე, მესტია-ლაღხორალი (ფუძეში **შადრა** ლექსემით შე-გვხვდა მხოლოდ ეს ტოპონიმი, რადგანაც **ურთხელი** იშვიათი ხეა და თუ სა-დმე ხარობს, ის ადგილიც გასაიდუმლოებულია. შევადაროთ **წიფრა** „წიფელა“ და მისგან ნაწარმოები **ლე-წიფერ...**, რომელიც ძალიან ბევრ ადგილას დასტურ-დება, როგორც თვითონ ხე, ასევე მისი სახელწოდების შემცველი მიკროტოპო-ნიმი).

**ცაზ** ზს., ლნტ., **ცაზ** ლშხ., „ეკალი, ნარი“

**ლე-ცაზ-არ-ა** „ეკლნარი“ სათიბი, მესტია-ჭოლაში.

**ლე-ცაზ-ერ-ა** საბალახო, მესტია-ნეგუნი.

**ლე-ცაზ-იერ-ი** სამოვარი, მესტია-იენაში.

**ცინყა** ბზ., **ცინყა** ბქ. ლშხ. **ცინყა** ლნტ. „მოცვი“

**ლე-ცინყ-ერ** ყანა, სამოვარი, მესტია-ნანგვლი.

**მერხელ** ზს., ქს. „ჭინჭარი“

**ლე-მერხელ-იდ** „ჭინჭრიანი“ სახნავი, სათიბი, ლენტეხი-გულიდა; სა-მოვარი, ლენტეხი-კახურა, ტვიბლეტი, ხელედი...).

**ბურღუტი** ბზ., **ბურღუტი** ბქ., **ბურიღუ** ლხმ. **ბურღუ** ლშხ., **ბურღუ** ლნტ. „ბურა“

**ლე-ბურღუ** სათიბები, ლენტეხი-გვიმბრალა.

**ლე-ბურღუ** საბალახო, ლენტეხი-მაზაში.

**ლე-ბურიღუ** საბალახო, მესტია-ვედი.

**შეშგილ** ბზ., **შიშგილ** ბქ., **შიშგილ** ლნტ. „დანძილი“

**ლე-შიშგილ-ა** სამოვარი, მესტია-ვედი, წირმინდი; ტყე, მესტია-ქვედა ვედი. სამოვარი, მესტია-ყარი.

**გუიმრა, გუიმზრა** ბზ., **გუიმორ** ბქ., **გუიმრა, გურიმზ** ქს. „გვიმრა“

**ლე-გუმერ-ა** სათიბი, მესტია-ფხოტრერი, მესტია-ვედი.

**ლე-გუმერ-ი** საბალახო, მესტია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ადგილის სახელწოდებებისა, **ლე-** პრეფიქსიანი ტოპონიმთა ფუძეში გვხვდება ბოტანიკური ტერმინები: **ურდელ** „გრძელდეროიანი მხალი“, **მელჯა** „მაჩიტა“ **ჩიჩულა** „დიცი“, **ჭყერუ** „ღვია“, **ბზრდ** „სურო“ და ა. შ.

ზემოთ განხილული გეოგრაფიული სახელები ჩვეულებრივ მონაწილეობენ რთულ ტოპონიმებში, ძირითადად მსაზღვრელის პოზიციაზე. მათ ხშირ შემთხვევაში ახლავთ საზღვრული-ინდიკატორი მაგ.:

**ლე-ბურღუი-ი დელა** „ბურეიანი დელე“, **ლენტეხი-მაზაში**.

**ლე-განჭუი მოლ** „ანწლიანი მინდორი“ სამოვარი, **ლენტეხი-წიფლაკაკია**.

**ლე-გგიბ-იშ ტუბ** „ფიჭვნარის ჭალა“, ხევი მესტია-უსგვირი.

**ლე-გუმერ-ი(შ) ზაგარ** „გვიმრნარის გორა“, სერი, მესტია.

**ლე-თეერ ნაკ** „ბოკვნარი ვაკობი“ მესტია-ქედანი.

**ლე-კვერ ღარ** „კაკლიანი ღარი“ სამოვარი, მესტია-ჭერი.

**ლე-ჟუტარ ნაკ** „არყნარი ვაკე“, სამოვარ-სათიბი, მესტია-ზესხო.

**ლე-შიშგილშ ჭყობ** „ლანძილიანი ჭანჭრობი“, გზა, მესტია-ვედი.

**ლე-წყერ-იშ შუკუ** „წიფლნარის გზა“ გზა, მესტია-ვედი.

დადასტურდა ასეთი სახელიც **ლე-წყ-არ-შ ლე-გგიბ** „წიფლნარის ფიჭვნარი“ ტყე, მესტია-კაერი.

საზღვრულ-ინდიკატორებად ძირითადად გვაქვს შემდეგი სიტყვები: **მოლ** მინდორი“, **ტუბ** „ხევი, ჭალა“, **ზაგარ** „გორა“, **ნაკ** „ვაკე“, **შუკუ** „გზა“ და ა. შ.

**ლე-** პრეფიქსიანი სახელი გვხვდება როგორც ატრიბუტულ, ისე გენეტიურ მსაზღვრელად. უფრო კი ამ უკანასკნელის სახით. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხან სრული სახით არის წარმოდგენილი, ხან კი – მხოლოდ ხმოვნითი ნაწილით. მაგ.: **ლე-ბელყარ-შ ბოგ** „თხმელნარის ხიდი“, **ლე-გგიბ-იშ ზაგარ** „ფიჭვნარის გორაკი“.

ფონეტიკურ ცვლილებათაგან ყველაზე ხშირად ფუძის შიგნით ხმოვნის რედუქციასთან გვაქვს საქმე. მაგ.: **ხანგ** → **ლე-გგ-ერ-ა, წიფრა** → **ლე-წყ-ერ, გუიმრა** → **ლე-გუმ-ერ** → **ღუმირ** → **ლე-ღუმ-ერ** და ა. შ.

სიტყვის ბოლოს ხშირად ერთვის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებად წოდებული **-ა** სუფიქსი, რომლის ამ ფუნქციით გამოყენება ახასიათებს, ზოგადად, ქართველურ გეოგრაფიულ სახელებს. კერძოდ, „ეს სუფიქსი შეიძლება დაერთოს ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს, რომელსაც ამ გზით გამოყოფს, გამიჯნავს საზოგადო სახელთა სისტემისაგან და აქცევს საკუთარ სახელად – ტოპონიმად (მაკალათია 1987: 110). მაგ.: **ლე-ჟღუარ-ა, ლე-შიშგილ-ა, ლე-ცხკ-ერ-ა, ლე-წყერ-ა** და ა. შ.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **ლე**-პრეფიქსიანი ტოპონიმი კნინობითის სუფიქსით მთავრდება: **ლე-გუმერ-ილ**, **ლე-მერხელ-ილ**, **ლე-შგუბ-ერ-ილ** და ა. შ.

მიკროტოპონიმის ფუძის შიგნით გამოიყოფა სუფიქსები **-ერ**, **-იერ**, **-წრ** ან მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი **-რ**. ისინი ხშირად ბოლოვდება მრავლობითის აღმნიშვნელი **-წლ**... სუფიქსით. **ლე-გგებ-რ-წლ** ← **ლე-გგებ-არ-წლ**

ზემოთ ჩამოთვლილ საილუსტრაციო მასალაში **ლე**-პრეფიქსი (ზოგჯერ თანმხლები სუფიქსებითურთ) „სვანურ ლექსიკონში“ წარმოდგენილ ერთ-ერთ განმარტების (ერთგვარ მცენარეთა გავრცელების ადგილის აღმნიშვნელი) შესაბამისია.

თუ მეგრულში **ლე** – **ე** პრეფიქს-სუფიქს შორის მოქცეულ ფუძეში ანთროპონიმი უნდა ვეძებოთ (იხ. ცხადაია 1985: 150), სვანურში იმავე პოზიციაში ბოტანიკური ტერმინი დასტურდება, თუმცა მეგრულში გვხვდება გამონაკლისები (**ლე-ფშალ-ე**, **ლე-გვიმარ-ე**), რომელთაც პ. ცხადაია შემთხვევით ფორმებად ან გარდასული წარმოების ნაშთად მიიჩნევს (იქვე).

სვანურშიც გვხვდება **ლე**-პრეფიქსიანი სახელები, სადაც გამონაკლისის სახით ფუძეში ანთროპონიმია:

**ლე-დეუდრიან-ი** „დევდარიანების“, ტყე, მესტია-ჭოლაში.

**ლე-კუასდიან** „საკვასდიანო“, სოფლის უბანი, ლენტეხი-მუწვიდში.

**ლე-დავით** „დავითისა“ ყანა, ლენტეხი-სასაში.

**ლე-კეისარ** „კეისრისა“, ყანა, მესტია-წვირში.

**ლე-ჯგგრწგ** „წმინდა გიორგისა“, სათიბის სახელწოდება რამდენიმე ადგილას: მესტია/ცალერი, ლახამულა, შგედი და სხვ.

**ლე-ბაბ-ი** „მღვდლისა“ ყანა, ლენტეხი-წანაში.

**ლე-მცხუწრ-ი** „მაცხოვრისა“, ყანები, ლენტეხი-ჩოლური.

**ლე** – **ე** ხშირად მორფოლოგიური ექვივალენტია ქართული **-იან** სუფიქსისა:

**ლე-გრეუ** „ქვიანი“ (**გორეუ** „ქვის გროვა“), სამოვარი, ფერდობი, მესტია-ლახამულა, ხაიში, წირმინდი...

**ლე-მელ** „ბალახიანი“, სამოვარი მთა ალპურ ზონაში, მესტია-ბაგვდანარი.

დასასრულ, თუ სვანურ **ლე** – **ე** აფიქსებიანი მიკროტოპონიმები აღნიშნავს ისეთ ადგილებს, სადაც თავმოყრილია, მრავლად ხარობს ესა თუ ის მცენარე (ე. ი. კრებითობაა გადმოცემული), მეგრულში ამგვარად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მოსახლეობის, გვარის, ტომის სიმრავლე-კრებითობას გადმოსცემენ.

არანაკლებ საინტერესოა **ლა**- (თანმხლები სუფიქსებითურთ) პრეფიქსიანი სახელთა გავრცელებულობა და დანიშნულება სვანურ ტოპონიმიაში, რომელთა კვლევა მომდევნო ეტაპისთვის არის განზრახული.

## ლიტერატურა

- თოფურია 1967** – ვ. თოფურია, სვანური ენა I. ზმნა, თბილისი.
- თოფურია 1979** – ვ. თოფურია, **ნე-**, **ნი-**, **ნა-** პრეფიქსებისათვის, შრომები, III, თბილისი.
- თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.
- მაკალათია 1987** – ფ. მაკალათია, ა- სუფიქსის მასშტაბანტივებელ-მა-ტოპონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში, ონომასტიკა, ტ. I, თბილისი.
- ცხადაია 1976** – პ. ცხადაია, ლე-ე, სა-||სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში, ტოპონიმოლოგია I, თბილისი.
- ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბილისი.
- ჭკადუა 1987** – ა. ჭკადუა, ტოპონიმოლოგიურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები, ონომასტიკა, ტ. I, თბილისი.

ROENA CHKADUA

## The Derivation of Micro-toponyms Containing Geobotanical Terms in Svan

### S u m m a r y

In Svan toponymy, in the derivation of words the bases of which contain geobotanical terms the prefix **le-** or the confix **le-** – **-e/-i** are attested. The said formative has an appellative function as well and is called the prefix of purpose.

In Svan the words prefixed with **le-** (with accompanying suffixes) denote a place where the plants of the same variety are spread and emphasize what plant variety grows or grew on this territory.

The words prefixed with **le-** are attested both as separate micro-toponyms and as a modifier in a compound toponym.

The suffixes **-er**, **-ier**, **-ār**, etc. can be distinguished in the composition of toponyms. The word often ends with the nominalizing suffix **-a**. In general, the prefix **le-** (with accompanying suffixes) expresses collectiveness in geographical names.

ნინო ხახიაშვილი

**სრბა სიტყვის სემანტიკისათვის**

ძველი ქართული ენის ლექსიკონების მიხედვით **სრბა (სრბოლა)** არის:

„**სრბა** მსვლელობა, სვლა, სირბილი: „ცუდად **ვრბიოდი** ანუ **ვრბი**“ **გალ. 2,2**; „მაშინ **სრბით** მოვიდა სიმონ-პეტრესა“ **C.** – „**რბიოდა** და მოვიდა სიმონ-პეტრესა“ **DE, o. 20,2...**“ „**სრბა** მსვლელობა, სირბილი: „არა მალე არს **სრბაი**“ **O, ეკლ. 9,11**; ... „არა მოაკლო მორბედმან **სრბისაგან თვისისა**“ **I იერემ. 8,6**; „აქუს მას **სრბაი** კამარის მსგავსსა მას კარავსა ცისასა“ **O, I ეზრა 4,34**; „**სრბით** მიეგებვოდა“ **C. ლ. 15,20**... იხ. თანა-წარსრბა, მალე(დ)მსრბოლი, მსრბოლი, წინა-სრბა“. „**სრბოლა** იხ. სრბა; შდრ. მალე(დ)მსრბოლი“... (აბულაძე 1973).

„**სრბა** (+ 2 მეფ. 18, 22) სირბილი... ნ. სასრბო, სლვა“ [**სასრბო** სარბიელი]...“ „**სლვა** სიარულიცა მრავალ-სახელ არიან, რამეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფიან: ნებიერად კაცთ(ა) სლვასა უკმობენ **ვიდოდასა** და **სლვასა**, ეგრეთვე ნავთასა; ხოლო ჭმუნვათა განმაქარვებელად წალკოტთა ანუ მიწდორთა მიმოვლასა – **მოთხვასა** და **იმოთხვიდასა**, რომელსა მსოფლიონი **სე-ერნობას(ა)** უკმობენ; ჩქარა სლვასა – **გვალე**; ზოგად მრავალთაგან სლვასა – **ტრვა და ტარება**; **მალიადობასა** – **სრბა**; შეშინებულის(ა) მიერ სრბასა – **ლტოლვა**; მაღლად კისკასად რეცა შეფერენასა – **ხლდომა**; უსაქმოდ ცუდად სიარულსა **ტანტალი**...“ (სულხან-საბა II, 1993); „**მალი** სწრაფად მორბედი...“ (სულხან-საბა I, 1991).<sup>1</sup>

ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან „მსვლელობა, სვლა, სირბილთან“ ერთად თავს იჩენს ახალი, განსხვავებული მნიშვნელობა: „ცხოვრება, ქვეყნიერობა; განგრძობა სიცოცხლისა“:

დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი:

„**სრბა, სრბოლა** სირბილი; ცხოვრება, ქვეყნიერობა; бегъ, бегание; течение жизни... I ქართლ., 263; მარტ. 2-143; **სრბა საქმისა** течение, производство дела, დარეჯ. ... **გაგიქციევი** бежать. **რება** სიარული; **რებული** მოარული, მოსიარულე, მავალი; **ნაარები**...“ (დ. ჩუბინაშვილი 1984).

დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი:

„**სრბა, სრბოლა** „სირბილი; ცხოვრება, ქვეყნიერობა; бегъ, бегание; течение; жизнь... curs, marche; la vie ... **სრბა საქმისა** течение дела, curs des affaires...“ (დ. ჩუბინაშვილი 1840).

<sup>1</sup> **მალიადობა** სულხან-საბას ლექსიკონში არ არის განმარტებული, არის **მალ**: „მსწრაფლსავით ნ. **მალი**... **მალიად** 48, 16 იერემ.“ ... (სულხან-საბა I, 1991).

დაახლოებით ასევეა ნიკო ჩუბინაშვილთანაც:

„**სრბა** სირბილი (ნახე რბენა და სიარული) (ფსალმ. 18,5) – ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლისა (საქმ. 13,25 და 20,24)...“ (ნ. ჩუბინაშვილი 1961).

მოგვეყვას ილუსტრაციები საქმე მოციქულთაგან, სადაც ნიკო ჩუბინაშვილის მიერ **სრბა** „ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლის“ მნიშვნელობითაა დამოწმებული: „ვითარცა **აღასრულებდა იოჰანე სრბასა თვსსა**, იტყოდა: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, არამედ ესერა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა-იგი ვერ ღირს ვარ განჯსნად ჯამლის საბელთა მისთა“ (საქმე მოციქულთა 13, 25); „გარნა რამეთუ სული წმიდაა ქალაქად-ქალაქად მიწამებს მე და მეტყვს, რამეთუ კრულებანი და ჭირნი მელიან მე. არამედ არა უფროდს პატივოსანად შემირაცხიეს სულისა ჩემისა თავი ჩემი, ვითარცა არა **ადვასრულე სრბად ჩემი** და მსახურებად ჩემი, რომელი მოვიღე უფლისაგან იესუ ქრისტესა წამებად სახარებად იგი მადლისა ღმრთისა...“ (საქმე მოციქულთა 20, 23-24).<sup>1</sup>

ვფიქრობთ, ჩუბინაშვილები საღვთისმეტყველო განმარტებებიდან ამოდიოდნენ, შდრ.:

„**საქმე მოციქულთა 13:25**: ვითარცა **აღასრულებდა იოჰანე სრბასა თვსსა**, იტყოდა: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, არამედ ესერა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა-იგი არა ვარ ღირს განჯსნად ჯამლთა ფერჯთა მისთასა (შდრ.: იოჰანე 13:20; 3:28). **თარგმანი**: ესე სიტყუანი პირველ ქრისტეს ნათლისღებად მოსლვისა თქუნა იოჰანე, რამეთუ **მახლობელცა იყო ჟამი-იგი აღსასრულსა სრბისა მისისა**, რამეთუ შემდგომად ქრისტეს ნათლის-ცემისა მცირედილა ჟამი წარჯდა ვიდრე თავის კუეთადმდე იოჰანესსა...“ (რჯული ქრისტესი 2017).

იქვე:

„**ტიმოთეს მიმართ II ეპისტოლე 4:7-8**: „ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, **სრბად აღმისრულებიეს**, სარწმუნოებად დამიმარხავს; ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა გვრგვნი, რომელი მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა მართალმან მან მსაჯულმან“... **თარგმანი**: ყოველივე ქრისტესსთვს თავ-დებული ღუაწლი კეთილად არს, გინათუ მოღუაწებითა მოკუდინებად იყოს ჯორცთად ანუ თუ წამებითა **განსლვად საწუთრომსაგან**, ხოლო ესე კეთილთა უკეთეს არს, რაჟამს დაწყებასა კეთილსა შეუდგეს აღსასრულიცა კეთილი... არა თუ სიქადულით იტყვს, – ნუ იყოფინ! არამედ მიცვალებისა მისისა. მრავალმტკივნეულსა მას გულსა ტიმოთესსა ნუგეშინის-სცემს ვითარმედ: ნუ მწუხარე ხარ ჩემისა **ჯორცთაგან განსლვისათვს**, არამედ გიხაროდენ რამეთუ ქრისტესსთვს წამებითა აღსასრული მოსაგებელთა მათ საუკუნეთა ბჭე მექმნების შემყვანებლად. სადა იგი მომეცეს გვრგვნი არაცუდად...“ (რჯული ქრისტესი 2017).

ასევე შეიძლება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გავიხსენოთ [სადაც სწორედ პავლე მოციქულის ეს სიტყვებია მოხმობილი]: „ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან-უთქუა **განსლვად ხორცთაგან** და ღმრთისა მი-

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ილ. აბულაძე ამავე ადგილს იმოწმებს **სვლა** მნიშვნელობით: შდრ.: „**სრბა** მსველეობა, სირბილი: „ვითარცა აღასრულებდა იოჰანე სრბასა თვსსა“ **საქ. მოც. 13, 25...** (აბულაძე 1973).

სლვად, და აუწყა უფალმან აღსრულებად ნებისა მისისაჲ...“ მოწაფეებმა უთხრეს მამა გრიგოლს: „სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა, **რამეთუ შენ, მსგავსად პავლეს მართლისა, ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებიეს, სრბამ აღგისრულებიეს**, სარწმუნოებამ დაგიმარხავს, საქმიტა კეთილიტა განსრულებული...“ – რაზეც წმიდა მამა პასუხობს: – „მომიხსენეთ მარადის ლოცვითა და ჟამისწირვითა სიკუდილით უცხოქმნული თქუენგან, იხილოთ რად ადგილი **მწირობისა ამის მკვიდრობისა ჩემისაჲ**, რამეთუ აჰა ესერა ვიდრე ჟამადმდე კუალადწოდებისა ხორცნი ჩემნი მიიქცევიან მიწად, ხოლო სული ჩემი შეიწყნაროს უფალმან“.

ცნობილია, რომ ბიბლიურ ტექსტებში **სვლა** სემანტიკის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითად („მოძრაობა – სიარულის“) მნიშვნელობასთან ერთად, აღნიშნავს „**ცხოვრებას**“, „**ცხოვრების წესს**“, „**ყოფა-ქცევას**“, „**საქციელს**“. როგორც კორნელი დანელია შენიშნავს, ეს განპირობებულია თარგმანის გავლენით: „ბერძნული peripateo ზმნა ძირითად (**მოძრაობა–სიარულის**) მნიშვნელობასთან ერთად ებრაულის გავლენით სეპტუაგინტაში (მერმე ახალ აღთქმაშიც) აღნიშნავს „ცხოვრებას, საქციელს, ყოფა-ქცევას...“ (დანელია 1998 : 72).

ამის ნიმუშებად [მაგალითებად] შეიძლება აგრეთვე დავიმოწმოთ ზემოთმოყვანილი ილუსტრაციები: „**დაასრულა სრბამ თვისი**“ I 98,4... „**აღასრულა სრბამ ღუაწლისა** თვისისაჲ“ I 98, 4... „დადგრომილ იყვნეს ქუაბსა მას შინა მცირესა **კეთილსა სრბასა და საღმრთოსა** მოსაგრენი“ 183, 9... „ოდეს-იგი **იყო სრბასა მას მოღუაწებისასა**“ IV 405, 20... „**რბიოდა უცონელად [დაუზარელად] სარბიელსა მას მოღუაწებისასა**“ III 212, 13...; [ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი].

აგრეთვე, „**გზასა მცნებათა შენთასა ვრბიოდე**“ ფსალ. 118,32... (მზ. შანიძე 2010). [შდრ.: „**არღარა სიყუარულით ჰხუალ**“ (ჰრომ. 14, 15...); „**კაცად-კაცადი, ვითარცა იბინა ღმერთმან, ეგრეცა ვიდოდენ**“... I კორ. 7, 17; იხ. II კორ. 10, 2; 12,18; გალ. 5, 16... „და ქალაქები იგი სოდომელთა და გომორელთა დაწუა და დააქცია და დასაჯა და სახედ მერმეთა მათ უღმრთოთა დადვა; 2.7. და მართალი ლოთ დაწუნებული უსჯულოთა მათ **სიბილწითა მავალთაგან** იქსნა“... (II პეტრე, 2, 6-7)].

**სრბა** სიტყვის ეს მნიშვნელობები დადასტურებულია ასევე სინური მრავალთავის ტექსტის ივ. იმნაიშვილისეულ გამოკვლევა-ლექსიკონში:

„1. **სირბილი**: „ვითარცა მკეცნი მძუნვარენი რბიოდეს **273, 23**; მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფე მისი **272, 6**; 2. **მიმდინარეობა, სწრაფვა, ჩქარი სიარული, მოძრაობა**: ...32, 34; 3. **ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე**: ხოლო შენ, კაცო,.. **სულისა შენისათვის ჰრბი** 48,16; **რბიოდეთ კეთილად** 176, 19; უთხრეს იესუს, **ვითარ-იგი აღასრულა იოვანე სრბამ თვისი** 212, 22...“ (იმნაიშვილი 1975). აქ [ამ ილუსტრაციებში] უფრო გამოკვეთილია და ნათლად ჩანს განსხვავებული მნიშვნელობები: „ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე“.

კონტექსტის მიხედვით, **სრბა** შეიძლება ასეთი მნიშვნელობებითაც შეგვხვდეს:



**თანა-წარსრბა** ავლა: „**თანა-წარსრბით** ვთქუათ“ **მრთ. D. კ. იერ.-აღდგ. 122.**; **წინა-სრბა** შეთვალემა: „დღენი იყენეს დღენი ზაფხულისანი, **წინა-სრბა-ნი ყურმნისანი**“ **G. რიგბ. 13,21.**

**მალე(დ)მსრბოლი** „დიაკვანი“, მიკრიკი, მოციქული... (აბულაძე 1973).<sup>1</sup>

**თანა-სრბა** „ერთად სირბილი; სვლა; ვინმესთან ერთად მონაწილეობა: უკვრს არა **თანა-სრბამ** თქუენი მასვე არაწმიდებისა აღრევასა. **I პეტ. 4,4**“ (ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009).

**წინწარსრბა** წინ გაქცევა; გასწრება... **მსრბემ** მორბენალი... (სარჯველაძე 1995).

ზემომოყვანილი განმარტებების მიხედვით **სრბა** სიტყვის ძირითადი მნიშვნელობებია: 1. სვლა, მოძრაობა, მიმდინარეობა (დენა), მსვლელობა; 2. სწრაფვა, ჩქარი სიარული, სირბილი; და 3. გადატ. ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე.

სემანტიკურად **სრბა** სიტყვას სავარაუდოდ ასეთი გზა უნდა გაეკლო: 1. **სრბა** = **რება** „სიარული“, მოძრაობა<sup>2</sup> > 2. სწრაფვა, – სწრაფი, ჩქარი მოძრაობა: სიარული, მდინარეობა (არა მხოლოდ სულიერთა, არამედ უსულოთაც: **სრბამ მზისა**: „დაესრულების **სრბამ მზისა** 464, 22...“ (მზ. შანიძე 2010). **დრო-ჟამის სრბოლა** ...<sup>3</sup> > „**სრბოლა**“, სირბილი; 3. გადატ. ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე:<sup>4</sup> **სრბას ადასრულებს** სიცოცხლეს, მოღვაწეობას, საქმეს... ადასრულებს, დაასრულებს.

მეხუთე საუკუნისათვის, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ბიბლიური წიგნები და ქართველი აგიოგრაფები მათ (ამ წიგნთა) ძველ ქართულ თარგმანებს იმოწმებენ თავის ორიგინალურ თხზულებებში. საგულისხმოა, რომ თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლთა ენა სტრუქტურულად არსებითად ერთია, მთლიანია. ქრისტიანული აზროვნება ქართველი კაცის, ქართველი ერის აზროვნების, ცხოვრების წესი გახდა, რაც აისახა ქართულ ლექსიკაშიც, სიტყვაში.

**სრბა** სიტყვაში, შესაძლოა, გამოიყოს **რ-** ძირი, რომელიც საერთოა არსებობისა (ა-რ-ს) და მოძრაობა-სიარულის (ი-ა-რ-ებ-ის) აღმნიშვნელი ლექსიკისათვის. როგორც ცნობილია, „არსებობის“ სემანტიკური ველის ზმნათათვის, ნიშანდობლივია ქონა-ყოლის ზმნებად ტრანსფორმაციის უნარი“... (არაბული 2001).

კარგადაა ცნობილი, რომ ყოფნა ზმნის III პირის ფორმისგან (**არ-ს**) ნაწარმოებია **არსი** (**არსება**, **არსებობა**), რომელიც ძველ ქართულშივე იქცა არსებით სახელად.

<sup>1</sup> „**მალე** ჩქარი, მსუბუქი, სწრაფი: „ვიდოდინან მოციქულნი **მალენი**“ **I ეს. 18.2**... „**მალე** არს ქარი, ხოლო გულის-სიტყუანი კაცისანი **უმალეს** მისა არიან“ **მამ. სწ. 309.5**... „**მალედ რბის მზის-თული**“ **O. I ეზრა 4.34**...“ (აბულაძე 1973). შდრ.: „**რბის მზე** ვერძა ზედა“ 463, 34,35.

<sup>2</sup> შდრ. ქეგლ: „**რება** ძვ. სახელი **რებს** ზმნის მოქმედებისა, – სიარული, სვლა... **რებ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) იგივება, რაც დადის. [სიყვარულო!] შენგან ბრძენი ხელად რებდეს (ა. ჭავჭავ.)...“ (ქეგლ VI, 1960).

<sup>3</sup> თავდაპირველად წელთაღრიცხვა და დანაწილება მთვარის მოქცევასა და სრბაზე იყო დამყარებული (ივ. ჯავახ.)... (ქეგლ VI, 1960).

<sup>4</sup> **სვლა** სიტყვიდან [და ამავე მნიშვნელობიდან] გამომდინარე.

**არსი, არსება, „მყოფი“** – უძველესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინებია, რომელთაც განიცადეს ტრანსფორმაცია ანტიკური ფილოსოფიიდან ქრისტიანულ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში. ისინი აღნიშნავენ ყოველივე არსებულს: ზეციური სამყაროდან – ზეციურ ქმნილებათაგან („ზე არსნი“) დაწყებული, ამქვეყნიური, „მიწიერი“ სამყაროთი და ქვესკნელის ბინადართა ჩათვლით (როგორც სულიერს, ისე – უსულოს). ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სწავლებით, ადამიანის არსი, – სხვათა შორის (გონიერება, მეტყველება), – არის „საცნაურობა“ (აქედან: **მეცნიერი** „მეცნავი“, „მიწ[უ]დომილი“, „ბრძენი“, „მცნობელი“...); საღვთისმეტყველო, ქრისტიანული სწავლებითაც „საცნაურობა“, ე. ი. შემეცნება გარესამყაროსი და, შესაბამისად, საკუთარი თავისა, ადამიანის ყოფიერების საზრისს წარმოადგენს: ეს არის ამქვეყნიური „წუთისოფლიდან“ მარადიულობაში გადასვლისათვის, „გარდაცვალებისათვის“ მზადება. ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის **მწირობა, მსხემობა** – გზა შინისაკენ, ზეციურ სამშობლოში დასაბრუნებლად; მზადება „აღსრულებისათვის“, „წუთისოფლიდან“ მარადიულობაში გადასვლისათვის“...

ეს ფილოსოფიური ცოდნა ლექსიკაში მყარადაა დაფუძნებული, შენახული: წუთისოფელი, სამზეო, გარდაცვალება, მარადისობა... ხოლო კაცი – წუთისოფლის სტუმარი, მგზავრი, მსხემი... ამქვეყნიურ მგზავრობაში, „საწუთოს სოფელში მცხოვრებთ“, ვალი აქვთ აღსასრულებელი: „სიკუდილო... თანამდები ხარ უწყალო, რომელი არა ვის მიუტევე, და მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარდაიხადები“ (მ. სწ. 220, 3). ეს ცოდნა, მსოფლხედვა ასახულია ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც, ხატოვან გამონათქვამებში (იდიომებში): **მზეზე სიარული** „სიცოცხლე, არსებობა“; **სულის გასვლა // აღსრულება // განსლვა // ამიერ სოფლით [გაღმა სოფლით გაბიჯება]** „გარდაცვალება“... და სხვ., – ეს ყოველივე გაცნობიერებული სამყაროს ანარეკლია.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**არაბული 2001** – ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთ-ქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

**დანელია 1998** – ვ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან I, თბილისი.

**იმნაიშვილი 1975** – ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი. თბილისი.

**რჯული ქრისტესი** – წმინდა წერილიდან გამოკრებილი საკითხავები, რჯული ქრისტესი, წიგნი I, ნათლისღება. თბილისი 2017.

**სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი. შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, რედაქტორი ლელი ბარამიძე, თბილისი.

**სარჯველადე 1995** – ზურაბ სარჯველადე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**საქმე მოციქულთა 1950** – საქმე მოციქულთა, ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის ძეგლები 7. თბილისი.

**სულხან-საბა I, 1991** – სულხან-საბა I, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

**სულხან-საბა II, 1993** – სულხან-საბა II, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი.

**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი 2014** – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი III (ს-ყ), ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველადისა და მზექალა შანიძის რედაქციით. თბილისი.

**ქეგლ VI, 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, რვატომეული (1950-1964), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**შანიძე 2010** – მზექალა შანიძე, ქართული ფსალმუნის სიმფონია. მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმიდისლეული რედაქციის სიმფონია. თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1840** – ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, სანკტ-პეტერბურგი [ელექტრონული ვერსია].

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

### On the Semantics of the Word *srba*

#### S u m m a r y

The main meanings of the word *srba* is 1. to move, to flow, to pass; 2. to hurry, to walk fast, to run; 3. work, life, to live (figuratively).

It is supposed that this word semantically went through this way: 1. *srba=reba* “to walk”, to move > 2. to hurry, to move fast: to walk, to flow (not only for animates but also for inanimates: *srba=Მzisa* “moving of the sun”; *dro-žamis srbola* “the flow of time” > *srbola*, *sirbili* “to run”); 3. figur. life/work (based on the word *svla* [and the same meaning]), e.g. *srbas ayasrulebs* “He will complete the work/life”.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

### ფიტონიმთა ერთი წყების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში

გამჭვირვალე მოტივაციის მქონე ფიტონიმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მცენარეთა სახელდებისას ძირითადად ამოსავალია აღსანიშნი მცენარის დომინანტური ნიშან-თვისება, რაც ენობრივად **თვისების, კუთვნილება-მქონებლობის** გამოხატვით აისახება.

ეტიმოლოგიური კვლევების შედეგად აღდგენილ ძირთა სემანტიკაც ადასტურებს, რომ უძველესი წარმოშობის მცენარეთა სახელთათვისაც ძირითადად სწორედ მცენარის დომინანტური ნიშან-თვისებაა ამოსავალი. ამ თვალსაზრისით იკვეთება ნაყოფის ნიშან-თვისებების მიხედვით სახელდება, რომელიც უძველესი და უმთავრესი ჩანს და დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მიერ მცენარეთა გამოყენებით დახასიათებასთან.

ქართველურ ენა-კილოებში ხელშესახებია მცენარის ოდენ ნაყოფის ნიშან-თვისებებით მოტივირებული ფიტონიმები. მათი რიცხვი მცირე არ არის, თუმცა მეტიც ივარაუდება, რადგან ხშირად ოდენ ნაყოფის აღმნიშვნელი არაერთი სახელი მოგვიანებით მცენარის ზოგად სახელად გვევლინება და ჩამიების შედეგად შესაძლებელი ხდება სწორედ მცენარის ნაყოფის ნიშან-თვისებებით მოტივირებული ფიტონიმის ამოცნობა.

საზოგადოდ, ვფიქრობთ, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ნაყოფის აღმნიშვნელ სახელებზე დაყრდნობით მცენარეთა ზოგადი სახელების შექმნის გზები და ხერხები ქართველურ ენებში. ამ მხრივ გამორჩეული ღირებულებისაა ხემცენარეთა (ზოგიერთ ბუჩქოვანთა) ენდემური სახეობების სახელები, რადგან წარმოშობით სწორედ ეს მასალაა უძველესი.

გასათვალისწინებელია სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი დაკვირვება: ადიღურ ენაში არაერთი ხემცენარის სახელი იწარმოება მისი ნაყოფის აღმნიშვნელ სახელზე დაყრდნობით: 1. სპეციალური სუფიქს -**აჰ**-ს დართვით; 2. „ხე“ სიტყვის დამატებით; 3. ერთდროულად ორივე ხერხით. ამავე დროს, ხშირად კულტურული ხემცენარეების სახელები იწარმოება ველური სახეობების ნაყოფთა სახელებზე -**ჟარგს** ელემენტის დართვით, რომელიც ყაბარდოულში ცალკე სიტყვად დასტურდება მნიშვნელობით – „კულტურული მცენარე“, ხოლო ადიღურში დღეს ცალკე არ გვხვდება. **ჟარგს** – ს განიხილავენ, როგორც კომპოზიტს სემანტიკით – „ხელით თესვა“ (იაკოვლევი, აშხამაფი 1941: 225; შენგელია 1975: 124, 126).

აფხაზურში შენიშნულია, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით ხეთა სახელებში ძირითადად 2 მოდელი გამოიყოფა: 1. გაუფორმებელი ფუძე; 2. ფუძეს დართული სახელი **აწლა** „ხე“. ამასთან, **აწლა**-ს დაირთავს უპირატესად ნაყოფის მომცემი ხემცენარეები (მაგ.: **აზაციწლა** „ზღმარტლის ხე“, **ამყიაწლა** „თუთის ხე“...). „შესაძლოა **აწლა** „ხე“ სიტყვის დართვა-დაურთველობა ენამ გამოიყენა იმისთვის, რომ ერთიმეორისაგან გაერჩია ხე და ნაყოფი, ანუ აღნიშნულ მოვლენას მიანიჭა განმასხვავებელი ფუნქცია“ (მაჭავარიანი 2003: 241-245).

წარმოდგენილი ნიმუშებით ნათელია, რომ, საზოგადოდ, ხის სახელი მეორეული წარმოშობისაა – მისი ნაყოფის სახელისგან მიღებული. ამასთან, აფხაზურმა მხოლოდ გასარჩევად კი არ გამოიყენა „ხის“ აღმნიშვნელი სიტყვის დართვა-დაურთველობა, არამედ ამ გზით **განსაზღვრა**, დააზუსტა ხის სახელწოდება სწორედ მისი ნაყოფის მიხედვით.

ქართველურ ენებშიც იკვეთება ხელშესახები მასალა, შდრ.: ქართ. **კაკალი**, **ვაშლი**, **მსხალი** („ნაყოფი“) და **კაკლის ხე**, **ვაშლის ხე**, **მსხლის ხე**; მეგრ. **ჯაბი ჯაპკაკალი** „თუთა“ და **ჯაბიმ ჯა** „თუთის ხე“; ქართ. **წიფი** „წიფლის ნაყოფი“ და **წიფ-ელ-ი** - „წიფლის ხე“; სვან. **გაკ-/კაკ-** „კაკალი“ და **გაკ-რა** „კაკლის ხე“.

მცენარეთა ამ რიგის სახელებში განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება სპეციალურ სუფიქსთა გამოცალკევება და მათი კვალიფიკაცია. ყურადღებას იპყრობს აღნიშნული ადიდეურ-ყაბარდოული **-აძ** სუფიქსი. „ხეთა ბევრი სახელწოდება ადიდეურ ენაში იწარმოება შესაბამისი ნაყოფის სახელწოდებებისგან **-აძ** სუფიქსის საშუალებით (მაგ., **აძ** „კაკალი“ – **აძაძ** „კაკლის ხე“, **აძე** „მაჟალო“ – **აძაძე** „მაჟალოს ხე“ და სხვ.)... ხეთა სახელებში ეს სუფიქსი უფრო გავრცელებულია ყაბარდოულ ენაში, ვიდრე ადიდეურში“ (შენგელია 1975; შენგელია 2006: 134-141).

სპეციალურ ლიტერატურაში ეს **-აძ** სუფიქსი ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია **კუთვინილ-ეხით** **-აძე** აფიქსთან, რომელიც გამოიყენება ზოგიერთ ტომთა, ხალხთა და ამ ხალხებით დასახლებულ ქვეყანათა სახელების საწარმოებლად (იაკოვლევი, აშხამაფი, 1941: 225).

საყურადღებოა, რომ აფხაზურ-აბაზურშიც გამოცალკევდება **-აძ** სუფიქსი (ამჟამად გაქვავებული), რომელიც არსებითი სახელიდან ზედსართავის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო (**თვისების** აღმნიშვნელი). ქ. ლომთათიძე წერს: „შესაძლოა, თვით ესა თუ ის ფუძე **თვისების** აღმნიშვნელი სიტყვისა რთული ბუნების იყოს, შეიცავდეს რაიმე მაწარმოებელ ელემენტსაც... ამ რიგისად გვესახება „კარგის“ აღმნიშვნელი ფუძე აბაზურსა და აფხაზურში... **\*(ა)ზზააა** „კარგი“, „კეთილი“... ეს აღდგენილი **\*(ა)ზზააა** სახეობა, თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს **\*(ა)ზზა** სახელს, რაც „ცოცხალს“ ნიშნავს. „ცოცხლის“ გაგება გარკვეულ კონტექსტებში „კეთილის“ გაგებასაც არ გამორიცხავს... ამ **ზზა** ფუძეზე ამჟამად გაქვავებული **-აძ** სიტყვაწარმოებითი სუფიქსის დართვით უნდა იყოს წარმოქმნილი **\*(ა)ზზააა-(ა)ზზააა** „კეთილი“ (ეტიმოლოგიურად: „ცოცხლისა“, „ცოცხალადი“ – „ცოცხალი“, „კარგი“)... არ არის გამორიცხული ნასუ-

ფიქსარი -**აა** შეზღუდული სახით გვხვდებოდეს ზოგ სხვა ამდაგვარ ფუძემდებ“ (ლომთათიძე 1983: 433-435; ხაზი ჩვენია – ნ. ხ.).

ვფიქრობთ, ხეთა ადიდეურ-ყაბარდოულ სახელებში გამოცალკეებული -**აა** სუფქსი და აფხაზურ-აბაზური გაქვავებული სიტყვაწარმოებითი -**აა** ელემენტი საერთო ფუნქციისაა – მცენარის ამა თუ იმ **ნიშან-თვისების მქონებლობის** აღმნიშვნელი.

მცენარეთა სახელებში სპეციალურ სუფიქსთა გამოცალკეების თვალსაზრისით საინტერესოა სვანურის ყველა დიალექტში დადასტურებული ხემცენარეთა სახელები, რომლებიც ხშირად ორი ფორმით გვხვდება და -**რა**(/-**ლა**) სუფიქსის გამოცალკეებას გვავარაუდებინებს, (თუმცა საკვლევი მისი ფუნქცია). ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის სვანური ლექსიკონის თანახმად ესენია: **გაკ**, **გაკრა** „კაკალი“, „კაკლის ხე“; **გუიჯ**, **გუიჯრა** „წაბლი“, „წაბლის ხე“; **წიფ**, **წიფრა** „წიწიბო“, „წიფელი (მოჭრამდე და მოჭრის შემდგომ)“; **ცხუიმ**, **ცხუიმრა** „რცხილა“, „რცხილის მორი“; **ზანსუტ**, **ზესხრა** „ცაცხვი“; **თეკერ**, **თეკრა** „ბოკვი“, „ნეკერჩხალი“; **ფებურა/ფებურა** „ქორაფი“, „ნეკერჩხალი“; **ცადრა/ცადრა/ცადრა** „თელა“; **ჯიპრა/ჯიპრა** „მუხა“; **ურხუტ**, **ურხუტლა** „ვერხვი“; **ტახრა** „მამალი ნადვი ან ფიჭვი“, „კავკასიური სოჭი“; **ჰებ**, **ჰებრა** „ბალი“, „ბლის ხე, მორი“; **ჟანტარ**, **ჟანტარა** „არყი“; **ზაგუნდ**, **ზაგურა/ზაგურა** „მდგნალი“; **კერტ**, **ხერხლა** „კანაფი“; **შადრა** „წითელი ხე, ურთხელი“; **ჰადრა/ადრა** „იელი“ (თოფურია, ქალდანი 2000). ამას შეიძლება დაემატოს სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებული სხვა ერთეულები და იგივე ერთეულები განსხვავებული სემანტიკით: **იგბ/უიგბ**, **იგხრა** „მსხალი“, „მსხლის ხე“; **მადრა** „ფიჭვი ან ნადვი“, **ნეზრა** „ფიჭვი“, **კაპრა**<sup>2</sup> „ტყის დაბალი ხე“, **შაპრა** „ერთწლიანი ფართოფოთლებიანი მცენარე, გვხვდება ჭაობიან ადგილებში“ (მარი 1915: 837-838); **ლაჯრა** „ივანი“, **ნეზრა** (მეგრ. **ნუზუ**) „აღმოსავლური ნადვი“<sup>3</sup>, **ცადრა/ცადრა** „თელადუმა“, **ჯაყვარლა** (/ჟაჯვრა, ჟაჯვერ); „არყი, არყის ხე“, **ხაპრა ვისგ** „ჩიტავაშლა“, **თოფრა** „დიდგულა“ (მაყაშვილი, 1961); **ცაცხუტ**, **ცაცხურა** „ცაცხვი“; **ღუმურ**, **ღუმურლა** „ნადვი მოუჭრელი“, „ნადვის მორი“; **გაკრა** „კაკლის ხის მორი, ფიცარი, ტოტი“; **უსგუტ/უსგუტ**, **უსგურა/უსგურა** „ვაშლის ხე, ვაშლის ნაყოფი“, „მოჭრილი ვაშლის ხე“, **ურხუტლა** „არყის ხე მოჭრილი“ (გაზდელიანი, 2001: 37); **ღუმურ**, **ღუმურლა** „ფიჭვი ან ნადვი“, „ფიჭვის ან ნადვის ხე“, **ნეზრა** „დედალი ფიჭვის ან ნადვის ხე“ (ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 201);

**რა**- სუფიქსი მცენარეთა მთელ რიგ სვანურ სახელებში ჯერ კიდევ ნ. მარმა გამოცალკევა და მიუთითა, რომ ის მრავლობითობას, კრებითობას გამოხატავს (მარი 1915: 770, 776, 836-837). შემდგომ მისი გამორჩეულობა აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას, როცა განიხილავს **წიფელ/ჭუბურ/წიფრა** სახელებს და აღნიშნავს: „**რა** მცენარეთა სახელებისათვის არის დამახასიათებელი სვანურში და, მასთანადამე, თავისი ფუნქციით განსხვავდება -ელ/-ურ-ისაგან“

<sup>1</sup> შდრ., **კერტ** (მდედრ. ეგზ.), **ხერხლა** „კანაფი“ (მაყაშვილი 1961).

<sup>2</sup> „თანხვედრა **კაპრა**-სთან **kap-ra** „ნიკაპი“ (მარი, იქვე); შდრ.: **კაპ/კაპ/კაპ** – 1. „ბოძი, საყრდენი; 2. ტყავის გასაჭიმი ჯოხი (თოფურია, ქალდანი 2003).

<sup>3</sup> შდრ. **ნეზხ** „სოჭი“ (თოფურია, ქალდანი 2000).

(ჩიქობავა 1938: 127). ვ. თოფურია -**რა** სუფიქსს **კრებითობის** გამოხატველად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ სვანურში „[ცაცხვის] ადრინდელი ნასესხები სახეც შენახულია, ესაა ზესხ-რა, სადაც -**რა** კრებითობის სუფიქსია (თოფურია 1979: 262). არსებობს -**რა** სუფიქსის განსხვავებული კვალიფიკაციაც – ე. გაზ-დელიანის ვარაუდით, -**რა/-ლა** სუფიქსი გვიჩვენებს ხის რომელ სახეობას მიეკუთვნება მორი, ფიცარი, ტოტი და, საერთოდ, ხისგან დამზადებული საგნები. „... ორი ფორმა ქვემოსვანურ დიალექტში (ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული) მნიშვნელობით განსხვავდება, რაც გვადლევს საშუალებას გამოვეყოთ -**რა**// დისიმილაციით -**ლა** სუფიქსი. აღნიშნული დიფერენციაცია მყარად არის დაცული უფროსი თაობის მეტყველებში (რაც შეეხება ზემოსვანურ დიალექტებს, იქ სხვა ვითარებაა და დამატებით კვლევას მოითხოვს)... -**რა**//**-ლა** ელემენტი სხვა ლექსიკურ მასალაშიც შეიძლება გამოიყოს, მაგ., **ძამრა** – „ტომარა“, შდრ. ქართ. **ძამა** „უხეში ქსოვილი//ტომარა“ (ქეგლ)“ (გაზდელიანი 2001: 37). აქვე შენიშნულია, რომ სვანურის კილოებში ამ სუფიქსის გარეშე ზოგიერთი სახელი მცენარის ოდენ ნაყოფს აღნიშნავს, მაგ.: **წიფ** – „წიწიბო, წიფელას ნაყოფი“; **გაკ/კაკ** – „კაკლის ნაყოფი“ და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში -**რა**//**-ლა** საწარმოქმნო ელემენტი მიუთითებს:

ა) ხემცენარეთა ერთი რიგის სახელებში **კრებითობას, მცენარის ნაყოფის სიხშირეს**, როცა საწარმოქმნო ფუძე ამ ხემცენარის ნაყოფის სახელია, მაგ. **გაკ-რა** სვან. „\***კაკლის მსხმოიარე** ხემცენარე, **კაკლიანი** ხემცენარე“.

ბ) ხემცენარეთა ერთი რიგის სახელებში **თვისების მქონებლობას**, როცა საწარმოქმნო ფუძით აღნიშნულია ამ მცენარის რაიმე ნიშან-თვისება, მაგ. **ტახ-რა** „მამალი ნაძვი ან ფიჭვი“, შდრ. **ტახ-ი** „მამალი ღორი“ (ქეგლი 1960)<sup>1</sup>; **ნეზ-რა** „დედალი ფიჭვის ან ნაძვის ხე“, შდრ., **ნეზუ** „ნეზვი“ (თოფურია, ქალდანი 2000), **თვეფილა, თოფრა** „დიდგულა“, შდრ., **თუეფ, თრფ** „თოფი“ (თოფურია, ქალდანი 2003)<sup>2</sup>.

გ) ხემცენარეთა ქვემოსვანურ სახელებში მერქნის **წარმომავლობას, კუთვნილებას** (ხის რომელ სახეობას მიეკუთვნება მორი, ფიცარი, ტოტი, ხისგან დამზადებული საგნები), როცა საწარმოქმნო ფუძე ამ ხემცენარის ან მისი ნაყოფის სახელად მოიაზრება.

დ) სახელთა ერთ ნაწილში **კუთვნილებას, მასალას**, მაგ. , **ზექრა** – „მელური“, შდრ. **ზექ** „შემა, ხე“, **ფეტურა** „ფეტვის ფქვილი, პური“; **შიყრა** – „ზურგიელი“, „საკლავის ზურგის ნაჭერი“, შდრ. **შიყ** „ზურგი“.

ე) სახელთა ერთ ნაწილში (მეტწილად ზედსართავებში), ნ. მარის მითითებით, „ადამიანის გარეგნული ან შინაგანი ნაკლის აღნიშვნელია“. მეცნიერი მოუხმობს შემდეგ მაგალითებს: **ზეგ-რა** „ენაბლუ“; **ფის-რა** „დაწყველილი“, **ყუგ-რა** „ყრუ“, **კად-რა** „ღორმუცელა, გაუმადარი“, **ზობ-ლა** „ღორმუცელა“, **გობ-ლა** „სხვის გობში ჩამძვრალი“, „სხვის სახლში სიარულისა და ჭამის მო-

<sup>1</sup> იხ., ასევე, მარი 1915: 838.

<sup>2</sup> ბავშვები **დიდგულას** ღეროს იყენებდნენ სათამაშო ხელთოფის გასაკეთებლად, შდრ. გურ. **ხელთოფა**, აჭარ. **სართოფელა**, დ. ჩუბ. **თოფჩი** (იხ. ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 112).

ყვარული“. მარი აქვე გაკვირვებას არ მალავს, თუ რატომ გვაქვს სვანურში ეს სახელები მრავლობითის ფორმით და გამოთქვამს ეჭვს – იქნებ დამთხვევაა, რაიმე სხვა სუფიქსთან გვაქვს საქმე და არა მრავლობითობის აღმნიშვნელ **-რა**-სთანო (მარი, 1915: 775)<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, საზოგადოდ, **-რა**(/ლ) სუფიქსის მთავარი ფუნქცია სვანურში **მრავლობითობის** აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეულ ლექსიკურ კონტექსტში იმავდროულად სხვადასხვა სემანტიკურ დატვირთვასაც ავლენდა (კრებითობა, წარმომავლობა, კუთვნილება, თვისება, მასალა)<sup>2</sup>. ხოლო მცენარეთა სახელებში ის აღსანიშნი მცენარის რაიმე გამოკვეთილი **ნიშან-თვისების** გამოხატვას გულისხმობდა ფართო გაგებით (ნაყოფის სიხშირე-მსხმოიარობა, თვისების მქონებლობა, მსგავსება, მასალა...), რაც ქართული **-თ-ა**, **-იან**, **-ნარ** სუფიქსთა გარკვეულ ფუნქციებს ეთანადება. დღეისათვის ეს მოტივაციები მეტწილად დაბინდულია, თუმცა წარმოდგენილი მოსაზრების გათვალისწინებით, ჩაძიებისას შესაძლებელი უნდა იყოს საწარმოქნო ფუძის სემანტიკის ამოცნობაც. ამ მიმართულებით მცენარეთა სვანური სახელების კვლევა საინტერესოდ გვესახება. ვფიქრობთ, ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები მცენარეთა სახელების უძველეს მოტივაციებსა და პრინციპებს გვაზარაუდებინებს. ამასთან, უდაოდ გასათვალისწინებელია ნ. მარის ვარაუდი, რომ ამ ენის მატარებელთა („აფეტიდების“) წარმოდგენაში ხეები (მცენარეები) სხვადასხვა ნაწილებისაგან (ტოტები, ფოთლები...) შედგენილი რთული საგნები იყო და ამიტომაც გვეკლინებოდა მათი სახელწოდებები კრებით სახელებად (მარი, იქვე, 776).

**-რა** სუფიქსი ჩანს მცენარეთა სახელებში აფხაზურშიც და, როგორც ნ. მარი მიუთითებს, გამოიყენება **კრებითობის** გამოსახატავად (მარი 1915: 776). **-რა** დასტურდება *ხემცენარეთა სახელებში: ახლარცირა* „შინდის კორომი“, *ამყიარა* „თუთის კორომი“, *ალაპარა* „ლეღვის კორომი“, *აქიეცრა* „აკაციის კორომი“, *ახარა* „წაბლნარი“, *აფსლეშერა* „ტირიფნარი“. აღნიშნული სუფიქსი ფუნქციით ქართ. **-ნარი** ბოლოსართის ეკვივალენტურია“ (მაჭავარიანი 2003: 241-245); *ზოგიერთი ბალახისა და ბუჩქის სახელებში: ახიარა* „შაბი, შამბნარი, ჟელტამი“; *ახიაც/ახიაცრა* „ჭინჭარი“, „ჭინჭრიანი ადგილი“, *აქუცრა* „ჯაგნარი“ (მაჭავარიანი 2003: 219-220; 217).

<sup>1</sup> ვფიქრობთ, მრავლობითობა აქ **თვისების მქონებლობის** გამოხატვას აძლიერებს, შდრ.: **ჰად-რა** „ღორმუცელა, გაუმადლარი“ და **ჰად, ჰად** „მუცელი“; **გობ-ლა** „სხვისი გობიდან ჰამის მოყვარული“ და **გუებ, გობ** – „გობი“. საკითხი სპეც. კვლევას მოითხოვს. (სემანტიკური თვალსაზრისით შდრ. გურულში **-ა**-სუფიქსიან სახელთა სრული გაორკვევა ფიტონიმთა ერთ წყებაში (თაფლა-თაფლა, მურალა-მურალა, ძარღვა-ძარღვა, ღვინა-ღვინა...), სადაც გაორკვევის გზით მეტი ექსპრესიულობით წარმოჩნდება მცენარის ის ნიშან-თვისება, რომელიც ამოსავალია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თითოეული კომპონენტისათვის (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 1999: 131-135).

<sup>2</sup> მაგ., ადამიანისათვის საჭმელად ვარჯისი ნაყოფის მომცემ ხემცენარეთა სახელებში ნაყოფის აღმნიშვნელ სიტყვაზე დართვით მიანიშნებდა ამ **ნაყოფის მქონებლობას, მსხმოიარობას**; საჭმელად გამოუყენებელი ნაყოფის მქონე ხემცენარეთა შემთხვევაში კი – მცენარის რომელიმე ნაწილის (ან, საზოგადოდ, მცენარის) **ნიშან-თვისების მქონებლობას**, რაც საწარმოქმნო ფუძის სემანტიკაშია საძიებელი); ქვ. სვანურში ხის მასალის სახეობრივ წარმოშობაზე მითითებაც რაიმე ნიშან-თვისების **მქონებლობა-მიკუთვნებას** გულისხმობს.



ამგვარად, სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით სვანური (ასევე აფხაზური) -რა და ადიღეურ-ყაბარდოული, აფხაზური-აბაზური -აჟ სუფიქსები ურთიერთმსგავსი ჩანს. არ გამოვრიცხავთ ეტიმოლოგიურადაც მათ საერთოობას, რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს იმის გათვალისწინებით, რომ „ენობრივ ერთეულთა თუ ჯგუფთა შორის ურთიერთობის გასარკვევად აუცილებელი წინაპირობაა საერთო ელემენტების გამოვლენა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს სრულიად საკმარისი არ არის ამ ერთეულთა შორის დამოკიდებულების ნამდვილი არსის დასადგენად. სიმნელეს ქმნის იმის ნათელყოფა, ჩვენ წინ ამ ენათა კონტაქტების შედეგად მიღებული ერთობის ფაქტია, თუ საერთო წარმომავლობისა. ამ ხასიათის სიმნელეები აღიმართება ყველა ენობრივ ჯგუფთა შედარებითი ძიებისას, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავით იგი დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა სფეროში, რამდენადაც ამ ენათა შორის აღინიშნება მრავალფეროვანი მეტად თვალსაჩინო შეხვედრები“ (ლომთათიძე 2000: 126).

### ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**თოფურია, 1979** – ვ.თოფურია, მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის ქართველურ ენებში (წინასწარი მოხსენება), შრომები, ტ. I, თბილისი.

**თოფურია, ქალღანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალღანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**იაკოვლევი, აშხამაფი, 1941** – Н. Ф. Яковлев, Д. А. Ашхамаф, Грамматика адыгейского литературного языка, М.-Л.

**მარი, 1915** – Н. Я. Марр, Яфетические названия деревьев и растений (plurality tantum) I-III, ИАН, Санкт-Петербург.

**ლომთათიძე, 1983** – ქ. ლომთათიძე, აფხაზურ-აბაზური ა-ზზეგა („კეთილი“, „კარგი“) სიტყვის აგებულება (გაქვავებული -აჟ სიტყვაწარმოებითი სუფიქსის გამოყოფასთან დაკავშირებით); საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 109, #2, თბილისი.

**ლომთათიძე, 2000** – ქ. ლომთათიძე, ხის აღმნიშვნელ ფუძეთა ურთიერთობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში (იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ურთიერთობისა და კონტაქტის ნიადაგზე წარმოქმნილი საერთო მასალის გამიჯვნისათვის). „იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება“, ტ. XXXIV, თბილისი.

**მაჭავარიანი, 2003** – ნ. მაჭავარიანი, ბალახთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურა, საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბილისი, 2003

**მაჭავარიანი, 2003** – ნ. მაჭავარიანი, ხეთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურა, საენათმეცნიერო ძიებანი, #14, თბილისი, 2003.

**მაჭავარიანი, 2005** – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

**გაზდელიანი, 2001** – ე. გაზდელიანი, ხეების სახელწოდებებში -რა/-ლა სუფიქსის გამოყოფისათვის სვანურ ენაში, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ბათუმი.

**შენგელია, 1975** – В. Г. Шенгелиа, О названиях деревьев в адыгейском языке, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, II, თბილისი.

**შენგელია, 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი, 1960** – ქართული ენის განარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, თბილისი.

**ჩანტლაძე, ნაკანი, 2014** – ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი, სვანეთის ფლორა, თბილისი-მესტია-ბათუმი.

**ჩიქობავა, 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შდარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 1999** – სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება მცენარეთა სახელდებისას ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბილისი.

NANA KHOCHOLAVA-MACHAVARIANI

### On the Structural-Semantic Analysis of a Group of Phytonyms in Svan

#### S u m m a r y

As stated in the special literature, the tree names attested in all Svan dialects can mainly be found in two forms that gives a possibility to separate the suffix **-ra** (**-la**).

We think that in Svan the formative element **-ra**/**-la** indicates:

a) collectiveness, an abundance of fruit in one group of tree names when the base is the name of the fruit.

b) having qualities in one group of tree names when the base is any quality of the tree.

c) the origin of the wood in Lower Svan tree names when the base is considered to be the name of the tree or its fruit.

d) a type in one group of tree names.

e) external or internal defect of a man in one group of tree names (mainly in adjectives).

The suffix **-ra** expresses collectiveness even in Abkhazian plant names.

We think that the main function of the suffix **-ra**/**-la** in Svan was expressing plurality that had different semantic functions in certain lexical contexts at the same time (collectiveness, origins, a type, a quality, material). In the plant names it expressed a distinguishing quality of a plant and is equal to some functions of the Georgian suffixes **-t-a**, **-ian**, **-nar**. In the plants names the Svan (also Abkhazian) suffix **ra** and the Adyghe-Kabardian suffix **-jǎ** have the same function.

ცირა ჯანჯღავა

## ნასესხები სიტყვების სემანტიკის ცვლილებათა შესახებ მეგრულში

სიტყვათა სესხების განხილვისას ორი გარემოებაა ყურადსაღები: ა) ნასესხები სიტყვის ფონეტიკური ადაპტაცია და ბ) მისი სემანტიკის შენარჩუნება თუ შეცვლა. ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ზოგი ნასესხები ლექსიკური ერთეული, რომელთა მნიშვნელობას მეგრულში გარკვეული ცვლილება განუცდია (ხშირად – ფონეტიკურთან ერთად).

**1. მეგრული ჯიხა** შესატყვისია ქართული **ციხე** სიტყვისა (ცაგარელი 1880: 34; კლიმოვი 1964: 234; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 130...). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ციხე-ს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ა) ციხესიმაგრე და ბ) საპატიმრო (ქეგლ 1964: 637).

**ციხე**-ს მეგრულში ჯიხა მთლიანად კი არ ჩაუნაცვლებია, არამედ მომხდარა დიფერენციაცია: **ჯიხა** მეგრულში „ციხესიმაგრის“ მნიშვნელობით გამოიყენება, **ციხე**-ს კი „საპატიმროს“ მნიშვნელობა აქვს.

**2. ციმბირი** (რუს. Сибирь) რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ აზიის ტერიტორიას ეწოდება. ეს სიტყვა, ფონეტიკურად სახეცვლილი, – **ციმბირი** > მეგრ. **ცინდირი** (\*შბ → ნდ), ქართულიდან მეგრულში შესულა და „შორეული ადგილის“ მნიშვნელობა მიუღია – საკუთარი სახელი საზოგადო სახელად ქცეულა (როცა ვინმე შორს, მთის მწვერვალზე ცხოვრობს, იტყვიან: **ცინდირს ამახორანს** ზედმიწ. „ციმბირს სახლობს“).

**3. ნასესხები დანა** მეგრულში იხმარება დანა-ჩანგლის ნაკრების შემადგენელი ელემენტის მნიშვნელობით, ზოგადად „დანის“ მნიშვნელობით კი გვაქვს **ხამ**-ი.

**4. რუსული სიტყვა купец** „ვაჭარი, სოვდაგარი“ შესულია მეგრულში **კუბეც**-ის სახით, რომელიც მიღებული ჩანს **კუბეც** ფორმისაგან, კერძოდ, დისიმილაციური გამჟღერების შედეგად **პ ბ**-ში გადასულა (ივარაუდება თავკიდური **კ**-ს დისიმილაციური გავლენა). ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია სიტყვის მიერ მეგრულში შექმნილი ახალი მნიშვნელობა – „ხელმომჭირნე მდიდარი ადამიანი“.

5. ქეგლ-ის მიხედვით, სპარსულიდან ნასესხები **ჩალვადარი** აღნიშნავს კაცს, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებს (ქეგლ 1964: 163). ქართულის გზით მეგრულში შესულ **ჩალანდარ**-ს, ერთი მხრივ, ქართულისებური მნიშვნელობა აქვს (ქობალია 2010: 660), მეორე მხრივ, ახალი მნიშვნელობაც შეუძენია – „საპალნე ცხენი“ (ქაჯაია 2002: 289).

6. ქართულში მაცხოვრის მეორედ მოვლინების აღსანიშნავად გამოიყენება შესიტყვება **მეორედ მოსვლა**, რომელიც მეგრულში ერთ სიტყვად არის დამკვიდრებული: მეგრ. **მერეთმოსულა** „სასწაული, საოცარი...“

სესხებისას მთელი რიგი ფონეტიკური ცვლილებები მოხდარა: ეო → ე, დ → თ (ქართულ ზეპირ მეტყველებაშიც **თ** ისმის: მეორედ // მეორეთ), ვ → უ.

7. ქეგლ-ი განმარტავს: „ორგული (ორგულისა) ფარული მტერი, – მზაკვარი, მოღალატე, მუხანათი“ (ქეგლ 1960: 41). მეგრულში ეს სიტყვა წარმოდგენილია ფონეტიკურად უცვლელი სახით, მნიშვნელობა კი განსხვავებულია: მეგრ. **ორგული** „ზარმაცი, უქნარა“.

8. ქართული **უფროსი** „ასაკით, წლოვანებით სხვაზე დიდი, მეტი ხნისა“ (ქეგლ 1960: 1637) მეგრულში ფონეტიკურად და სემანტიკურად შეცვლილა: **უმოსი** „უფრო მეტი, უმეტესი, რაიმეზე (ვინმეზე) მეტი“ (ქაჯაია 2002: 62). ფონეტიკური ადაპტაციის გზა ასეთი უნდა ყოფილიყო: **უფროსი** > \***უმროსი** > **უმოსი**.

9. სიტყვა **ქირსე** < **ქრისტე** მეგრულში იხმარება „უფლისა“ და „ქრისტე-მოზის“ აღსანიშნავად (ყიფშიძე 1914: 548; ჭარაია: 140).

10. ქართულიდან ნასესხები **სარკე** მეგრულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: „სარკე“ და „მინა, შუშა“ (ქობალია 2010: 583).

11. შავ ზღვაში პირველი მსოფლიო ომის დროს შემოსული გერმანული კრეისერის სახელი მეგრულში იქცა საზოგადო სახელად – მეგრ. **გებენი** „გოლიათი, მძლავრი, გაბედული“ (ქაჯაია 2001: 297; ქობალია 2010: 84).

12. მეგრული **ჭირკუ** // **ჭიკუ** „წვრილი“ სიტყვის შესატყვისი ქართულსა და სვანურში არ ჩანს; ის ნასესხები უნდა იყოს ჩერქეზული ენიდან, რომელშიც მისი ეტიმოლოგიაზეა ხერხდება: ჩერქ. **ჭერგკა** „მიწავაშლას“ ნიშნავს (**ჭ** „მიწა“ + აფიქსი **რგ** + **კა** „სვლა“, ზედმიწ. „მიწას მიმავალი“); მეგრული **ჭირკუ** ხილის მიმართ იხმარება: **ჭირკუ უშქური** „წვრილი ვაშლი“, **ჭირკუ სხული** „წვრილი მსხალი“ (შენგელია 1978: 155-157).

13. ქართული **ფაშატი**, რომელსაც აქვს „დედალი ცხენის, ვირის...“ მნიშვნელობა (ქეგლ 1962: 47) მეგრულში „კვიცის“ სემანტიკით გვხვდება (ჭარაია 1997: 134; ელიავა 1997: 308).

14. ნასესხებია მეგრულში სიტყვა **თელი** „ცოცხალი“, რომლის სათანადო ქართული სიტყვის **მთელ**-ის მნიშვნელობებია „მთლიანი, ერთიანი... ერთობლივ, უკლებლივ... დაუზიანებელი, გაუცვეთელი“ (ქეგლ 1958: 250-251).

**15.** ქართულის გზით შესული **დევი** („ზღაპრული არსება“) ფონეტიკურად სახეცვლილი, ქართულისებური მნიშვნელობის შენარჩუნებასთან ერთად, მეგრულში ახალ მნიშვნელობას იძენს – მეგრ. **დემი** // **ნდემი** „დევი, დიდი“ (ქაჯაია 2001: 457; ქობალია 2010: 240).

**16.** ქართული **მამა** სიტყვის შესატყვისად მეგრული **მუმა** მიიჩნევა (როზენი 1847: 408; კლიმოვი 1964: 126). ამჟამად **მამა** მეგრულში მიმართვისას გამოიყენება, სხვა შემთხვევებში – **მუმა** // **მუა** (ჩქიმ მუმა // მუა ჩქიმი „ჩემი მამა // მამაჩემი“).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში „მამის“ მნიშვნელობით **ზაზა**-ც გამოიყენება.

**17.** ასეთივე ვითარებაა ქართული **დედა**-სა და მეგრული **დიდა**-ს შემთხვევაშიც. პირველი მეგრულში მიმართვის ფორმაა, სხვა შემთხვევებში კი **დიდა** // **დია** გვაქვს (ჩქიმ დიდა // დიაჩქიმი „ჩემი დედა // დედაჩემი“).

**18.** ქართული **გვირგვინი** მეგრულში წარმოდგენილია გირგვინი // გირგინი // გურგინ-ის სახით; ერთი ფუძის ამ სამი ვარიანტიდან მესამე – **გურგინი**, აღნიშნავს „კეფაზე იმ წერტილს, საიდანაც თმა წრიულად ლაგდება თავზე“ (ქობალია 2010: 228).

**19.** მეგრულში ნასესხებ **ჰალე**-ს აქვს როგორც ქართული **ჰალა** სიტყვის, ისე „რიყის“ მნიშვნელობა.

**20.** ი. ყიფშიძე მეგრულ სიტყვას **ზინდი** „ნიავი“, „სიო“ უკავშირებს ქართულ **ზინდ**-ს, რომელიც „დღე-ღამის გასაყარს“ აღნიშნავს (ყიფშიძე 1914: 407).

ბუნებრივია, ამ წერილში მეგრულის მიერ სიტყვათა სესხებისას მნიშვნელობის ცვლის მხოლოდ ნაწილია განხილული. ვვარაუდობთ, რომ ამ მიმართულებით კვლევა მომავალშიც გაგრძელდება.

## ლიტერატურა

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**როზენი 1847** – G. Rosen, Über das Mingrelische, Suanische und Abchasische. – Abhandlungen der königlichen Akademie der Wissenschaften zu Berlin, Berlin.

**ქეგლ 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, თბილისი.

**ქეგლ 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. VI, თბილისი.

**ქეგლ 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. VII, თბილისი.

**ქეგლ 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. VIII, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

**ქაჯაია 2002<sub>1</sub>** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ქაჯაია 2002<sub>2</sub>** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**ქობალაია 2010** – ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматики мингрельского (иверского) языка, Санкт-Петербург.

**შენგელია 1978** – ვ. შენგელია, მეგრული **ჭირკუ** სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. – ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი.

**ცაგარელი 1880** – А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II, Санкт-Петербург.

**ჭარაია 1997** – ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

TSIRA JANJGHAVA

### On the Changes in the Semantics of Loanwords in Megrelian

#### S u m m a r y

The paper deals with the cases of the semantic changes in some words of Megrelian dialect of the Megrelia-Laz language borrowed from different languages, e.g. **umosi** “more, most” < Geo. “elder”, **orguli** “lazy, idle” < Geo. **orguli** “faithless”, **kubeci** “a wealthy but stingy man” < Russ. купец “merchant”, **pašati** “mare, colt” < Geo. **pašati** “mare, donkey”, **čirku** “small” < Circ. **črək** “girasol”, **demi** “big” < Geo. **devi** “a Georgian giant mythological creature”, **čale** “floodplain, shingle” < Geo. čala “floodplain”, etc.

It is assumed that the work will continue in this direction.

ნინო ჯორბენაძე

**ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებზე  
თურქული ენის გავლენის  
ლექსიკურ-გრამატიკული ასპექტები**

ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებზე (ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული მეტყველების ნიმუშებზე) თურქული ენის გავლენის კვალი შეინიშნება ენის ყველა დონეზე: **ლექსიკაში** (აქ თურქულიდან შემოსული უცხო სიტყვები მეტყველების ნებისმიერი ნაწილის – არსებითი, ზედსართავი თუ რიცხვითი სახელის, ზმნური ფორმის, უდეტრების – სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი), **გრამატიკაში** (როგორც ფონეტიკაში, ისე მორფოლოგია-სინტაქსის სფეროში); თურქულ ენას თავისი კვალი დაუმჩნევია ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის **ანთროპონიმისა და ტოპონიმიაზეც** (ტოპონიმიაში აღსანიშნავია „ორმხრივი“ ზეგავლენა – ერთი მხრივ, ქართული ტოპონიმია იცვლება თურქულით; მეორე მხრივ, ხშირად თავად თურქული ახალი ტოპონიმი ძველი ქართული ვარიანტის კალკირებით არის მიღებული). განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

**თურქული ენის გავლენა ლექსიკაზე**

ცნობილია, რომ უცხო (დომინანტი) ენის გავლენა ყველაზე ადრე ლექსიკაში გამოიყვანება ხოლმე. ამ მხრივ არც ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტებია გამონაკლისი. ყველაზე დიდი გავლენა თურქულისა სწორედ ლექსიკაში შეიმჩნევა.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ:

**1)** ამ შემთხვევაში თურქულ ლექსიკაში ჩვენ თურქულის გზით შემოსული სხვა მუსლიმანური ენობრივი სამყაროს ნიმუშებსაც (ირანულს, არაბულს...) განვიხილავთ;

**2)** ხშირად სამხრულ-დასავლურ დიალექტებში სესხების მხრივ სხვადასხვა ვითარება გვაქვს და ყველა მაგალითი ყველა დიალექტზე არ გვრცელდება;

**3)** ყველა სახის ნასესხები ლექსიკა ერთნაირი ღირებულების ვერ იქნება, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ნასესხები სიტყვის ხმარების სიხშირესა და გამოყენებადობას ენაში, ანუ იმას: ა) არსებობს თუ არა მისი ქართული ვარიან-

ტი; ბ) რა მიმართებაა ქართულსა და ნასესხებ სიტყვას შორის; გ) რა სიხშირითა და მიზნით იხმარება ერთი ან მეორე მეტყველებაში; დ) დასტურდება თუ არა აღნიშნული სიტყვა ქართული ენის სხვა დიალექტებში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ესა თუ ის თურქული ფორმა ამა თუ იმ სახით დადასტურებულია ენაში, ამიტომ სხვა ზემოდასახელებულ ნიუანსებს ჩვენ ქვემოთ ხშირად აღარ შევხებით.

რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს: აღნიშნულ დიალექტებში სესხების უამრავი შემთხვევა დასტურდება, რაც თავისთავად მისასაღმებელი ფაქტი ვერ იქნება; მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ხშირად თურქული სიტყვა ქართულის ადგილს იკავებს: როგორც წესი, ჯერ პარალელური ხმარების შემთხვევები შეინიშნება, შემდეგ კი უცხო სიტყვა ქართულს ენიდან საერთოდ განდევნის. კიდევ უფრო მძიმე ვითარების მიმანიშნებელია ის შემთხვევები, როდესაც თურქული ლექსიკა ენის ე. წ. ძირითად, მყარ ლექსიკურ ფონდში იკავებს ადგილს. მაგალითად, ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკაში. ვინაიდან ამ სახის ლექსიკა არსებით სახელთა ჯგუფს განეკუთვნება, ყველა ნიშნით თურქული ნასესხობების მიმოხილვა ამ ჯგუფით უნდა დავიწყოთ:

### არსებითი სახელები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, **ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკაში** თურქული ფენა ღრმად არის შეჭრილი;

**აბე / აბი** – უფროსი ძმა

**აბლა / აბილა** – უფროსი და

**ამჯა** – მამის ძმა

**ანა–ი** – დედა

**ბაბა** – მამა

**გელინი** – რძალი

**ენიშთე** – სიძე

**იეგანი** – ძმისწული, დისწული

**ოგოი** – გერი

**ყარდეში** – ძმა

**ყარი** – ცოლი, ქალი

აქვე შეიძლება შემოვიტანოთ შემდეგი ლექსემებიც:

**ხისიმი, ახრაბა** – ნათესავი

**სოიადი** – გვარი

საინტერესო ვითარებაა **ანა–ი** (დედა) ფორმასთან შავშურში – როგორც მამია ფალავა აღნიშნავს (ფალავა... 2010), აქ თურქული ფორმა საკუთარი მშობლის გამოსახატავად იხმარება, ქართული კი – ზოგადად დედის ცნების აღსანიშნავად (პირიქითა მოვლენა კი იყო მოსალოდნელი).

უმეტესად თურქულითაა წარმოდგენილი **ფლორა–ფაუნის სახელწოდებებიც**:



**მცენარეთა სახელები:**

<b>აივა</b>	ზია, კომში
<b>არმუთი</b>	მსხალი
<b>არფა</b>	ქერი
<b>ბუღდა</b>	ხორბალი
<b>დომათესი, თომათესი</b>	პომიდორი
<b>ელმა</b>	ვაშლი
<b>მისირი</b>	სიმინდი
<b>მაიდანოზი</b>	ობრახუში
<b>ინჯირი</b>	ლეღვი
<b>ისლამური</b>	ცაცხვი
<b>მეივა</b>	ხილი (ზოგადად)
<b>მუშმულა</b>	ზღმარტლი (ქართულში სხვა ხილს აღნიშნავს)
<b>იუზუმუ</b>	ყურძენი
<b>სამანი</b>	ბზე, ნამჯა
<b>სოდანი</b>	ხახვი
<b>სუმბული ან ჩიჩეგი</b>	ყვავილი (სუმბული ქართულში ერთ კონკრეტულ ყვავილს აღნიშნავს)
<b>ფათათესი</b>	კარტოფილი
<b>ფათლიჯანი</b>	ბადრიჯანი
<b>ფასულია</b>	ლობიო
<b>ფიდანო</b>	ნერგი (ზოგადად)
<b>ფული</b>	წიწაკა
<b>ქესთანე</b>	წაბლი
<b>ქელამუში</b>	მუხა
<b>ფუნდუკი</b>	თხილი
<b>ქექიქი</b>	ტარხუნა
<b>ყავადი</b>	ჩინარი, ალვა
<b>ყავუნო</b>	ნესვი
<b>ყარფუზი</b>	საზამთრო
<b>შეფთალი</b>	ატამი
<b>ჩავდარი</b>	ჭვავი, სელი
<b>ჩილეგი</b>	მარწყვი
<b>ჩუბული</b>	ვაზის რქა, ლერწი
<b>ჯევიზი</b>	ნიგოზი
<b>ჰავუჯი</b>	სტაფილო
<b>ყაისი</b>	ჭერამი

**ცხოველთა სახელები:**

ასლანი	ლომი
ბოლა	ხარი (მდრ.: ბულა)
დოვმუზი	ღორი
ტავშანი	კურდღელი
ყაზი	ბატი
გოგარჩინი	მტრედი
ყათირი	ჯორი
ყართალი	არწივი
ყაფლანი	ვეფხვი
ყუზი	ბატკანი
ჩაკალი	ტურა
ხოროზი	მამალი
ჯამუში	კამეჩი
ჯანავარი, იაზანი	მხეცი, ნადირი (ზოგადად)
იუმურთა	კვერცხი

თურქული სიტყვებითაა წარმოდგენილი ხშირად **ქვეყნების, კუთხეებისა და ეროვნების სახელებიც** – გამონაკლისის სახით ამ უკანასკნელებს არსებით სახელებთან განვიხილავთ, თუმცა ისინი ძირითადად ზედსართავ სახელებად აღიქმება.

რომ არაფერი ვთქვათ ტერმინ „**გურჯ**“-ზე, ამას გარდა დასტურდება:

ახისხა	მესხეთი
ამერიკალი	ამერიკელი
არაბიე	არაბეთი
იუნანი	ბერძენი
ალმანია	გერმანია

აღსანიშნავია, რომ ტერმინი **სამშობლოც** ხშირად თურქული ვარიანტითაა წარმოდგენილი – **ვათანი**. თურქულია დედაქალაქის აღმნიშვნელი სიტყვაც – **ფათახტი / ზაშქენთი**; ასევე დასტურდება:

**შეკერი** – ქალაქი  
**ჯენები** – ჯოჯოხეთი  
**ჯენეთი** – სამოთხე  
**ჯიჰანი** – დედამიწა, ქვეყანა, სამყარო  
**დუნია** – სამყარო  
**ჯეზაევი, ყალე** – ციხე  
**სოქაქი** – ქუჩა

თურქულმა ლექსიკამ შეცვალა **დღეთა, თვეთა და სეზონთა** დასახელებებიც:

<b>ფაზართესი</b>	ორშაბათი
<b>სალიფუნი</b>	სამშაბათი
<b>ფერშემზე</b>	ხუთშაბათი
<b>ჯუმა</b>	პარასკევი
<b>ჯუმართესი, ჰავთა / ჰაბთა</b>	კვირა
<b>შუბათი</b>	თებერვალი
<b>ნისანი</b>	აპრილი
<b>ეილული</b>	სექტემბერი
<b>არალიქი</b>	დეკემბერი
<b>სონზაჰარი</b>	შემოდგომა

ზოგადად, დროც, თურქული ფორმით გადმოიცემა: **ზამანი, ვადე...**  
 თურქულის გავლენა არის **აბსტრაქტული არსებითი სახელების** აღნიშვნისასაც:

<b>აზაბი</b>	ნაღველი, ტანჯვა
<b>სევდა</b>	სიყვარული, ვნება, გატაცება (შდრ.: ქართ. <i>სევდა</i> – <b>შინაარსის ცვლილება</b> )
<b>ომრი</b>	სიცოცხლე
<b>იალანი</b>	ტყუილი, სიცრუე
<b>მარაზი</b>	ავადმყოფობა
<b>იმანი</b>	რწმენა
<b>ეილუგი</b>	სიკეთე
<b>სოუქი</b>	სიცივე, ყინვა
<b>ულური</b>	სიხარული, ბედნიერება
<b>ხიშმი</b>	რისხვა, წყრომა
<b>რიჯა</b>	თხოვნა
<b>სავაში</b>	ბრძოლა, ომი

**თურქულადაა გადმოცემული ნივთიერებათა სახელები:**

<b>დემირი</b>	რკინა
<b>ფახირი</b>	სპილენძი
<b>ჩელიქი</b>	ფოლადი
<b>ყურშუმი</b>	ტყვია
<b>ქეშრიბანი</b>	ქარვა
<b>ყურუმი</b>	ჭვარტლი, მური

ასევე გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:  
**საკვების, სასმელის...** აღმნიშვნელი:

<b>სუთი</b>	რძე
<b>რეჩელი</b>	მურაბა
<b>იაღი</b>	ცხიმი, ერბო, კარაქი
<b>ხამური</b>	ცომი
<b>თერეიაღი</b>	კარაქი
<b>ბირა</b>	ლუდი
<b>ტუზი</b>	მარილი
<b>ფეინირი</b>	ყველი
<b>ჩოქალუქი</b>	ნადული
<b>ქურაბიე</b>	ნამცხვარი
<b>ილაჯი, დერმანი</b>	წამალი

**სამზარეულოს ინვენტარი:**

<b>მასა</b>	სუფრა, მაგიდა
<b>ყაზი</b>	ჭურჭელი
<b>თაბადი</b>	თეფში
<b>ბარდადი</b>	ჭიქა, ფინჯანი
<b>ყაშული</b>	კოვზი
<b>ჩათალი</b>	ჩანგალი
<b>ხონი</b>	ძაბრი
<b>ბუზდოლაბი</b>	მაცივარი

**სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები:**

<b>მობილია</b>	ავეჯი
<b>აინა</b>	სარკე
<b>ქილითი</b>	ბოქლომი
<b>ქიბრითი</b>	ასანთი
<b>უჭუ</b>	წებო
<b>მუმი</b>	სანთელი

**სამოსი და მისთ.**

<b>ბუზმა</b>	კაბა
<b>გომლეგი</b>	პერანგი
<b>ჩორაბი</b>	წინდა
<b>მაჰრამა</b>	ცხვირსახოცი

ყაიში	ქამარი
აიახუაბი	ფეხსაცმელი
ხაგლი	პირსახოცი
დოშეგი	ლოგინი, ქვეშაგები
იასტული	ბალიში
ბათანიე	საბანი

**შენობა–ნაგებობების, მისი ნაწილების აღმნიშვნელი და მისთ.**

სარაი	სასახლე
ყაფალი	სახურავი
თავანი	ჭერი
ჩათა	სხვენი
არალოდი	იატაკი
ბოდრუმი	სარდაფი
ჩითი, იზგარა	ლობე, მესერი
ქოფრი	ხიდი
სამანლული	საბძელი
ამზარი	ბეღელი
ყავრანი	სკა

**სამუშაო იარაღები და მისთ.**

ჩუალდუზი	მახათი
მახასი	მაკრატელი
ყაზმა	თოხი, წერაქვი
თესთერე	ხერხი
ორადი	ნამგალი
ფულლული	გუთანი
თილფანი	ცელი

**სხვადასხვა ადგილის, ბუნების მოვლენების სახელები და მისთ.**

იერი	მიწა, ადგილი
ქესეგი	ბელტი, გორიხი
ყაია	კლდე, სიპი ქვა
ბათალი	ტალახი, ჭაობი
თარლა, ჩაირი	მინდორი, ველი
ქენარი	კიდე, ნაპირი
სინორი	საზღვარი
გოლი	ტბა

<b>დენიზი</b>	ზღვა
<b>ფინარი</b>	წყარო
<b>ქარჩილი</b>	შვავი. ზვავი
<b>ბულუთი</b>	ღრუბელი
<b>იაღმური</b>	წვიმა
<b>დუმანი</b>	ნისლი

**გარდა აღნიშნულისა, თურქულის მეშვეობით შემოსულია შემდეგი არსებითი სახელები:**

<b>ბორჯი / ბორჯლი</b>	ვალი / მევალე
<b>ბუიდი</b>	ულვაში
<b>დემირჯი</b>	მჭედელი
<b>დეყე</b>	წუთი
<b>დილენჯი</b>	მათხოვარი
<b>დობტური</b>	ექიმი
<b>დუგუნი</b>	ქორწილი
<b>დუშმანი</b>	მტერი
<b>ევლია</b>	წმინდანი
<b>ესირი, იესირი</b>	მონა, ტყვე
<b>ეფენდი</b>	ბატონი
<b>თევრათი</b>	ბიბლია
<b>თირენი</b>	მატარებელი
<b>იზანი</b>	ნიჭი
<b>ილდიზი</b>	ვარსკვლავი
<b>ინსანი</b>	ადამიანი
<b>ინჯი</b>	მარგალიტი
<b>მეზერი</b>	საფლავი
<b>მელაიქი</b>	ანგელოზი
<b>მილლეთი</b>	ხალხი, ერი (შდრ.: მილეთის ხალხი)
<b>მოსაფირი / მუსაფირი</b>	სტუმარი
<b>მუჰაჯირი</b>	ემიგრანტი, ლტოლვილი
<b>ნოქტა</b>	წერტილი
<b>იაზარი, ქათიბი</b>	მწერალი
<b>იაფიჯი</b>	მშენებელი
<b>ორეთმენი</b>	მასწავლებელი
<b>სააბი</b>	პატრონი
<b>საქალი</b>	წვერი (მამაკაცისა)
<b>ქეშიში</b>	ბერი, მონაზონი
<b>აილული</b>	ხელფასი

<b>არჩი</b>	მზარეული
<b>არხატაში, დოსტი</b>	მეგობარი
<b>ასაზი</b>	ვაჟკაცი, რაინდი
<b>ზაფორი</b>	გემი
<b>ზეითი</b>	ლექსი
<b>ზობრეკი</b>	თირკმელი
<b>აილული</b>	ხელფასი
<b>ყაფა</b>	თავი ( <i>ყაფა აღარ მახსოვს</i> )
<b>ყომში</b>	მეზობელი
<b>ყურიული</b>	კუდი
<b>ჩილი</b>	ჭორფლი
<b>ჩობანი</b>	მწყემსი
<b>ჩოჯული</b>	ბავშვი
<b>ხათა</b>	შეცდომა
<b>ხასთა</b>	ავადმყოფი
<b>ხეხერი</b>	ამბავი, ცნობა
<b>ხირსიზი</b>	ქურდი
<b>ასკერი</b>	ჯარისკაცი
<b>ჯულაბი</b>	პასუხი
<b>ჰუჯედი</b>	სხეული
<b>ქულთაბადი</b>	ფერფლი, ნაცარი

ყველა ეს ფორმა აქტიური ხმარების ლექსიკაა...

### ზედსართავი სახელი

ზედსართავ სახელთაგან აღსანიშნავია **ფერთა სახელები**, რომელთა დიდი ნაწილი დიალექტებში თურქული ენიდან ნასესხობის მაგალითებს გვიჩვენებს. მაგალითად, თურქული ლექსემებიტაა წარმოდგენილი როგორც ზოგადად ფერის, ისე ამა თუ იმ კონკრეტული ფერის აღმნიშვნელი თუ მასთან დაკავშირებული სხვა ლექსემები:

<b>რენგი</b>	ფერი (ზოგადად)
<b>ყუი</b>	მუქი
<b>ყირმიზი</b>	წითელი
<b>მაგი</b>	ლურჯი
<b>სარი</b>	ყვითელი
<b>ფემზე</b>	ვარდისფერი

ასევე, თურქულიდანაა ნასესხები შემდეგი ზედსართავი სახელები:

<b>ბაზაჯან! ჯანამ / ჯანან! (მიმართვისას)</b>	კარგო! ჩემო საყვარელო!
<b>ბათაჯალი</b>	გაიმვერა
<b>არსუზი</b>	უსირცხვილო, უნამუსო
<b>ბოზუქი</b>	ცუდი, გაფუჭებული
<b>გიაური</b>	ურწმუნო
<b>გენჯი</b>	ახალგაზრდა
<b>დელი</b>	სულელი (შდრ.: გურული – გადეღა)
<b>ეზიეთლი</b>	მძიმე, აუტანელი
<b>ზავალი, იოსული, ფაქირი</b>	ღარიბი, ღატაკი
<b>ზალუმი</b>	სასტიკი
<b>ზაიფი</b>	სუსტი, გამხდარი
<b>თემბელი</b>	ზარმაცი
<b>თემიზი</b>	სუფთა, სწორი
<b>იალანჩი, იეზითი</b>	ცრუ, მატყუარა
<b>იეთიმი</b>	ობოლი
<b>იენი</b>	ახალი
<b>იოსმა</b>	კარგი, ლამაზი
<b>იუქსელი</b>	მაღალი
<b>ოზგური</b>	თავისუფალი
<b>რეზალი</b>	სამარცხვინო, სათაკილო
<b>სადე</b>	უბრალო, მარტივი (შდრ.: ქართ. <i>სადა</i> )
<b>ტამაჰქარი</b>	ძუნწი
<b>უღურლი</b>	ბედნიერი
<b>უსული</b>	მშვიდი, წყნარი, ჩუმი
<b>უღურსუზი</b>	სამაგელი, ბოროტი, ავი
<b>ფაალი</b>	ძვირი
<b>ფაზლა</b>	ზედმეტი, ჭარბი
<b>ფახილი</b>	გულქვა, ხარბი
<b>ფაქი</b>	სუფთა, უცოდველი
<b>ქექეჯი</b>	ენაბლუ
<b>ქიზარი</b>	კეთილშობილი
<b>შიშმანი</b>	მსუქანი
<b>ჩეთინი</b>	ძნელი, რთული, მკაცრი
<b>ხალისი</b>	სუფთა, ნამდვილი (შდრ.: <i>ხალასი</i> )
<b>ხუარდა</b>	გარყვნილი, უნამუსო
<b>ჯესური</b>	მამაცი, გამბედავი
<b>ჯომარდი</b>	უხვი, ხელგაშლილი



### რიცხვითი სახელები

რიცხვითი სახელებიდან ტექსტებში დადასტურდა:

იედი	შვიდი
სექიზი	რვა
ბინი	ათასი ( <i>ასოცი ბინი</i> )
იაქე	ერთი, მარტო
აბლა	ცოტა
ბირაზ-ბირაზ	ცოტ-ცოტა

### ნაცვალსახელი

ჰერქესი	ყოველი, ყველა
ჰეფსი	ყველა

### ზმნიზედა

ზმნიზედებად დიალექტებში თურქულიდან მზამზარეულად მიღებული ფორმებია გამოყენებული:

ბუგუნ	დღეს, ახლა
ელან, შიმდი	ახლა, ამჟამად
ართულ	ახლა, ამიერიდან
ბუნდანსორა	ამიერიდან
ანჯახ	ძლივს
დუნიადა	არასოდეს
ეზბერ	ზეპირად
აჯელაი	სწრაფად, საჩქაროდ
ბირდენ	ერთად, ერთდროულად
ბინდაბირ	იშვიათად
იავაშ-იავაშ	ნელ-ნელა
ჩაბუქ-ჩაბუქ	ჩქარ-ჩქარა

### ზმნები

ზმნების შემთხვევაში თურქული ფუძეები გვაქვს, ოღონდ ქართულად გაფორმებული:

არეზილებს	არცხვენს
აფაქებს	ასუფთავებს
გააიოდებს	გააფუჭებს, გააქრობს
გააჰერსებს	გააბრაზებს

<b>დააპაფსებს</b>	დააპატიმრებს
<b>დაბარიშდებიან</b>	დამეგობრდებიან
<b>დეიფიშმანებს</b>	დაფიქრდება
<b>დეედუშმანა</b>	გადაემტერა
<b>ეფახილება</b>	ეხარბება
<b>შაფალი-ქნა</b>	ირიქრაჟა
<b>ჰაზირობენ</b>	ემზადებიან

### კავშირი

<b>ამა, ფაქათ</b>	მაგრამ
<b>ქი</b>	რომ, რათა

### ნაწილაკი

<b>აჯაბ</b>	ნუთუ, ნეტავ
<b>გოია</b>	ვითომ, თითქოსდა
<b>ჰათდა</b>	კიდევ, კიდევაც
<b>ჰაიქი</b>	თითქოს, ვითომდაც
<b>ჰაირ</b>	არა

### შორისდებული

<b>ბრე!</b>	აბა! ჰე! ჰო!
<b>ეიდა!</b>	აი! ჰოდა!
<b>ეივაბ!</b>	ვაი!

ცალკე განსახილველია მყარი შესიტყვებები და მზა ენობრივი ფორმულები, სადაც თურქულის გავლენა ასევე დიდია:

<b>გუნაიდინ!</b>	დილა მშვიდობისა!
<b>იი გეჯელერ!</b>	ღამე მშვიდობისა!
<b>ეივალა(ჰ)!</b>	მადლობა!
<b>ალლაჰაშუქურ!</b>	მადლობა ღმერთს!
<b>ალლაჰ ბერექათვერსუნ!</b>	ღმერთმა სიკეთე მოგცეს!
<b>ალლაჰკეთმასუნ!</b>	ღმერთმა არ ქნას!
<b>ალლაჰინან!</b>	ღვთის წყალობით!
<b>ალლაჰისე / ალლაჰისევერსან!</b>	ღვთის გულისათვის!
<b>ალლაჰუეჰებერ!</b>	ღმერთი დიდია!

### თურქული ენის გავლენა გრამატიკაზე

თურქული ენა გავლენას ახდენს გრამატიკის დონეზეც:

**1. ფონეტიკაში** – დადასტურებულია, რომ სამხრულ-დასავლურ დიალექტებში თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში აღმავალ დიფთონგში სიტყვის თავშიც და თითონ სიტყვაშიც გვხვდება **ჲ** (ფალავა... 2010: 218 ); ასევე თურქულის გავლენას უნდა მიეწეროს ნეიტრალური **ჰ** ხმოვნის პოზიტივება შავშურში (თუმცა მკვლევარ მ. ფალავას ეს თურქულის გავლენად არ მიაჩნია – ფალავა... 2010: 220) და სხვა...

**2. მორფოლოგიაში** – თურქულის გავლენას უნდა მიეწეროს საზოგადოდ კუმშვად-კვეცადი ფუძეების უკუმშველობა-უკვეცელობის ფაქტები; მაგალითად, შავშურში (ეს კაცი **ქმარად** გინდა, **ცხვარის** ხორცი გერმელია; **აჭარაიდან** გადმოსულან, **ღელეიდან** ჩაველით და სხვა...),

**3. სინტაქსში** – თურქულის გავლენით აიხსნება, მაგალითად, „**ვინმე არ არის**“ ტიპის გამოთქმების არსებობა ნაცვლად ქართულისათვის ბუნებრივი „**არავინ არ არის**“ ტიპის კონსტრუქციისა (გურგენიძე 1973: 79). თურქულის კალკად არის მიჩნეული ასევე, მაგალითად, შავშურ კილოში ძლიერ გავრცელებული აღწერითი წარმოება (**დოსტობა ვქნათ, ეზიეთი ვწიოთ, ავჯობას ვიჯებოდით...**) – (გურგენიძე 1973: 77-78; 80-84; ნიჟარაძე 1971: 69) და სხვა...

### ტოპონიმია-ანთროპონიმია

თურქული ენის კვალი ატყვია სამხრულ-დასავლურ დიალექტებში დადასტურებულ ტოპონიმია-ანთროპონიმიის ნიმუშებსაც. ქართული **ტოპონიმები** შეცვლილია (ზოგჯერ თარგმნილი) თურქულით:

იყო (ქართული)	არის (თურქული)
ტბეთი	ჯევიზლი
ციხისძირი	ყაიადიზი
ქაჯის ციხე	შეითან-კალაი

ასევე ფართოდაა გავრცელებული თურქული **ანთროპონიმები**: **ასიე, ემინე, მუსტაფა, აჰმედი, მუჰამედი, ნურჰანი, შადიე, ჯემალი, ესმა, ფერიდე, მურადი, ასლანი** და სხვა...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ყველაზე ადრე უცხო (დომინანტი) ენის გავლენა დაქვემდებარებული ენის ჯერ ლექსიკაში (მათ შორის, ანთროპონიმია-ტოპონიმიაშიც) აისახება; შემდგომში (ხელისშემწეელი ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში) გავლენის არე ფართოვდება და ის გრამატიკის დონეზეც იჩენს თავს. რაც უფრო დიდია გავლენის სფერო და ხარისხი, მით უფრო დიდია საშიშროება, რომ დაქვემდებარებულ ენაზე მოლაპარაკენი დომინანტ ენაზე გადავლენ და მშობლიურ ენას დაივიწყებენ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების მონაცემები ამის ნათელი დადასტურებაა – ცნობილია, რომ ბოლო ასწლეულების განმავლობაში ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ქართული ენა თანდათან დავი-

წყებას ეძლევა და თურქული ენა აქ გაბატონებული ხდება ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში – ოჯახიდან დაწყებული სახელმწიფო სამსახურის ჩათვლით. ასევე ნათლად იკვეთება შემდეგი სურათი – ენის დავიწყება ეროვნების დავიწყების წინაპირობა ხდება. შედეგად – ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე თანდათან იშლება ქართველთა არსებობის კვალი.

საბედნიეროდ, ამ სამწუხარო მოვლენის გამომწვევი ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორები (ტაო-კლარჯელი ქართველი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანების მიზანმიმართული პოლიტიკა, ქართული ენის დევნა-შევიწროება, საქართველოს ფარგლებში დარჩენილ სხვა ქართველებთან კონტაქტის შეუძლებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა) მეტ-ნაკლებად უკვე შეცვლილია, რაც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული იმ ქართული (ასევე ლაზური) დიალექტების დასაცავად და შესანარჩუნებლად, რომლებიც ჯერ კიდევ მოგვეპოვება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

### ლიტერატურა

**ფაღავა... 2010** – მ. ფაღავა, თ. შიომვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, ბათუმი.

**გურგენიძე 1973** – ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

**ნიქარაძე 1971** – შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

**ფუტკარაძე 1993** – შუმანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი.

**ჯორბენაძე 1989-1998** – ბ. ჯორბენაძე, „ქართული დიალექტოლოგია“, 1-2 ტ., თბილისი.

NINO JORBENADZE

### **The Lexical-Grammatical Aspects of the Turkish Language Influence on the Georgian Southern-Western Dialects**

#### S u m m a r y

The marks of the Turkish language influence on the Georgian southern-western dialects are apparent in the vocabulary, grammar as well as in anthroponymy and toponymy.

It is widely known that at the earliest stage the influence of the dominant language is reflected in the vocabulary of the subordinated one. Later the area of influence expands and covers the grammar level as well. The more the area and

degree are, the more the danger appears that the speakers of the subordinated language switch it for the dominant language and forget it. The data of the Georgian southern-western dialects is a clear proof for this. It is known that in the last decades on the territory of Tao-Klarjeti, the Georgian language is being gradually forgotten and Turkish is becoming the dominant language. It is a clear fact that forgetting the language becomes a prerequisite for forgetting the nationality.

Fortunately, the main and crucial factors (the deliberate policy of converting the Georgian population of Tao-Klarjeti into Mohammedanism by force, the oppression of the Georgian language, the impossibility of contacting Georgians beyond the borders of Georgia, lack of modern technologies) that caused this sad phenomenon has more or less changed that should be used to protect and preserve those Georgian (also Laz) dialects that still exist in the said area.

თამარ ბეროზაშვილი

**აკადემიკოსი მზექალა შანიძე**

(წაკითხულია საიუბილეო სხდომაზე 2016 წელს)

მე და მზექალა ერთდროულად ვსწავლობდით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მე – კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, მზექალა – სემიტური ენებისა. მაშინ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ცალკე არ არსებობდა. ეს განყოფილებები გამოიყოფოდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე მეორე კურსიდან. მე მზექალაზე ერთი კურსით წინ ვიყავი.

გვქონდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე – პროფესორი არნოლდ ჩიქობავა. საენათმეცნიერო წრის სხდომებს თითქმის ყოველთვის ესწრებოდა სემიტურ ენათა განყოფილების გამგე – პროფესორი გიორგი წერეთელი.

წრის წევრები საინტერესო მოხსენებებს კითხულობდნენ, იყო მსჯელობა, კამათი, დასკვნით სიტყვას ბრძანებდნენ ჩვენი პატივცემული პროფესორები. მესამე კურსიდან შემოგვიერთდა მზექალა, მისი მოხვლის შემდეგ ყველაფერი ეს გამძაფრდა. მზექალამ საენათმეცნიერო წრის სხდომებზე ქარიშხალი შემოიტანა.

გამორჩეული მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გაჰქონდათ.

დავამთავრეთ უნივერსიტეტი. პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ მე რეკომენდაცია მომცა მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩასაბარებლად, მზექალა დარჩა უნივერსიტეტში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამშაბათობით ეწყობოდა საენათმეცნიერო საუბრები, რომელზეც ჩვენი დიდი მეცნიერებით დაწყებული და ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლებით დამთავრებული კითხულობდნენ წინასწარ მოხსენებებს, გამოთქვამდნენ ვარაუდებს, ეჭვებს. ყველა ერთსულოვნად ხალისით ესწრებოდა ამ საუბრებს და ლაღად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს.

ამ მსჯელობა-კამათში ხშირად აფრინდებოდა კაფია, კაფიობის ოსტატი, როგორც ხევსური, ბრძანდებოდა ალექსი ჭინჭარაული, მას ყველაზე ხშირად ექიმპებოდნენ ივანე გიგინეიშვილი და შოთა გაფრინდაშვილი.

ერთ-ერთ საუბარში მეც ჩავერიე და გამოვთქვი ჩემი „მოსაზრებანი“ (ას-პირანტურის პირველ კურსზე ვიყავი). საკითხი ეხებოდა ქართული ენის დიალექტებს. იმავე წამს აფრინა შოთა გაფრინდაშვილმა კავია:

და როდესაც გახურდა  
მსჯელობა და კამათი,  
საპროგრამო სიტყვებით  
წამოიჭრა თამარი:  
„მე პატარა ქართლელი ვარ,  
მეგვისა და ტეზრის შვილი,  
იმერეთში კარგად ყოფნას  
მირჩენია ქართლს სიკვდილი!“

საენათმეცნიერო საუბრებს ხშირად ესწრებოდა მზექალა, კაფიოთაშიც ხშირად ერთვებოდა და ლექსით პაექრობაში ტოლს არავის უდებდა. მზექალას მე ქალთამხეს ვუძახდი.

საკანდიდატო დისერტაცია მაქვს დასაცავი. ავტორეფერატი დავწერე ქართულად და ვთარგმნე რუსულად. წავიკითხე, არ მომეწონა, ეს არ იყო ბუნებრივი რუსული, ცხადია, ასე იქნებოდა: ჯერ ქართულად დავწერე და მერე ვთარგმნე და არა პირდაპირ რუსულად, ე. ი. ვაზროვნებ ქართულად.

დავურეკე მზექალას და ვთხოვე გაესწორებინა ჩემი თარგმანი. მზექალამ ხალისით მიპასუხა:

– როცა გინდა, მოდი, თამრიკო! თუნდაც ხვალვე! მე მაღლობა გადავუხადე და მივედი მეორე დღეს.

დავსხედით, დავუდე მზექალას ქართული ავტორეფერატი და ჩემი რუსული თარგმანი, რომლის გასწორებაც ვთხოვე.

მზექალამ არც დახედა რუსულ თარგმანს, დამიბრუნა, დაიდო ქართული ტექსტი. მზექალა წაიკითხავდა ერთ ქართულ ფრაზას და შემომთავაზებდა რუსულ თარგმანს.

– არა, ეგრე არა, ეგრე არ მინდა, – ვეტყობდი მე. მზექალა მთავაზობდა თარგმანის ვარიანტებს, მე ვირჩევდი და აღტაცებით ვიძახდი:

– ო, კარგია, კარგზე კარგია! მზექალა იცინოდა, ის რუსულ თარგმანს თვითონ მე მაწერინებდა ჩემი ხელით.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მე მზექალასთვის ბოდიშიც კი არ მომიხდია ჩემი „ეგრე არ მინდა“-ს გამო, ის ხალისით ისმენდა ამას.

სამი დღე დასჭირდა ავტორეფერატის თარგმნას. მივიდოდი მზექალასთან დილის 10 საათზე, მაშინვე ვიწყებდით მუშაობას (უფრო სწორად: იწყებდა მუშაობას მზექალა), პირველიდან ორამდე ვისვენებდით, მზექალა მიშლიდა სუფრას თავისი მომზადებული გემრიელი საუზმითა და თავისი გამომცხვარი ნამცხვრით, ვსვამდით ყავას, რაზე არ ვსაუბრობდით გულლიად. ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ მქონია ზედნიერი დღეები, ეს სამი დღეც მათ რიგშია.

ავტორეფერატის რუსული თარგმანი სხვებთან ერთად მივართვი ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგის, ბატონ სტეფანე მენტემაშვილის ქვრივს ქალბატონ მარგო თოფურიძეს, მასთან ურთიერთობა ბატონ სტეფანეს გარდაცვალების შემდეგაც არ გაგვიწყვეტია.

შემდეგ შეხვედრაზე ქალბატონმა მარგომ მითხრა:

– წავიკითხე ავტორეფერატი, მომეწონა, თქვენ თარგმნეთ?

– არა, მზექალას ვათარგმნინე.

– გასაგებია, გასაგებია!

ქალბატონი მარგო მაღალჩინოსანი სამხედრო პირის ერთადერთი ასული იყო, რუსულად იყო აღზრდილი, ახლო მეგობარი იყო მზექალას დედისა.

ერთხელ ერთი საერთო ნაცნობის პანაშვიდზე მე და მზექალა შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. სამიძმარზე მისულების რიგში ჩვენ შორის ორი ქალი იდგა. მზექალა შემობრუნდა ჩემკენ და ვსაუბრობდით. ვამჩნევდი, რომ ჩემ უკან მდგომი გოგონასკენ მიუბრუნდა თვალი, ბოლოს ჰკითხა:

– თქვენი ყელსაბამი სვანურია! (ეს იყო ვერცხლის ძეწკვზე ასხმული გამოჩუქურთმებული ვერცხლისავე ფირფიტები, მოსევადებული).

– დიახ, სვანურია!

– მეჩვიდმეტე საუკუნისაა?

– დიახ, მეჩვიდმეტე საუკუნისაა!

– ეს სამი ფირფიტა ახალია? კვლავ ჰკითხა მზექალამ და სამ ფირფიტაზე დაუდო ხელი, რომლებიც ძეწკვის სხვადასხვა ადგილზე იყო მოქცეული.

– დიახ, გატეხილი იყო და გამოვაცვლევი, – მიუგო გოგონამ.

გავოგნდი, ასეთი სიზუსტით როგორ მიუთითა წარმომავლობა, დაათარიდა, შენიშნა ახალი ნახელავი! რომელი ოქრომჭედელი მზექალა იყო ან ხელოვნებათმცოდნე?!

გავიდა წლები, დავოჯახდით, შეგვემინა შვილები, ჩემი უფროსი ქალიშვილი მისაღებ გამოცდებს აბარებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივი შეკრული, ერთსულოვანი იყო, ყველამ ყველას ამბავი ვიცოდით, ერთმანეთს ვგულშემატკივრობდით.

მახარეს, მისაღებ გამოცდებზე მზექალააო, – იცოდნენ ჩვენი მეგობრობა. მე მათ მადლობა გადავუხადე, მზექალასთვის კი არაფერი მითქვამს, **მე მას თხოვნას ვერ ვაკადრებდი!!!** მე თვითონ საკუთარი თვალთ ვნახე: ძალიან დიდი ხნის წინ წრედ ვიდექით საერთო ნაცნობები. ერთმა დააპირა ეთხოვა მზექალასთვის, რომ მისაღებ გამოცდებზე მას შვილს დახმარებოდა, მზექალამ თხოვნაც არ დააცადა, მიუბრუნდა ერთ მოსაუბრეს და ჰკითხა:

– ეს ხელჩანთა სად იყიდე და რა მიეცი?

დამთავრდა ქართულში საგამოცდო წერა, გასწორდა ნაწერები, თემებს დაუბრუნეს მოხსნილი გარეთა ფურცლები, რომლებზეც ეწერა აბიტურიენტის სახელი და გვარი.



ალექსი ჭინჭარაულს, ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელს, ჩვენს დიდ მეგობარს (ისიც საგამოცდო კომისიაში იყო), მოუძებნია ჩემი შვილის ნაწერი, უნახავს, რომ მზექალას გაესწორებინა და ოთხიანი დაეწერა, მიუტანია მზექალასთვის და უსაყვედურია:

– ბერტყე თამარ ბეროზაშვილის გოგოს ოთხიანი?!

– მაჩვენე! – მზექალას გამოურთმევია ნაწერი, ხელახლა წაუკითხავს და უთქვამს:

– რა გინდა, კარგი გოგო ყოფილა?!

– მერე რატომ დაუწერე ოთხიანი?!

– ოთხიანს კარგი ჰქვია! – უპასუხია მზექალას.

ჩაირიცხა ჩემი ქალიშვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, მას მასწავლებლობა უნდოდა. მეოთხე კურსზე ძველ ქართულს მზექალა ასწავლიდა. ჩემი ქალიშვილი ლექციებს წესიერად ესწრებოდა, წესიერად სწავლობდა. მან და მისმა ორმა მეგობარმა გამოცდისთვის რომ დაიწყეს მეცადინეობა, შეუამხანაგდათ ერთი უსინათლო კურსელი:

– რაც არ ვიცი, თქვენგან შევივსებო!

გამოცდა ამ გოგონებმა ფრიადზე ჩააბარეს, უსინათლომ ამდენი ვერ შეძლო! მზექალას ჩემი ქალიშვილისთვის ქალაქზე უსიტყვოდ დაუწერია:

– სულ ვერ ხედავს?

– ვერა! – მიუწერია ჩემს ასულს.

უცებ იფეთქა თურმე მზექალამ:

– აქ ბიჭები არიან, უღელში რომ შეაბა, გუთანს გაიტანენ და არაფრის გაკეთება არ უნდათ! ამ გოგოს რის შესაძლებლობაც ჰქონდა, ყველაფერი მოწადინებით გაუკეთებია! – მზექალას ამ უსინათლოსთვისაც ფრიადი დაუწერია.

ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელს – ვენერა ხაინდრავას სამი ბიჭი ჰყავდა, ჯანმრთელები, სიცოცხლით სავსე, ენერგიულები, ცელქები. ვენერას მეუღლე გრიგოლი (შინაურულად ქიცა) ცნობილი ლიტერატორი გახლდათ.

მათი უფროსი ვაჟი – ბიძინა საშუალო სკოლას ამთავრებდა, შესვლას აპირებდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ქართული ენა და ლიტერატურა). ვენერამ მთხოვა, ქართული ენის გრამატიკაში მომემზადებინა ბიძინა, ლიტერატურაში მამამისი მოამზადებდა. დიდი სიყვარულითა და მადლობით მიიწა მოვიგონო ბიძინა (ის აღარ არის). ამ ცელქმა, ლაღმა ბიჭმა მთელი წელი წესიერად იარა, არ გამთამამებია, როგორც თავისი მშობლების მეგობარს, არც მეცადინეობა გაუცდენია, არც დაუგვიანია, მუდამ მომზადებული მოდიოდა. გაკვეთილები საინტერესო და ხალისიანი გვქონდა. ზმნის მწკრივების ახსნისას ბიძინას ვუთხარი, რომ თურმეობითი მეორე აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წარსულში მომხდარ მოქმედებაზე თურმე ადრე მომხდარა, უსწრებს წარსულში მომხდარ მოქმედებას.

– აა! წარსულის წარსულია! – შემომაველია სიტყვა ბიძინამ. ამის შემდეგ ზმნების მწკრივიდან მწკრივში გადაყვანისას ღიმილით ვხმარობდით „ტერმინს“ – „წარსულის წარსული“. ბიძინამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები, ნიჭიერი ბიჭი იყო, იმრომა კიდეც და ჩაირიცხა უნივერსიტეტში.

მეოთხე კურსზე ბიძინამ ერთხელ გაუცდინა მზექალას ძველი ქართული ენის ლექცია, მეორედ, მესამედ და საერთოდ აღარც უვლია. გამოცდაზე, რა თქმა უნდა, ჩაიჭრა. გამწარდა საწყალი ვენერა. მისი მეუღლე გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე გარდაცვლილი იყო. ვინ არ მიუგზავნა ვენერამ მზექალას თხოვნით, უხსნიდნენ, ქიცას შვილიაო.

– ქიცას შვილს მეტი მოეთხოვება! – უთქვამს მზექალას. არ გაჭრა თხოვნამ, არადა რჩება კურსზე ბიძინა, შეიძლება გარიცხონ კიდეც. დამატებით გამოცდამდე სამი დღეა იყო დარჩენილი.

– მომიყვანე, ვუთხარი მე ვენერას, რასაც მოვასწრებ, ვამეცადინებ, ახალი ქართული ენის გრამატიკა ბიძინამ კარგად იცის!

მოვიდა ბიძინა დარცხვენილი, დავიწყეთ მეცადინეობა.

– ბიძინა, გამოტოვე ერთი სტრიქონი და როგორც ვაკეთებდით, ჩამოწერე ბრუნვების სახელები, მიბრუნე სიტყვა „კაცი“, გამოყავი ფუძე და ბრუნვის ნიშნები. ბიძინამ ელვის სისწრაფით ჩამომიწერა, **თან ლაპარაკობდა, როგორც ვითხოვდი**. გამოტოვებულ სტრიქონში ჩაწერე ფუძე! ბიძინამ ჩაწერა.

– ძველ ქართულში ეს არის წრფელობითი ბრუნვა, – ვუთხარი მე.

ასე თვითონ ბიძინას ვაწერინებდი თანამედროვე ქართული ენის ჩვენთვის საჭირო გრამატიკულ ფორმებს და ვუმატებდით, რაც განსხვავებული იყო ძველ ქართულში.

გამოცდაზე წასვლის წინ ბიძინა გავაფრთხილე:

– ქალბატონ მზექალას უყვარს აზრიანი ახალგაზრდები, აუცილებლად უხსენე „წარსულის წარსული“, ეს ხომ შენი „ტერმინია“!

გამოცდიდან ბიძინა პირდაპირ ჩემთან მოვიდა გახარებული.

– რაც მკითხა, ვუპასუხე, „წარსულის წარსულზე“ ქალბატონ მზექალას თვალები გაუბრწყინდა, სახე გაეხადრა. ბოლოს მითხრა:

– რომ გველო და გესწავლა, ხომ დაგიწერდი ოთხიანს, ახლა სამიანზე მეტს არ დაგიწერ!

ვუსურვებ მზექალას ახალგაზრდული შემართებითა და დიდი სიხარულით სიცოცხლეს! დიდ პატივსა ვცემ მის ნიჭს, განათლებას, სამართლიანობასა და პრინციპულობას!



### თედო უთურგაიძე

ქართულმა მეცნიერებამ და ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 2018 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და თვალსაჩინო მოღვაწე, ქართული ენის დიდი მოამაგე, მაღალი ადამიანური ღირსებებით უხვად დაჯილდოებული პიროვნება, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თედო უთურგაიძე**.

თედო (თედორე) უთურგაიძე დაიბადა 1927 წლის 20 ივნისს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1945-1950 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1950-53 წლებში აკად. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გაიარა ასპირანტურის სრული კურსი. 1954 წელს ნაშრომისათვის „თუშური კილო“ მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა ქართულთან მიმართებით“.

პროფ. თ. უთურგაიძემ თითქმის 70 წელი იღვაწა სამეცნიერო ასპარეზზე. ღვთისაგან ბოძებული ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, სამეცნიერო კვლევის დიდი უნარის, სისტემატური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად შექმნა 200-ზე მეტი პირველხარისხოვანი ნაშრომი, მათ შორის – 11 მონოგრაფია, რომელთაც ვერცერთი ქართველოლოგი გვერდს ვერ აუვლის.

თ. უთურგაიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოიჩინა თავი, როდესაც გამოაქვეყნა თავისი პირველი საყურადღებო ნაშრომი „ფონეტიკური მოვლენები თუშურში“. შემდგომ სწორედ ქართული ენის ფონეტიკა გახდა მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი. ამ მიმართულებით წარმართული მუშაობის შედეგები შეჯამებულია მრავალი სიახლით გამორჩეულ მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“, რომელშიც ავტორმა ქართული ენის ფონეტიკური სისტემის არგუმენტირებული და ორიგინალური ანალიზი წარმოგვიდგინა.

გამორჩეულია პროფ. თ. უთურგაიძის ღვაწლი ქართული ენის მორფოლოგიური სისტემისა და ქართული ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა ურთიერთმიმართების შესწავლის საქმეში. დიდაა მისი წვლილი საქართველოში ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიის კვლევის მიმართულებით.

პროფ. თ. უთურგაიძე იყო ნოვატორი მეცნიერი. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია მისი დამსახურება ქართული ენის კომპიუტერული მოდელირების საკითხების დამუშავებაში. ენის ფორმალიზაციისათვის მის მიერ ჩატარებულმა სამუშაომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თ. უთურგაიძის მიერ შემუშავებულ მოდელს დაემყარა შემდგომში არაერთი კვლევა.

პროფ. თ. უთურგაიძეს ხანდაზმულ ასაკშიც არ შეუწყვეტია ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა, რასაც მოწმობს მის მიერ ერთი წლის წინ გამოქვეყნებული მონოგრაფია „ქართული ენობრივი სისტემის საკითხები“, რომელშიც განხილულია ქართული ზმნის სტრუქტურის რამდენიმე საკვანძო პრობლემა. გეგმაში ჰქონდა დაემუშავებინა ქართული ენის შესწავლის ისტორიის მეორე ნაწილი და ქართული ენის ისტორიული გრამატიკის აქტუალური საკითხები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა...

პროფ. თ. უთურგაიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში. მისი ახალი იდეების შემცველი და ლოგიკურად უზადოდ გამართული მოხსენებები მუდამ იპყრობდა მსმენელთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

დიდაა პროფ. თ. უთურგაიძის წვლილი საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებისა თუ უმაღლესი სასწავლებლებისათვის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ის იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი, ოფიციალური ოპონენტი.

პროფ. თ. უთურგაიძე აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობაში. 16 წელი უძღვებოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას; 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფაქტობრივ ის წარმართავდა ჩვენში დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას და რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა; თ. უთურგაიძის რედაქტორობით გამოიცა დიალექტოლოგიური კრებულები; მისი ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სისტემატუ-

რად ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები დიალექტოლოგიური მასალის მოსაპოვებლად; ამ ექსპედიციებში პროფესორ-მასწავლებლებთან და მეცნიერ-მუშაკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, რაც მათ სამეცნიერო წვრთნას უწყობდა ხელს; ამასთან, ამ ექსპედიციებს საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა – საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს აცნობდა ახალგაზრდობას.

პროფ. თ. უთურგაიძე ქართული უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო პედაგოგი იყო. პედაგოგიური მოღვაწეობა მან ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მიჰყავდა სალექციო კურსები: ახალი ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის ისტორია, ქართული ენის სტრუქტურული ანალიზი, ქართული ენობრივი სისტემები...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 2002 წელს ნაშრომისათვის „ქართული ენის ისტორია“ მიანიჭა აკად. არნ. ჩიქობავას პრემია; 2013 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობასა და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილის მედლით... უკმარისობის გრძნობა მისი ნიჭისა და ღვაწლის ობიექტურ დამფასებლებს მაინც აქვთ.

პროფ. თ. უთურგაიძე გამორჩეული ადამიანი იყო, მომხიბლავი პიროვნება – გარეგნობითაც და შინაგანი თვისებებითაც. ამშვენებდა თავმდაბლობა, რბილი ხასიათი, კეთილგანწყობილება, მიმტევებლობა, გულისხმიერი დამოკიდებულება; გულის სითბოს არავისთვის იშურებდა. ეს მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო უაღრესად პრინციპული ამა თუ იმ სამეცნიერო თვალსაზრისის დაცვისას.

პროფესორი თედო უთურგაიძე – დიდი მეცნიერი და მოქალაქე, მუდამ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიასა და ქართული საზოგადოების მესიერებაში.

### **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება**

#### **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

#### **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**  
**რ. გრიგოლია**